

# თბილი სხეულები

აიზეკ მერიონი

# ნაბიჯი პირველი - [SEP][SEP][SEP]სურვილი[SEP]

მკვდარი ვარ, მაგრამ ეს არც ისე ცუდია. უკვე ვისწავლე, როგორ შევეგუო. ბოდიში, ნორმალურად ვერ გაგეცნობით, სახელი აღარ მაქვს.[SEP]

თითქმის არც ერთ ჩვენგანს აღარ აქვს სახელი. მანქანის გასაღებებივით ვკარგავთ, გასული დაბადების დღეებივით გვავიწყდება. ჩემი სახელი, მგონი, „რ“-ზე იწყებოდა. სულ ესაა, რაც შემრჩა. სასაცილოა, იმიტომ, რომ როდესაც ცოცხალი ვიყავი, ყოველთვის სხვების სახელები მავიწყებოდა. ჩემი მეგობარი მ-ს თქმით, ზომბიდ ყოფნის მთავარი ირონია სწორედ ისაა, რომ ყველაფერი სასაცილოა, მაგრამ ვერ იცინი, რადგან ტუჩები თანდათან გილპება.[SEP]

განსაკუთრებული მიმზიდველობით არც ერთი ჩვენგანი გამოირჩევა, მაგრამ სიკვდილი, სხვებთან შედარებით, ჩემ მიმართ ცოტა უფრო კეთილი გამოდგა. გახრწნის ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე ვარ – მხოლოდ ნაცრისფერი კანი, უსიამოვნო სუნი და მუქი წრეები თვალებქვეშ. რომ მოვინდომო, თავისუფლად შემიძლია თავი იმ კაცად გავასაღო, სასწრაფოდ დასვენება რომ ესაჭიროება. სანამ ზომბი გავხდებოდი, ალბათ, ბიზნესმენი, ბანკირი ან ბროკერი ვიყავი. ოფისში დროებით მომუშავე ახალგაზრდა მაინც ვიქნებოდი, საკმაოდ კარგი ტანსაცმელი მაცვია – შავი შარვალი, ნაცრისფერი პერანგი, ნითელი ჰალსტუხი. მ. ზოჯერ დამცინის კიდევ. ჩემი ჰალსტუხისკენ თითს იშვერს და გაცინებას ცდილობს, რაც მისი სხეულის სიღრმეში

მოგუდული, მობუყბუყე გრგვინვით გამოიხატება. მის ტანსაცმელს ნახვრეტებიანი ჭინსი და სადა, თეთრი მაისური წარმოადგენს. მაისური უკვე საშინლად გამოიყურება. უფრო მუქი ფერის უნდა აერჩია.<sup>[P SEP]</sup>

ჩვენ გვიყვარს საკუთარ ტანსაცმელზე ფიქრი და ხუმრობა, რადგან მოდის ეს ბოლო ნიმუშები ერთადერთ მინიშნებებს წარმოადგენს იმაზე, თუ ვინ ვიყავით, ვიდრე არაფერი გავხდებოდით. ზოგის ჩაცმულობა ჩემი ტანსაცმელივით ცხადად არ წარმოაჩენს წარსულს: შორტები და სვიტერი, კაბა და უბრალო კოფთა. ასე რომ, გამოცნობა გვინევს.<sup>[P SEP]</sup>

„შენ მიმტანი იყავი. შენ – სტუდენტი. გაგინათდა?“<sup>[P SEP]</sup>

არა, კონკრეტული არავის არაფერი ახსენდება. მხოლოდ ბუნდოვანი, წარჩენი ცოდნა იმ სამყაროსი, რომელიც დიდი ხნის წინ გაქრა. მქრალი წარმოდგენა წარსულ ცხოვრებებზე, რომლებიც მოჩვენებითი კიდურივით თან დაგვყვება. ცივილიზაციას ვცნობთ – შენობები, მანქანები, ზოგადი არემარე – მაგრამ ამ ყველაფერში საკუთარი როლი არ გავგაჩნია. არ გვაქვს ისტორია. ჩვენ უბრალოდ აქ ვართ. ვაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებთ, დრო გადის და შევითხვებს არავინ სვამს. მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს არც ისე ცუდია. შეიძლება უჭკუოები ვჩანდეთ, მაგრამ ასე არაა. ამროვნების დაჟანგებული კბილანები ჯერ კიდევ ტრიალებენ, თუმცა სიჩქარეს თანდათან უკლებენ, სანამ მათი მოძრაობა თითქმის შეუმჩნეველი არ გახდება. ჩვენ ვღმუით და ვოხრავთ, მხრებს ვიჩეჩავთ და თავს ვიქნევთ, ზოგჯერ პირიდან რამდენიმე სიტყვაც დაგვცდება ხოლმე. ამ მხრივ წინანდელი

ცხოვრებისგან დიდი განსხვავება არაა. [P]  
[SEP]

მაგრამ ის კი ნამდვილად მადარდებს, რომ საკუთარი სახელები დაგვაფინყდა. ყველაფერს შორის ჩემთვის ესაა ყველაზე ტრაგიკული. მენატრება ჩემი საკუთარი სახელი და ვგლოვობ ყველა დანარჩენისასაც. მინდა, ისინი მიყვარდეს, მაგრამ არ ვიცი, ვინ არიან.

[P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

ასობით ჩვენგანი რომელიღაც დიდ ქალაქთან ახლოს, მიტოვებულ აეროპორტში ცხოვრობს. ცხადია, თავშესაფარი ან სიტბო არ გვჭირდება, მაგრამ მაინც მოგვწონს გარშემო კედლებისა და თავბემოთ სახურავის ქონა. სხვა შემთხვევაში სადღაც მტვრიან მინდორში ვიხეციალებდით, რაც საშინელება იქნებოდა. გარშემო არაფერი გვექნებოდა, რასაც შევხედავდით ან შევცხებოდით, ვიქნებოდით მხოლოდ ჩვენ და ცის დაფჩენილი ხახა. ბოლომდე სიკვდილი სწორედ ასე წარმომიდგენია – სრული და ყოვლისმომცველი სიცარიელე. [P]  
[SEP]

მგონი, დიდი ხანია, რაც აქ ვართ. მე მთელი ჩემი ხორცი თან მაქვს, მაგრამ არიან უფროსები, რომლებისგანაც თითქმის მხოლოდ ჩოჩხებიღაა დარჩენილი აქა-იქ ჩამოკიდებული, გამომშრალი კუნთების ნაგლეჯებით. როგორღაც ეს კუნთები ჯერ კიდევ იკუმშება და იჭიმება, ასე რომ, ასეთები მოძრაობას ახერხებენ. არ მინახავს, რომელიმე ჩვენგანი ასაკისგან „მომკვდარიყოს“. ბევრი საჭმელი რომ გვექონდეს, ალბათ, უსასრულოდ „ვიცოცხლებდით“, არც კი ვიცი.



ჩემთვის მომავალი ისეთივე ბუნდოვანია, როგორც წარსული. თავს ვერ ვაიძულებ, რომ გუშინდელ ან ხვალინდელ დღეზე ვიდარდო, თავად დღევანდელი დღეც არ მოითხოვს სასწრაფო ყურადღებას. შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილმა მომადუნა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • • <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როდესაც მ მპოულობს, ესკალატორზე ვდგავარ. ესკალატორით დღეში რამდენჯერმე დავსეირნობ, როცა ჩართულია. ჩემთვის რიტუალად იქცა. აეროპორტი მიტოვებულია, თუმცა ხანდახან შუქი მაინც ბჟუტავს, დენი, ალბათ, ღრმა მიწისქვეშეთში დამალული საავარიო გენერატორებიდან მოდის. ნათურები კაშკაშდება, ეკრანები ციმციმს იწყებს და აპარატები ინტლრევა. ასეთ მომენტებს სათუთად ვუფრთხილდები. ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს საგნები ცოცხლდებიან. საფეხურებზე ვდგები და ზემოთ მივდივარ, ზეცაში გამგზავრებული სულივით. ჩვენი ბავშვობის ეს ტკბილი ოცნება ახლა უტიფარ დაცინვადაა ქცეული. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

დაახლოებით ოცდაათი გამეორების შემდეგ კიდევ ერთი ასვლისას ვხედავ, რომ მ ზემოთ მიცდის. ის ძვლების თითქმის ორმეტრიან ჩარჩოზე გადაკიდებულ ასობით ფუნტ კუნთსადა ცხიმს წარმოადგენს. ესკალატორის ზედა კიდეს ნელ-ნელა ვცდები და თვალწინ მემშლება საზარელი სახე – წვერებიანი, მელოტი, გალურჯებული და გახრწნილი. ნუთუ ანგელოზია, რომელიც კარიბჭესთან მელოდება? მისი დაფლეთილი პირიდან შავი დორბლი მოიზღაზნება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ხელს გაურკვეველი მიმართულებით იშვერს და ღრუტუნებს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ქალაქი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მე თავს ვუქნევ და მივყვები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

საჭმლის საპოვნელად გავდივართ. ქალაქისკენ მივფრატუნობთ და ჩვენ გარშემო მონადირეთა ჯგუფი ყალიბდება. ამ ექსპედიციებისთვის ხალხის შეგროვება რთული არაა მაშინაც კი, როცა არავის შია. მიზანმიმართული ამრები ჩვენთან დიდი იშვიათობაა და როცა ჩნდება, ყველანი მას მივყვებით. სხვა შემთხვევაში უბრალოდ მთელი დღე ვიდგებოდით და ვიღმუვლებდით. ასე გადის წლები. ხორცი ძვლებზე გვადნება, ჩვენც ვდგავართ და ველოდებით, საბოლოოდ როდის ჩამოვხმებით. ზოგჯერ მაინტერესებს, რამდენი წლის ვარ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩვენი სანადირო ქალაქი მოსახერხებელ მანძილზეა. მეორე დღეს, დაახლოებით შუადღით, ჩავდივართ და ხორცს ვეძებთ. ახლებური შიმშილი უცნაური შეგრძნებაა. მას კუჭში არ ვგრძნობთ – ზოგიერთ ჩვენგანს საერთოდ არ აქვს კუჭი. ჩვენ მთელ სხეულში თანაბრად ვგრძნობთ ამ მომქაჩველ შეგრძნებას, თითქოს ჩვენი უჭრედები თანდათან იფუშებიან. გასულ ზამთარს, როდესაც ბევრი ცოცხალი მკვდრებს შეუერთდა და ჩვენი ნადავლი ძალიან შემცირდა, ვნახე, როგორ გადაიქცა ზოგი ჩემი მეგობარი სრულმკვდრად. გადასვლა არაფრით იყო გამორჩეული. ისინი უბრალოდ შენელდნენ, შემდეგ შეჩერდნენ და მცირე ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ გვამებად ქცეულიყვნენ. თავიდან ცოტა შევშოთდი, მაგრამ ჩვენი ეტიკეტის მიხედვით, არ შეიძლება შეიმჩნიო, როცა რომელიმე ჩვენგანი კვდება.

ყურადღება ვიღაცების კვნესაზე გადავიტანე. [P] [SEP]

მგონი, სამყაროს აღსასრული საბოლოოდ დადგა – ქალაქები, სადაც ვხეტილობთ, ჩვენსავით დამძალია. შენობები ჩამოიქცა. ქუჩები დაჟანგებული მანქანებითაა ჩახერგილი. მინების უმეტესი ნაწილი ჩამსხვრეულია და ცარიელ ცათამბჯენებში გამჭოლი ქარი სასიკვდილოდ მიტოვებული დაჭრილი ცხოველივით კვნესის. არ ვიცი, რა მოხდა. დაავადება? ომი? სოციალური არეულობა? ან იქნებ უბრალოდ ჩვენი ბრალია? მკვდრების, რომლებმაც ცოცხლები ჩაანაცვლეს? მგონი ახლა უკვე სულერთია. სამყაროს დასასრულამდე მოღწევის შემდეგ დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, აქამდე რა გზით მოხვედი. [P] [SEP]

ჩამოშლილ საცხოვრებელ კორპუსთან მიახლოებისას ცოცხლის სუნს ვგრძნობთ. ეს სუნი ოფლიანი კანის მძაფრ ოხშივარს არ ჰგავს. ეს უფრო სასიცოცხლო ენერჯის მუშხუნია, ელვისა და ლავანდის იონიზებული სურნელი. ჩვენ ამ სუნს ცხვირით არ ვგრძნობთ. ის ვასაბივით პირდაპირ შიგნით, ტვინთან ახლოს გვირტყამს. შენობასთან ვჭკუფდებით და შიგნით შესასვლელად გზას ვიკვლევთ. [P] [SEP]

ისინი ფანჯრებაგედილ პატარა ოთახში შეყუჟულან. ჩვენზე უარესად აცვიათ, ბინძურ ნაჭრებსა და ძონძებში გახვეულან და ყველა საშინლად გასაკრეჭია. მ თავისი ხორციელი ცხოვრების დარჩენილ ნაწილს მოკლფე, ქერა ნვერით გაატარებს, დანარჩენებიდან კი ყველა სუფთად ვართ გაპარსულები. მკვდრად ცხოვრების ერთ-ერთი უპირატესობა სწორედ ესაა – შეგვიძლია აღარასდროს ვიდარდოთ

წვერზე, თმაზე, ფრჩხილებზე... ბიოლოგიურ პროცესებთან ბრძოლა აღარ გვჭირდება. ჩვენი ველური სხეულები საბოლოოდ მოთვინიერდნენ. <sup>[P. SEP.]</sup>

ნელი და ტლანქი, მაგრამ მტკიცე მოძრაობებით შიგნით შევდივართ. თოფების გასროლა მტვრიან ჰაერს დენითა და სისხლით ავსებს. კედლებს შავი სისხლი ესხმება. მკლავის, ფეხის ან ტორსის ნაწილის დაკარგვა მხოლოდ მცირე კოსმეტიკური პრობლემაა და ყურადღება არ ექცევა, თუმცა ზოგიერთ ჩვენგანს ნასროლი ტვინში ხვდება, რაც მყისიერ დაცემას იწვევს. აშკარაა, რომ ამ დანაოჭებულ რუხ ღრუბელში ჯერ კიდევ რაღაც სასარგებლოა შერჩენილი, რადგან მისი დაკარგვის შემთხვევაში გვამებად ვიქცევით. ჩემს მარჯვნივ და მარცხნივ ზომბები სველი, ყრუ ბრაგუნით ძირს ეცემიან. მაგრამ ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ, აურაცხელნი. ცოცხლებს ვაცხრებით და ვჭამთ. <sup>[P. SEP.]</sup>

ჭამა სასიამოვნო საქმე სულაც არაა. ახლა კაცს ხელს ვაჭამ და ამ პროცესს ვერ ვიტან. ვერ ვიტან მის ყვირილს, იმიტომ, რომ არ მიყვარს ტკივილი. არ მომწონს, როცა ხალხს ტკივილს ვაყენებ, მაგრამ რას ვიზამ, ახლა ასეთია სამყარო. ესაა ჩვენი ცხოვრება. რა თქმა უნდა, თუ მთლიანად არ შევჭამ და ტვინს შევუნარჩუნებ, ადგება და აეროპორტისკენ გამომყვება. შეიძლება ამით თავი უკეთ ვიგრძნო. მის თავს დანარჩენებს გავაცნობ, შეიძლება ვიდგეთ ჩვენთვის და გარკვეულ ხანს ვიღმუვლოთ. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რას ნიშნავს „მეგობრობა“, მაგრამ შეიძლება რაღაც მსგავსი გვქონდეს, თუ თავს



შევიკავებ, თუ მის სხეულს საკმარისად დავბოგავ...<sup>[P SEP]</sup>

მაგრამ ასე არ ვიქცევი. არ შემიძლია. როგორც ყოველთვის, ახლაც პირდაპირ ყველაზე გემრიელ ნაწილზე გადავდივარ. ნაწილზე, რომელიც ჩემს თავს პროექტორის მილივით ანათებს. ტვინს ვჭამ და დაახლოებით ოცდაათი წამის განმავლობაში მოგონებები მიბრუნდება. ჩემს თავში იელვებს აღლუმები, სურნელები, მუსიკა... სიცოცხლე. შემდეგ ყველაფერი ისევ თანდათან ქრება, ვდგები და ყველანი ისევ გარეთ, ქალაქში მივბორძიკობთ. ისევ ისეთი რუხები და გაყინულები ვართ, თუმცა თავს ოდნავ უკეთ ვგრძნობთ – არა „კარგად“, არც „ბედნიერად“, რასაკვირველია, არც „ცოცხლად“, მაგრამ ოდნავ უფრო ნაკლებად მკვდრად. ეს მაქსიმუმია, რაც შეგვიძლია.<sup>[P SEP]</sup>

ჯგუფს უკან მივყვები, ქალაქი კი თანდათან უჩინარდება. სხვებთან შედარებით უფრო მძიმედ მივაბიჯებ. როდესაც სახებზე და ტანსაცმელზე შემხმარი სისხლის წვეთების ჩამოსარეცხად წვიმის წყლით სავსე საგზაო ორმოსთან ვჩერდები, მ უკან, ჩემთან ბრუნდება და მხარზე ხელს მარტყამს. იცის, როგორ არ მომწონს ჩვენი ბოგიერთი რუტინული საქმიანობა. იცის, რომ სხვებთან შედარებით ცოტა უფრო მგრძნობიარე ვარ. ბოგჯერ ამის გამო მაჭავრებს კიდევ, ჩემს აბურდულ შავ თმას ერთ კუდად კრავს და ამბობს: „გოგო. შე... გოგო“. მაგრამ ისიც იცის, როდის უნდა მიიღოს ჩემი დაღვრემილობა სერიოზულად. მხარზე ხელს მისვამს და ხმას არ იღებს, უბრალოდ მიყურებს. მის სახეს აღარ შეუძლია რაიმე აზრიანი გამომეტყველების მიღება, მაგრამ ვიცი, რისი თქმაც უნდა. მე თავს ვუქნევ და გზას



ვაგრძელებთ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არ ვიცი, რატომ გვჭირდება ხალხის დახოცვა. არ ვიცი, რას ვაღწევთ ადამიანის ყელში კბილების ჩასობით. მას ვპარავ ისეთ რაღაცას, რაც მე არ მაქვს. ის ქრება, მე ვრჩები. ყველაფერი მარტივია, მაგრამ უაზრო. პირობითი კანონებია, რომელიც სადღაც ცაში მცხოვრებმა შეშლილმა კანონმდებელმა დაანესა. თუმცა, ამ კანონების მორჩილება სიცოცხლეს მინარჩუნებს და მეც საგულდაგულოდ ვემორჩილები. ვჭამ, სანამ ჭამას დავასრულებ, შემდეგ ისევ ვჭამ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როგორ დაიწყო ეს ყველაფერი? როგორ გავხდით ისინი, რაც ვართ? რამე საიდუმლო ვირუსის ბრალია? გამა სხივების? უძველესი ნყევლის? იქნებ რაღაც კიდევ უფრო აბსურდულია? ამ საკითხზე ბევრს არავინ ლაპარაკობს. ჩვენ აქ ვართ და ამას ვერაფერს ვუბამთ. არ ვწუნუნებთ. კითხვებს არ ვსვამთ. ჩვენს საქმეს ვასრულებთ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩემსა და ჩემ გარშემო არსებულ სამყაროს შორის დიდი უფსკრულია. ნაპრალი იმდენად განიერია, რომ ჩემს გრძნობებს მისი გადალახვა არ შეუძლიათ. სანამ ჩემი ყვირილი მეორე ნაპირს აღწევს, ისინი ხმადაბალ კვნესად იქცევა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

••• <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

კარიბჭესთან პატარა ჭკუფი გვეგებება და მშიერი თვალებით ან თვალბუდეებით შემოგვცქერიან. ჩვენს ტვირთს ძირს ვაგდებთ: თითქმის ხელუხლებელი ორი კაცი, რამდენიმე ხორცსავსე ფეხი და კიდურებმოცლილი ტანი – ყველაფერი ჯერ კიდევ თბილი. შეგიძლიათ

ნასუფრალი უნოდოთ. ჩვენ ნასაღებ სატმელს ვეძახით. ჩვენი თანამცხოვრები მკვდრები სატმელს აცხრებიან და ცხოველებივით იქვე, იატაკზე შეექცევიან. უჭრედების ნაწილში დარჩენილი სიცოცხლე მათ სრული სიკვდილისგან იცავს, თუმცა, მკვდარი, რომელიც არ ნადირობს, ბოლომდე დაკმაყოფილებული ვერასდროს იქნება. ახალ ხილს მოკლებული მებღვაურებივით, სუსტები და მუდმივად მშივრები, დეფიციტის გამო ჭკნებიან, რადგან ახლებური შიმშილი ეული მონსტრია. მონსტრი, რომელიც უხალისოდ იღებს ხარკად მიცემულ ყავისფერ ხორცსა და შეციებულ სისხლს, მაგრამ სინამდვილეში მას ის სიახლოვე, კავშირის სასტიკი შეგრძნება შია, რომელიც მსხვერპლისა და ჩვენს თვალებს შორის სიყვარულის ბნელი ნეგატივივით აღიბეჭდება მათი სიცოცხლის ბოლო ნუთებში. [SEP]

მ-ს ხელს ვუქნევ და ბრბოს ვშორდები. კარგა ხანია შევეჩვიე მკვდრების ყველგან შემღწევ სუნს, მაგრამ მათგან ავარდნილი სიმყრალე დღეს განსაკუთრებით აუტანლად მეჩვენება. სუნთქვა სავალდებულო არ არის, თუმცა სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა ახლა ნამდვილად მჭირდება. [SEP]

შემაერთებელ დერეფნებში მივხეხები და კონვეიერებზე ვერთობი. ლენტაზე ვდგავარ და თვალს ვადევნებ ხედს, რომელიც შუშის კედლის მიღმა საპირისპირო მიმართულებით მიემართება. სანახავი ბევრი არაფერია. ასაფრენი ბილიკები თანდათან მწვანდება და ბალახითა და ბუჩქებით იფარება. თეთრი, მონუმენტური თვითმფრინავები სანაპიროზე გამორიყული ვეშაპებივით უმოძრაოდ მიმოფენილან

ბეტონის ზედაპირზე. მობი დიკი, როგორც იქნა, დამორჩილებულია! [P]  
[SEP]

ადრე, როცა ცოცხალი ვიყავი, ამას ვერასოდეს ვიზამდი –  
ვმდგარიყავი წყნარად, მეყურებინა, როგორ ჩამივლის სამყარო  
გვერდით და თითქმის არაფერზე მეფიქრა. მახსოვს მოძრაობა.  
მახსოვს ამოცანები და დედლაინები, მიზნები და ამბიციები. მახსოვს  
მიზანდასახულობა, მუდმივად ერთდროულად ყველგან ყოფნა. ახლა  
უბრალოდ აქ, ლენტაზე ვდგავარ და მის მოძრაობას მივყვები.  
ბოლოში ვალწევ, ვტრიალდები და იგივე გზას უკან მოვყვები. სამყარო  
გაინმინდა. მკვდრად ყოფნა ადვილია. [P]  
[SEP]

ამ საქმიანობაში რამდენიმე საათის გატარების შემდეგ  
საპირისპირო ლენტაზე მდებარე ვამჩნევ. უმეტესობა ჩვენგანისგან  
განსხვავებით, არ ტორტმანებს და კვენესის; მხოლოდ მისი თავი  
ქანაობს აქეთ-იქით. სანამ ერთმანეთს ვუახლოვდებით, თვალს  
თვალში ვუყრი და ვაშტერდები. მცირე ხნით ერთმანეთის გვერდით  
ვართ, სულ რაღაც რამდენიმე ფუტის დაშორებით, შემდეგ კი  
მოძრაობას ვაგრძელებთ დერეფნის საპირისპირო ბოლოებამდე.  
ორივე ვტრიალდებით და ერთმანეთს ვუყურებთ. ისევ კონვეიერზე  
ვდგებით და ისევ ერთმანეთს ვუახლოვდებით. ველმიჭები და ისიც  
საპასუხოდ იღმიჭება. ერთმანეთის გვერდით მესამე ჩავლისას  
აეროპორტში ელექტროენერგია ითიშება და ჩვენ ზუსტად ერთმანეთის  
პირისპირ ვჩერდებით. ჩახლეჩილი ხმით ვესალმები, ის საპასუხოდ  
მხრებს იჩეჩს. [P]  
[SEP]

მე ის მომწონს. ხელს ვიშვერ და თმაზე ვეხები. ჩემ მსგავსად, მისი

დეკომპოზიციაცადრეულ სტადიაზე. ფერმკრთალი კანი და ღრმად ჩამჭდარი თვალები აქვს, თუმცა ძვლები და ორგანოები ჯერ არ დაზიანებია. მისი თვალების ირისს, სხვა მკვდრების მსგავსად, განსაკუთრებული ღია რუხი, კალისფერი ელფერი დაჰკრავს. მის საკუბოვე ტანსაცმელს შავი ქვედაკაბა და თეთრი, კარგად მორგებული პერანგი წარმოადგენს. ეჭვი მაქვს, ადრე რეგისტრატურაში მუშაობდა.

[P]  
[SEP]

ვერცხლისფერ სამკერდე ნიშანზე სახელი ანერია.[P]  
[SEP]

სახელი აქვს. [P]  
[SEP]

ნიშანს დაჟინებით ვაკვირდები. მისკენ მკვეთრად ვიხრები და თავი მის მკერდთან რამდენიმე ინჩის(1 ინჩი = 2,54 სანტიმეტრს.) სიახლოვეს მიმაქვს, მაგრამ არაფერი გამომდის. ჩემს მხედველობაში ასოები ირევიან და ბზრიალებენ. ვერ ვარჩევ. როგორც ყოველთვის, ახლაც გამირბიან და ჩემთვის მხოლოდ უაზრო ხაზებსა და ლაქებს წარმოადგენენ. [P]  
[SEP]

მ-ის კიდევ ერთი უკვდავი ხუმრობა – სამკერდე ნიშნებიდან დანყებული გაზეთებით დამთავრებული, ჩვენს ყველა კითხვაზე პასუხი ირგვლივ წერია, ჩვენ კი არ ვიცით, როგორ წავიკითხოთ. [P]  
[SEP]

სამკერდე ნიშანზე ვუთითებ და თვალებში ვუყურებ.[P]  
[SEP]

– შენი... სახელი?[P]  
[SEP]

ის გულგრილად მიყურებს.[P]  
[SEP]

მე ხელს საკუთარი თავისკენ ვიშვერ და ჩემი სახელის დარჩენილ ფრაგმენტს წარმოვთქვამ.[P]  
[SEP]



– რრრ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

შემდეგ ისევ მისკენ ვიშვერ ხელს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მისი თვალეზი იატაკისკენ იხრება. უარის ნიშნად თავს იქნევს. არ ახსოვს. ერთასოიანი სახელიც კი არ აქვს, როგორც მე და მ-ს. ის არავინაა. მაგრამ ყოველთვის ზედმეტ მოლოდინს ხომ არ ვიქმნი? მისკენ ვიხრები და ხელს ხელზე ვკიდებ. კონვეიერებიდან გადმოვდივართ ისე, რომ მკლავები გამყოფი ძგიდის გადასწვრივ გვაქვს გაშვერილი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ეს მდედრი და მე ერთმანეთის მიმართ სიყვარულს ვგრძნობთ. ან იმას, რაც სიყვარულისგანაა დარჩენილი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მგონი მახსოვს, ადრე როგორი იყო სიყვარული. ის კომპლექსური ემოციური და ბიოლოგიური ფაქტორებისგან შედგებოდა. ჩვენ გვინევდა რთული გამოცდების ჩაბარება, ურთიერთკავშირების დამყარება, წარმატებებისა და წარუმატებლობების, ცრემლებისა და ქართეხილების დაძლევა. ეს მძიმე განსაცდელი იყო, მტკივნეული ამოცანა, მაგრამ მაინც, ის სიცოცხლის ნიშანი იყო. ახალი სიყვარული უფრო მარტივია. უფრო იოლი, მაგრამ უფრო პატარაც.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩემი შეყვარებული ბევრს არ ლაპარაკობს. აეროპორტის დერეფნებში დავსეირნობთ და ზოგჯერ გვერდით ჩავუვლით ვიღაცებს, ვინც ფანჯრებიდან იყურება ან კედელს მიშტერებია. ვცდილობ, რამე ისეთი მოვიფიქრო, რაზეც დავილაპარაკებთ, მაგრამ თავში არაფერი მომდის. რომც მოვიფიქრო, ალბათ თქმას მაინც ვერ შევძლებ. ეს ჩემი დიდი დაბრკოლებაა, დიდი ლოდი, რომელიც გზას მიხერგავს.



გონებაში მჭევრმეტყველი ვარ. შემიძლია სიტყვების შინაგან ხარაჩოებზე ავძვრე, ტაძრის უმაღლეს მწვერვალებს მივალწიო და ჩემი ფიქრები ჭერზე დავხატო. მაგრამ როდესაც პირს ვაღებ, ყველაფერი იშლება. ჭერჭერობით ჩემი პირადი რეკორდია ოთხი გადაბმული მარცვალი სანამ რა...დაც... გაიჭედება. არადა, ამ აეროპორტში შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე ყბედი ზომები ვიყო. [P]  
[SEP]

არ ვიცი, რატომ არ ვლაპარაკობთ. ვერაფრით ამიხსნია ის სულის შემხუთველი სიჩუმე, რომელსაც ჩვენს სამყაროში დაუსადგურებია და ერთმანეთისგან ისე გვაშორებს, როგორც ციხეში მნახველსა და პატიმარს შორის აღმართული სქელი მინა. წინდებულები მტკივნეულია, არტიკლები – მძიმე, ზედსართავები კი ველური და მიუნვდომელი. ნუთუ ესეც ფიზიკური ნაკლოვანებაა? სიკვდილის მრავალი სიმპტომიდან ერთ-ერთი? თუ უბრალოდ სათქმელი არაფერი დაგვრჩა? [P]  
[SEP]

შეყვარებულთან საუბრის წამონწყებას ვცდილობ, რამდენიმე უცნაურ ფრაზას ვამბობ და ზედაპირულ შეკითხვებს ვსვამ. ვცდილობ, მასში რეაქცია გამოვიწვიო, გონების ოდნავი გატოკება მაინც. მაგრამ ის მხოლოდ მიყურებს, თითქოს უცნაურად ვიქცეოდე. [P]  
[SEP]

რამდენიმე საათი უმისამართოდ დავეხეტებით, შემდეგ ხელზე ხელს მტკიცედ მიჭერს და სადღაც მივყავარ. გაჩერებულ ესკალატორებზე ჩავდივართ და გზატკეცილზე გავდივართ. დალლილად ვხვნეში. [P]  
[SEP]

ეკლესიაში მივყავარ. [P]  
[SEP]

მკვდრებმა ასაფრენ ბილიკზე სამლოცველო ააშენეს. ერთხელ,

შორეულ წარსულში, ვიღაცამ ყველა ტრაპი ერთად მოაგროვა, წრეზე განალაგა და ერთგვარი ამფითეატრი შექმნა. ჩვენ აქ ვიკრიბებით, ვდგავართ, ხელებს მალლა აღვაპყრობთ და ვკვნესით. ყველაზე შიდა წრეში მდგომი უძველესი ჩონჩხები თავიანთ ძვლოვან კიდურებს იქნევენ და კბილებს შორის წრიპინით უსიტყვოდ ქადაგებენ. არ მესმის, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. მგონი, არც არავის ესმის. მაგრამ ეს ერთადერთი მომენია, როდესაც ჩვენი ნებით ვიკრიბებით ღია ცის ქვეშ. ფართო კოსმოსს პირი დაუღია, შორეული მთები ღმერთის თავის ქალადან ამოშვერილი კბილებივით დაფჩენილა ჩვენს ჩასანთქავად, ჩასაყლაპად და იქ გასაგზავნად, სადაც, ალბათ, ნესით ჩვენი ადგილია. [SEP]

ჩემი შეყვარებული უფრო მორწმუნე ჩანს, ვიდრე მე. თვალებს ხუჭავს და ხელებს ისე იქნევს, მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა რთულია. მე მის გვერდით ვდგავარ და ხელები მყარად მაქვს ჰაერში აღმართული. რაღაც უცნობი სიგნალის, ან შეიძლება ჩემი თანმხლების მგზნებარების საპასუხოდ, ჩონჩხები ქადაგებას წყვეტენ და ჩვენ გვაშტერდებიან. ერთი მათგანი წინ მოემართება, ჩვენს კიბეზე ამოდის და ორივეს მაჭებში გკვიდებს ხელს. ქვემოთ, წრის შუაგულში ჩავყავართ და თავისი კლანჭებით ჩვენსხელებს ჰაერში სწევს. ისეთ ღმუილს იწყებს, ისეთ არაამქვეყნიურ ხმას გამოსცემს, თითქოს გატეხილ სანადირო საყვირში ჩაჰბერესო. გამოოგნებლად მაღალი ხმა ხეებიდან ჩიტებს აფრთხობს. [SEP]

ჯგუფი საპასუხოდ ბუტბუტებს და საქმე დასრულებულია.

დავოჯახდით.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ტრაპის კიბეზე ჩვენს ადგილებს ვუბრუნდებით. ღვთისმსახურება გრძელდება. ჩემი ახალი ცოლი თვალებს ხუჭავს და ხელებს იქნევს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ქორწინების მეორე დღეს ჩვენ უკვე ბავშვები გვყავს. ჩონჩხების მცირე ჯგუფი დერეფანში გვაჩერებს და ბავშვებს წარმოგვიდგენს. ბიჭი და გოგო, ორივე დაახლოებით ექვსი წლის. ბიჭი ქერა და ხუჭუტომიანია, ნაცრისფერი თვალები და ნაცრისფერი კანი აქვს, ალბათ ერთ დროს თეთრკანიანი იყო. გოგონა უფრო მუქია, შავი თმა და მუქი ყავისფერი კანი აქვს, რომელსაც ფოლადივით თვალების გარშემო კიდევ უფრო მუქი ჩრდილი დაჰკრავს. შეიძლება ადრე არაბი ყოფილიყო. ჩონჩხები ბავშვებს მუჭლუგუნს კრავენ, ისინიც მორიდებული ღიმილით ჩვენ წინ დგებიან და ფეხებზე გვეხვევიან. მე თავზე ხელს ვუსვამ და სახელებს ვეკითხები, მაგრამ სახელი არ აქვთ. ერთს ამოვიხვნეშებ და ჩვენს ახალ ბავშვებთან ხელჩაკიდული მე და ჩემი ცოლი გზას ვაგრძელებთ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

არ ველოდი. ეს დიდი პასუხისმგებლობაა. ახალგაზრდა მამებს შვილების გამოკვების ის ბუნებრივი ინსტინქტი არ აქვთ, რაც უფროსებს. ბავშვებს მოვლა და სწავლება სჭირდებათ, თან აღარასოდეს გაიზრდებიან. ჩვენი წყევლის ზემოქმედებით ისინი მუდმივად პატარებად დარჩებიან და დაღუპებიან, თავის ქალებში მოჩხარუნეტვინებიან პატარა ჩონჩხებად გადაიქცევიან, მუდმივად გაიმეორებენ თავიანთ რუტინასა და რიტუალებს. შემდეგ, ერთ დღეს, ჩემი ვარაუდით, თავად ძვლებიც დაიშლება და ბავშვები უბრალოდ

გაქრებიან. [P]  
[SEP]

ერთი შეხედვით. ჩემი ცოლი და მე ხელს ვუშვებთ და ისინი გარეთ მიეხეტებიან სათამაშოდ. ერთმანეთს აჯავრებენ და იღრიჭებიან. ისეთი ნივთებით თამაშობენ, რაც სათამაშოებიც კი არაა: სტეპლერები, ჭიქები და კალკულატორები. ხითხითებენ და იცინიან, თუმცა მათი ხმა მშრალ ყელშივე იგუდება. მათი გონება გავათეთრეთ, სუნთქვა წავართვით, თუმცა მაინც კლდის კიდეს არიან ჩაბლაუჭებულნი. ისინი იქამდე გაუძალიანდებიან ჩვენს წყევლას, სადამდეც შეძლებენ. [P]  
[SEP]

ვუყურებ, როგორ უჩინარდებიან დერეფნის ბოლოს დღის მქრალ შუქზე. გულის სიღრმეში, რომელიდაც ბნელ და აბლაბუდებიან კუთხეში, რაღაცის გატოკებას ვგრძნობ. [P]  
[SEP]

კვლავ ჭამის დროა. [P]  
[SEP]

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა ჩვენი ბოლო სანადირო მოგზაურობიდან. ალბათ, სულ რამდენიმე დღე, მაგრამ უკვე ვგრძნობ. ვგრძნობ, როგორ მარცხდება და იღვევა ელექტრობა ჩემს კიდურებში. გონებაში ვხედავ უღმობელ ხილვებს, რომლებშიც მბრწყინავი წითელი სისხლი ღია ვარდისფერ ქსოვილში ცოცხლად მფეთქავ და მთრთოლავ, პოლოკისეულ(ჭექსონ პოლოკი (1912-1956) – ცნობილი ამერიკელი მხატვარი, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის წარმომადგენელი. 21-ე საუკუნეში მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ მისი ზოგიერთი ნახატი მათემატიკური ფრაქტალების თვისებებს ატარებს.) ფრაქტალებსა და შინაგან ქსელებში მიედინება. [P]  
[SEP]

ვიღაც გოგოებთან მოლაპარაკე მ-ს რესტორნების დარბაზში



ვპოულობ. ის ჩემგან ცოტათი განსხვავდება. ქალების კომპანიაში ყოფნა, მგონი, მოსწონს და ქალებსაც მისი საშუალოზე უკეთესი დიქცია ბრჭყვიალა ოქროს თევზივით იზიდავთ, თუმცა მ დისტანციას ინარჩუნებს და მათ სიცილით იგერიებს. ერთხელ ჩონჩხებმა მისთვის ცოლის შერთვა სცადეს, მაგრამ ის უბრალოდ იქაურობას გაეცალა. ზოგჯერ მაინტერესებს, ცხოვრებისეული ფილოსოფია თუ აქვს. იქნებ მსოფლმხედველობაც კი. დიდი სიამოვნებით დავჯდებოდი მასთან ერთად და მისი ტვინის პატარა ნაწილს გავსინჯავდი, სულ მცირე ნაჭერს დავაგემოვნებდი შუბლის წილიდან, რომ მისი ფიქრების გემო გამეგო. მაგრამ ის მეტისმეტად ჭიუტია, რომ ასეთი გულჩვილობა გამოიჩინოს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ქალაქი, – ვამბობ მე და ხელს მუცელზე ვიდებ, – საჭმელი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მ-სთან მოსაუბრე გოგოები მიყურებენ და შემდეგ იფანტებიან. შევამჩნიე, რომ ზოგს ჩემი დანახვა აფორიაქებს, თუმცა ვერ ვხვდები, რატომ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ახლა ხან... ჭამა, – ამბობს მ და ცოტათი მიბღვერს, – ორი დღის... წინ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ხელს ისევ მუცელზე ვიკიდებ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– თავს მშვირად ვგრძნობ. თავს მკვდრად... ვგრძნობ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ის თავს მიქნევს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ქორ... წინება.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გაბრაზებული ვყურებ. თავს ვიქნევ და მუცელზე ხელს უფრო მაგრად ვიჭერ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>



– მჭირდება. ნადი... სხვებს... დაუძახე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ამოხვნემის შემდეგ მ ჩემი დავალების შესასრულებლად მიდის. გვერდით ჩავლისას მეჭახება, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს განზრახ გააკეთა. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ზომბია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მ კიდევ რამდენიმე მადაგაღვიძებულს პოულობს და მცირე შენაერთს ვაყალიბებთ. ძალიან მცირეს. სახიფათოდ მცირეს. მაგრამ არ მადარდება. ვერ ვიხსენებ, ოდესმე ასეთი მშვიერი ვყოფილიყავი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ქალაქისკენ მივემართებით. ავტოსტრადით მივდივართ. ყველაფერ დანარჩენთან ერთად, გზებიც თანდათან ბუნებად იქცევა. ცარიელ ბოლებში და სურომოდებული გადასასვლელების ქვეშ მივხეტილობთ. ამ გზების შესახებ ჩემი ნარჩენი მოგონებები უკიდურესად განსხვავდება მათი ამჟამინდელი მშვიდი მდგომარეობისგან. ტკბილ, ჩუმ ჰაერს ღრმად ვისუნთქავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ქალაქში ჩვეულებრივთან შედარებით უფრო ღრმად შევდივართ. მხოლოდ ჟანგისა და მტვრის სუნს ვგრძნობ. სამალავის გარეშე დარჩენილი ცოცხლებისულ უფრო იშვიათობა ხდება, ხოლო სამალავში მყოფები გარეთ გამოსვლას ნაკლებად რისკავენ. ეჭვი მაქვს, რომ მათი სტადიონ-სიმაგრეები საცხოვრებლად ყოველმხრივ საკმარისი გახდა. ჩემი წარმოდგენით, მინდვრის გარშემო გაშენებული ბაღები სტაფილოთი და ლობიოთია დახუნძლული. პრესის ლოჯაში საქონელია განთავსებული, თავად მინდორში კი ბრინჯის ყანები ბიბინებს. ამ ციტადელებიდან ყველაზე დიდს ბუნდოვნად ვხედავთ ნისლიან ჰორიზონტზე. მისი მოძრავი სახურავი მზის ქვეშ ფართოდაა

გადახსნილი და მასხრად გვიგდებს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როგორც იქნა, მსხვერპლის სუნს ვგრძნობთ. მკვეთრი და ძლიერი სიცოცხლის სუნი ჩვენს ნესტოებს აღიზიანებს. ახლოს არიან, თანაც ძალიან ბევრნი. რაოდენობით შეიძლება ჩვენი ნახევარიც კი იყვნენ. ვყოყმანობთ და ვჩერდებით. მ მე მიყურებს. შემდეგ მზერა ჩვენს პატარა ჯგუფზე გადააქვს, ბოლოს ისევ ჩემკენ ტრიალდება და ღრუტუნებს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მე გადახრილი, ჩამოშლილი ცათამბჯენისკენ ვანიშნებ, საიდანაც სუნი იგრძნობა და თითქოს თავისკენ გვეპატიჟება, აქეთ მოდიით.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჭამა, – დაჟინებით ვამბობ მე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მ თავს იქნევს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ძალიან... ბევრი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჭამა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ის კვლავ ჩვენს ჯგუფს უყურებს. ჰაერს ყნოსავს. დანარჩენებს ვერ გადაუწყვეტიათ. ზოგი ჰაერს მასავით ფრთხილად ყნოსავს, მაგრამ სხვები ჩემსავით მტკიცედ დგანან – ოხრავენ, დორბლი ჩამოსდით და კბილებს აღრჭიალებენ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თანდათან ვღიზიანდები.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გვჭირდება! – ვუყვირი მ-ს, – ნავედით.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვტრიალდები და ცათამბჯენისკენ სწრაფი ლასლასით მივემართები. ფიქრები მხოლოდ ერთ რამეზე მაქვს ფოკუსირებული. მ მენწვა და ჩემს გვერდით აგრძელებს გზას, თან შეწუხებული გამომეტყველებით

მიყურებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩემი თავგანწირული შემართებით ნაქვებულ ჩვენი ჯგუფი მბრუნავ კარს ანგრევს და ბნელ დერეფნებს მიუყვება. მინისძვრამ თუ აფეთქებამ საძირკვლის ნაწილი შეინირა და შენობა თავბრუდამხვევი კუთხითაა გადახრილი. ზიგზაგისებურ დერეფნებში გზის გაგნება რთულია, დახრილობის გამო კი სიარულიც გაძნელებულია, თუმცა სუნი ყველაფერზე ძლიერია. რამდენიმე კიბის ავლის შემდეგ უკვე მათი ხმაც მესმის. ერთმანეთთან მოლაპარაკე ადამიანების მიერ წარმოთქმული სიტყვების მყარი, მელოდიური ნაკადი. ცოცხლების საუბარი ჩემზე ყოველთვის ფერომონებივით მოქმედებდა და როდესაც სიტყვები ჩემს ყურს ხვდება, მოკლე სპაზმი მემართება. ჯერ არ შევხვედრივარ სხვა ზომბის, რომელიც ამ ხავერდოვან რითმებს ჩემსავით აფასებს. მ ფიქრობს, რომ ეს ავადმყოფური ფეტიშია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

როდესაც მათ სართულს ვუახლოვდებით, ზოგიერთი ჩვენგანი ღმუილს იწყებს და ჩვენი ხმა ცოცხლების ყურს სწვდება. ერთი მათგანი განგაშის ნიშნად ყვირის და თოფების გადატენის ხმა მესმის, მაგრამ ჩვენ არ ვყოყმანობთ. უკანასკნელ ზღუდედ აღმართულ კარსაც ვამტვრევთ და მსხვერპლებისკენ მივიჩქარით. მათი რაოდენობის დანახვისას მ შეშფოთებული ღრუტუნებს, მაგრამ ჩემთან ერთად ყველაზე ახლოს მდგომ კაცს უტევს და ხელებს უჭერს, სანამ მე კბილებით ყელს გამოვგლეჯ. პირი მწველი, წითელი გემოთი მევსება. მსხვერპლის უჭრედებიდან სიცოცხლის ნაპერწკლები ფორთოხლის ნაფცქვენთან ავარდნილი ციტრუსოვანი ორთქლივით იფრქვევა და

მე ვისრუტავ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ოთახის სიბნელეში იარაღის ცეცხლი პულსირებს. ჩვენი სტანდარტების მიხედვით, მკვეთრ უმცირესობაში ვართ – ერთ მათგანზე მხოლოდ სამი ჩვენიანი მოდის – მაგრამ რაღაც ჩვენს სასარგებლოდაც მოქმედებს – ჩვენი მანიაკალური სისწრაფე მკვდრებისთვის არადამახასიათებელია და ჩვენი მსხვერპლები ამისთვის მზად არ არიან. ნუთუ ეს ყველაფერი ჩემგან მოდის? სურვილის გარეშე დარჩენილი არსებები, ჩვეულებრივ, სწრაფად არ მოძრაობენ, მაგრამ ისინი ჩემს წინამძღოლობას მიჰყვებიან, მე კი გამძვინვარებულ გრიგალს ვგავარ. რა ჯანდაბა მეტაკა? ნუთუ უბრალოდ ცუდი დღე მაქვს? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩვენს სასარგებლოდ კიდევ ერთი ფაქტორი მოქმედებს. ეს ცოცხლები გამოცდილი ვეტერანები კი არა, ახალგაზრდები არიან, ძირითადად თინეიჯერები. ბიჭები და გოგოები. ერთ მათგანს ისეთი საზარელი აკნე აქვს, რომ ამ მოციმციმე სინათლეში ალბათ რომელიმე თავისიანის ტყვია იმსხვერპლებს. მათი ლიდერი ოდნავ უფროსი ბიჭია, არათანაბრად წამოზრდილი წვერით. ოთახის შუაგულში გადატიხრული სამუშაო ოთახის მაგიდაზე დგას და, დაპანიკებული, ბრძანებებს უყვირის თავის ხალხს. სანამ ისინი ჩვენი შიმშილის სიმძიმისგან მიწაზე ენარცხებიან და კედლები სისხლის წვეთებით იწინწკლება, ბიჭი მაგიდაზე მის ფერხთით ჩამუხლულ მომცრო სხეულს გადაფარებია და მის დაცვას ცდილობს – ქერა გოგოს თოფი გაჩხინკულ მხარზე მიუდია და სიბნელეში ბრმად



ისვრის.<sup>[P]  
[SEP]</sup>

სწრაფი ნახტომებით ოთახს ვჭრი, ბიჭს ჩექმებში ვებლაუჭები და ვეჭაჩები. ბიჭი ეცემა და თავს მაგიდის კიდეს არტყამს. ყოყმანის გარეშე ზედ ვაცხრები და ყელში კბილებს ვასობ. შემდეგ თითებს მის თავის ქალაში გაჩენილ ნაპრალში ვარჭობ და ძვლებს კვერცხის ნაჭუჭივით ვფცქვნი. შიგნით ბიჭის ცხელი და ვარდისფერი ტვინი ფეთქავს. პირს ფართოდ ვაღებ, ტვინის მოზრდილ ნაჭერს ვკბეჩ და...<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

მე პერი კელვინი ვარ, ცხრა წლის ბიჭი. სადღაც მიყრუებულ სოფელში ვიზრდები. საშიშროება სადღაც შორეულ სანაპიროზეა და ჩვენ აქ დიდად არ ვღელავთ. მდინარესა და მთების ქედს შორის გავლებულ ავარიულ ჯაჭვისღობეს თუ არ ჩავთვლით, ცხოვრება თითქმის ჩვეულებრივად მიედინება. სკოლაში ვარ. ჯორჯ ვაშინგტონის შესახებ ვსწავლობ. ველოსიპედით მტვრიან გზებზე დავდივარ. შორტები და მაისური მაცვია და ვგრძნობ, როგორ მიტრუსავს მზე კისერს. ჩემს კისერს. კისერი მტკივა...<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

დედასთან და მამასთან ერთად პიცას ვჭამ. დღეს ჩემი დაბადების დღეა და ცდილობენ, როგორც შეუძლიათ, გამახარონ, თუმცა მათი ფული ბევრს აღარაფერს ნიშნავს. ეს-ესაა თერთმეტი წლის გავხდი და, როგორც იქნა, ზომბი ფილმის სანახავად მივყავარ. ბოლო დროს სოკოებივით მომრავლდა ფილმები ზომბებზე. ისეთი აღელვებული



ვარ, პიცას ძლივს ვჭამ. მოზრდილ ლუკმას ვკბე და ყველი ყელში მეჩხირება. ლუკმას უკან ვაფურთხებ და მშობლები იცინიან. ტომატის წვენი პერანგზე ისე მენუნება, თითქოს... [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

თხუთმეტი წლის ვარ. ფანჯრიდან ჩემი ახალი სახლის მოქუფრულ კედლებს ვუყურებ. ღრუბლებს შორის მზის რუხი სინათლე სტადიონის გახსნილი სახურავიდან ქვემოთ ეშვება. კვლავ სკოლაში ვარ და ნივთების შეგროვებისას უსაფრთხოების წესების შესახებ ლექციას ვუსმენ; ცვდილობ, არ მივაშტერდე გვერდით მჭდომ ლამაზ გოგოს. მოკლე, აჩეხილი ქერა თმა და ცისფერი თვალები აქვს, რომლებიც თითქოს რაღაც საიდუმლო ფიქრებში გართულნი ცეკვავენ. ხელისგულები მიოფლიანდება. პირი თითქოს ბამბით მაქვს სავსე. როდესაც გაკვეთილი მთავრდება, დერეფანში ვაჩერებ და ვეუბნები: [P]  
[SEP]

– სალამი. [P]  
[SEP]

– სალამი, – მპასუხობს ის. [P]  
[SEP]

– აქ ახალი ვარ. [P]  
[SEP]

– ვიცი. [P]  
[SEP]

– პერი მქვია. [P]  
[SEP]

ილიმის. [P]  
[SEP]

– მე ჯული ვარ. [P]  
[SEP]

ილიმის. თვალები უციმციმებს. [P]  
[SEP]

– მე ჯული ვარ, – ილიმის. მის ბრეკეტებს ვამჩნევ. მისი თვალები კლასიკური პრობა და პოეზიაა, – მე ჯული ვარ, – ამბობს ის,

ამბობს...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– პერი, – ჩურჩულებს ჯული ჩემს ყურში, სანამ კისერზე ვკოცნი. საკუთარ თითებს ჩემს თითებში ხლართავს და ძლიერად მიჭერს. ვკოცნი და თავისუფალი ხელით კეფაზე ვეფერები, ჩემს თითებს მის თმაში ვხლართავ. თვალებში ვუყურებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გინდა? – მძიმედ ვსუნთქავ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ილიმის. თვალებს ხუჭავს და ამბობს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სხეულზე ვიკრავ. მინდა, რომ მისი ნაწილი ვიყო. არა უბრალოდ მასში, არამედ მთლიანად მის გარშემო. მინდა, რომ ჩვენი ნეკნთა სარტყელები გაიხსნას, ჩვენი გულები ამოძრავდეს და ერთმანეთს შეერწყას. მინდა, ჩვენი უჭრედები ცოცხალ ძაფებად დაიწნას.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ახლა უკვე უფროსი ვარ, დაბრძენებული, მოტოციკლს ცენტრალურ უბნის მიტოვებულ ბულვარში დავაქროლებ. ჯული ჩემს უკან ბის და მკლავებით ჩემს მკერდზეა ჩაბლაუჭებული, ფეხებით კი ფეხებზე შემომხვევია. მისი ავიატორის სათვალე მზეზე კაშკაშებს. ჯული ილიმის და თავის იდეალურად სწორ კბილებს აჩენს. მასთან ერთად უკვე აღარასდროს ვიცინი. შევეგუე ყველაფერს ისე, როგორც არის და როგორც მომავალში იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ჯული ამას არ ეგუება და არც აპირებს. სხვა თუ ვერაფერს შევცვლი, მისი დაცვა მაინც შემიძლია, მის უსაფრთხოებას მაინც შევინარჩუნებ. არაამქვეყნიურად

ლამაზია და ზოგჯერ მომავალს მხოლოდ მასთან ერთად ვხედავ, მუდამ ჩემს გონებაშია, ჩემს თავში, მაგრამ თავი, თავი მტკივა, ო, ღმერთო, თავი...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

საკმარისია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვინ ხარ? გაფანტე მოგონებები. თვალები გამოგიშრა – დაახამხამე. ღრმად ჩაისუნთქე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

შენ ისევ შენ ხარ. შენ არავინ ხარ. კეთილი იყოს შენი დაბრუნება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თითებქვეშ ხალიჩას ვგრძნობ. სროლის ხმები მესმის. ვდგები და გარშემო ვიხედები. თავბრუ მეხვევა და ვბარბაცებ. ასეთი ღრმა ხილვა არასოდეს მქონია – თითქოს მთელი ცხოვრება ჩემს თავში დატრიალდა. ცრემლები თვალებს მისუსხავს, თუმცა საცრემლე სადინრებში სითხე უკვე გამომელია. შეგრძნებები ნინაკის სპრევიტ ხანგრძლივად მწვავს. ასეთი ტკივილი სიკვდილის შემდეგ პირველად ვიგრძენი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სადღაც სიახლოვეს ყვირილი ისმის და იქით ვტრიალდები. ეს ის არის. აქ არის. ჭული აქ არის. უკვე გაბრდილა, ალბათ, ცხრამეტი წლის იქნება, ბავშვობისდროინდელი ცხიმი უკვალოდ გამქრალა და მისი მკვეთრი კონტურები, მშვენიერი აღნაგობა გამოუჩენია; მის ქალურ სილუეტში პატარა, მაგრამ დაჭიმული კუნთები ჩანს. უიარაღოდ კუთხეშია მიყუჟული, ქვითინებს და ყვირის, მ კი მისკენ მიხობავს. ქალებს ყოველთვის პოულობს. მათი მოგონებები მ-სთვის

თავისებური პორნოა. ჯერ კიდევ დემორიენტირებული ვარ და არ ვიცი, სად ვარ ან ვინ ვარ, მაგრამ...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მ-ს ხელს ვკრავ და ვიღრინები<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არა. ჩემია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მ კბილების ისე აღრჭენს, თითქოს ჩემზე შეტევისთვის ემზადება, მაგრამ ამ დროს მის მხარს ტყვია ფლეთს და ისიც ოთახის მეორე ბოლოსკენ მიემართება, რომ სხვა ორ ზომბის უბით შეიარაღებული ბავშვის დამარცხებაში დაეხმაროს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გოგონას ვუახლოვდები. ის ჩემ წინ იკუნტება. მისი ნაბი ხორცი ყველაფერ იმას მთავაზობს, რის აღებასაც შეჩვეული ვარ; ჩემი ინსტინქტები მართვის სადავეებს იბრუნებენ.ჩაკბეჩისა და გაგლეჯის დაუოკებელი ნყურვილი ჩემს ყბებსა და ხელებს ავსებს. მაგრამ შემდეგ ის ისევ კივის და ჩემში რაღაც მოძრაობს, თითქოს ობობას ქსელში გახვეული სუსტი პეპელა ფართხალებსო. ამ ხანმოკლე ყოყმანისას, სანამ ახალგაზრდა კაცის მოგონებები ჩემში ჯერ კიდევ თბილი იყო, მე გადანყვეტილებას ვიღებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

პირიდან უწყინარ ღმუილს ვუშვებ და ნელი ნაბიჯით გოგოსკენ მივემართები, თან ვცდილობ, თავს ძალა დავატანო და გამოშტერებულ სახეს კეთილი იერი შევმატო. არარაობა აღარ ვარ. მე ცხრა წლის ბიჭი ვარ, მე თხუთმეტი წლის ბიჭი ვარ, მე...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავში დანას მესვრის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

დანა პირდაპირ შუბლის ცენტრში მერჭობა და ქანაობს. თუმცა თავის ქალაში ერთ ინჩზე ღრმად არ შეუღწევია და მხოლოდ შუბლის



ნილს შეეხო ოდნავ. დანას ვიძრობ და ძირს ვაგდებ. ხელებს გოგოსკენ ვინვდენ და ტუჩებით რალაც რბილ ბგერებს გამოვთქვამ, თუმცა არაფერი გამომდის. როგორ შეიძლება საშიშად არ აღმიქვას, როდესაც ნიკაპზე ჯერ კიდევ მისი შეყვარებულის სისხლი ჩამომდის? [SEP]

ახლა უკვე მისგან რამდენიმე ფუტზე ვდგავარ. ჭინსში ახალი იარაღის საპოვნად იქექება. ჩემ უკან მკვდრები სასაკლავოს ასრულებენ. მალე ყურადღებას ოთახის ამ ჩაბნელებულ კუთხეს მოაპყრობენ. ღრმად ვისუნთქავ. [SEP]

– ჯუ...ლი. – ვამბობ. [SEP]

სიტყვა ენაზე თაფლივით მოედინება. მისი წარმოთქმა მსიამოვნებს. გოგოს თვალები უფართოვდება და ადგილზე იყინება. [SEP]

– ჯული, – ვამბობ კიდევ ერთხელ. ხელებს ვიშვერ და ჩემს ბურგს უკან მყოფ ბომბებზე ვანიშნებ. თავს ვიქნევ. [SEP]

ის მაშტერდება და არანაირად არ ეტყობა, რომ სათქმელს მიმიხვდა, მაგრამ როდესაც მისკენ მივინევ და ვეხები, არ ინძრევა და არც დანას მირტყამს. [SEP]

თავისუფალ ხელს დაცემული ბომბის თავზე არსებული ჭრილობისკენ ვინვდენ და ხელისგულს შავი, უსიცოცხლო სისხლით ვივსებ. ნელი, ფრთხილი მოძრაობებით ვუსვამ სახეზე, კისერსა და ტანსაცმელზე. ოდნავაც კი არ კრთება. ალბათ, კატატონიაშია. [SEP]

ხელს ვკიდებ და ფეხზე ვაყენებ. ამასობაში მ და დანარჩენები თავიანთი ნადავლის შთანთქმას ასრულებენ და ოთახის დასათვალიერებლად ბრუნდებიან. მათი თვალები მპოულობენ. მათი

თვალეები ჭულის პოულობენ. მათკენ მივდივარ და ჭულის ვებლაუჭები, თუმცა ძალით არ მივათრევ. ჩემ უკან მობარბაცებს და მზერა პირდაპირ აქვს გაშტერებული. [SEP]

მ ფრთხილად ყნოსავს ჰაერს. მაგრამ ვიცი, რომ ისიც ზუსტად იმავე სუნს გრძნობს, რასაც მე: არაფერს. მხოლოდ მკვდრის სისხლის უსუნობას. ყველა კედელი სისხლითაა მოთხვრილი, ჩვენი ტანსაცმელიც გაჟღენთილია, ახალგაზრდა, ცოცხალ გოგოზე კი სათუთადაა წასმული და მისი სიცოცხლის სიკაშკაშეს ბნელი, ძლიერი სუნით ნიღბავს. [SEP]

შენობას უსიტყვოდ ვტოვებთ და აეროპორტისკენ ვბრუნდებით. გაბრუებული მივდივარ, თავი უცნაური და კალეიდოსკოპური ფიქრებით მაქვს სავსე. ტუჩებაცახცახებულ ჭულის რბილად აქვს ხელი ჩაკიდული და გაფართოებული თვალეებით ჩემი სახის ერთ ნახევარს მიშტერებია. [SEP]

მას შემდეგ, რაც უხვი ნადავლიდან მონარჩენ ნასუფრალს არამონადირეებს – ჩონჩხებს, ბავშვებსა და შინ მჭდომ დიასახლისებს ვურიგებთ, ჭული ჩემს სახლში მიმყავს. გვერდით ჩავლისას ჩემი ძმობილი მკვდრები ცნობისმოყვარე მზერას მაყოლებენ. აქამდე მიზანმიმართულად არავის უცდია, ცოცხალი ადამიანი ზომბიდ მოეჭვია, რადგან ეს ერთდროულად ნებისყოფასაც საჭიროებს და თავშეკავებასაც. მოქცევათა უმეტესობა შემთხვევით ხდება: თუ ზომბის ჭამის დროს წაასწრეს და მოკლეს, ან თუ სხვა გზით მოწყვითეს ამ საქმეს, *voro interruptus*(*voro interruptus* (ლათ.) – შეწყვეტილი ყლაპვა.).

ზომიდან გადაქცევის დანარჩენი ფაქტების უმეტესობა ბუნებრივ სიკვდილზე, ავადმყოფობაზე, უბედურ შემთხვევებსა თუ ჩვენთვის უინტერესო, მაგრამ ცოცხალთათვის დამახასიათებელი ძალადობის შედეგად გარდაცვალებაზე მოდის. ამრიგად, ის ფაქტი, რომ მე გამიზნულად მოვიყვანე ეს გოგო სახლში, თანაც ისე, რომ პირიც არ დამიკარებია, ნამდვილი ამოუხსნელი საიდუმლოებაა, შობის მსგავსი სასწაული. მ და დანარჩენები მთელ დარბაზებს მითმოვენ, თან განცვიფრებითა და ინტერესით მაყოლებენ თვალს. რასაც ახლა ვაკეთებ, ამის შესახებ სრული სიმართლე რომ იცოდნენ, ალბათ... ოდნავ ნაკლები გულისხმიერებით მომექცეოდნენ. [36]

ჯულის ხელი ჩავკიდე და სწრაფად გავარიდე მათ გამომცდეულ მზერას. მეთორმეტე გასასვლელისაკენ წავეუძეხი, ჩასხდომისათვის განკუთვნილ გვირაბში გავიყვანე და ჩემს სახლში, 747-ე კერძო თვითმფრინავში აღმოვჩნდი. მაინცდამაინც დიდი ფართი არაა, დაგვემარებაც ნაკლებპრაქტიკულია, თუმცა მთელ აეროპორტში ამაზე იზოლირებულ ადგილს ვერ იპოვით და მარტოობით ვტკბები. დროდადრო ეს ადგილი მიძინებულ მესხიერებაშიც კი შემიღიბინებს ხოლმე. ჩემი ტანსაცმლის შემხედვარე, იმ ადამიანს ვგავარ, რომელიც ბევრს მოგზაურობს. ზოგჯერ, როდესაც აქ „მიძინავს“, ჰაერში მსუბუქად აწევის, სახეში დაბერილი კონდიციონერის ჰაერისა და წინასწარ გამზადებული სენდვიჩების ჭამით გამონვეული გულისრევის შეგრძნება მეუფლება. ამას მოჰყვება პარიზული თევზის რესტორნის ან მაროკოული ტაჯინის სურნელი. ნუთუ ყველა ეს ადგილი

განადგურებულია? მდუმარე ქუჩები, მტვრიანი ჩონჩხებით სავსე კაფეები...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული და მე სავარძლებს შორის გასავლელში ვდგავართ და ერთმანეთს ვუყურებთ. ფანჯრისპირა სავარძელზე ვუთითებ დანარბებს ზემოთ ვზიდავ. ის რიგებს შორის შედის და მითითებულ ადგილას ჯდება, თან თვალს არ მაშორებს. სავარძლის სახელურებს ისე ებლაუჭება, თითქოს თვითმფრინავს ალი მოსდებია და სადაცაა მიწას შეასკდება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მე გასასვლელის მხარეს ვჯდები და მძიმედ ვხვწევი. ჩემ პირდაპირ ახონხლილ სამახსოვრო ნივთების სვეტებს ვუყურებ. ქალაქში ყოველი წასვლისას უკან მომაქვს რაიმე ისეთი საგანი, რაც თვალში მხვდება – ფაზლი, სპირტიანი სასმლის პატარა ჭიქა, ბარბი, დილდო, ყვავილები, ჟურნალები, ნიგნები. ყველაფერი აქ, სახლში მომაქვს, სავარძლებსა და გასასვლელებს შორის ვფანტავ და საათობით ვუყურებ. გროვები ახლა უკვე ჭერამდე აღწევს. მ გამუდმებით მეკითხება, ასე რატომ ვიქცევი. პასუხი არ მაქვს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ... ჭამა, – კვნესით მივმართე ჯულის, რომელსაც თვალებში მივმტერებივარ, – არ... შეგჭამ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მიყურებს. გაფითრებული ტუჩები მჭიდროდ აქვს მოკუმული.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თითს ჯერ მისკენ ვიშვერ, შემდეგ პირს ვაღებ, ჩემს უსწორმასწორო, სისხლით მოთხვრილ კბილებზე მივანიშნებ და თავს უარის ნიშნად ვიქნევ. ფანჯარას ეყრდნობა. ყელიდან შეშინებული სლუკუნის ხმა ამოსდის. რაღაც არ გამომდის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>



– დაცვა, – ვეუბნები და თან ღრმად ვსუნთქავ, – მე დაგიცავ. [P]  
[SEP]

ვდგები და ჩემს პატეფონთან მივდივარ. ზედა საბარგულებში ჩემი ფირფიტების კოლექციაში ვიქექები და ალბომს ვპოულობ. ყურსასმენები მიმაქვს და ჭულის თავზე ვაცვამ. ის ისევ გაშეშებულია და თვალეგაფართოებული შემომცქერის. [P]  
[SEP]

მუსიკა უკრავს. ფრენკ სინატრაა. ყურსასმენებიდან ხმა ოდნავ მესმის, შემოდგომის ჰაერში გაფანტული შორეული სამგლოვიარო სიტყვასავით. [P]  
[SEP]

ნუხელ... როცა ახალგაზრდა იყავი... [P]  
[SEP]

თვალეებს ვხუჭავ და წინ ვიხრები. ჩემი თავი არათანაბრად ირწევა აქეთ-იქით, მუსიკის ჰანგები კი სალონში დაფარფატებენ და ყურებში ერთდებიან. [P]  
[SEP]

ახალი ცხოვრება... ასეთი ნამდვილი, ასეთი სწორი... [P]  
[SEP]

– დაცვა, – ისევ ვბუტბუტებ, – მე დაგიცავ. [P]  
[SEP]

დიდი ხნის წინათ... ნუხელ... [P]  
[SEP]

ბოლოს, როდესაც თვალეებს ვახელ, ჭულის სახე შეცვლილი მხვდება. შიში გამქრალია და უკვე დაეჭვებული მიყურებს. [P]  
[SEP]

– ვინ ხარ? – მეკითხება ჩურჩულით. [P]  
[SEP]

თვალს ვარიდებ და სახეს სხვა მხარეს ვატრიალებ. ვდგები და თვითმფრინავიდან ბარბაცით გავდივარ. მისი შეცბუნებული მზერა გვირაბში უკან მომყვება. [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

აეროპორტის გარაჟში კაბრიოლეტი მერსედესი დგას, რომლითაც

უკვე მრავალი თვეა, ვერთობი. რამდენიმეკვირიანი თვალღერების შემდეგ მივხვდი, როგორ უნდა გამეცხო მისი ავბი საწყობში ნაპოვნი საწვავით. მისი პატრონის გამომხმარი გვამის ძირს გადმოთრევის შემდეგ გამახსენდა, როგორ უნდა გადამეტრიალებინა გასაღები და მანქანა დამეჭოქა. თუმცა, წარმოდგენა არ მაქვს, ავტომობილი როგორ ვატარო. ყველაზე დიდი წარმატება, რასაც მივალწიე, პარკინგის ადგილიდან უკუსვლით გამოსვლა და იქვე ახლოს დაყენებულ ჰამერთან შეჯახება იყო. ზოგჯერ უბრალოდ მანქანაში ვზივარ და ძრავის გუგუნს ვუსმენ, ხელები უაზროდ მილაგია საჭებზე და მინდა, რომ გონებაში ნამდვილი მოგონება ამომიტივტივდეს. აღარ მინდა კოლექტიური ქვეცნობიერიდან გადმოკოპირებული დაბინდული შთაბეჭდილებები ან გაურკვეველი ცოდნა. რაღაც კონკრეტული, კაშკაშა და ცოცხალი მსურს. რაღაც, რაც უეჭველად ჩემია. ვიძაბები და ვცდილობ, წყვდიადიდან რამე ამგვარი გმოვნურო.<sup>[P SEP]</sup>

• • •<sup>[P SEP]</sup>

მოგვიანებით, იმავე საღამოს, საკუთარ სახლში, ქალის აბაზანაში მ-ს ვხვდები. დამაგრძელებელ კაბელთან შეერთებული ტელევიზორის წინ ზის და მსუბუქ პორნოს უყურებს, რომელიც რომელიღაც მკვდრის ბარგში იპოვა. არ ვიცი, ამას რატომ აკეთებს. ჩვენთვის ეროტიკა უკვე აზრდაკარგულია. სისხლი აღარ გვიჩქეფს, აღარც მოთხოვნილებების შემონოლა გვანუხებს. მ-ს და მის „შეყვარებულებს“ მანამდეც წავდგომივარ თავზე. უბრალოდ შიშვლები დგანან და ერთმანეთს მისჩერებიან. ზოგჯერ სხეულებს ერთმანეთს უხახუნებენ, მაგრამ

დაღლილები და დაბნეულები ჩანან. შეიძლება, ეს სასიკვდილო აგონიაა. იმ დიადი მოტივატორის შორეული ექო, რომელიც ერთ დროს ომებს იწყებდა და სიმფონიებს ქმნიდა, რომელმაც კაცობრიობის ისტორია გამოქვაბულებიდან გამოიტანა და კოსმოსში წაიღო. მ შეიძლება ებღაუჭებოდეს, მაგრამ ის დრო უკვე დასრულდა. სექსი, რომელიც ერთ დროს გრავიტაციასავით უდავო კანონი იყო, ახლა უკუგდებულია. ტოლობა ნაშლილია, დაფა – გატეხილი.<sup>[SEP]</sup>

ზოგჯერ ეს შვებასავითაა. ხანდახან მახსენდება მოთხოვნილება, დაუძღვევლი მიმშლი, რომელიც ჩემს და ჩემ გარშემო ყველას ცხოვრებას მართავდა. ზოგჯერ ბედნიერი ვარ, რომ მისგან გავთავისუფლდი. ახლა ნაკლები სადარდებელი მაქვს. თუმცა, ადამიანის ამ ყველაზე ძლიერი ლტოლვის დაკარგვა შეიძლება ყველაფერი დანარჩენის დაკარგვის შემაჯამებელი იყოს. ყველაფერი უფრო წყნარი და მარტივი გახდა, რაც ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია იმისა, რომ მკვდრები ვართ.<sup>[SEP]</sup>

მ-ს შესასვლელიდან ვუყურებ. მეტალის პატარა, დასაკეც სკამზე მის და ხელები მუხლებს შორის მოუქცევია, დირექტორის წინ მჭდომი სკოლის მოსწავლესავით. არის მომენტები, როდესაც მთლიანად დამპალი ხორცის ქვეშ თითქოს თვალს მოგვკრავ ხოლმე იმ პიროვნებას, რომელიც მ ადრე იყო და ეს გულში ტკივილს იწვევს.<sup>[SEP]</sup>

– მო...იტანე? – მეკითხება ტელევიზორისთვის თვალმოუშორებლად.<sup>[SEP]</sup>

ზემოთ ვწევ იმას, რაცხელში მიჭირავს. დღევანდელი ნადირობისას

მოპოვებული ტვინი. უკვე გაცივებული, მაგრამ ჯერ კიდევ ვარდისფერი და სიცოცხლით სავსე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ფეხებგაშვერილები ვსხდებით, ზურგებით აბაზანის კედლის ფილებს ვეყრდნობით და ტვინს რიგრიგობით ვანვდით ერთმანეთს. პატარა-პატარა ნაკბეჩებით მივირთმევთ და ადამიანური შეგრძნებების ხანმოკლე გაელვებებით ვტკბებით. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კარგია... ჯანდაბა, – ხავის მ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ტვინი ვილაც ქალაქელი სამხედრო ქვეითის ცხოვრებას შეიცავს. მისი არსებობა ჩემთვის სრულიად უინტერესოა – გაუთავებელი ვარჯიში, ჭამა და ზომბების თიბვა – მაგრამ მ-ს, როგორც ჩანს, მოსწონს. მას ჩემთან შედარებით ნაკლებად პრეტენზიული გემოვნება აქვს. ვუყურებ, მისი პირი როგორ გამოთქვამს უხმო სიტყვებს, სახეზე კი ემოციები ერთმანეთში ირევა – სიბრაზე, შიში, სიხარული, ჟინი. თითქოს ჩაძინებულ ძაღლს ვუყურებ, რომელიც სიზმარში ფეხებს იქნევს და ნკმუტუნებს, თუმცა მ გაცილებით უფრო სულისშემძვრელია. როდესაც გაიღვიძებს, ეს ყველაფერი გაქრება, ის ისევ დაიცლება, ისევ მკვდარი იქნება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ერთი-ორი საათის შემდეგ ვარდისფერი ქსოვილის პატარა ნაგლეჯილა გვრჩება. მ ამ ნაგლეჯს პირში იტენის და ხილვებისგან გუგები უფართოვდება. ტვინი გათავდა, მაგრამ დაკმაყოფილებული არ ვარ. ხელს ჩუმად ვაპარებ ჯიბისკენ და იქიდან წინასწარ გადანახულ, მუშტისოდენა ნაჭერს ვიღებ. ეს უკვე სხვა საქმეა. ეს განსაკუთრებულია. მცირე ნაწილს ვაგლეჯ და ვღეჯავ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>



• • • [P]  
[SEP]

მე პერი კელვინი ვარ, თექვსმეტი წლის ბიჭი. ჩემს შეყვარებულს ვუყურებ, რომელიც თავის დღიურში რაღაცას წერს. შავი ტყავის გარეკანი გაცვეთილი და დაჭმუჭნილია, ფურცლები კი ნაჭლაბნების, ნახატების, მცირე ჩანაწერებისა და ციტატების ლაბირინთებითაა სავსე. დივანზე ვზივარ და გადარჩენილი წიგნის, „გზაზე“, პირველი გამოცემა მიჭირავს. ვნატრობ, ნებისმიერ სხვა ეპოქაში მეცხოვრა, ახლანდელის გარდა. ის ჩემს კალთაშია მოკუნტული და გამალებით წერს. თავს მსუბუქად ვურტყამ მხარზე და ვცდილობ, მისი მზერა მივიპყრო. ის დღიურს გვერდით დებს და მორცხვად მიყურებს. [P]  
[SEP]

– არა, – მეუბნება და საქმეს უბრუნდება. [P]  
[SEP]

– რას წერ? [P]  
[SEP]

– აააარ გეტყვი! – მპასუხობს ღიღინით. [P]  
[SEP]

– ჩანაწერია თუ პოეზია? [P]  
[SEP]

– ორივე, სულელო. [P]  
[SEP]

– ჩემზეა? [P]  
[SEP]

ხითხითებს. [P]  
[SEP]

მკალვებით მხრებზე ვეხვევი. ის ჩემში ცოტა უფრო ღრმად ეფლობა. თავს მის თმაში ვრგავ და კეფაზე ვკოცნი. მისი შამპუნის სურნელი... [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

მ მიყურებს. [P]  
[SEP]

– კიდევ... გაქვს? – მეუბნება ხავილით და ხელს იშვერს, რომ წილი

გავეყო. მაგრამ მე არ ვუნილადებ. კიდევ ერთ ლუკმას ვკბე და თვალებს ვხუჭავ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

• • •<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– პერი, – ამბობს ჯული.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– ჰო.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

სტადიონის სახურავზე, ჩვენს საიდუმლო კუთხეში ვართ. მეტალის თეთრ ფირფიტებზე გაშლილ წითელ პლედზე გულაღმა ვწევართ და დამაბრმავებლად ლურჯ ცას თვალეზმოჭუტულები შევცქერით.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– თვითმფრინავები მენატრება, – ამბობს ის. მე თავს ვუქნევ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მეც.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მათზე ფრენა კი არა. მამაჩემის ხელში არასოდეს მღირსებია ფრენა. თვითონ თვითმფრინავები მენატრება. მათი შორეული, მოგუდული გუგუნი, ის თეთრი ხაზები... როგორ სერავდნენ ცას და ცისფერ ორნამენტებს ხაზავდნენ. ამაზე დედა ამბობდა, ცა ჯადოსნურ ეკრანს ჰგავსო. ძალიან ლამაზი იყო.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ფიქრებში გართული ვიღიმი. ჯული მართალია. თვითმფრინავები ძალიან ლამაზი იყო. ფეიერვერკებიც. ყვავილებიც. კონცერტებიც. ფრანებიც. ყველა ის პრივილეგია, რომლის უფლებასაც საკუთარ თავს ველარ მივცემთ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მომწონს, როგორ გახსოვს ყველაფერი, – ვამბობ მე.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ის მიყურებს.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– ვალდებულები ვართ. ყველაფერი უნდა გვახსოვდეს. თუ არ დავიმახსოვრებთ, როდესაც გავიზრდებით, ყველაფერი სამუდამოდ

გამქრალი იქნება.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

თვალეებს ვხუჭავ. მწველი, წითელი სინათლე ქუთუთოების გავლით ჩემს თვალეებში გიზგიზებს. ვიცდი, სანამ ჩემი ტვინი ამ სინათლით მთლიანად გაჭერდება. თავს ვატრიალებ და ჯულის ვკოცნი. შემდეგ სექსი გვაქვს პლედზე, სტადიონის სახურავზე, მიწიდან ოთხასი ფუტის(ოთხასი ფუტი = დაახლოებით 133 მეტრს.) სიმაღლეზე. მზე მცველივით დაგვდგომია თავზე და კეთილი მოძღვარივით ჩუმად იცინის.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

• • •<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ჰეი!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

თვალეებს სწრაფად ვახელ. მ მომშტერებია. ჩემს ხელში დარჩენილ ტვინის პატარა ნაწილს ეჭიდება, თუმცა უკან ვხტები.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– არა, – ვიღრინები.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მგონი მ ჩემი მეგობარია, მაგრამ ახლა მისი მოკვლაც რომ დამჭირდეს, ამ ტვინის გასინჯვის უფლებას არ მივცემ. იმის გაფიქრებისას, რომ შეიძლება თავისი ბინძური თითები ამ მოგონებებში ჩატაკოს და აფათუროს, სურვილი მიჩნდება რომ მ შუაზე გავგლიჯო, მისი გული ხელეებს შორის მოვჭყლიტო და ტვინი იქამდე ავუბილო, სანამ არსებობას არ შეწყვეტს. ეს ტვინი ჩემია.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მ მიყურებს. ჩემს თვალეებში გამაფრთხილებელ ელვარებას ხედავს და ჰაერში საგანგაშო სირენის ხმა ესმის. ხელი უკან მიაქვს. ერთ წამს შეწუხებული და დაბნეული მიყურებს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– კრიჟანგი, – ბუტბუტით მიდის და ტუალეტის კაბინაში იკეტება.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

აბაზანას უჩვეულოდ მყარი ნაბიჯით ვტოვებ. 747-ის კარშივძვრები და მქრალი სინათლის ოვალში ვდგავარ. ჭული უკან გადანეულ სავარძელში წევს და ხმადაბლა ფშვინავს. ფიუბელაჟის(ფიუბელაჟი – თვითმფრინავის კორპუსი.) გვერდით კედელზე ვაკაკუნებ, მას მყისიერად ეღვიძება და სწორდება. სანამ ვუახლოვდები, ფრთხილად მაკვირდება. თვალეში ისევ ცეცხლი მიდგას. მის ფოსტალიონის ჩანთას იატაკიდან ვიღებ და შიგნით ვიქექები. საფულეს ვპოულობ, რომლის შიგნითაც ფოტოს ვნახულობ. ახალგაზრდა კაცის პორტრეტია. ფოტოს გოგოს თვალების წინ ვიჭერ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– მე... ვწუხვარ, – ვამბობ ხმაჩახლეჩილი. ის გაქვავებული სახით მიყურებს.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

თითით ჩემს პირზე ვანიშნებ. მუცელზე ხელს ვისვამ. მის პირზე ვანიშნებ, შემდეგ მის მუცელს ვეხები. შემდეგ ხელს ფანჯრისკენ ვიშვერ, დაუნდობელი ვარსკვლავებით მოჭედილი უღრუბლო შავი ცისკენ. ეს მკვლელობისათვის თავის გასამართლებლად ყველაზე უსუსური მცდელობაა, მაგრამ მეტი არაფერი შემიძლია. ყბა მეღრიცება და თვალებს ვჭუტავ, ვცდილობ მათი სიმშრალით გამონწვეული მწველი ტკივილი შევიმსუბუქო.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ჭულის ქვედა ტუჩი ეძაბება. მისი თვალეები წითელი და სველია.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– რომელმა ჩაიდინეთ? – მეკითხება ტირილის ზღვარზე მყოფი აკანკალებული ხმით, – ის მსუქანი ნაბიჯვარი იყო, რომელიც მეც კინალამ მომწვდა?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ერთ წამს მას ვაშტერდები და მის კითხვებს აზრს ვერ ვატან. შემდეგ



უცებ ვხვდები და თვალები მიფართოვდება.<sup>[P SEP]</sup>

არ იცის, რომ მე მოვკალი. <sup>[P SEP]</sup>

ოთახი ჩაბნელებული იყო და უკნიდან დავესხი თავს. ჭულის არ დაუნახავს. ჭულიმ არ იცის. მისი თვალები ისე მომმართავს, თითქოს მომართვის ღირსი ვიყო; არ იცის, რომ ცოტა ხნის წინ მისი საყვარელი ადამიანი მოვკალი, მისი საყვარელი ადამიანის სიცოცხლე შევჭამე, სული მოვინელე და ახლაც კი შარვლის წინა ჯიბეში მიდევს მისი ტვინის მოზრდილი ნაჭერი, რომელიც ცეცხლმოკიდებული ნახშირით იწვის დანაშაულის გრძნობით; რეფლექსურად უკან ვიხევ; ამ დაუჭერებელი მოწყალების გააზრება არ შემიძლია.<sup>[P SEP]</sup>

– რატომ მე? – მეკითხება და თვალიდან სიბრაზის ცრემლი უვარდება, – მე რატომ გადამარჩინე? – ბურგს მაქცევს და სავარძელში იკუნტება, ხელებით საკუთარ მხრებს ეხვევა, – იმდენი ადამიანიდან... – ბუტბუტებს სავარძელში, – რატომ მე?<sup>[P SEP]</sup>

ეს მისი პირველი კითხვებია. კითხვები, რომლებიც ეხება არა საკუთარ კეთილდღეობას, ან იმას, საიდან ვიცი მისი სახელი, ან რა საშინელ ბედს ვუმზადებ; არა, ამ ყველაფერზე პასუხის მიღებას არ ჩქარობს. მისი პირველი კითხვები სხვებს ეხება: მის მეგობრებს, მის შეყვარებულს... აინტერესებს, რატომ არ შეიძლება, რომ მათი ადგილი თვითონ დაიკავოს. <sup>[P SEP]</sup>

მე ყველაზე მდაბალი არსება ვარ. სამყაროს ფსკერზე ვარ. <sup>[P SEP]</sup>

ფოტოს სავარძელზე ვდებ და იატაკს ვაშტერდები.<sup>[P SEP]</sup>

– ვნუხვარ, – ვიმეორებ და თვითმფრინავს ვტოვებ. <sup>[P SEP]</sup>

როდესაც ჩასასხდომი გვირაბიდან გამოვდივარ, გასასვლელთან რამდენიმე მკვდარი დგას. უემოციო სახეებით მიყურებენ. ცოტა ხანს ქანდაკებებით, ჩუმად ვდგავართ. შემდეგ მათ გვერდს ვუვლი და ბნელ დერეფნებში სახეტილოდ მივემართები. [P]  
[SEP]

დაბზარული ასფალტი ჩვენი სატვირთოს ბორბლებქვეშ ხვნეშის; ძველი ფორდის დაჟანგულ საკიდარებს მრისხანების მოგუდული ღრიალი ახმიანებს. მამაჩემს შევცქერი. იმაზე ბებრულად გამოიყურება, ვიდრე მახსოვს. და უფრო დასუსტებულადაც. ხელებით მძლავრად ჩაფრენია საჭეს. თითის სახსრები თეთრად მოუჩანს. [P]  
[SEP]

– მა? – ვამბობ მე. [P]  
[SEP]

– რა იყო, პერი? [P]  
[SEP]

– საით ვაპირებთ წასვლას? [P]  
[SEP]

– სადმე, უსაფრთხო ადგილას. [P]  
[SEP]

ყურადღებით ვათვალიერებ მის სახეს. [P]  
[SEP]

– კიდევაა ასეთი ადგილი შემორჩენილი? [P]  
[SEP]

ის ყოყმანობს, თან საკმაო ხანს. [P]  
[SEP]

– სადმე, ამაზე უსაფრთხო ადგილას. [P]  
[SEP]

ჩვენს ზურგს უკან დარჩენილ ველზე, იქ, სადაც საბანაოდ და მარწყვის შესაგროვებლად დავდიოდით, სადაც პიცას მივირთმევდით და კინოთეატრს ვსტუმრობდით, სადაც დავიბადე, გავიზარდე და ყოველივე ის შევიმეცნე, რაც ახლა ჩემშია, კვამლის ფთილები ავარდა. ბენზინგასამართი სადგური, სადაც კოლა ვიყიდე, ცეცხლშია გახვეული. ჩემი სკოლის ფანჯრები ნამსხვრევებად ქცეულა. საცურაო

აუბში მოტივტივე ბავშვებიდან ვერცერთი ველარ ცურავს. [P] [SEP]

– მა? – ვამბობ მე. [P] [SEP]

– რა იყო? [P] [SEP]

– დედა დაბრუნდება? [P] [SEP]

როგორც იქნა, მამა თვალს მისწორებს, მაგრამ არაფერს ამბობს. [P] [SEP]

– ერთ-ერთ მათგანად გადაიქცევა? [P] [SEP]

ისევ გზისკენ გადაიტანა მზერა. [P] [SEP]

– არა. [P] [SEP]

– მე კი მეგონა, რომ დაბრუნდებოდა. ახლა ხომ ყველას ასე მოსდის... [P] [SEP]

– პერი, – ისე ამბობს მამაჩემი, თითქოს სიტყვებმა ძლივს დააღწიეს მის ყელს თავი, – მე უკვე ვიზრუნე ამაზე. ასე რომ, ის არ დაბრუნდება. [P] [SEP]

მის გახევებულ სახეზე ზოლებად დამჩნეულმა ნაოჭებმა მომაჯადოვა და იმავდროულად, მომიგერია, თავიდან მომიშორა. გაბზარული ხმით ვამბობ. [P] [SEP]

– რატომ, მამა? [P] [SEP]

– იმიტომ, რომ მოკვდა. მკვდრეთიდან კი უკან არავინ ბრუნდება. სინამდვილეში, არავინ ბრუნდება. გესმის? [P] [SEP]

ჩემს თვალწინ გადაშლილმა უნაყოფო გორაკებმა და ერთმანეთში გადახლართულმა ბუჩქნარებმა თითქოს ნისლში იწყეს ჩაძირვა. ვცდილობ, მთელი ყურადღება საქარე მინაზე, მასზე შერჩენილმიჯყლეტილ მწერებსა და მათგან დატოვებულ ნაწილებზე

გადავიტანო. ისინიც ნისლში გაეხვნენ. [P]  
[SEP]

– უბრალოდ, მოგონებებში შემოინახე მისი ხსოვნა, რაც შეიძლება, დიდხანს, – ამბობს ჩემი მამა, – მხოლოდ ასე თუ ვაცოცხლებთ და შევინარჩუნებთ მას, და არა რაღაც უაზრო წყევლით. [P]  
[SEP]

სახეზე ვუყურებ. ვცდილობ, მისი საეჭვო მზერის მიღმა მიმალულ სიმართლეს მივწვდე. არასდროს უსაუბრია ასე. [P]  
[SEP]

– სხეული მხოლოდ ხორცია, – ამბობს ის, – რაც დედაში ყველაზე ფასეული იყო... მოგონებებში შევინახავთ. [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

– ჯული [P]  
[SEP]

– რა? [P]  
[SEP]

– აქეთ წამო და ამას შეხედე. [P]  
[SEP]

საავადმყოფოში ვართ, რომლის დამსხვრეულ მინებს შორის ქარი სტვენა-სტვენით დაქრის. ვცდილობთ, ყველაფერი გამოსადეგი თან წავიღოთ. ჯული ჩემთან ერთად უახლოვდება ფანჯრის კუთხეს და ქვემოთ იხედება: [P]  
[SEP]

– რას აკეთებს? [P]  
[SEP]

– არ ვიცი. [P]  
[SEP]

ქვემოთ განოლილ ქუჩას ფანტელები მოფენია. ეულად მოხეტიალე ზომბი ფართო წრეებს ხაზავს. მანქანას ეხეთქება და ბორძიკობს. ნელა იხრება კედლისკენ, ტრიალდება და სხვა მიმართულებით მიდის. ჩქამსაც არ გამოსცემს. არც ის ეტყობა, რამეს უყურებდეს. ჯული და მე რამდენიმე წუთის განმავლობაში ვაკვირდებით. [P]  
[SEP]



– რაღაც არ მომწონს ეს ამბავი, – ამბობს იგი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არც მე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ძალიან... სევდიანია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა სჭირს?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ ვიცი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ბომბი ქუჩის შუაგულში ჩერდება, ოდნავ ქანაობს. სახეზე სრული სიცარიელე აღბეჭდვია. თავის ქალაზე გადაჭიმული ტყავია და სხვა არაფერი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ნეტავ, რას გრძნობ ასეთ დროს? – ნაილაპარაკა ჯულიმ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა დროს?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აი, როცა ბომბი ხარ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ისევე ბომბის ვუყურებ. თანდათან უფრო მკვეთრად ქანაობს, მერე კი ეცემა. წევს და გაყინულ ასფალტს ჩასცქერის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა დაემარ...? – კითხულობს ჯული, თუმცა მალევე ჩუმდება. ჯერ მე მიყურებს გაფართოებული თვალებით, შემდეგ კი ძირს გართხმულ სხეულზე გადააქვს მზერა, – ეს რა, მოკვდა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მდუმარედ ვიცდით. გვამი აღარ ინძრევა. ჩემში თითქოს რაღაც იკლაკნება, მთელი ხერხემლის გასწვრივ ჟრუანტელი მივლის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ნამო, ნავიდეთ, – ამბობს ჯული და ტრიალდება. უკან მივყვები. სახლისკენ მიმავალ გზაზე ვერაფერზე ვფიქრობთ და არც ხმას ვიღებთ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სდექ! [SEP]

ჩაისუნთქე არაფრისმომცემი ჰაერი. გაჩერდი. მოიშორე ტუჩებთან მიტანილი სიცოცხლის ნაჭერი. სად ხარ? რამდენი ხანია, რაც აქ იმყოფები? ახლავე შეწყვიტე. უნდა გაჩერდე. [SEP]

მოხუცე ტკივილისაგან ცეცხლმოდებული თვალები და კიდევ ერთხელ უკბიჩე. [SEP]

დილით ჩემი ცოლი იმ შუშაზე აკრულს მპოულობს, კედლის მაგივრობას რომ სწევს და ასაფრენ ზოლს გადაჰყურებს. თვალები ღია მაქვს, მტვრით ამვსებია. თავი ცალ მხარეს გადამვარდნია. იშვიათად თუ ვაძლევ თავს იმის უფლებას, ასე მკვდრულად გამოვიყურებოდე. [SEP]

რალაც მჭირს. მუცელში დაახლოებით შიმშილისა და ნაბახუსევის შეგრძნებებს შუა გაჩხერილი ავადმყოფური სიცარიელეა. ცოლი მხარში მეჭიდება და ფეხზე მაყენებს. მიდის და ისე მიმათრევს, თითქოს გორგოლაჭებიანი ჩემოდანი ვიყო. სხეულში ტკივილნარევი სითბოს ფეთქვა მივლის და მასთან საუბარს ვინწყებ. [SEP]

– სახელი, – ვამბობ და ყურზე ვაშტერდები, – რა გქვია? [SEP]

ცივ მზერას მტყორცნის და სიარულს განაგრძობს. [SEP]

– სამსახური? სკოლა? – შეკითხვებიდან თანდათან ბრალდებებზე გადავდივარ, – ფილმები? სიმღერები? – ხმა ჩემგან ისე მოედინება, როგორც გახვრეტილი მილსადენიდან ნავთობი, – წიგნები? – ვყვირი, – საკვები? ოჯახი? რა გქვია? [SEP]

ცოლი მომიტრიალდა და მომაფურთხა. უფრო სწორად, პერანგზე

მომანერწყვა, მხეცივით შემომიბღვირა. მისმა მზერამ ჩემი ამოფრქვევა დააცხრო. ის... შეშინებული იყო. ტუჩები უთრთოდა. [P]  
[SEP]

რას ვაკეთებ? [P]  
[SEP]

იატაკს ვუყურებ. რამდენიმე წუთით ხმას არ ვიღებთ. შემდეგ ის ისევ სიარულს აგრძელებს, მე კი კვლავ მივყვები და ვცდილობ, ჩემს თავსბემოთ დაკიდებული შავი ღრუბელი გავფანტო. [P]  
[SEP]

••• [P]  
[SEP]

კარგა ხნის წინ საჩუქრების გაძარცვული მალაზიისკენ მიმიძღვის. თანაგრძნობით გამსჭვალული ოხვრით მაჭილდოებს. ბესტსელერებით სავსე აყირავებული თაროს უკნიდან ჩვენი შვილები გამოდიან. ამ წიგნებს ველარავინ წაიკითხავს. ბავშვები სახსრებთან ოდნავ შეყავისფრებულ ადამიანის წინამხარს ღრღნიან. არც ისე ახალი უნდა იყოს. [P]  
[SEP]

– სად... აიღეთ? – ვეკითხები. იშმუშნებიან. ჩემს ცოლს მივეუბრები. [P]  
[SEP]

– უკეთესი... საჭიროა. [P]  
[SEP]

იღუშება და თითს ჩემკენ იშვერს. გაბრაზებით დუდღუნებს. დამსახურებული საყვედურით აღსავსე მზერას თვალს ვარიდებ. ის მართალია. სამაგალითო მამობას ნამდვილად ვერ ვწევ. ნეტავ თუა შესაძლებელი, შუახნის კრიზისმა იმ შემთხვევაშიც დაგასუსტოს, თუ წარმოდგენა არ გაქვს, რამდენი წლის ხარ? შეიძლება, უკვე ოცდაათიანებს ვუკაკუნებ, ან ჯერ ისევ ათიანებში ვარ. ისიც შეიძლება, რომ ჯულიზე ახალგაზრდა ვიყო. [P]  
[SEP]

ჩემი ცოლი ბავშვების მისამართით ღმუის და მათ გასასვლელისკენ უთითებს. თავჩაქინდრულები წრიპინა, სულისშემხუთველი ხმით იწყებენ მოთქმას, მაგრამ მაინცმოგვეყვებიან. სკოლაში წასვლის პირველი დღეა. [P] [SEP]

••• [P] [SEP]

ბოგიერთმა ჩვენგანმა, შეიძლება სულაც იმავე მუყაითმა მკვდრებმა, ვინც ტრაპებისაგან ჩონჩხების ეკლესიაა ააგო, სასადილოში მაღალ კედლებად დაახვავა მძიმე ბარგი და „საკლასო ოთახები“ მოაწყო. მათთან მიახლოებისას შიგნიდან გამომავალი კვნესა და წამოყვირება გვესმის. შესასვლელთან ახალგაზრდები ჩამწკრივებულან და თავიანთ რიგს უცდიან. ჩემს ცოლთან და ბავშვებთან ერთად ამ რიგის ბოლოში ვდგები და გაკვეთილის მსვლელობას ვადევნებთ თვალს. [P] [SEP]

ხუთი მკვდარი გარს უვლის გაღეულ, ხანშიშესულ ცოცხალ კაცს. კაცი ზურგით ბარგს ეკვრის, თვალებს ფეთიანივით აცეცებს, ხელები კი მუშტებად შეუკრავს. ორი ახალბედა თავს ესხმის და ცდილობს, მკლავები დაუჭიროს, მაგრამ ის იშორებს. მესამემ მხარზე ერთი ციცქნა ნაწილი წააკვნიტა, კაცი კი ისეთ ყვირილს იწყებს, თითქოს სასიკვდილოდ დაჭრესო. არადა, სინამდვილეში ასეცაა. ამ ახალ სამყაროში სიკვდილის უამრავი შესაძლებლობა არსებობს: ზომბის კბენით დაწყებული, შიმშილით, ავადმყოფობითა თუ სიბერით გარდაცვალებით დამთავრებული. სიცოცხლის დასასრულისკენ უამრავი გზა მიემართება, მაგრამ ყველას ერთი ბოლო აქვს –



ზოგიერთ ტვინგამოცლილ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, ნებისმიერი გზა ადამიანებს მაინც ჩვენთან, მკვდრებთან, და ჩვენს არც ისე მომხიბლავ უკვდავებასთან მოიყვანს.<sup>[P SEP]</sup>

გარდაუვალმა გაბომბებამ კაცი თითქოს უგრძობი გახადა. რომელიღაც ახალგაზრდა კბილებს ბარძაყში უყრის, მაგრამ ის არც კი კრთება. ამის ნაცვლად, იხრება და ორივე მუშტს თავში უშენს მიახლოებულ ზომბის. იქამდე ურტყამს, სანამ შეტევაზე გადასულს თავის ქალა არ ეჭვყება და კისრის ძვალი ხმაურით არ ტყდება. ზომბი სცილდება, სახე გვერდზე აქვს მოქცეული, თავი კი უჩვეულო კუთხით მოღრცია.<sup>[P SEP]</sup>

– არაა სწორი! – ღმუის მასწავლებელი, – ყელში ნვდი!<sup>[P SEP]</sup>

ბავშვები უკან იხევენ. კაცს ფრთხილად უყურებენ.<sup>[P SEP]</sup>

– ყელში! – იმეორებს მასწავლებელი. ის და მისი დამხმარე ბრძოლის ველზე შედიან, კაცს იჭერენ და იატაკს აკრავენ. მასწავლებელი კლავს და დგება. სისხლი ნიკაპზე ჩამოსდის.<sup>[P SEP]</sup>

– ყელში, – ამბობს ხელახლა და გვამისკენ იშვერს ხელს.<sup>[P SEP]</sup>

კლასში შეკრებილი ხუთეული დარცხვინილი იერით გამოდის გარეთ და მათ ნაცვლად მოსწავლეთა შემდეგ ჯგუფს მიერეკებიან. ჩემი შვილები შეცბუნებულები მიყურებენ. თავზე ხელს ვუთათუნებ.<sup>[P SEP]</sup>

ვუყურებთ, როგორ მიათრევენ შესაჭმელად მკვდარს და მის ნაცვლად კლასში სხვა ცოცხალ ადამიანს აგდებენ. ეს ახალი უფრო მოხუცია – თმა გაჭალარავებია, მაგრამ ზორბაა. ალბათ, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე უსაფრთხოების ოფიცრად მუშაობდა. სამი

ჩვენებური მამრი მოათრევს. კუთხეში აგდებენ და სასწრაფოდ ბრუნდებიან შემოსასვლელის სადარაჯოდ. [SEP]

კლასში შეკრებილ მოსწავლეებს ნერვიულობა ეტყობათ, მაგრამ მასწავლებელი უყვირის და ისინიც ადგილიდან იძვრიან. საკმარისად რომ უახლოვდებიან, ხუთივე ერთდროულად გადადის იერიშზე. ორორად ეტანებიან მხრებში, მეხუთე კი ყელისაკენ მიიწევს, მაგრამ მოხუცი საოცრად ძლიერია – სწრაფად ტრიალდება და ორ ზომბის ბარგისაგან აგებული კედლისკენ სტყორცნის. მიჯახებისგან კედლები ირყევა და ზემოდან ლითონისგან დამზადებული მტკიცე, გამძლე პორტფელი ვარდება. კაცი სახელურში ავლებს ხელს, თავზემით სწევს და ერთ-ერთი მოსწავლის თავზე მთელი ძალით ახეთქებს. ახალგაზრდას თავის ქალა იმსხვრევა. დამტვრეული თავიდან ტვინი ასხამს. ზომბი არც ყვირის, არც იგრიხება და იკრუნჩხება. უბრალოდ, უეცრად, მონყვევით ეცემა, სხეულის ნაწილების უსიცოცხლო გროვად იქცევა და იატაკზე ისე იფანტება, თითქოს რამდენიმე თვის წინ მომკვდარიყოს. სიკვდილმა გვიან, მაგრამ მაინც წაიყვანა. [SEP]

სკოლაში სიჩუმე ისადგურებს. გადარჩენილი ოთხეული უკან იხევს. ისინი ყურადღებას არ აქცევენ მოზრდილებს, კაცთან გასასწორებლად რომ შემოცვივდნენ. მკვდარი ახალბედას გვამს სევდიანი მორჩილებით მივშტერებივართ. გადაჭრით ვერ ვამბობთ, ირგვლივ შეგროვილი მოზრდილებიდან რომელი შეიძლება იყოს მისი მშობელი, რადგან მის მიმართ ყველა ერთსა და იმავეს ვგრძნობთ. ვინც არ უნდა იყოს მისი დედ-მამა, ამ დანაკარგს საკმაოდ მალე

დავიწყებენ. ხვალისათვის ჩონჩხები სხვა გოგონას ან ბიჭუნას მისცემენ ძველის სანაცვლოდ. არავინ ცდილობს ბავშვის სიკვდილის შედეგად ჩამონოლილი რამდენიმენამიანი უხერხული სიჩუმის გაფანტვას. შემდეგ სკოლა ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდება. რამდენიმე მშობელი ერთმანეთს ნაჩქარევ მზერას ავლებს, თითქოს დაბნეულებმა არ იციან, რა იფიქრონ; თითქოს უკვირთ, რას ნიშნავს ყოველივე ეს – სიცოცხლის გაუკუღმართებული, ამობრუნებული წრებრუნვა. ან შეიძლება, ეს მხოლოდ ჩემი ფიქრებია.<sup>[P SEP]</sup>

ჩემი ბავშვები რიგში შემდეგნი არიან. თვალმოუცილებლად უცქერენ ამ გაკვეთილს, ზოგჯერ თითისწვერებზეც კი დგებიან, რათა უკეთ დაინახონ, მაგრამ შიშით არ ეშინიათ. დანარჩენებზე უმცროსები არიან და ალბათ, მეტოქედ ვინმე სუსტს შეურჩევენ, მაგრამ მათ ეს არ იციან და მათი უშიშრობა ამით არაა გამონწვეული. როცა მთელი სამყარო სიკვდილსა და შიშზეა აგებული, როცა არსებობა მუდმივად ძრწოლის მომგვრელია, ერთი რომელიმე სახის შიშის შეგრძნებას კარგავ, შიშის ცალკეულ სახეებს ვეღარ აღიქვამ. სამაგიეროდ, ახლა ყოვლისმომცველ, მხუთავ საბანში ვართ გახვეულები, რაც გაცილებითუარესია.<sup>[P SEP]</sup>

• • •<sup>[P SEP]</sup>

სანამ 747-ში შესვლას გადავწყვეტ, თითქმის მთელი საათი ჩასასხდომი გვირაბის ირგვლივ დავყიალობ. ჩუმად ვაღებ თვითმფრინავის კარს. ჭული ბიზნესკლასის სავარძელზე მოკალათებულა და სძინავს. რამდენიმე კვირის წინ ქალაქიდან

სამახსოვროდ წამოღებულ, დაფლეთილ ჭინსის ნაჭერში გახვეულა. ამომავალი მზე ქერა თმაზე შარავანდედად ადგას, თითქოს წმინდანია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჯული, – ვჩურჩულებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალს ახელს. ამჯერად არც შეშფოთებული წამოჭრილა და არც გამცლია. დაღლილი, შემუპებული თვალეებით მიყურებს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა მოხდა? – ლულლულებს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– როგორ... ხარ...?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შენ როგორ გგონია? – ბურგს მაქცევს და საბანს მხრებზე იხვევს.

<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ცოტა ხნით ვუყურებ. ისე წევს, თითქოს ჩვენ შორის ქვის კედელი აღმართა. თავს ვხრი და წასასვლელად ვტრიალდები, მაგრამ როგორც კი შემოსასვლელისკენ ნაბიჯს ვდგამ, ის ამბობს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მოიცადე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვტრიალდები. ის წამომჭდარა და საბანი მუხლებზე დაუგორგოლავენია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მშია, – ამბობს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალმოუცილებლად ვუყურებ. შია? მხარი უნდა თუ ფეხი? ცხელი სისხლი, ხორცი და სიცოცხლე? ის ცოცხალია... საკუთარი თავის შეჭმა სურს? შემდეგ მახსენდება, რას ნიშნავდა უნინ შიმშილი. მახსენდება ბიფშტეჟსი და მაგკატები, მარცვლეული, ხილი და ბოსტნეული – ცოტა უცნაური კვებითი პირამიდა(კვებითი პირამიდა – პირამიდის ფორმის დიაგრამა, რომელიც გამოსახავს დღის განმავლობაში მისაღებ



საკვები ნივთიერებების ძირითად ჯგუფებს და მათ ოპტიმალურ რაოდენობას.). ზოგჯერ რამის დაგემოვნება, ნამდვილი საჭმლის ჭამა მენატრება, და არა ეს ენერგიის ყლუპები, მაგრამ ვცდილობ, ამაზე ფიქრით თავი არ გავიცხელო. ძველებური საჭმელი ჩვენს დასაპურებლად აღარ გამოდგება. ახალდაკლული ბოცვრისა თუ ირმის ღია ნითელი ხორციც კი ვერ აკმაყოფილებს ჩვენს კულინარიულ სტანდარტებს – მისგან მიღებული ენერგიით ვერ ვიარსებებთ, გამოუსადეგარია. კომპიუტერი დიზელზე არ მუშაობს. ჩვენთვის სხვა გამოსავალი არაა, აზიზი მორალისტებისთვისაც კი არ არსებობს უფრო ჰუმანური ალტერნატივა. არ არსებობს. ახლებური შიმშილი მსხვერპლშენირვას მოითხოვს. ჩვენი მცირედი და იაფფასიანი სიამოვნების საფასური ადამიანთა ტანჯვაა.<sup>[P SEP]</sup>

– საჭმელი, ხომ გაგიგია? – ამბობს ჯული. ცდილობს, მიმახვედროს და ჩაკბეჩის მსგავს მოძრაობას აკეთებს, – სენდვიჩი, პიცა... ისეთი რამეები, რასაც ადამიანის მოკვლა არ სჭირდება.<sup>[P SEP]</sup>

თავს ვუქნევ.<sup>[P SEP]</sup>

– მე... გიშოვი.<sup>[P SEP]</sup>

გავდივარ, მაგრამ ისევ მაჩერებს.<sup>[P SEP]</sup>

– მე გამიშვი, – ამბობს ის, – რას აპირებ? რატომ ჩამკეტე აქ?<sup>[P SEP]</sup>

ერთ ხანს ვფიქრობ. მისი ფანჯრისკენ მივიწევ და ასაფრენი ბილიკებისკენ ვუთითებ. ხედავს, როგორ აღასრულებს იქ ღვთისმსახურებას ჩონჩხების გუნდი. მკვდრები ბარბაცებენ და ღმუიან, ძვლადქცეულნი კი წინ და უკან ირწევიან და სიტყვის უთქმელად,

მაგრამ ქარიზმატულად აღრჭიალებენ ნამსხვრევებად ქცეულ კბილებს. ათობით არიან და ფუთფუთებენ.<sup>[P SEP]</sup>

– აქ უსაფ... რთხოდ ხარ.<sup>[P SEP]</sup>

სავარძელზე მჯდომი ისეთი იერით მიყურებს, რომელსაც ვერ ჩავწვდი. თვალები მოუჭუტავს და ტუჩები მოუკუმავს, მაგრამ ამას მთლად მრისხანებაც არ ეთქმის.<sup>[P SEP]</sup>

– საიდან იცი ჩემი სახელი? – დაჟინებით კითხულობს.<sup>[P SEP]</sup>

ესეც ასე! ბოლოს და ბოლოს, ასეც უნდა მომხდარიყო.<sup>[P SEP]</sup>

– იმ შენობაში შენ სახელით მომმართე, მახსოვს. სად ოხრობიდან იცი, რა მქვია?<sup>[P SEP]</sup>

არც ვცდილობ, ვუპასუხო. ბაგა-ბაღის ბავშვისთვის დამახასიათებელი ლექსიკონითა და ძლივსგასაგები ბლუყუნით რთულია ავუხსნა, რაც ვიცი და საიდან ვიცი. ასე რომ, მარტივად ვიქცევი და უკან ვიხევ, თვითმფრინავიდან გავდივარ და ჩასხდომის გვირაბში მივფრატუნობ. ახლა გაცილებით მძაფრად ვგრძნობ, რა რთულია იყო ის, რაც ახლა ვარ.<sup>[P SEP]</sup>

მეთორმეტე გასასვლელთან მდგომი იმაზე ვფიქრობ, საით ნავიდე, და ამ დროს მხარზე შეხებას ვგრძნობ. ზურგს უკან ჯული დგას. ვინრო, შავი ჭინსის ჭიბეებში ჩაუნყვია ხელები და დაბნეული იერი დასდებია.<sup>[P SEP]</sup>

– გარეთ გამოსვლის და გასეირნების საშუალება მაინც მომეცი, – მეუბნება, – იმ თვითმფრინავში ჯდომას ჭკუიდან გადავყავარ.<sup>[P SEP]</sup>

არ ვპასუხობ. დერეფნებს ვბვერაავ.<sup>[P SEP]</sup>

– კარგი, რა, – ამბობს ის, – აქამდე ხომ მოვედი ისე, რომ არავის შევეუჭამივარ? ერთად ნავიდეთ საჭმლის საშოვნელად. შენ ხომ არ იცი, რა მიყვარს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ეს... არც მთლად სიმართლეა. ვიცი, რომ ჰად ტაი უყვარს და სუშიზე აბოდებს, რომ სტადიონის მკაცრი სპორტული რეჟიმის მიუხედავად, ცხიმით გატენილი ჩიზბურგერები მისი სისუსტეა. მაგრამ ეს ცოდნა ჩემი არაა, მოპარულია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

თანხმობის ნიშნად ნელა ვუქნევ თავს და მისკენ ვიშვერ ხელს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მკვდარი ხარ, – ვამბობ. კბილებს ვაღრჯიალებ და ზომბის ფლატუნა სიარულს გადამეტებით ვბაძავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– კარგი, – თანახმაა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნელი, მერყევი ნაბიჯებით გარს ვუვლი და ჩვენებურად ვღმუი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გასაგებია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მაჯაში ვეჭიდები და დერეფნისკენ მიმყავს. გზადაგზა თითოეულ შესახვევს ვათვალიერებინებ და ვაჩვენებ ზომბების პატარ-პატარა ხროვებს, დილის ბინდში რომ დაეხეტებიან. პირდაპირ თვალეში ჩავცქერი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არ... გაიქცე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გპირდები, –და დაპირების ნიშნად მკერდზე თითებს აჯვარედინებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მასთან ახლოს მდგომი ვამჩნევ, რომ ისევ მისგან ნამოსული სურნელით ვტკვები. ადრე ნასმული მკვდარი სისხლის დიდი ნაწილი ჩამოუბანია. დაუფარავი სხეულიდან მომდინარე, შამპანურივით

შუშხუნა და ბუმტუკების მფრქვეველი სასიცოცხლო ენერჯის კვალს ვყნოსავ, რომელიც ღრმად იჭრება ნესტოების სიღრმეში და ტვინთან ახლოს მილიტინებს. თვალს არ ვაცილებ. ხელისგულით ვსინჯავ ჩემს მკლავზე გაჩენილ ახალ ნაჭრილობებს და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის შეშრა, მაინც ვახერხებ სისხლის რამდენიმე წვეთის გამოწურვას. ამ მელანს აუჩქარებლად ვუსვამ ლოყებსა და ყელზე. თრთოლა უვლის, მაგრამ გაცლას არ აპირებს. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ჭკვიანი გოგოა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვარგა? – ვეკითხები და ნარბებს ვწევ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალებს ხუჭავს, ღრმად ჩაისუნთქავს, ჩემეული სითხის სუნს ეგუება და თავს მიქნევს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვარგა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მივდივარ, ის კი მომყვება. ჩემს ზურგს უკან მობოროძიკობს და ყოველ სამ თუ ოთხ ნაბიჯში ერთხელ ღმუის. მეტისმეტი მოსდის. ასე ინდომებენ ხოლმე მაღალი კლასის მოსწავლეები, შექსპირის მიხედვით დადგმულ რომელიმე პიესაში რომ მონაწილეობენ, მაგრამ არა უშავს, გამოუვა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მკვდრების გროვაში ვერევი. ფეხათრევით მოსიარულე მონადირეთა მოზრდილი გუნდები ორივე მხრიდან გვეჭახებიან, მაგრამ ყურადღებას არავენ გვაქცევს. ჩემდა გასაკვირად, მიუხედავად მდგომარეობის მთელი სიმძიმისა, რაც უფრო მეტს დავდივართ, ჭულის სულ უფრო ნაკლებად ეშინია. რამდენჯერმე ვამჩნევ, როგორ იკავებს სიცილს მას შემდეგ, რაც ზომბურ ბრდღვინვასთან



მიახლოებულ ხმას გამოსცემს. უცნობი, მაგრამ სასიამოვნო შეგრძნება მეუფლება, რომელიც ჩემს ტუჩებს ზევით ექაჩება.<sup>[SEP]</sup>

ეს რაღაც... ახალია.<sup>[SEP]</sup>

ჯული საკვები დარბაზისკენ მიმყავს. როცა მოულოდნელად ტაივანური რესტორნისკენ ვუხვევ, უცნაურად მიყურებს. ვუახლოვდებით თუ არა, იბუზება და ცხვირს იფარავს.<sup>[SEP]</sup>

– ღმერთო, – ოხრავს. ჩვენს წინაშე მიმოყრილ საკვების შესათბობად განკუთვნილ კონტეინერებში ნარჩენები დამპალა, ხრწნა შეპარვია, მკვდარი მატლებითა და ობით ამოვსებულია. სუნებისადმი ჯერ კიდევ უგრძნობი ვარ, მაგრამ ჯულის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებ, ნამდვილი საშინელება უნდა იყოს. ცოტა ხანია, რაც საკუჭნაოს ვჩხრეკთ, მაგრამ აეროპორტის წყვეტილი დენმომარაგება იმას ნიშნავს, რომ მაცივრებიც ხანდახან მუშაობენ, ამიტომ მათში რაც იყო შენახული, ამჟღავნებულია. ბურგერების ნაწილისკენ მივდივარ. ჯული კვლავ უცნაურად მიყურებს და მომყვება. საყინულეში საბურგერე კატლეტის რამდენიმე ნაჭერს ვაწყდებით. ცივია, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ არაერთხელ გამლღვალა და გაყინულა. საყინულის თეთრი იატაკი მკვდარი მწერებით მონინკლულა.<sup>[SEP]</sup>

ჯული ისევ ოხრავს.<sup>[SEP]</sup>

– რა ვქნათ?<sup>[SEP]</sup>

სივრცეს მივშტერებივარ, ვფიქრობ. აეროპორტში სუშის ბარი კი არის, მაგრამ... სუშიზე ბევრი აღარაფერი მახსოვს. თუ ჰამამის ცინცხალი ფილე რამდენიმე საათში ფუჭდება, არც კი მინდა იმის

ნახვა, წლების შემდეგ იმ ბარში რა ხდება. [P SEP]

– ღმერთო, – სანამ მე ვდგავარ და ვფიქრობ, ჯული ლაპარაკობს, – ნამდვილად გეხერხება სადილზე გოგოს დაპატიჟება. [P SEP]

ობმოკიდებული ფუნთუშებით სავსე რამდენიმე ყუთს ხსნის და ცხვირს გმუხნის. [P SEP]

– ჩემამდე არც არავინ მოგინვევია, არა? ადამიანი საერთოდ არ მოგიყვანია? [P SEP]

თავს დამნაშავესავით ვიქნევ, მაგრამ იმის გამო, რომ „ადამიანს“ თავისნაირის აღსაწერად ამბობს, მაკანკალებს. არასდროს მომწონდა ასეთი დაყოფა. ის ცოცხალია, მე კი მკვდარი, მაგრამ მირჩევნია ვიფიქრო, რომ ორივენი ადამიანები ვართ. თუ გნებავთ, იდეალისტი მიწოდეთ. [P SEP]

თითი გავშალე, თითქოს გაჩუმებისკენ მოვუწოდე. [P SEP]

– ერთი ადგილი... კიდევაა. [P SEP]

სასადილოს მოუნიშნავი ნაწილისკენ მივდივართ. რამდენიმე კარის გავლის შემდეგ აეროპორტის ცენტრალურ საცავსაც ვაღწევთ. ურდულს ზემოთ ვწევ და მაცივრის კარს ვაღებ. იქიდან ტალღებად გადმოდის გაყინული ჰაერი. ვცდილობ, დავშალო, რომ გულზე მომეშვა. უკვე უხერხულად ვგრძნობდი თავს. სამაცივრე ნაკვეთურში შევდივართ და ზემოთ შეკიდულ თაროებზე დახვავებულ, ფრენისთვის განკუთვნილი საკვების მარაგს ვხედავთ. [P SEP]

– აბა, რა გვაქვს აქ... – ამბობს ჯული და ქვედა თაროებიდან იწყებს. გადამუშავებულ კარტოფილსა და სოლსბერის რეცეპტით

დამზადებულ სტიკს ამოწმებს. რაღაც მინარევების წყალობით, ყველაფერი საკვებად ვარგისი აღმოჩნდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჭული ზედა თაროზე განთავსებული მარაგის ეტიკეტებს ათვალეირებს. იქამდე ვერ წვდება. მოულოდნელად სახე უცისკროვნდება, ღიმილისას მოუჩანს ქათქათა კბილების წყება, რომელსაც ბავშვობისდროინდელი ბრეკეტების გამო იდეალური ფორმა მიუღია:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შეხედე, „ჰად ტაი!“ (ჰად ტაი – ტაილანდური საკვების სახეობა.) მიყვარს...<sup>[P]  
[SEP]</sup>

და სიტყვა უწყდება. მოუსვენრად მიყურებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ამას ავიღებ. <sup>[P]  
[SEP]</sup>

რაც შემეძლო, გავიჭიმე და გაყინული „ჰად ტაის“ პაკეტს მივწვდი. ნამდვილად არ მინდა, რომელიმე მკვდარმა დაინახოს, როგორ მიირთმევს ჭული ამ უსარგებლო ნაგავს, ცარიელ კალორიებს. ამიტომ საფოსტო მარკების გასაყიდი ერთ-ერთი ჩამოშლილი კიოსკის უკან მიმალული მაგიდისაკენ მივუძღვები. ვცდილობ, სკოლისგან რაც შეიძლება შორს წავიყვანო, მაგრამ ჩვენამდე მაინც აღწევს განწირული ყვირილის ექო, რომელსაც დარბაზები გამოსცემენ. ჭულის სახეს ყველაზე სასონარკვეთილი გოდების მოსმენისასაც კი არ სცილდება უკიდურესადმშვიდი იერი; აქაოდა, ამ ხოცვა-ჟლეტას ვერ ვამჩნევო, კინალამ რაღაც მელოდიის სტვენას იწყებს. ნეტავ ვისთვის ირჭება ასე, ჩემთვის თუ თავისთვის?<sup>[P]  
[SEP]</sup>

კაფეს მაგიდასთან ვსხდებით. წინ ლანგარს ვუდებ:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გა...ამოს, – ვეუბნები. [P]  
[SEP]

პლასტმასის ჩანგლით გაყინულ საჭმელს ჩიჩქნის. მიყურებს. [P]  
[SEP]

– ბევრი მართლა არაფერი გახსოვს, არა? რამდენი ხანია, რაც  
ნამდვილი საჭმელი აღარ გაგისინჯავს? [P]  
[SEP]

მხრებს ვიჩეჩავ. [P]  
[SEP]

– დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც შენ... მოკვდი თუ რაც  
დაგემართა? [P]  
[SEP]

საფეთქელზე ვიკაკუნებ თითს და თავს ვაკანტურებ. [P]  
[SEP]

ისევ მე მიყურებს. [P]  
[SEP]

– ალბათ, არც ისე დიდი ხანია, რაც ასე ხარ. გვამის კვალობაზე  
მშვენივრად გამოიყურები. [P]  
[SEP]

ასეთი ლაპარაკისგან ისევ კანკალი მენწყება, მაგრამ ვხვდები, რომ  
მან, ალბათ, არ იცის რა ფაქიზ კულტურულ მნიშვნელობას ატარებს  
სიტყვა „გვამი“. ხანდახან მ-ც იყენებს ხოლმე თავის მოუქნელ  
ხუმრობებში. დროდადრო მეც კი ვიყენებ, ნყობიდან როცა  
გამოვდივარ. მაგრამ ჩვენგან განსხვავებულისგან ამ სიტყვის გაგონება  
თავდაცვისა და აღშფოთებისაკენ მიბიძგებს, თუმცა ის ამას ვერ  
მიხვდება. ამიტომ ღრმად ვოხრავ და ვატარებ. [P]  
[SEP]

– ამას ასე მაინც ვერ შევჯამ, – ამბობს და თავისი პლასტმასის  
ჩანგლით იქამდე აწვალავს საჭმელს, სანამ ერთ-ერთი კბილი  
ტკაცუნით არ ტყდება, – წავალ და მიკროტალღურს დავძებნი.  
მოიცა. [P]  
[SEP]

დგება და დაცარიელებულ რესტორანში დადის. დაავიწყდა, რომ



ფეხათრევით უნდა იაროს. მისი თეძოები თანაბრად მოძრაობენ. სარისკო გადანყვეტილებაა, მაგრამ ჩემს თავს ვატყობ, რომ ამაზე საერთოდ არ ვღელავ. [P]<sub>[SEP]</sub>

– აი, ვიპოვე, – ამბობს უკან დაბრუნებული და თან ცხარე სანელებლით შეზავებული საკვების ოხშივარს ყნოსავს, – მმმმ... საუკუნეა, ტაილანდური სამზარეულო არ გამისინჯავს. სტადიონზე ნამდვილი საკვები აღარც გვაქვს. მხოლოდ არსებობისთვის სამყოფი მწირი საზრდო და ნახშირცილა. ნახშირცილის აბები, ნახშირცილის ფხვნილი, ნახშირცილის წვენი. ღმერთო, რა საძაგლობაა! – ჯდება და მაცივარში უამრავჯერ გაყინულ-გამლღვალ ტოფუს სინჯავს, – აუჰ, ეს თითქმის გემრიელიც კია. [P]<sub>[SEP]</sub>

მეც ვზივარ და ვუყურებ, როგორ ჭამს. ვამჩნევ, რომ ამ ერთმანეთში ჩახვეული და ჩაცომებული მასის ჩაყლაპვა უჭირს. რესტორნის მარაგიდან ერთი ბოთლი შემთბარი ლუდი მომაქვს და მაგიდაზე ვუდგამ. [P]<sub>[SEP]</sub>

ჯული ჩერდება და ბოთლს უყურებს. შემდეგ ჩემზე გადმოაქვს მზერა და იღიმის. [P]<sub>[SEP]</sub>

– როგორ ახერხებთ ჩემი აზრების წაკითხვას, მისტერ ზომბი? [P]<sub>[SEP]</sub>  
თავსახურს ატრიალებს და გრძელ ყლუპად სვამს. [P]<sub>[SEP]</sub>

– კარგა ხანია, არც ლუდი გამისინჯავს. სტადიონზე ასეთი ტვინისამრევი რამეები აღარაა ნებადართული. გამუდმებით ყურადღებით უნდა იყო, თვალი ფხიზლად გეჭიროს, ბლაბლაბლა... – კიდევ ერთ ყლუპს ეწაფება და შემფასებლური, სარკასტული მზერით

მთვალეირებს, – შეიძლება, არც ისეთი საშინელი ხართ, მისტერ ზომბი. ჩემი აზრით, ვინც კარგი ლუდის ფასი იცის, თითქმის არა უშავს.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ვუყურებ და ხელს მკერდზე ვიბჯენ:<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მე... მქვია... – ვხრიალებ, მაგრამ ვერ ვხვდები, შემდეგ რა უნდა ვთქვა.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ლუდის ბოთლს დგამს და ოდნავ იხრება ჩემკენ:<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– შენ სახელი გაქვს?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

თავს ვუქნევ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ტუჩებზე კმაცოფილების გამომხატველი ცალებსა ღიმილი უთამაშებს:<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– რა გქვია?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

თვალებს ვხუჭავ და გონებას მთელი ძალით ვძაბავ. ვცდილობ, ამ სიცარიელიდან პასუხი გამოვწერო, მაგრამ აქამდეც იმდენჯერ მიცდია...<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– რრრ... – ვამბობ, სახელის გამოთქმაზე ვწვალვობ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– რური? რური გქვია?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

უარის ნიშნად ვიქნევ თავს:<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– რრრრ...<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– რრრ? რ-ზე იწყება?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

კი-მეთქი, ისევ თავს ვუქნევ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– რობერტი?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

უარის ნიშნად თავის გაქნევა.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– რიკი? როდნი? [P]  
[SEP]

კვლავ უარი. [P]  
[SEP]

– აბა?.. რემბო? [P]  
[SEP]

ვობრავ და მაგიდას გავცქერი. [P]  
[SEP]

– რას იტყვი, უბრალოდ რ რომ დაგიძახო? დასაწყისისთვის მაინც.

მოსულა? [P]  
[SEP]

თვალს თვალში ვუყრი. რ! ტუჩებზე ისევ ის ძალა მექაჩება, სადღაც აღმა. ჩემს სახეს ზანტი ღიმილი გადაურბენს – რაც თავი მახსოვს, ეს პირველი გაღიმებაა. [P]  
[SEP]

– გამარჯობა, რ, – ამბობს, – მე ჭული ვარ, მაგრამ ეს უკვე იცი, ხომ ასეა? თავი ცნობილი ადამიანი მგონია, – ლუდს ჩემკენ აცურებს, – მიირთვი. [P]  
[SEP]

ერთი წამით ბოთლს ვათვალიერებ. ვფიქრობ იმაზე, რაც მასში ასხია და გულისრევის უცნაური შეგრძნება მეუფლება. მუქი ქარვისფერი სიცარიელე. გამოუსადეგარი ფსელი. მაგრამ ჩემი ზომბური ახირებებით ამ დაუჭერებლად თბილი წამის გაფუჭება წამდვილად არ მსურს. ბოთლს ვიღებ და მოვიყუდებ. ვგრძნობ, ერთი ციციქნა ნასვრეტებით როგორ გამოედინება სითხე ჩემი მუცლიდან და მაისურს მისველებს. ჩემდა გასაოცრად, ვგრძნობ, რომ ტვინში რაღაც ამიფორიაქდა. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლი არ მიმოიქცევა, ეს შეუძლებელია. ალკოჰოლს წესით არ უნდა ემოქმედა, მაგრამ მაინც ვგრძნობ. ფსიქოსომატური მიზეზის გამო ხომ არა? შეიძლება, დალევასთან დაკავშირებული შორეული მოგონება ძველი

ცხოვრებიდან ჯერ კიდევ შემომრჩა. თუეს მართლაც ასეა, როგორც ჩანს, დასათრობად სულ ცოტაც მყოფნიდა. [P]  
[SEP]

ჯული ღიმილით ათვალიერებს ჩემს სულელურ გამომეტყველებას. [P]  
[SEP]

– კიდევ დალიე, – მეუბნება, – მე მაინც ღვინის მოყვარული უფრო ვარ. [P]  
[SEP]

კიდევ ერთი მოყუდებაც. ვაგემოვნებ ბოთლის პირზე შემორჩენილ მის ჟოლოსარომატიან ტუჩსაცხს. უეცრად წარმოვიდგენ, რომ კონცერტზე წასასვლელადაა გამოწყობილი, მხრებამდე ჩამოშლილი თმა კობტად დაუვარცხნია, წვეულებისთვის განკუთვნილი წითელი კაბა ბრწყინვალეებას ჰმატებს, და მე ვკოცნი, მისი ტუჩსაცხის კვალი პირზე მემჩნევა, განაცრისფრებულ ტუჩებზე მედღაბნება მისი ღია წითელი... [P]  
[SEP]

ბოთლს ჩემთვის უხიფათო მანძილზე ვასრიალებ. [P]  
[SEP]

ჯული იცინის და ჭამას განაგრძობს. რამდენიმე წუთის განმავლობაში მისი ყურადღება მთლიანად საკვებს აქვს მიპყრობილი, თითქოს მე მის გვერდით არც ვიყო. თითქმის გადავწყვიტე, ახლა კრახისთვის წინდანინვე განწირულ საუბარს წამოვიწყებ-მეთქი, რომ ის თავს სწევს და მიყურებს. სახიდან მხიარულების კვალი უქრება და ამბობს. [P]  
[SEP]

– მითხარი, რ, აქ რატომ გამომკეტე? [P]  
[SEP]

ეს შევითხვა სახეში მოულოდნელ გალანუნებას ჰგავს. ჯერს ავყურებ. ხელით ვანიშნებ აეროპორტზე, რომლის სიღრმიდანაც ჩემი



ძმობილი მკვდრების ბრძღვინვა ისმის:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გიცავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ნუ ატრაკებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

სიჩუმე. დაჟინებით მიმზერს. თვალს ველარ ვუსწორებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მომისმინე, – მეუბნება, – კარგად მესმის, რომ მაშინ იქ, ქალაქში, გადამარჩინე. და ამისთვის მადლობელი ვარ. ჰო, დიდი მადლობა, რომ მიხსენი თუ ჩემი სიცოცხლე შეინყალე. ამას რალა მნიშვნელობა აქვს. მაგრამ რაკი ჩემი აქ მოყვანა მოახერხე, დარწმუნებული ვარ, აქედან გასასვლელი გზაც გეცოდინება. ასე რომ, კიდევ ერთხელ გეკითხები: რას გამომკეტე?<sup>[P]  
[SEP]</sup>

მისი მზერა სახეს გავარვარებული რკინასავით მიწვავს. ვხვდები, რომ თავს ველარ დავიძვრენ. ხელს მკერდზე ვიდებ, ზედ გულთან. „გულთან“. ნუთუ ეს საცოდავი ორგანო კიდევ რამეს წარმოადგენს? ჩემი მკერდის სიღრმეში უმოძრად ლპება, არც სისხლის მიმოქცევა უწევს და არც არანაირი დანიშნულება არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, თითქოს ჩემი გრძნობები მის გაყინულ კედლებს მიღმა იბადება – ჩემი მუნჯი სევდა, გაურკვეველი მისწრაფება, ბედნიერების იშვიათი გაელვებები... მკერდის სიღრმეში ჩნდებიან და მთელ სხეულს ედებიან სუსტი და ძლივმესამჩნევი, მაგრამ ნამდვილი გრძნობები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ხელს გულზე ვიჭერ. შემდეგ ნელა ვიხრები ჯულისკენ და მის გულისპირს ვეხები. როგორღაც მოვახერხე, მისი მზერა დამეჭირა და თვალეებში ჩამეხედა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩემს ხელს უყურებს, მერე კი მშრალად ამომხედავს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შენ რა, გააფრინე?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ცივად ვაშორებ ხელს და მაგიდას ვაშტერდები. იმის გამოც მადლიერი ვარ, რომ განითლები უნარი არ შემწევს:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– უნდა... მოიცადო, – ვლულლულღებ, – მათ... ახალმოქცეული...  
პგონიხარ. შეგამჩნევენ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რამდენი ხანი?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რამდენიმე... დღე. და მერე... დაავინყდებათ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ღმერთო, – ოხრავს და თვალეებზე ხელს იფარებს. თავს იქნევს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არაფერს... დაგიშავებენ, – ვამშვიდებ, – გპირდები.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ყურადღებას არ აქცევს ჩემს სიტყვებს. ჭიბიდან აიპოდს აძრობს და ყურსასმენებს ყურებში ირჭობს. ჭამას უბრუნდება, თან მუსიკას უსმენს, რომლის ჰანგებიც ჩემამდე მოგუდულ სისინად აღწევს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

პაემანი არც ისე კარგად მიდის. ხელახლა მატყდება თავს ჩემი იდუმალი ჩანაფიქრების აბსურდულობა. მხოლოდ ის მინდა, ტყავიდან გამოვძვრე, ჩემს მახინჯ, მოუქნელ სხეულს გავეჭე და ჩონჩხად ვიქცე, შიშველ ძვლებად, რომელსაც ვერავინ იცნობს. წამოდგომასა და გაცლას ვაპირებ, ჯული რომ ერთ-ერთ ყურსაცვამს იხსნის და გამჭოლ, დაჟინებულ მზერას მაპყრობს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შენ, რაღაც... სხვანაირი ხარ, ხო? – მეკითხება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არ ვპასუხობ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– იმიტომ გეუბნები, რომ არასოდეს გამიგია, ზომბის რამე ეთქვას. „ტვინი, ტვინის!“ და მსგავსი სისულელეების ძახილის გარდა. არც ისეთი ზომბი შემხვედრია, ადამიანისადმი სხვა ინტერესი

გამოემჟღავნებინოს, შეგშის გარდა. ნამდვილად არ მინახავს ისეთი ზომბი, სასმელზე რომ მეპატიჟება. სხვები... კიდევ არის ვინმე შენნაირი? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

განთლების სურვილმა ხელახლა ნამომიარა: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ... ვიცი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

საგმელს თეფშზე ზელს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რამდენიმე დღე, – იმეორებს. მე თავს ვუქნევ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– სანამ უსაფრთხოდ გამიყვან, მანამდე რა ვქნა? ხომ არ გგონია, შენს თვითმფრინავში დავჯდები და მთელი კვირის განმავლობაში სისხლიანი აბაზანების მიღების მეტს არაფერს გავაკეთებ? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სულ ერთი ნამით ფიქრი მიტაცებს. ჩემს თავში ათასგვარი ნახატისაგან შემდგარი ცისარტყელა იშლება, ალბათ, იმ ძველი ფილმების ამონაჭრებია, ოდესღაც რომ მინახავს. სულელური, რომანტიკული, მიუწვდომელი ნახატები. თავი უნდა შევიკავო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მე... გაგართობ, – ვამბობ ბოლოს, და ვცდილობ, ნათქვამს მერყევი ღიმილით მეტი დამაჯერებლობა შევმატო, – შენ... სტუმარი იქნები. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალებს ატრიალებს და კვლავ ჭამას უბრუნდება. ის მეორე ყურსაცვამი ისევ მაგიდაზეა. თეფშიდან თვალმოუცილებლად მიწვდის. ყურში ვიჩურთავ და ჩემს თავში პოლ მაკარტნის ხმა იჭრება, რომელიც სიმღერით ჩამძახის ნაღვლიან ანტონიმებს: ჰოს და არას, მალლას და დაბლას, გამარჯობასა და ნახვამდისს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

–იცოდი, რომ ჭონ ლენონს ამ სიმღერის ატანა არ ჰქონდა? –

სიმღერას დამთავრებას არ აცლის, ისე ამბობს ჯული. თავს ჩემკენ ატრიალებს, მაგრამ თითქოს მე არ მესაუბრება, – მიაჩნდა, რომ უაზრო აბდაუბდა იყო. სასაცილოა იმ ადამიანისგან ასეთი რამის მოსმენა, ვინც „ლომვეშაპი ვარ“ დანერა.<sup>[SEP]</sup>

– გუ გუ... გ'ჯუბ, – ვეუბნები.<sup>[SEP]</sup>

ჩერდება, მიყურებს, სასიამოვნო მოულოდნელობისგან თავი გვერდზე გადავარდნია.<sup>[SEP]</sup>

– ჰო, ზუსტად ეგრეა, არა?<sup>[SEP]</sup>

ლუდს იღებს და ნრუპავს. ავინყდება, რომ იმ ბოთლიდან ცოტა ხნის წინ მე ვსვამდი, რომ ბოთლის ყელს ჩემი ტუჩების კვალი ეტყობა. ნამლევავი შიშისაგან თვალები მიფართოვდება, მაგრამ ცუდი არაფერი ხდება. შეიძლება ჩემი ინფექცია ასეთ ნაზ ნუთებში გადამდები აღარაა. შეიძლება, მხოლოდ ძალადობრივი კბენისას მოქმედებს.<sup>[SEP]</sup>

– რაც უნდა იყოს, – აგრძელებს ის, – ეს სიმღერა ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობასთან შედარებით მეტისმეტად მხიარულია, – და მომდევნო მელოდიაზე რთავს. ჩემს ყურამდე აღწევს ავა გარდნერის ნანყვეტ-ნანყვეტი ნამოძახილი „ბილ“, შემდეგ ჯული რამდენჯერმე ისევ აწვება გადართვის ღილაკს. რომელიღაც სიმღერაზე ჩერდება და ხმას ზემოთ უწევს. შორიდან ჩამესმის უცნობი მელოდია – მძიმე, ხმაშუენწყობელი, უხეში ჟღერიალი, რომლის მსგავსებასაც რადიოსიხშირეები წალეკილი პქონდათ ცივილიზაციის უკანასკნელ წლებში. მესმის, მაგრამ გონებით სხვაგან ვარ. ვხედავ, როგორ



დაუხუჭავს თვალები ჭულის და როგორ იქნევს თავს აღმა-დაღმა. ახლაც კი, ამ ბნელ და უცნაურ ადგილას, სადაც თანამეინახეობას მხოლოდ მკვდრები თუ გაუნევენ, ეს მუსიკა გულს უჩქროლებს, მისი სიცოცხლე ფეთქავს. კვლავ შემიძლია მისი სურნელის – თეთრად მოელვარე ნაკადის ჩასუნთქვა, რომელიც ჩემი გაშავებული სისხლისაგან დამჩნეულ ლაქებს შორის მოედინება. ვიცი, რომ ჭულისთვის ასე იქნება უკეთესი, მაგრამ ხელი არ მემორჩილება, რომ ჩემი სისხლით კიდევ უფრო შევნიღბო. [P SEP]

რა მემართება? საკუთარ მტევნებს ვუყურებ: ცივ, გაშეშებულ, რუხად შეფერილ ხორცს. ვნატრობ, ნეტავ ვარდისფერი, თბილი და მოქნილი იყოს, ნეტავ შეეძლოს რამე კარგის გაკეთება, აშენება, მოფერება. ვოცნებობ, რომ ჩემი მკვდარი უჭრედები ლეთარგიული ძილისაგან გამოერკვნენ, კვლავ აივსონ და აენტონ, როგორც შორეულ მოგონებად დარჩენილი საშობაო სინათლეები. ნუთუ ეს ყველაფერიც ლუდისგან თრობის მსგავსი წარმოსახვაა? პლაცებო? ოპტიკური ილუზია? რაც უნდა იყოს, ვგრძნობ, რომ ჩემი ყოფის ერთგვაროვნება ირღვევა და მას გულისცემისაგან წარმოქმნილი გორაკები და დაბლობები ცვლის. [P SEP]

– უფრო მკვეთრად დაატრიალე საჭე, თორემ მარჯვნივ მოხვევისას გზიდან თითქმის გადადიხარ. [P SEP]

ტყავგადაკრულ საჭეს ვეჭაჩები და ფეხს სატერფულს ვაჭერ. მერსედესი წინ გარბის, თავები კი უკან გვემნიჭება. [P SEP]

– ღმერთო, როგორ გყვარებია სიჩქარე. მაგ პედალს უფრო ნაზად

ვერ დააჭერ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჭაყჭაყით ვაჩერებ, კონუსზე ფეხის დაჭერა მავინწყდება და ძრავი დუმდება. ჭული თვალებს ატრიალებს და ნაძალადევი სიმშვიდით მიხსნის:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– კარგი, შეხედე, – კვლავ ქოქავს, ჩემკენ იხრება, ფეხს გადმოდებს და ჩემს ტერფს ზემოდან აყრდნობს. მისი კარნახით მსუბუქად ვცვლი სიჩქარეებს და მანქანაც წინ მიქრის, – აი, ასე, – მაქებს და თავის ადგილს უბრუნდება. შვებით ვსუნთქავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

შუადღის მზით გამთბარ ასფალტზე დავმოგზაურობთ, ხან აქეთ ნავალთ, ხან – იქით. ნიავი თმას გვინუნავს. ვზივარ სამოცდაოთხ ნელს გამოშვებული კონახურის კანფეტისფერ როდსტერში და გვერდს ეს მშვენიერი ახალგაზრდა გოგო მიმშვენებს. თავი ადრე ნანახი რომელიღაც კლასიკური ფილმის გმირი მგონია. გონება მეფანტება და ძლივძლივობით მოკრებილი ყურადღებაც სადღაც ქრება. ასაფრენი ბილიკიდან გადავდივარ და ერთ-ერთი ტრაპის ბამპერს გვერდს ვკრავ – ჩონჩხების წრიული ტაძარი პირვანდელ განლაგებას კარგავს. შეჭახების ძალა თავებს აქეთ-იქით გვახლეფინებს და უკანა სავარძლიდან ჩემი ბავშვების კისრების ტკაცუნი მესმის. ისინი უკმაყოფილების ნიშნად ღმუიან, მე ვაჩუმებ. ისედაც უკვე მრცხვენია: არ მინდა, ბავშვების ნუნუნიც დამემატოს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჭული დაჭეჭყილ წინა ნაწილს ათვალაიერებს და თავს უკმაყოფილოდ იქნევს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჯანდაბა, რ, ლამაზი მანქანა იყო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩემი ვაჟი წინ მოძვრება და, აგერ უკვე მერამდენედ, ტლანქად ცდილობს ჭულის მხრის შეჭმას. მე ვტრიალდები და ერთ კარგს ვუთავაზებ. სავარძელზე ეცემა და, გაბუსხული, გულხელს იკრეფს. [P]  
[SEP]

– კბენას არ ვართ! – ტუქსავს ჭული და მანქანის დაზიანების შემონმებას განაგრძობს. [P]  
[SEP]

არ ვიცი, რატომ გადავწყვიტე მანქანის მართვის დღევანდელ გაკვეთილზე ბავშვების წამოყვანა. უკვე რამდენიმე დღეა, რაც ჭული ჩემთვის მანქანის ტარების სწავლებას ცდილობს, მაგრამ დღეს მამის როლის შესრულების რაღაც ფარული სურვილი შემომანვა. ცოდნის გადაცემა მომინდა. ვაცნობიერებ, რომ მთლად უსაფრთხო არაა. ჩემი ბავშვები მეტისმეტად პატარები არიან იმისთვის, რომ ცოცხლების მეტყველების თავისებურებები გაარჩიონ, ამ მეტყველებით ჩემსავით დატკბობა კი კიდევ უფრო ნაკლებად შეუძლიათ. ჭულის საბარელი კამუფლაჟი რამდენჯერმე განვაახლე, თუმცა ახლო მანძილზე ჭულის ნამდვილი ბუნება ჰაერს მაინცჟღინთავს. დროდადრო ჩემი შვილები მის სუნს გრძნობენ და მათი ნელ-ნელა განვითარებადი ინსტინქტები თანდათან სადავეებს ხელში იღებენ. ვცდილობ, კარგ ყოფაქცევას ზედმეტი სიმკაცრის გარეშე მივაჩვიო. [P]  
[SEP]

ჩვენი ტერმინალისკენ ვბრუნდებით. გზად ვამჩნევ, როგორ გამოდის აეროპორტის ერთ-ერთი საბარგო განყოფილების კარიდან ზომბების ჭგუფი. მკვდრები სამგლოვიარო პროცესიასავით ერთ ხაზად, ნელი და ჩანჩალა ნაბიჯებით ეკლესიისკენ მიემართებიან. პილიგრიმებს წინ ჩონჩხების ჭგუფი მიუძღვის – წინამძღოლები

ხორცშემოკრულებთან შედარებით კიდევ უფრო მეტი მიზანდასახულობით მიიწვევენ წინ. ჩონჩხები ჩვენ შორის იმ უმცირესობას წარმოადგენენ, რომლებმაც ყოველთვის ზუსტად იციან, სად მიდიან და რას აკეთებენ. ისინი არ ყოყმანობენ, არ ჩერდებიან და კურსს არ იცვლიან, მათი სხეულები კი აღარც იზრდება და აღარც იხრნება. მათ სტატიკურ მდგომარეობას მიაღწიეს. ერთი მათგანი პირდაპირ მე მიყურებს და შუა საუკუნეების სადღაც ნანახი გრავიურა მახსენდება – გახრწილი გვამი პუტკუნა, ახალგაზრდა ქალწულს დასცინის. [P]  
[SEP]

Quod tu es, ego fui, quod ego sum, tu eris. [P]  
[SEP]

[P]  
[SEP]

მეც ვიყავი ისე, როგორც ახლა შენ ხარ. [P]  
[SEP]

შენც გახდები ისე, როგორც ახლა მე ვარ. [P]  
[SEP]

ჩონჩხის ცარიელ მზერას თვალს ვარიდებ. მათ გვერდით ჩავლისას ზოგიერთი ხორციანი, რომელთა შორის ჩემს ცოლსაც ვხედავ, უინტერესოდ გვაყოლებს თვალს. ჩემი ცოლი ვიღაც მამრთან ხელკავგაყრილი მოდის. ბავშვები მას ხედავენ და უკანა სავარძელზე ფეხზე დგებიან; დედის მიმართულებით ხელებს იქნევენ და ხმამაღლა ღრუტუნებენ. ჯული მათ მზერას თვალს აყოლებს და ჩემს ცოლს ხედავს, რომელიც ბავშვებს საპასუხოდ უქნევს ხელს. ჯული ჩემკენ ტრიალდება. [P]  
[SEP]

– ეს ისაა... შენი ცოლი? [P]  
[SEP]

არ ვპასუხობ. ჩემს ცოლს ვუყურებ და რაიმე ფორმის საყვედურს



ველოდები, მაგრამ მისი თვალები თითქოს ვერც კი მცნობენ. მანქანას უყურებს, შემდეგ მე მიყურებს, მერე ისევ პირდაპირ იხედება და სხვა კაცთან ხელჩაკიდული სვლას აგრძელებს.<sup>[P]</sup>

– შენი ცოლია? – უფრო მკაცრი ტონით მიმეორებს ჯული შეკითხვას. მე თავს ვუქნევ.<sup>[P]</sup>

– მის გვერდით რომ ტიპია, ვინ არის?<sup>[P]</sup>

მხრებს ვიჩეჩავ.<sup>[P]</sup>

– რა, გღალატობს და რამე?<sup>[P]</sup>

მხრებს ვიჩეჩავ.<sup>[P]</sup>

– შენ რა, სულ არ განუხებს ეს ამბავი?<sup>[P]</sup>

მხრებს ვიჩეჩავ.<sup>[P]</sup>

– გეყოფა მხრების ჩეჩვა, გამოშტერებულო. ვიცი, რომ ლაპარაკი შეგიძლია. თქვი რამე.<sup>[P]</sup>

ერთ ნუთს ჩაფიქრებული ვარ. გავყურებ ჩემს ცოლს, რომელიც სიშორეში იკარგება და გულზე ხელს ვიდებ.<sup>[P]</sup>

– მკვდარი, – ჩემი ცოლის მიმართულებით ხელს ვიქნევ, – მკვდარი, – მზერას ზეცისკენ მივმართავ, თუმცა ფოკუსს ვკარგავ. – მინდა... ტკივილი... მაგრამ... ვერ.<sup>[P]</sup>

ჯული ისე მიყურებს, თითქოს კიდევ მეტს ელის და მაინტერესებს, საერთოდ რამე თუ გავაგებინე ჩემი ბორძიკითა და ბუტბუტით წარმოთქმული მონოლოგით. ნეტავ ჩემი სიტყვები ოდესმე ხმამაღლა გამოითქმება, თუ მხოლოდ ჩემს გონებაში გაისმის ექოდ, სანამ სხვები მომშტერებიან და ჩემს პასუხს უცდიან? მინდა, ჩემი პუნქტუაცია

შეცვალაო. ძახილის ნიშნები მჭირდება, მაგრამ მხოლოდ მრავალწერტილებში ვიძირები.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული ცოტა ხანს კიდევ მიყურებს, შემდეგ საქარე მინისა და წინ გადაშლილი ხედისკენ ტრიალდება. ჩვენ მარჯვნივ: ცარიელი ჩასასხდომი გვირაბების ბნელი ბოლოები, რომლებიც ერთ დროს სამყაროს მონახულების, თვალსაწიერის გაფართოების, სიყვარულის, დიდებისა და იღბლის პოვნის სურვილით ანთებული ხალხით იყო სავსე. ჩვენ მარცხნივ: ბოინგ „დრიმლაინერის“ შავი ნამსხვრევები.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ერთხელ ჩემმა შეყვარებულმა მილალატა, – ეუბნება ჯული საქარე მინას, – როდესაც მამამისი ერთ გოგოს პატრონობდა მას შემდეგ, რაც დაობლებული ბავშვების სხვა ოჯახებში ჩასახლება დაიწყო. ერთ ღამეს უგონოდ გაიღეშნენ და ეს მოხდა. პრინციპში შემთხვევითობა იყო და ჩემმა შეყვარებულმა ყველა დროის ყველაზე გულწრფელი ბოდიშიც მომიხადა, ღმერთი დაიფიცა, რომ ძალიან ვუყვარდი და ყველაფერს გააკეთებდა ჩემს დასარწმუნებლად და ბლა ბლა ბლა... მაგრამ აზრი არ ჰქონდა, ამაზე გამუდმებით ვფიქრობდი, მის ღალატზე ფიქრი მუდმივად ჩემს გონებში ტრიალებდა და შიგნიდან მწვავდა. მრავალი კვირის განმავლობაში ყოველ ღამე ვტიროდი. ყველაზე სევდიანი სიმღერების კოლექცია ღამის დავიზებპირე, – თავს ნელა იქნევს. თვალები რომელიღაც შორეული წერტილისკენ მიუმართავს. – ყველაფერი ისეთი... ბოგჯერ ისე მიჭირს... როდესაც პერის ეს დაემართა, მინდოდა რომ უფრო... უფრო შენნაირი ვყოფილიყავი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მას ვაკვირდები. თითოთ საკუთარ თმას ეხება და პატარა კონას თითზე ოდნავ იხვევს. მის მაჯებსა და წინამხრებზე მქრალ ნაიარევებს ვამჩნევ. თხელი ხაზები იმდენად სიმეტრიულია, რომ შემთხვევითი ვერ იქნება. უცებ თვალების ხამხამით ტრიალდება და შემომცქერის, თითქოს ღრმა ძილიდან გამოვალვიძეო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ ვიცი, ამ ყველაფერს რატომ გიყვები, – ამბობს შენუხებული, – მოკლედ, დღეს გაკვეთილი დამთავრებულია. დავიღალე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მანქანა უსიტყვოდ მიმყავს სახლისკენ. მუხრუჭს დაგვიანებით ვაჭერ და „შიატასგან“ რამდენიმე სანტიმეტრში ვაჩერებ. ჯულის ღრმა ამოსუნთქვა მესმის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სალამოს ფეხმორთხმით ვზივართ 747-ის სკამებს შორის დატოვებულ გასასვლელში. ჯულის წინ მიკროტალღურ ღუმელში გაცხელებული „პად ტაითი“ სავსე თეფში უდევს. აგრილებს. მდუმარედ ვუცქერ, ის კი საჭმელს სინჯავს. სულ რომ არაფერი თქვას ან გააკეთოს, მაინც მახალისებს მისი ცქერა. თავს გვერდით ხრის, თვალებს აცეცებს, ილიმის და ადგილს ინაცვლებს. ფარულ ამრებსაც კი ისე ნათლად ვხედავ მის სახეზე, თითქოს ფილმს ვუყურებდე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა სიჩუმეა, – ამბობს ის და დგება. ჩემ მიერ შეგროვებული ჩანაწერების გროვას ჩხრეკს, – რად გინდა ამდენი ფირფიტა? აიპოდის ხმარება ვერ ისწავლე?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ამის ხმა... უკეთესია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იცინის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰმ, პურისტი(პურისტი – ადამიანი, რომელიც სინმინდის, სისუფთავის, სრულყოფილების დაცვისკენ მიილტვის.) ყოფილხარ.<sup>[SEP]</sup>  
თითოთ ჰაერში წრე მოვხაზე.<sup>[SEP]</sup>

– ასე უფრო კარგია. უფრო... ცოცხალი.<sup>[SEP]</sup>  
თავს მიქნევს.<sup>[SEP]</sup>

– ჰო, ეგრეა. სამაგიეროდ, უფრო მეტი მოვლა სჭირდება, – თვალს ავლებს ჩემს კოლექციას და ოდნავ იღუშება, – არაფერი არ გქონია...  
1999-ზე ახალი. მაგ წელს მოკვდი თუ რა?<sup>[SEP]</sup>

მის სიტყვებს ვუფიქრდები, შემდეგ მხრებს ვიჩეჩავ. შეიძლება, მართლა იმ წელს მოკვდი, თუმცა სიმართლე ისაა, რომ ამრბე არ ვარ, ეს როდის დამემართა. შეიძლება ვინმემ მართლაც სცადოს გახრწნილობის ამჟამინდელ ხარისხზე დაყრდნობით იმის გამოთვლა, როდის მოკვდი, მაგრამ ყველანი ერთი სისწრაფით ხომ არ ვლპებით? ბოგიერთი ჩვენგანი წლების განმავლობაში ინარჩუნებს ახალდაკრძალულის იერს, ბოგი კი რამდენიმე თვეში ემსგავსება ჩონჩხზე გადაკრულ ტყავს, ზღვის ქაფივით ფანტავს მთელ სხეულს. არ ვიცი, ეს უთანასწორობა რითია გამოწვეული. შეიძლება, ჩვენი სხეულები გონების კარნახს მიყვება – ბოგი იოლად ეთხოვება წარსულ ცხოვრებას, ბოგი კი ბოლომდე ეჭიდება.<sup>[SEP]</sup>

ჩემი ასაკის გამოთვლასთან კიდევ ერთი დაბრკოლებაა დაკავშირებული – წარმოდგენა არ მაქვს, რომელი წელია ახლა. არ ვიცი, 1999 ათი წლის წინ იყო თუ გუშინ. გაცამტვერებული ქუჩების, ჩამოშლილი შენობებისა და გაფუჭებული ინფრასტრუქტურის



მიხედვით ვინმემ რომც მოინდომოს ახლანდელი თარიღის გამოთვლა, იმავე ბარიერს გადააწყდება – ჩვენ მსგავსად, სამყაროს ყველა ნაწილი განსხვავებული სისწრაფით იხრნება. ისეთი ქალაქებიც არსებობს, აცტეკთა ნასახლარში რომ იოლად აგერევით და ისეთებიც, წინა კვირაში მიტოვებულებს რომ ჰგვანან: ღამით თანჯრებში მოჩანს, როგორ შიშინებენ ჩართული ტელევიზორები, კაფეში შემორჩენილ ომლეტს კი ახალი ობის ფენა გადაჰკვრია.<sup>[P SEP]</sup>

მსოფლიოს რაღაც დაემართა და თანდათანობით შეიცვალა. კარგად აღარ მახსოვს, რამ გამოიწვია ეს ცვლილება. მკრთალი, ბუნდოვანი მოგონებები თულა შემომრჩა – მინავლული შიში ვერაფრით აბრიალდა, ხოლო როცა ამის დრო მოვიდა, დასანვაგი აღარაფერი დარჩენილიყო. ყოველი შემდგომი ნაბიჯი უფრო გვაკვირვებდა. ერთ დღესაც გავიღვიძეთ და აღარაფერი გვეცნო.<sup>[P SEP]</sup>

– აი, ისევ დაგენყო, – მეუბნება ჯული, – ისევ სადღაც გაფრინდი. ნეტავ, რაზე ფიქრობ, ეგრე რომ გამტერდები ხოლმე?<sup>[P SEP]</sup>

მხრების აჩეჩვით ვპასუხობ. ბრაზობს, ოღონდ თავშეკავებულად ფრუტუნებს.<sup>[P SEP]</sup>

– ახლა კიდევ ეს მხრების ჩეჩვა. გეყოფა ჩეჩვა, მჩეჩავო! კითხვაზე მიპასუხე. რამ გამოიწვია შენი მუსიკალური ზრდის შეჩერება?<sup>[P SEP]</sup>

კინალამ ისევ მხრების ჩეჩვით ვუპასუხე, მაგრამ დროზე მოვთოკე თავი, თუმცა კი გამიძნელდა. როგორ ავეხსნა მისთვის გასაგები სიტყვებით? დონ კიხოტის ნელი სიკვდილით ვიტანჯები. მიზნების უგულებელყოფა, სურვილების მიჩქმალვა და უქონლობა,

კარჩაკეტილობა – ეს გარდაუვალი ხვედრია, რომელიც მკვდრებს ერგოთ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჩვენ... ახალ რამეებზე... არ ვფიქრობთ, – ვიძაბები და ჩემი მწირი ლექსიკონითა და ენის ბორძიკით ვინყებ ახსნას, – ზოგჯერ... რალაცებს ვპოულობ. მაგრამ ძებნით... არ ვეძებთ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მართლა? – ამბობს ჯული, – ჰოო, ტრაგიკული ცხოვრება გქონია.

<sup>[P]  
[SEP]</sup>

ისევ ფირფიტების ჩხრეკას განაგრძობს, მაგრამ ლაპარაკისას ხმაში თანდათან გაღიზიანება ეპარება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ახალ რამეებზე არ ფიქრობთ? არ „ეძებთ“? რას გულისხმობ? რას არ ეძებთ? მუსიკას? მუსიკა ხომ ცხოვრებაა! განსხეულებული გრძნობაა, რომელსაც შეგიძლია შეეხო! სულების მიერ აღმოცენებული ნეონისმაგვარი ექტონერგიაა(ექტოპლაზმური ენერგია, იგივე მოჩვენებების ენერგია – ენერგიის ფიქციური ნაირსახეობა, რომლისგანაც შედგებიან მოჩვენებები), რომელიც ხმად გარდაისახა, რათა ყურებში დაინთქას. და შენ კიდევ რას მეუბნები, რომ ეს მოსაწყენია? რომ მუსიკისთვის დრო არ გაქვს?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვერაფერს ვპასუხობ. ზეცას ვევედრები, რომ ჯული არასოდეს შეიცვალოს; რომ ერთ დღესაც ახალგაღვიძებულმა არ აღმოაჩინოს, როგორ მოხუცებულა და დაბრძენებულა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– თუმცა, რალაც კარგი ფირფიტები მაინც მოგიგროვებია, – ამბობს და მისი გულისწყრომაც სადღაც იკარგება, – ზოგი მართლა მაგარია. მოდი, ისევ ეს ჩავრთოთ. ფრენკი არასოდეს გაგიცრუებს იმედს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ფირფიტას დასაკრავად ათავსებს და „პად ტაის“ უბრუნდება. თვითმფრინავის სალონს „ნამდვილ ლედის ხეტიალი უყვარს“ ჰანგები ავსებს. იგი ეშმაკური, ძლივსშესამჩნევი ღიმილით მიყურებს.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– საჩემო სიმღერაა, – ამბობს და პირსსაჭმლით იტენის.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობა მძლევს, მისი თეფშიდან ერთ სპაგეტის ვიღებ და ვღეჭავ. საერთოდ არაფრის გემო აქვს. წარმოსახვითი საჭმელივითაა. რაღა ეს დაგიღეჭავს და რაღა ჰაერი. თავს განზე ვწევ და უკან ვაფურთხებ, ხელისგულში ვაგროვებ. ჭული ვერ ამჩნევს. ფიქრებს კვლავ შორს მიჰყავს და თვალს ვადევნებ მის სახეზე ამრების მდინარებისგან აღბეჭდილი ფილმის ნათებას. ლუკმას ყლაპავს და მიყურებს.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– რ, – მეკითხება დაუფარავი ინტერესით, – ვინ მოკალი?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ვშემდები. მუსიკა ჩემს ცნობიერებამდე ვეღარ აღწევს.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მაშინ, იმ ცათამბჯენში. სანამ მე გადამარჩენდი. სახეზე სისხლი გესვა. ვისი სისხლი იყო?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ვუყურებ. რატომ მისვამს ასეთ შეკითხვას? რატომ არ ავინყდება წარსული მოგონებები ჩემსავით? რატომ არ შეუძლია, უბრალოდ ადგეს და იცხოვროს ჩემთან ერთად ამ სიბნელეში, ისტორიის გაცრეცილი ფურცლების ჭურღმულში?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– უბრალოდ, მაინტერესებს, ვინ იყო.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

შეუვალი გამომეტყველება აქვს. ვერ ვხვდები, რას ფიქრობს. თვალის დაუხამხამებლად მიყურებს.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– არავინ, – ვბუტბუტებ, – ვიღაც... ბავშვი.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– ასეთი მოსაზრება არსებობს, თითქოს თქვენ იმიტომ ჯამთ ტვინებს, მსხვერპლის სიცოცხლე რომ შეიგრძნოთ. მართალია?<sup>[P SEP]</sup>

მხრებს ვიჩეჩავ და ვცდილობ, არ მოვიბუზო. ასე მგონი, თითქოს ერთი ბენო ბავშვი ვარ და თითოთ კედლის ღებვისას წამასწრეს. ან ხალხის ხოცვისას...<sup>[P SEP]</sup>

– ვინ იყო? – არ მეშვება, – არ გახსოვს, ვინ იყო?<sup>[P SEP]</sup>

ტყულის თქმას ვფიქრობ. იმ ოთახში მყოფთაგან რამდენიმეს სახე მახსოვს, შემოძლია გარტყმაზე დავასახელო მათი რაზმის რომელიმე წევრი, რომელსაც ის ხეირიანად, ალბათ, არც კი იცნობდა. პასუხით კმაყოფილი დარჩება და აღარასოდეს მიუბრუნდება ამაზე საუბარს. მაგრამ ასე ვერ მოვექცევი. ტყულის თქმაც ისევე მიმიძიმს, როგორც მოუწლებელი სიმართლის გადმონთხევა. გავები.<sup>[P SEP]</sup>

კარგა ხანს მზერით მბურღავს, შემდეგ მეშვება:<sup>[P SEP]</sup>

– ბერგი ხომ არ იყო? – ისე ხმადაბლა ვარაუდობს, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრება, – აკნეიანი ტიპი? სანაძლეოს დავდებ, ბერგი იქნებოდა. მაგარი კვერცხი იყო, ნორას მულატს ეძახდა და მთელი ლაშქრობისას ჩემი ტრაკისტვის თვალი არ მოუცილებია. პერის კი, რასაკვირველია, ეს არც კი შეუმჩნევია. თუ ბერგი მოიხელთე, თითქმის მიხარია, რაც დამართე.<sup>[P SEP]</sup>

ვცდილობ, თვალეებში ჩავხედო და მივხვდე, რას ნიშნავს საუბრის ასეთი შემობრუნება, მაგრამ თავს მარიდებს:<sup>[P SEP]</sup>

– სულერთია, – ამბობს, – ვისაც უნდა მოეკლა პერი... უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ვინც უნდა ყოფილიყო, არ ვადანაშაულებ.<sup>[P SEP]</sup>



დავიძაბე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არ... მართლა?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არა. მგონი, მივხვდი. თქვენ სხვა არჩევანი არც გაქვთ, ხომ? და საერთოდაც, მართალი რომ ვთქვა... არ მეგონა, ოდესმე თუ ამას ვიტყოდი, მაგრამ... – ჩანგლით საჭმელს ურევს, – თითქოს მომეშვა, რომ ბოლოს და ბოლოს, მოსახდენი მოხდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

წარბებს ვკრავ:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა და, დაუსრულებელი შიში რომ დასრულდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– პერის... სიკვდილით?<sup>[P]  
[SEP]</sup>

იმავე წამს ვნანობ, რომ მის სახელს ვახსენებ. მისი სახელის წარმოთქმისგან ენაზე სისხლის გემოს მრჩება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული თავს მიქნევს, თეფშს ჩაშტერებია. როცა საუბარს უბრუნდებდა, მისი ხმა ყრუდ ჟღერს, იმ მოგონებათა გამოძახილივით, რომელთა დავინწყებასაც ესწრაფვის.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მასში... რაღაც შეიცვალა. უფრო სწორად, ბევრი რაღაც. თითქოს მეტს ვეღარ გაუძლებდა და სხვა პიროვნებად გადაიქცა. საყვარელი, მოუსვენარი ბავშვი იყო, ცოტა უცნაური, მხიარული და ოცნებებით სავსე. მერე კი... ყველა თავის ოცნებას ზურგი აქცია და უსაფრთხოების დამცველთა რიგებს შეუერთდა... ისე სწრაფად შეიცვალა, რომ შემეშინდა. მეუბნებოდა, რომ ამ ყველაფერს ჩემ გამო აკეთებდა, რომ დრო მოვიდა, გაზრდილიყო და სინამდვილისთვის თვალი გაესწორებინა, საკუთარ თავზე უნდა აეღო პასუხისმგებლობა და

რალაც ასეთები; თუმცა ყოველივეს, რაც მასში მიყვარდა – რასაც ის წარმოადგენდა, ლპობა შეეპარა. იგი დანებდა. საკუთარ ცხოვრებას ზურგი აქცია. ნამდვილი სიკვდილი მხოლოდ მორიგი ლოგიკური ნაბიჯი იყო, – თეფშს გვერდზე აცურებს, – გამუდმებით სიკვდილზე მელაპარაკებოდა. სხვა ველარაფერზე ფიქრობდა. შუა კოცნაობისას ჩერდებოდა და მსგავს რამეებს მეკითხებოდა: „ჭული, იცი დღესდღეობით რამხელაა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა?“ ან „ჭული, რომ მოვკვდები, ხომ შენი ხელით ამომაცლი ტვინს?“ რომანტიკის მწვერვალია, არა? [SEP]

ილუმინატორიდან გაჰყურებს შორს გადაშლილ მთებს: [SEP]

– მის გადარწმუნებას ვცდილობდი. თავს არ ვზოგავდი, ძველი პერი რომ დამებრუნებინა, მაგრამ ორიოდე წელიწადში ცხადი გახდა, რომ... მას ვერაფერს ვუშველიდი. მგონი, მეორედ მოსვლა და მეფე ართურის დაბრუნება, ერთად აღებულიც კი, ველარაფერს შეცვლიდა. უძლური ვიყავი. [SEP]

მიყურებს: [SEP]

– მითხარი, გაცოცხლდება? ერთ-ერთ თქვენგანად იქცევა? [SEP]

თვალებს ვხრი. მახსენდება მისი მოვარდისფრო, წვნიანი ტვინის გემო. უარის ნიშნად თავს ვაქნევ. [SEP]

ცოტა ხანს ხმას არ იღებს. [SEP]

– მისი სიკვდილის გამო საერთოდ არ ვწერვიულობ. რა უცნაურია, არა? მე ხომ... მე... – ხმა ებზარება. ჩუმდება და ყელს ჩახველებით ინმენდს, – სინამდვილეში, ძალიან განვიცდი. მაგრამ ვიცი, თავადვე

სურდა, რომ დაღუპულიყო.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

ცალი თვალიდან ცრემლი მოგორავს. ფრთხება. ხელს ისე იქნევს მის მოსაწმენდად, თითქოს კოლოს იგერიებს.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

ვდგები, მის თეფშს ვიღებ და სანაგვისკენ მიმაქვს. უკან დაბრუნებისას ვამჩნევ, რომ თვალზე ცრემლი შეშრობია, მაგრამ კვლავ წითელი დაჰკრავს. ფრუტუნებს და ძლივსშესამჩნევად მიღიმის.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

– ალბათ, უამრავ სისაძაგლეს ვიძახი პერიზზე. ეს იმიტომ, რომ არც მე მილხინს, ხომ გესმის? მეც გავნადგურდი, უბრალოდ... ჯერ კიდევ ვცოცხლობ. ოღონდ დანგრევამდე ბევრი აღარ მიკლია, – ნაჩქარევად, ნერვიულად იცინის, – რა უცნაურია... აქამდე მსგავს რამეებზე არავისთან მილაპარაკია, მაგრამ შენ... ისეთი წყნარი ხარ. უბრალოდ ზიხარ და მისმენ. თითქოს, ღმერთს ველაპარაკები, – ღიმილი უქრება და ფიქრებში იძირება. როცა საუბარს ხელახლა იწყებს, ფრთხილი, მაგრამ მტკიცე ხმით ლაპარაკობს, თან თვალით ილუმინატორის მოქლონებსა და გამაფრთხილებელ ნიშნებზე დახტის, – ახალგაზრდობაში ათასგვარი ნარკოტიკი გავსინჯე. თორმეტი წლისა რომ ვიყავი, მაშინ დავინწყე და თითქმის ყველაფერი ვცადე. როცა შესაძლებლობა მეძლევა, არც ახლა ვამბობ დალევასა თუ მონევაზე უარს. ერთხელ ფულის გამო ვიღაც ტიპთან ვინეჭი კიდევ. მაშინ ცამეტის ვიყავი. ეს იმიტომ კი არ გავაკეთე, რომ ფული მჭირდებოდა – მაშინ ფულს უკვე ფასი ჰქონდა დაკარგული. უბრალოდ, დამამცირებელი იყო და მეგონა, რომ ამას ვიმსახურებდი, – საკუთარ

მაჯას აკვირდება. ძველი ნაიარევები რომელიღაც საშინელ კონცერტზე შესასვლელად საჭირო შტამპის კვალს ჰგავდა, – რას აღარ უჩალიჩებს ხალხი საკუთარ თავს, როცა ყველაფერი სულერთი ხდება... ეს ერთ-ერთი საშუალებაა, რომ საკუთარი ხმა ჩაახშო, საკუთარი მოგონებები ისე გაანადგურო, რომ შენ ცოცხალი დარჩე. [SEP]

ხანგრძლივი მდუმარება ისადგურებს. მისი თვალები ახლა იატაკს ჩხრევენ, ჩემები კი – მის სახეს არ სცილდებიან. ველოდები, როდის გამოერკვევა. ოხრავს, მიყურებს და ცოტათი მეხუტება. [SEP]

– ჩახუტება, – ამბობს ხმადაბლა და თავს აიძულებს, გაიღიმოს. [SEP]

ნელა ვდგები და პატეფონისკენ მივდივარ. ჩემს საყვარელ ფირფიტას ვიღებ, რომელზეც სინატრას სხვადასხვა ალბომებიდან ამოკრეფილი ნარჩევი სიმღერებია ჩანერილი. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ მიყვარს ეს ფირფიტა ასე ძლიერ. ერთხელ ჩართვიდან მთელი სამი დღე გავატარე გაუნძრევლად. ფირფიტის ტრიალს ვუყურებდი. მასზე დარჩენილი ღარები საკუთარ ხელისგულზე აღბეჭდილ ხაზებზე უკეთ შევისწავლე. ადამიანებს უყვარდათ თქმა, რომ მუსიკა ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაა. ნეტავ, ეს ფრაზა რამდენად მართალია ადამიანთაშემდგომ, ადამიანთა სიკვდილის შემდგომ ეპოქაში?! ფირფიტას მისთვის განკუთვნილ ადგილას ვათავსებ და დაკვრისას ნემსს ვამოძრავებ. ვცვლი ბილიკს, ვახტები სიმღერებს, სპირალებს შორის იმ სიტყვებს ვეძებ, რომლებმაც მინდა, ოთახი გაავსოს. მუსიკალური ფრაზები და სხვადასხვაგვარი ტემპი ერთმანეთს არ ეხამება, სიმღერის მთლიანობას ნემსის ხმამალალი



ხრიალი არღვევს, რომლის ხმიანობაც ძალიან წააგავს ფასციის(ფასცია – კუნთის გარსი.) ფხრენის ხმას. მაგრამ ჟღერადობას არაფერი დაენუნება. ფრენკის ხავერდოვანი ბარიტონი ყველაფერს იმაზე უკეთ გადმოსცემს, ვიდრე მე ჩემი მჩხავანა ხმით შევძლებდი, სულ რომ კენედის მსგავსი დიქცია მქონოდა. ვდგავარ ფირსაკრავთან და ჩემს გულში ჩაბუდებული გრძნობებისაგან ხმოვან, ჰაეროვან კოლაჟს ვქმნი:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ მაინტერესებს, რას გეძახიან... ჩხხხხ... თუ ხალხს ჰგონია, რომ... ჩხხხხ... გარყვნილი ალქაჯი... ჩხხხხ... თმის ფერს ჩემ გამო ნუ შეიცვლი, თუ თავად... ჩხხხხ... საოცრება ხარ... ჩხხხხ... ზუსტად ისეთი, როგორიც ხარ... ჩხხხხ... საოცრება ხარ... საოცრება... მხოლოდ ამის თქმა მსურდა...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ფირსაკრავს ვმორდები და ისიც ჩვეულ რეპერტუარს უბრუნდება. ისევ ჭულის წინ ვჯდები. აცრემლებული, დანითლებული თვალებით მიყურებს. ხელით მკერდზე ვეხები. გულისცემას, საკუთარი საიდუმლო ენით მოსაუბრე ძლივსგასაგონ ხმას ვგრძნობ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჭული ცხვირით ქსუტუნებს და ხელის ერთი მოსმით ინმენდს:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვინ ხარ? – მეკითხება მეორედ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მელიმება. ოდნავ. მერე ვდგები და თვითმფრინავიდან გავდივარ. მისი პასუხგაუცემელი შეკითხვა ჰაერში გამოკიდებული რჩება. ხელისგულით მისი პულსის გამოძახილს ვგრძნობ, რომლითაც ჩემი საკუთარის უქონლობას ვინაზღაურებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იმ ღამით მე-12 გასასვლელის იატაკზე მწოლიარეს მეძინება. რა თქმა უნდა, ახლებური ძილიც განსხვავებულია. ჩვენი სხეულები არ „იღლება“ და ჩვენც არ „ვისვენებთ“, მაგრამ პერიოდულად, უწყვეტი ცნობიერების დღეების ან კვირების შემდეგ, ჩვენს ტვინებს, უბრალოდ, მეტი სიმძიმის ტარება აღარ შეუძლიათ და ვითიშებით. საკუთარ თავს უფლებას ვაძლევთ, რომ მოვკვდეთ, გამოვირთოთ და არანაირმა ფიქრმა აღარ შეგვანუხოს რამდენიმე საათის, დღის ან კვირის განმავლობაში – გააჩნია, რამდენი ხანი დასტირდება ჩვენი ქვეცნობიერის ელექტრონების ხელახლა აწყობას, რათა კიდევ ცოტა ხანს გავძლოთ. ჩვენს ძილში სიმშვიდის ან სიამოვნების მომგვრელი არაფერია; ის საშინელი და, ამავდროულად, სავალდებულო რამეა, ჩვენი სულების მოხიხინეჩენჩოსთვის აუცილებელი ხელოვნური ფილტვებია. მაგრამ დღეს... რაღაც განსხვავებული ხდება.<sup>[P SEP]</sup>

სიზმარს ვხედავ.<sup>[P SEP]</sup>

ძილის სიცარიელეში ჩემი წინა ცხოვრების ეპიზოდები დაუმუშავებელი, დაბინდული, სეპიას შეფერილობის მქონე საუკუნეების წინანდელი ფილმის სცენებივით ციმციმებს. ამორთული ფიგურები მდნარი დერეფნებით დაჩრდილულ ოთახებში შედიან. ჩემი გონების სიღრმეში რაღაც ხმები მთვრალი გოლიათებივით ერთმანეთში იზილებიან და დახოხავენ. გაურკვეველ სპორტულ თამაშს ვთამაშობ, უთავბოლო ფილმებს ვუყურებ, რაღაც უცნაურს ვლაპარაკობ და უცნაურად ვიცინი. შეუსწავლელი ცხოვრების ამ დაბურულ კადრებს შორის გართობის ეპიზოდებსაც ვამჩნევ,

ყოველდღიური ცხოვრების სიხარულებს, რომლებიც დიდი ხნის წინ მსხვერპლად შეენირა პრაგმატიზმის სამსხვერპლოზე. გიტარა? ცეკვა? სამთო მოტოციკლები? ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა ჩემს მესხიერებას შემოხვეული სქელი სმოგის გარღვევა. ყველაფერი ბნელი, ცარიელი და უსახელო რჩება.<sup>[P]</sup>

იმაზე ვინცებ ფიქრს, თუ როგორ გავხდი ასეთი – ენაბლუ, ბორძიკით მოსიარულე მდაბიო... ჩემი ძველი ცხოვრების საძირკველზე აღმოვცენდი, თუ საფლავიდან სრულიად ცარიელ ფირფიტად წამოვდექი? ჩემი რამდენად დიდი ნაწილია მემკვიდრეობითი და რა ნაწილია ჩემი შექმნილი? კითხვები, რომლებიც ადრე უწყინარ ფიქრებს წარმოადგენდნენ, მოულოდნელად იმ საკითხებად იქცნენ, სასწრაფოდ პასუხის გაცემა რომ სჭირდებათ. მტკიცედ ვარ მიბმული იმაზე, რაც ადრე იყო? თუ შემოიძლია გზა ჩემით ავირჩიო?<sup>[P]</sup>

გაღვიძებული მაღალ ჭერს მივჩერებივარ. მოგონებები წინანდელივით დაცარიელდნენ და სრულიად აორთქლდნენ. წყნარი ღამეა და პერსონალის ახლომდებარე ოთახის კარს მიღმიდან ჩემი ცოლისა და მისი ახალი შეყვარებულის სექსის ხმა მესმის. ვცდილობ, მათ ყურადღება არ მივაქციო. დღეს ერთხელ უკვე წავასწარი. რაღაც ხმაური გავიგონე, კარი ღია იყო, ასე რომ, პირდაპირ შევედი. გამიშვლებულიყვნენ და სხეულებს უცნაურად უხახუნებდნენ ერთმანეთს, თან ხვნეშოდნენ და ერთმანეთის ფერმკრთალ ხორცს ხელით სინჯავდნენ. ჩემი ცოლი გამომშრალი იყო, კაცი – მოუქნელი.

ერთმანეთს შეფიქრიანებული გამომეტყველებით უყურებდნენ, თითქოს რაღაც უცნობმა ძალამ უბიძგა და ამ ერთმანეთში გადახლართულ კიდურებად გადააქციაო. სანამ ხორცის მარიონეტებივით ტოკავდნენ და ირწეოდნენ, მათი თვალები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ ჯანდაბა ხარო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ისე შემომხედეს, რომ თავისი საქმიანობა არ შეუნყვეტიათ. თავი დავუკარი და უკან, მე-12 გასასვლელში დავბრუნდი. ეს იყო ბოლო სიმძიმე, რომელმაც ჩემი გონების კვირისტავები საბოლოოდ ჩაღენა. იატაკზე გავიშხლართე და დავიძინე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

არ ვიცი, ასე მალე, სულ რაღაც რამდენიმე მღელვარე საათში რატომ გამეღვიძა. ჯერ კიდევ ვგრძნობ დაგროვილი ფიქრების ბენოლას ჩემს სათუთ ტვინზე, მაგრამ მგონი, ვეღარ დამეძინება. გონებაში ბზუილი მოსვენებას მიკარგავს. იმ ერთადერთ რაღაცას ვეჭიდები, რაც ასეთ მომენტებში მშველის ხოლმე. ხელს ჯიბისკენ ვინვდენ და იქიდან თავის ტვინის უკანასკნელ ნაგლეჯს ვიღებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

როდესაც ტვინიდან ნარჩენი სასიცოცხლო ენერჯია იბჟუტება, პირველ რიგში უსარგებლო ხმაური ქრება. კინოციტატები, რადიოს ჟღრიალი, ჭორები ცნობილი ადამიანების შესახებ და პოლიტიკური სლოგანები – ყველაფერი სწრაფად დნება და მხოლოდ ყველაზე ძლიერი და დაცული მოგონებები რჩება. ტვინის სიკვდილისას მის შიგნით მოქცეული სიცოცხლე სუფთავდება და ინმინდება. ღვინის დაძველებას ჰგავს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩემს მუჭში მოქცეული ტვინის ნაჭერი ცოტა გამომშრალა და



მორუხო-მოყავისფრო შეფერილობა მიუღია. ძალიან გამიმართლებს, აქედან პერის ცხოვრების თუნდაც რამდენიმე წუთის მიღებას თუ შევძლებ, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორი ცხელ-ცხელი და ამასთანავე, აუცილებელი წუთები იქნება. თვალებს ვხუჭავ, ტვინს პირში ვიტენი, ვღეჭავ და ვფიქრობ: „ჯერ არ მიმატოვო, პერი, სულ ცოტა ხანიც, კიდევ სულ ცოტა, გთხოვ...“<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

სიბნელიდან გამოსული პირდაპირ გაჩახახებულ, ხმაურიან გვირაბში ვხვდები. ჰაერის ახლებურ ქროლვას ვგრძნობ, მშრალსა და გრილს, რომელიც ჩემი სამყოფელიდან შემორჩენილი ნარჩენებისაგან კანს მითავისუფლებს. მოულოდნელად თავსდამტყდარი ტკივილი მატყობინებს, რომ რაღაც ნაწილი ჩამომამტრეს, დავპატარავდი. ჩემს თავს დავემსგავსე – ერთი ბენოს, უძლურსა და მარტოსულს. ამიტაცეს და თვალუნვდენელ სიმაღლეზე ამტყორცნეს, სადაც ჯულის გადამაბარეს. ჩემ ირგვლივია, იმაზე უფრო დიდი და ნაზი, ვიდრე ოდესმე წარმომედგინა. თვალებს ვქაჩავ. მას ვხედავ. უზარმაზარია, მთელი მსოფლიო, მთელი სამყარო ისაა. სამყარო ღიმილით დამყურებს, და როდესაც საუბარს იწყებს, ყოვლისმომცველი და მჟღერი ღვთიური ხმა ჩამესმის, თუმცა სიტყვებს ვერ ვარჩევ და ისინიც არეულ-დარეულად რეკენ ჩემს გამოცარიელებულ თავში.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ის ამბობს, რომ...<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩაბნელებულ, ვინრო ოთახში ვარ, სამედიცინო მარაგს ვუყრი თავს და ყუთებში ვანყო. ამ ლაშქრობაში ჩემთან ერთად მონაწილეობს სამხედრო წვრთნაგავლილი ხალხის მცირე ჯგუფი, რომლის ყველა წევრიც, გარდა ერთისა, პოლკოვნიკმა როსომ შეარჩია. იმ ერთმა თავად მოისურვა წამოყოლა. ჩემი მზერა შეამჩნია და მოსვენება დაკარგა. იმ ერთს ჩემი გადარჩენა განუზრახავს. [P]<sub>[SEP]</sub>

– გაიგონე? – მეკითხება ჯული და იქაურობას თვალთ სინჯავს. [P]<sub>[SEP]</sub>

– ვერა, – ვპასუხობ მაშინვე და ყუთებს ვუბრუნდები. [P]<sub>[SEP]</sub>

– მე გავიგონე, – ამბობს ნორა და თვალეებზე ჩამოყრილ ხვეულკულულებს იშორებს, – პერ, მგონი, აჯობებს... [P]<sub>[SEP]</sub>

– არაფერი გვემუქრება. კარგად დავზვერეთ, უსაფრთხოდ ვართ. იმუშავეთ. [P]<sub>[SEP]</sub>

გამუდმებით მე მიყურებენ. საავადმყოფოს სანიტრებივით დაძაბულად დგანან და მზად არიან, ნებისმიერ წამს ჩაერივნონ. ეს არაფერს ცვლის. მათ საფრთხეში არ ჩავაგდებ, მაგრამ როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, ჩემს გზას მაინც ვიპოვი. როცა მართლ ვიქნები და მოთვალთვალეც არ მეყოლება, მაშინ განვახორციელებ ჩემს ჩანაფიქრს. გულდასმით ცდილობენ ჩემს გადარჩენას, მაგრამ მათი სიყვარულის ძალა ჩემს განზრახვას უფრო ამტკიცებს. რატომ არ ესმით, რომ უკვე ძალიან გვიანია? [P]<sub>[SEP]</sub>

ხმაურია. უკვე მესმის. ჩემს ყურს სწვდება მათ ფეხქვეშ ახმიანებული კბეების გრუხუნი და მათი ხმაშენწყობილი ღმუილი. ნუთუ ჯულის სმენა ჩემსაზე უფრო მახვილია? იქნებ, საერთოდ ყურს აღარ ვუგდებ?

იარაღს ვიღებ და ვტრიალდები...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არა! ხილვა ჯერ არ დასრულებულა და მე უკვე ვყვირი. ოღონდ ეს არა! არ მინდა ამის ნახვა!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩემდა გასაკვირად, ყველაფერი ჩერდება. პერი ქვემოდან ამომცქერის, სადღაც ზემოდან კი ჩამესმის: „ეს ჩემი მოგონებებია, გაიგე? აქ შენ სტუმარი ხარ. თუ მათი დათვალიერება არ გინდა, დაახვიე“.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

დაუჭრებელია. მოგონებებმა განსაზღვრული სცენარიდან გადაუხვიეს. ნუთუ იმ ტვინთან გავაჩაღე საუბარი, რომელსაც ახლა მივირთმევ? ზუსტად ვეღარ ვარჩევ, რა არის პერისი და რა ჩემი, მაგრამ ამ ხილვამ ძალიან ჩამითრია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ახლა შენს განვლილ სიცოცხლეს უნდა ვათვალიერებდეთ და არა ამას! – დავყვირი, – რატომ გინდა, რომ შენი უკანასკნელი ფიქრები შენივე ბინძურ და უაზრო სიკვდილს დასტრიალებდეს?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

„შენ გგონია, სიკვდილი უაზრო რამაა?“ – მეპასუხება და თოფს ტენის. მის ზურგსუკან სტატიკტებივით მოუყრიათ თავი ჯულის და დანარჩენებს და მოუსვენრად წრიალებენ, – „რომ შეგეძლოს, არ მოისურვებდი გაგეგო, როგორ მოკვდი? სხვაგვარად ახალ ვინმედ როგორ გადაიქცევი?“<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ახალ ვინმედ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

„ჰო, შე უტვინო მძორო“, – სამიზნეში იხედება და ოთახს ნელა ათვალიერებს, ცოტა ხნით მზერას ბერგზე აჩერებს, – „სხვა სამყაროებზე რომ არაფერი ვთქვათ, მხოლოდ მეტაფიზიკურ

სამყაროშიც კი სიკვდილისა და სიცოცხლის უამრავი სახესხვაობაა. მთელი დარჩენილი ცხოვრება მკვდრად ყოფნას აპირებ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მმმ, არა...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

„მაშინ მოკეტე და მაცადე იმის გაკეთება, რაც საჭიროა“.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ყელში გაჩხერილ ბლუჭას ვყლაპავ და ვამბობ:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

კარგი...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თოფს ხელს ვავლებ და ვტრიალდები ზუსტად მაშინ, როდესაც უამრავი ნაბიჯის ხმა გუგუნით აღწევს ჩვენს სართულს. კარი ბრაგუნით იღება და ისინი ღრიალით შემორბიან შიგნით. ვესვრით, ვესვრით, ვესვრით, მაგრამ ძალიან ბევრნი და ძალიან სწრაფები არიან. ჯულის გემოთ ვიხრები და რამდენადაც შემძლია, ვცდილობ, ფარად გადავეფარო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არა, ო, ღმერთო, არა. ეს ის არაა, რაც მინდოდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ერთი მალალი, გამხდარი ზომბი მოულოდნელად ჩემ უკან ჩნდება და ფეხებში მეჭიდება. ვეცემი, თავს მაგიდაზე ვარტყამ და ჩემი მხედველობა ნითლად იფანტება. ყველაფერი არასწორად მოხდა, მაგრამ როდესაც ნითელი ფერი სიშავეში გადადის, სანამ სამუდამო ძილს მივეცემი, თავს გახარებული ნამოყვირების უფლებას, უკანასკნელი ეგოისტური ორგაზმის უფლებას ვაძლევ: „როგორც იქნა, როგორც იქნა!“<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

შემდეგ...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>



– პერი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნეკნებში მუჭლუგუნს ვგრძნობ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– პერი!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა იყო?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ახლა ნუ დაგეძინება, გთხოვ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალებს ვახელ. დახურულ ქუთუთოებზე მზის ერთსაათიანმა შემოტევამ სამყაროს ყველა ფერი ვიდეოკასეტების მიყრუებულ მაღაზიაში გაკრული ძველი პოსტერივით მოლურჯო ნაცრისფრად გადაღება. თავს ვატრიალებ, რომ მას შევხედო. ეშმაკურად ილიმის და ისევ მუჭლუგუნს მკრავს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– დაიკიდე. მიდი, ძილი გააგრძელე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მისი სახის იქით სტადიონის სახურავის თაღების ბუნდოვან სვეტებს ვხედავ, კიდევ უფრო შორს კი ღრმა, ლაჟვარდოვან ცას. ჩემი თვალის ფოკუსს ნელ-ნელა ვცვლი და ხან გოგოს ვუყურებ, ხან ცას. მისი სახე ატმისფერ-ოქროსფერ ღრუბლად იდღაბნება, შემდეგ მგერა ისევ მასზე გადმომაქვს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა იყო? – ამბობს ის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რამე დამაიმედებელი მითხარი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– როგორი დამაიმედებელი?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნამოჭდომის შემდეგ მკლავებს მუხლების გარშემო ვიხვევ. გავცქერი სტადიონს გარშემორტყმულ ქალაქს, ჩამოშლილ შენობებს, ცარიელ ქუჩებსა და ეულ ცას, რომელიც თავისი თეთრადმხაზავი თვითმფრინავების გარეშე სუფთა, ცისფერი და სამარისებურად ჩუმია.

– მითხარი, რომ ეს სამყაროს დასასრული არაა. [P]  
[SEP]

გოგო ერთ წუთს თავის ადგილას წევს და ცას შესცქერის. შემდეგ გემოთ იხრება, თავისი ახლართული, გრძელი თმიდან ერთ ყურსასმენს იძრობს და მე მიკვთებს. [P]  
[SEP]

გატეხილი გიტარის ჟღერიალს ორკესტრი და სტუდიური გუნდის ფონური აკომპანიმენტი უერთდება, რასაც უსაზღვრო და უკვდავ სიყვარულზე მომღერალი ჯონ ლენონის დაღლილი და გაბრუებული ხმა მოსდევს. ყველანი, ვინც ამ სიმღერას მღეროდნენ, ახლა თავიანთ საფლავებში ძვლებად არიან ქცეულნი, მაგრამ მაინც აქ არიან, მაფორიაქებენ და მიწვევენ, დაუსრულებლად მეძახიან და მეძახიან. ბოლო აკორდები ჩემსშიგნით რაღაცას ამსხვრევს და თვალეებზე ცრემლები მანვება. ბრწყინვალე სიმართლე და გარდაუვალი ტყუილი გვერდიგვერდ სხედან, როგორც მე და ჯული. შეიძლება, რომ ორივე მქონდეს? შემიძლია, ამ განწირულ სამყაროში ცოცხალი გადავრჩე და მაინც მიყვარდეს ჯული, რომელიც გაცილებით უკეთეს სამყაროზე ოცნებობს? ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტში, როდესაც ჩვენი გონებები ყურებს შორის გაბმული თეთრი სადენითაა შეერთებული, ვგრძნობ, რომ შემიძლია. [P]  
[SEP]

ვერაფერი შეცვლის ჩემს სამყაროს. [P]  
[SEP]

დაუსრულებლად ღიღინებს ლენონი. [P]  
[SEP]

ვერაფერი შეცვლის ჩემს სამყაროს. [P]  
[SEP]

ჯული ლენონთან ჰარმონიულად ხმამაღლა მღერის, მე კი ჩუმად

ვბუტბუტებ. იქ, კაცობრიობის უკანასკნელი ციტადელის ცხელი, თეთრი სახურავიდან გავცქერით ჩვენს სწრაფად, უიმედოდ და შეუქცევადად ცვალებად სამყაროს და ვმღერით:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვერაფერი შეცვლის ჩემს სამყაროს, ვერაფერი შეცვლის ჩემს სამყაროს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ისევ აეროპორტის ჭერს მივშტერებივარ. პერის ტვინის უკანასკნელ ნაგლეჯს პირისკენ მივაქანებ და ვღეჭავ, თუმცა აღარაფერი ხდება. უკან ისევ ვაფურთხებ, თითქოს ხრტილი იყოს. მორჩა ზღაპარი, ეს სიცოცხლეც მოკვდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვგრძნობ, რომ თვალები ისევ მენვის და ცრემლით ჩაცხრობას ითხოვს, მაგრამ ჩემს სადინრებს მისი მონოდება აღარ შეუძლია. ასე მგონია, ვილაც ძვირფასი ახლობელი დავკარგე. ძმა. ტყუპისცალი. ნეტავ სადაა მისი სული ახლა? ნუთუ მე პერი კელვინის სიკვდილისშემდგომი ცხოვრება ვარ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ისევ ვიძინებ. სიბნელეში ვვხვევი. ჩემი გონების მოლექულები უნესრიგოდ მიმოფანტულა. დავტივტივებ ზეთისებურ, მუქ სივრცეში და ვცდილობ, ყველა ნაწილაკი შევაგროვო, როგორც ციციანათელებს აგროვებენ. ყოველი დაძინებისას ვხვდები, რომ შეიძლება ველარასოდეს გავიღვიძო. სხვას რას უნდა ელოდო, როცა ერთი ბენო, უმწეო ტვინს უძირო ჭაში მოისვრი, იღბლის გულის მოსაგებად თითებს გადააჭვარედინებ და იმედოვნებ, რომ სანამ თქვენ შორის გაბმულ უწვრილეს ძაფს ექაჩები, მანამდე ფსკერზე მცხოვრები რომელიმე

ურჩხული ბოლოს არ მოუღებს. იმედი გაქვს, რომ შენს ძაფს რამე მაინც ამოყვება. შეიძლება ამ მიზეზის გამოა, რომ თვეში მხოლოდ რამდენიმე საათი მძინავს. არ მინდა, კიდევ ერთხელ მოვკვდე. ბოლო დროს ეს ჩემთვის უფრო და უფრო გასაგები ხდება. ისეთი მძაფრი და მიზანმიმართული სურვილი მიპყრობს, ხანდახან იმის დაჭერებაც კი მიჭირს, რომ ნამდვილად ჩემია. არ მინდა სიკვდილი. არ მინდა გაქრობა. აქ ყოფნა მინდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ყვირილის ხმა მალევიძებს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალებს სწრაფად ვახელ და პირიდან რამდენიმე ჭიას ვაფურთხებ. ბარბაცით ვდგები. ხმა სადღაც შორიდან ისმის, ოღონდ სკოლიდან არა. მასში ჯერ კიდევ მსუნთქავი გვამების განწირული პანიკა არ შეიმჩნევა. ამ ყვირილში წინააღმდეგობის ნაპერწკალს, გარდაუვალ უიმედობასთან შეჭახებულ უდრეკ იმედს ვხედავ. სწრაფად ვიმართები წელში და იმაზე სწრაფად გავრბივარ, ვიდრე ნებისმიერ ზომბის შეუძლია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ყვირილის ხმას მივყვები და ჯულის გასასვლელის კართან ვპოულობ. კუთხეშია მიმწყვდეული და ექვსი დორბლიანი ზომბითაა გარშემორტყმული. ისინი გოგოს უახლოვდებიან, ჯული ბალახის საჭრელი ელექტროხერხის თითოეულ მოქნევასთან ერთად მცირე ნაბიჯით უკან იხევს. ზომბებს უკნიდან ვესხმი თავს, მათ ვინრო წრეს ვარღვევ და ბოულინგის კვგლებივით ვფანტავ. ჯულისთან ყველაზე ახლოს მდგომ ზომბის ისე ძლიერად ვურტყამ, რომ ჩემი ხელის



ძვლები ნიჟარის ნამსხვრევებით იშლება. მისი სახის ძვლები კი შიგნით იზნიქება და ზომბი ეცემა. შემდეგ ყველაზე ახლოს მდგომს კედელზე ვანარცხებ, თავზე ხელს ვკიდებ და იმდენ ხანს ვარახუნებინებ, სანამ ტვინი გარეთ არ ასხამს და ისიც ეცემა. ერთ-ერთი მათგანი უკნიდან მეჭიდება და ნეკნების მიდამოდან ხორცს მაჭამს. მასაც ვწვდები, მომჰალ მკლავს ვანყვეტ და ამ მკლავს ბეიბ რუთივით(ჭორჭ ჰერმან „ბეიბ“ რუთი (1895-1948) – ბეისბოლის ამერიკელი პროფესიონალი მოთამაშე.) ვუქნევ. მისი თავი სამას სამოცი გრადუსით ტრიალდება, გვერდით ყირავდება, ადგილიდან წყდება და ძირს ეცემა. ვდგავარ ჯულის წინ და ხელში საომრად მომარჯვებული დაკუნთული კიდური მიჭირავს, თუმცა დანარჩენი მკვდრები შეტევამე აღარ გადმოდიან.<sup>[SEP]</sup>

– ჯული! – ვღმუი და თან ზომბებს გოგოზე ვანიშნებ, – ჯული!<sup>[SEP]</sup>

ისინი მომშტერებიან და წინ და უკან ირწევიან.<sup>[SEP]</sup>

– ჯული! – ვამბობ ისევ, რადგან სხვა სიტყვებით აზრის გადმოცემას ვერ ვახერხებ. გოგოსთან მივდივარ და ხელს გულზე ვადებ. ხელ-კეტს ძირს ვაგდებ და მეორე ხელს ჩემს გულზე ვიდებ, – ჯული.<sup>[SEP]</sup>

ბალახის საკრეჭის ხმადაბალ ბჟუილს თუ არ ჩავთვლით, ოთახში სიჩუმე ისადგურებს. ჰაერში საწვავის მძიმე სუნი ჩამონოლილა, დამჰალი გარგრისას რომ წააგავს, და მხოლოდ ახლავ ვამჩნევ ჯულის ფეხებთან მიმოყრილ რამდენიმე თავნაცლილ გვამს, რომლებთანაც მე შეხება არ მქონია. „ყოჩაღ, ჯული“, ვფიქრობ და ოდნავ ვიღიმი, „თანდაყოლილი ნიჭი გქონია“.<sup>[SEP]</sup>

– რა... ჯანდაბა... ხდება! – ისმის ჩემ უკან ბრდღვინვა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

იატაკიდან მაღალი, ზორბა ფორმა საკუთარ თავს ნელ-ნელა აკონინებს. ის არის, რომელსაც პირველად შევუტიე და სახეში დავარტყი – მ-ია. იმომენტში, გახელებისას, ვერც კი ვიცანი. ახლა, როდესაც ყვრიმალთ თავის ქალაში აქვს შერჭობილი, მისი ცნობა კიდევ უფრო ძნელია. მომშტერებია და სახეს იბელს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რას... აკეთებ... შენ... – მისი ხმა მარტივი სიტყვების თქმასაც კი ვერ უმკლავდება.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ჯული, – ვამბობ კიდევ ერთხელ, თითქოს უდავო არგუმენტს წარმოვთქვამდე და გარკვეულწილად, ასეცაა. ერთი სიტყვა, ნამდვილი, სრულყოფილი სახელი. მას პირველყოფილი ადამიანებისთვის კაშკაშა მოლაპარაკე ტელეფონის ჩვენების ეფექტი აქვს. მ-ს გარდა, ყველა ზომბი გაჩუმებულია და ჯულის მისჩერებია. მ შეცბუნებული და განრისხებულია.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ცოცხალი, – ამბობს შიშინით, – ჭამა!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მე უარის ნიშნად თავს ვიქნევ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– არა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ჭამა!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– არა!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ჯანდაბა... ჭამა!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ჰეი!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მ და მე ვბრუნდებით. ჯული ჩემს ზურგს უკნიდან გამოდის. მ-ს უყურებს და ბალახის საკრეჭს სიჩქარეს უმატებს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– დაახვიე, – ეუბნება მ-ს და იდაყვზე ხელს მკიდებს. ვგრძნობ, მისი შეხების ადგილიდან სითბო მთელ სხეულში როგორ მეღვრება. [SEP]

მ ჯერ მას შესცქერის, შემდეგ მე, მერე ისევ მას, ისევ მე. სახე უცვლელად აქვს დაღრეჯილი. თითქოს დუელისტთვის მომზადებულ პოზაში ვართ, მაგრამ სანამ მდგომარეობა კიდევ უფრო იძაბება, სიჩუმეს მოგუგუნე ექოდ მოსული, ჰაერის გარეშე აკივლებული საყვირის საზარელი ხმა არღვევს. [SEP]

ყველანი ესკალატორისკენ ვტრიალდებით. ქვედა სართულებიდან ერთმანეთის მიყოლებით ყვითელი ჩონჩხები ჩნდებიან. კიბეებიდან ჩონჩხების მცირე კომიტეტი გადმოდის და მე და ჯულის გვიახლოვდება. ჩვენ წინ დგებიან და ერთ ხაზზე იშლებიან. ჯული ოდნავ უკან იხევს. მისი სიყოჩაღე თანდათან იდრიკება მათი ბნელი, უთვალაო მზერისგან. ხელს უფრო ძლიერად მიჭერს. [SEP]

ერთ-ერთი მათგანი ნაბიჯს წინ დგამს და ჩემგან რამდენიმე ინჩით წინ ჩერდება. მისი ცარიელი პირიდან სუნთქვა არ ამოდის, მაგრამ ძვლებიდან წამოსულ ჩუმ, ოდნავ ბუზუნს მაინც ვგრძნობ. ეს ხმა არც მე, არც მ-ს და არც ერთ სხვა ხორცშემოსილ მკვდარს არ გაგვაჩნია და მაინტერესებს, სინამდვილეში რას წარმოადგენენ ეს გამომშრალი არსებები. ვუდუს წყევლისა და ლაბორატორიული ვირუსის ამბების უკვე აღარ მჭერა. ეს რაღაც უფრო ღრმა, უფრო ბნელია. ეს კოსმოსიდან, ვარსკვლავებიდან ან მათ მიღმა დამალული წყვდიადიდან მოდის. ღმერთის კარაჭედილ სარდაფში გამომწყვდეული აჩრდილებიდან. [SEP]

ეს საზიზღარი არსება და მე ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ, ფეხი ფეხის წინ, თვალი თვალბუდის წინ. მე თვალს არ ვახამხამებ, მას – არც შეუძლია. თითქოს საათები გადის ასე. შემდეგ ის ისეთ რალაცას აკეთებს, რაც მისი აქ ყოფნით გამოწვეულ შიშს ოდნავ ამსუბუქებს. მთელ დასტა პოლაროიდის ფოტოებს თავისი ნაწვეტებული თითებით ზემოთ სწევს და სურათებს სათითაოდ მაძლევს. მოხუცი კაცი მახსენდება, რომელიც თავის შვილიშვილებს ამაყად ათვალთვლებინებს ძველ სურათებს, მაგრამ მისი კბილების ღრეჭა კეთილი მოხუცისას არაფრით ჰგავს და ფოტოებიც სულაც არაა სასიამოვნო დასათვალთვლებელი. რალაც ბრძოლის არეულ-დარეული კადრებია: ჯარისკაცების დაწყობილი რიგები ჩვენს დასახლებას რაკეტებს უშენენ, ჯურჯები მიზანს აღწევენ და ნაწილებად გვშლიან – ერთი, ორი, სამი. რიგითი მოქალაქეები თავიანთი მაჩეტეებითა და ბენზოხერხებით ჩვენს შორის დაჰქრიან, მაყვლის ტოტებივით გვსხლავენ და ჩვენი მუქი სითხის შეფეხები კამერის ობიექტივს ესხურება. ხელახლა დახოცილი გვამები მონუმენტურ სვეტებად აუხონხლავთ, ბენზინით გაუჟღინთავთ და დაუნვათ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

კვამლი. სისხლი. ჭოჭოხეთში ჩვენი არდადეგების ოჯახური ფოტოები.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

მაგრამ როგორი ამაფორიაქებელიც არ უნდა იყოს ეს სლაიდ შოუ, ჩემთვის მაინც არ არის ახალი. ეს პრეზენტაცია ჩონჩხებს არაერთხელ ჩაუტარებიათ, ძირითადად ბავშვების წინ. ჩონჩხები აეროპორტის მიდამოებში ხშირად დაეხეტებიან ხოლმე ხერხემაღზე



კამერაჩამოკიდებულები. ზოგჯერ სანადირო გასეირნებებზეც მოგვყვებიან და ყოველთვის ჭკუფის უკან მოჩანჩალებენ, რათა სისხლისღვრა ფოტოებზე აღბეჭდონ; სულ მაინტერესებს, ამას რისთვის აკეთებენ. მათი ფოტოხელოვნების ძირითადი სიუჟეტი უცვლელია: გვამები. ბრძოლები. ახალმოქცეული ზომბები... და თვითონ. მათი შეხვედრების ოთახებში კედლები იატაკიდან ჭერამდე ამ ფოტოებითაა დაფარული. ზოგჯერ ახალგაზრდა ზომბის შეათრევენ ამ ოთახში, დააყენებენ და აიძულებენ უამრავი საათის, დღისა თუ კვირის განმავლობაში ამ ფოტოებს უყუროს და ჩონჩხების ნამუშევარი დააფასოს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ახლა სხვების იდენტური ეს ჩონჩხი, პოლაროიდის ფოტოებს ნელა და თავაზიანად მიწვდის და დარწმუნებულია, რომ სურათები თავის სათქმელს უსიტყვოდაც ამბობენ. დღევანდელი ქადაგების მთავარი აზრი ამკარაა: გარდაუვალობა. ცოცხლებთან ჩვენი ურთიერთობის შედეგი ბინარული ცვლადია მხოლოდ ორი უცილობელი სავარაუდო პასუხით: მათი სიკვდილი/ჩვენი სიკვდილი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იქ, სადაც ჩონჩხის ყელი უნდა იყოს, რაღაც ხმაური ისმის – სიამაყით, საყვედურითა და მკაცრი, უდრეკი სამართლიანობით სავსე ჩხავილი. ის საკუთარ და ყველა დანარჩენი ჩონჩხის სათქმელს, დევიზსა და მანტრას წარმოთქვამს. ამბობს: „აი, ამის თქმა მიწდოდა“, „ისეა, როგორც მე ვამბობ“ და „იმიტომ, რომ მე ვთქვი ასე“. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

პირდაპირ თვალბუდეებშივუყურებ. ფოტოებს ძირს ვყრი. ხელებს ისე ვუსვამ ერთმანეთს, თითქოს რაღაც ჭუჭყის ჩამოცილებას

ვცდილობ. [P]  
[SEP]

ჩონჩხი არ რეაგირებს. მხოლოდ თავისი საზარელი, ცარიელი მზერით მომჩერებია და იმდენად უმოძრაოდ დგას, თითქოს დრო გაჩერდაო. მისი ძვლების შავბნელი ზუზუნი ყველაფერს ფარავს – დაბალი, სინუსოიდური ხმოვანი ტალღა უსიამოვნო ობერტონებს ერევა. შემდეგ, ისე სწრაფად, რომ შიშისგან ვხტები, ჩონჩხი ტრიალდება და თავის ამხანაგებთან ბრუნდება. უკანასკნელად გამოსცემს საყვირის ხმას და ჩონჩხები ესკალატორით ქვემოთ ეშვებიან. დანარჩენი მკვდრები იფანტებიან და ჭულისკენ მშიერ მზერას აპარებენ. მ ყველაზე ბოლო მიდის. ჯერ მიბღვერს, შემდეგ ბარბაცით თავის გზას ადგება. ჭული და მე მართო ვრჩებით. [P]  
[SEP]

მისკენ ვტრიალდები. ახლა, როცა სიტუაცია მონესრიგდა და იატაკზე სისხლი შრება, უკვე ვახერხებ გავაანალიზო, რა მოხდა აქ სულ ახლახან და სადღაც გულმკერდის სიღრმეში გული მეკუმშება. ჭულის ჯერ აბრაზე ვანიშნებ, რომელიც, ჩემი აზრით, თვითმფრინავში ჩასასხდომ გასასვლელზე მიუთითებს, შემდეგ გოგოს კითხვის გამომხატველი მზერით ვუყურებ. [P]  
[SEP]

ჭული იატაკს ჩასცქერის. [P]  
[SEP]

– ხუთი დღე გავიდა, – ბუტბუტებს, – შენ თქვი, ხუთი დღეო. [P]  
[SEP]

– მინდოდა... სახლში... ნამეყვანე... ნახვამდის მეთქვა. [P]  
[SEP]

– რატომ, რა აზრი აქვს? უნდა ნავიდე. იმის თქმა მინდა, რომ აქ ვერ დავრჩები. ხომ ხვდები? [P]  
[SEP]

დიახ, რა თქმა უნდა, ვხვდები. ის მართალია, სასაცილოდ ვიქცევი.

მაგრამ მაინც... [P]  
[SEP]

რა მოხდება, თუ... [P]  
[SEP]

რალაც შეუძლებლის ჩადენა მინდა. რალაცის, რაც გამოაგნებელი და ჯერ არგაგონილია. მინდა, კოსმოსურ ხომალდს ხავსი მოვაშორო, ჯულისთან ერთად მთვარეზე გავფრინდე და იქ დავსახლდე; ან ამოყირავებულ საკრუიზო ხომალდზე ვიტვიტვივოთ და რომელიმე შორეულ კუნძულამდე მივცუროთ, სადაც ჩვენს არსებობას არავინ შეენინააღმდეგება; ან უბრალოდ ჯადოქრობის უნარი გამიჩნდეს და როგორც ცოცხლების ტვინი გადმოდის ჩემსაში, ისე შევძლო ჯულის გადმოყვანა ჩემს გონებაში, იმიტომ, რომ აქ თბილა, სინყნარე და სილამაბეა და სულელურ, ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობაში კი არ ვართ, არამედ სრულყოფილად შევეფერებით ერთმანეთს. [P]  
[SEP]

საბოლოოდ, თვალს მისწორებს. დაკარგული, დაბნეული და მოწყენილი ბავშვივით იყურება. [P]  
[SEP]

– მაგრამ დიდი მადლობა... ამმ... რომ გადამარჩინე. ისევ. [P]  
[SEP]

დიდი მცდელობის შედეგად ოცნებებიდან გამორკვევას ვახერხებ და ვუღიმი. [P]  
[SEP]

– არა...ფრის. [P]  
[SEP]

მეხუტება. თავიდან მოკრძალებულად, ცოტა შეშინებულად და თითქოს ცოტა ზიზღით, მაგრამ მერე მთელი სხეულით მეკვრის. თავს ცივ კისერზე მადებს და ხელებით მეხვევა. ისე, რომ ჯერ კიდევ ვერ ვიჭერებ, რა ხდება ჩემს თავს, ხელებს მეც გარშემო ვხვევ. [P]  
[SEP]

ლამის შემიძლია დავიფიცო, რომ ჩემი გულის ბაგუნი მესმის,

მაგრამ, ალბათ, ჩემი კი არაა, მისი გულია, რომელიც ჩემს გულმკერდს მჭიდროდ მოჰკვრია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

747-სკენ ვბრუნდებით. პრობლემები არ მოგვარებულა, თუმცა დამთანხმდა, რომ გაქცევას ცოტა ხნით გადადებდა. სულ ახლახან ჩვენ მიერ დატრიალებული სისხლიანი სცენის შემდეგ ცოტა ხნით მიჩუმება გონივრული ჩანს. ზუსტად არ ვიცი, რამდენად გააპროტესტებენ ჩონჩხები ჯულის განსხვავებულობას, რადგან ასეთი რამ პირველად მოხდა – აქამდე მათ არავინ დაპირისპირებია. ჩემი შემთხვევა უპრეცედენტოა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

პარკინგის ზემოთ, ჰაერში გამოკიდებულ შემაერთებელ გადასასვლელში შევდივართ და ჯულის თმა ჩამსხვრეული ფანჯრებიდან შემობერილი ქარის საპასუხოდ ცეკვას იწყებს. დეკორატიული ბუჩქების ქლონები ველური გვირილებით გადავსებულა. ჯული გვირილებს ხედავს, ილიმის და რამდენიმეს კრეფს. მისი ხელიდან ერთ ყვავილს ვიღებ და თმაში ვუმაგრებ. ყვავილს ჯერ კიდევ აქვს თავისი ფოთლები, რომლებიც გოგოს თავიდან უცნაურადაა გამოჩრილი, მაგრამ ჯული მაინც ისე ტოვებს, როგორც არის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გახსოვს, როგორი იყო ხალხთან ერთად ცხოვრება? – მეკითხება გზადაგზა, – სანამ მოკვდებოდი?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ხელს ჰაერში უმისამართოდ ვიქნევ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– იცი, მას მერე ცხოვრება შეიცვალა. ათი წლის ვიყავი, როცა ჩემი



მშობლიური ქალაქი განადგურდა და აქ გადმოვედით, ასე რომ, მახსოვს, მანამდე როგორი იყო ცხოვრება. ახლა ყველაფერი ისეთი განსხვავებულია. ყველაფერი უფრო პატარა და შეჭმუხნილი, უფრო ხმაურიანი და ცივია, – გადასასვლელის შუაში ჩერდება და ჩამსხვრეული ფანჯრიდან ფერმკრთალი მზის ჩასვლას გასცქერის, – ახლა ყველანი მარჯნის რიფივით ერთად ვართ შეფენილნი ერთ სტადიონზე და მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, დღის ბოლომდე როგორ გადავრჩეთ. არავინ წერს, არავინ კითხულობს, თითქმის არავინ ლაპარაკობს, – გვირილებს ხელში ატრიალებს და ერთ-ერთს ყნოსავს, – ყვავილებიც აღარ გვაქვს. მხოლოდ ბოსტნეული დაგვრჩა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

საპირისპირო ფანჯრიდან მზის ჩასვლისას ჩაბნელებულ აღმოსავლეთს ვუყურებ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ჩვენ გამო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– არა, შენ გამო არა. უფრო სწორად, ჰო, თქვენ გამო, ოღონდ არა შენ გამო. ნუთუ მართლა არ გახსოვს, რა ხდებოდა მანამდე? არ გახსოვს მთელი ის პოლიტიკური და სოციალური არეულობები? გლობალური წყალდიდობა? არც ომები, ამბოხები და მუდმივი დაბომბვები? სამყარო თქვენ გამოჩენამდე ისედაც საკმაოდ შორს იყო წასული. თქვენ მხოლოდ ბოლო განაჩენი იყავით.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მაგრამ... ახლა... ჩვენ გხოცავთ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

თავის დაქნევით მეთანხმება.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რა თქმა უნდა. ყველაზე აშკარა საფრთხეს ახლა ზომბები

წარმოადგენენ. თითქმის ყველა, ვინც კვდება, შემდეგ უკან ბრუნდება და სხვებს ხოცავს... ჰო, სასტიკი სტატისტიკაა. მაგრამ ძირეული პრობლემა გაცილებით დიდია, ან გაცილებით პატარა, მაგრამ ფარული; მილიონი ზომბის მოკვლა პრობლემას ვერ გადაწყვეტს, იმიტომ რომ ყოველთვის გამოჩნდება უფრო მეტი.<sup>[P SEP]</sup>

კუთხის მიღმიდან ორი მკვდარი ჩნდება და ჯულისკენ გამორბის. მათ თავებით ერთმანეთზე ვახეთქებ და ძირს ვყრი. ნეტავ წინა ცხოვრებაში საბრძოლო ხელოვნებას ხომ არ ვფლობდი? გაცილებით ძლიერი ვყოფილვარ, ვიდრე ჩემი მჭლე აღნაგობით შეიძლება იმსჯელო. <sup>[P SEP]</sup>

– მამაჩემს ეს ყველაფერი არ აინტერესებს, – აგრძელებს ჯული, სანამ ჩასასხდომ გვირავს მიუწყვებით და თვითმფრინავში შევდივართ, – როდესაც ხელისუფლება ჯერ კიდევ არსებობდა, ის არმიის გენერალი იყო და სხვაგვარად ფიქრი არ შეუძლია: იპოვე საფრთხე, მოკალი საფრთხე, დაელოდე ბრძანებას ყველაფრის მაკონტროლებელი ადამიანებისგან. მაგრამ რა უნდა გავაკეთოთ ახლა, როცა ყველაფრის კონტროლი აღარ ხდება და ის ადამიანები დაიხოცნენ? არავინ იცის, ასე რომ, ჩვენც არაფერს ვაკეთებთ. მხოლოდ მარაგებს მოვიპოვებთ, ზომბებს ვხოცავთ და ჩვენს კედლებს ქალაქის სიღრმისკენ ვაფართოვებთ. კაცობრიობის ხსნის მამაჩემისეული გეგმა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ აშენდეს უზარმაზარი ბეტონის ყუთი, ყველა შიგ ჩავსხდეთ და კარი იარაღებით დავიცვათ, სანამ არ დავბერდებით და დავიხოცებით, – სავარძელში

ეხეთქება და ღრმად სუნთქავს. დაღლილი ხმა აქვს, – იმის თქმა მინდა, რომ მიუხედავად ცოცხლად გადარჩენის აუცილებლობისა, ამის იქით კიდევ უნდა იყოს რაღაც, ასე არაა?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ჩემი გონება ბოლო რამდენიმე დღის ამბებში დაფარფატებს და ვხვდები, რომ ჩემს ბავშვებზე ვფიქრობ. თვალწინ წარმომიდგა, დერეფანში მდგომები როგორ თამაშობდნენ სტეპლერით, როგორ ერთობოდნენ და იცინოდნენ. იცინოდნენ. მინახავს მოცინარი სხვა მკვდარი ბავშვები? ვერ ვიხსენებ. მაგრამ როდესაც მათზე ვფიქრობ და მახსენდება მათი მზერა, მახსენდება, როგორ მეხვეოდნენ ფეხებზე, უცნაური ემოციების მოძალებას ვგრძნობ. რას წარმოადგენდა ის მზერა? საიდან მოდის? მათი სახის ეკრანზე გამჟებულ სასიამოვნო ფილმში რა მუსიკა ჟღერს, ასე ძალიან რომ მსიამოვნებს? რა ენაზე დიალოგები? შეიძლება თარგმნა?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

თვითმფრინავის სალონში რამდენიმე წუთით სიჩუმე ისადგურებს. ბურგზე მნოლი ჭული კისერს ჭიმავს, ილუმინატორიდან თავდაყირა იყურება და მეუბნება:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რ, შენ თვითმფრინავში ცხოვრობ, მაგარია. მენატრება ცაში თვითმფრინავების დანახვა. შენთვის მითქვამს, როგორ მენატრება თვითმფრინავები?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

პატეფონთან მივდივარ. სინატრას ფირფიტა ისევ ტრიალებს და ნემსი ცარიელი, შიდა წრიდან „მოდის, ერთად გავფრინდეთ“-ზე გადმომაქვს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ჭული იღიმის.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– როგორი დინჯი ხარ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ძირს ვიშხლართები, ხელებს მკერდზე ვილაგებ, ჭერს შევცქერი და ალაღბედზე ვცდილობ, სიმღერის ტექსტს ავყვე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ისიც გითხარი, – ამბობს ჯული და კისერს ატრიალებს, რომ შემომხედოს, – რომ ცოტა უცნაური კია, მაგრამ აქ ყოფნა, რაღაცნაირად, კარგიც არის, არა? თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ოთხჯერ კინალამ შემჭამეს. წლებია, იმდენი დრო არ მქონია, რომ შემძლებოდა უბრალოდ მესუნთქა, მეფიქრა და ფანჯრიდან მეყურებინა. თანაც, საკმაოდ ნორმალური მუსიკალური კოლექცია გაქვს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ქვემოთ იხრება, ერთ გვირილას ხელებს შორის მირჭობს და ხითხითებს. მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ვხვდები, რომ ზუსტად ისე გამოვიყურები, როგორც გარდაცვლილი ძველმოდური დასაფლავებისას. მეხნაკრავივით ვხტები და ჯული სიცილისგან იხევა. თავს ვერ ვიკავებ და ცოტათი მეც ვიღიმი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– და ყველაზე გიჟური იცი რა არის, რ? – ამბობს ჯული, – ზოგჯერ თითქმის არც კი მჭერა, რომ ზომბი ხარ. ხანდახან ვფიქრობ, რომ უბრალოდ სასცენო გრიმს ატარებ, რადგან როცა იღიმი... ძნელია ამის დაჭერება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ისევ ვწვები და ხელებს თავქვეშ ვიდებ. სანამ ჯულის არ ჩაეძინება, დარცხვნილი, სახეზე სიხარულს არ ვიმჩნევ. შემდეგ ნელ-ნელა თავს უფლებას ვაძლევ და ჭერს ვუღიმი, გარეთ კი ვარსკვლავები სიცოცხლეს დასციმციმებენ.<sup>[P]  
[SEP]</sup>



• • • [P]  
[SEP]

მომდევნო დღის ადრიან შუადღეს მისი მშვიდი ფშვინვის ხმა თანდათან წყდება. კვლავ იატაკზე ვწევარ და ველოდები, როდის გაიღვიძებს. წამოჭდომისას სავარძელი მისი სიმძიმისგან იბნიქება. ღრმად ჩაისუნთქავს და ხმადაბლა ოხრავს: [P]  
[SEP]

– რ, – ყოყმანობს. [P]  
[SEP]

– კო. [P]  
[SEP]

– მართალს ამბობენ, იცი? [P]  
[SEP]

– ვინ? [P]  
[SEP]

– ჩონჩხები. მეც დავინახე ის ფოტოები, შენ რომ გაჩვენეს. ალბათ, მართლა ასე მოხდება ყველაფერი. [P]  
[SEP]

ხმას არ ვიღებ. [P]  
[SEP]

– ერთი ჩვენიანი დაიმალა. როცა თქვენ შემოგვიტოეთ, ჩემი მეგობარი ნორა მაგიდის ქვეშ შეძვრა. მან დაინახა, როგორ... დამატყვევე. ჩვენს სამხედროებს, ალბათ, დრო დასჭირდებოდათ იმის დასადგენად, რომელ ბუნაგში წამომიყვანე, მაგრამ მალე გაარკვევენ და მამაჩემი აქაცმოგწვდებათ. მოგკლავს. [P]  
[SEP]

– მე უკვე... მოვკვდი, – ვპასუხობ. [P]  
[SEP]

– არა, არ მომკვდარხარ, – ამბობს და სავარძელში იკალათებს, – წამდვილად არ მომკვდარხარ. [P]  
[SEP]

ცოტა ხნით მის სიტყვებს ვუფიქრდები: [P]  
[SEP]

– შენ... უკან დაბრუნება გინდა. [P]  
[SEP]

– არა, – უარყოფს და თავადვე უკვირს ამ უარყოფის, – იმას

ვგულისხმობ, რომ... ჰო, მინდა, ოღონდ... – ნერვიულად ოხრავს, – არ აქვს მნიშვნელობა, რა მინდა. მაინც უნდა დავბრუნდე. ისინი მოვლენ და დაგხოცავენ. ყველას. [P]  
[SEP]

ისევ არაფერს ვამბობ. [P]  
[SEP]

– მე კი არ მინდა, რომ ჩემ გამო გაგჟლიტონ, გესმის? – საუბრისას თითქოს რაღაც სხვაზე ფიქრობს. იძაბება, ხმა არ ემორჩილება, – ყოველთვის იმას მასწავლიდნენ, რომ ზომბები მხოლოდ და მხოლოდ მოსიარულე გვამები არიან, რომლებიც უნდა ხოცო, თუმცა... შენს თავს შეხედე. მოსიარულე გვამზე უკეთესი ვინმე ხარ, არა? და იქნებ კიდევ არსებობენ შენნაირები? [P]  
[SEP]

შეუვალი გამომეტყველება მაქვს. [P]  
[SEP]

ჯული კვლავ ოხრავს. [P]  
[SEP]

– რ... შეიძლება, თავქარიანობის გამო რომანტიკული გგონია ასე ტანჯვა, მაგრამ დანარჩენ ხალხზეც ხომ უნდა იფიქრო? მაგალითად, შენს შვილებზე? მათი მომავალი ხომ უნდა გადარდებდეს? [P]  
[SEP]

ჩემს ტვინს უჩიჩხინებს, რომ აამუშაოს; იმ გაუკვალავი გზებისკენ ექაჩება, რომელზეც კარგა ხანია, არ უმოგზაურია. თვეობით, წლობითაც რომ მეცხოვრა აქ, ირგვლივ მობორიალე ამ არსებებს ხალხად არასოდეს მოვიხსენიებდი. ადამიანებად კიდევ შეიძლება, მაგრამ ხალხად – არასოდეს. ირგვლივ ჩამონოლილ ნისლში ვჭამთ, გვძინავს და დავხეტიალობთ; იმ მარათონში ვმონაწილეობთ, რომელსაც არც ბოლო უჩანს, არც გამარჯვებულები ჰყავს და არც გულშემატკივრები. ცოტა ხნის წინ ჩემ მიერ ოთხი ჩვენიანის დახოცვას

ამ აეროპორტში მცხოვრები ერთი არსებაც კი არ შეუშფოთებია. საკუთარ თავსაც ისე აღვიქვამთ, როგორც ცოცხლებს: უბრალო ხორცად; უსახელო, უსახო, მარტოსულ ლეშად. მაგრამ ჯული მართალია. მე ვფიქრობ. სულისმაგვარი რაღაც ნამდვილად მაქვს, თუმცა ეს რაღაც სუსტია და უღონო. შეიძლება, მსგავსი რამ, რომლის გადასარჩენადაც ბრძოლა ღირს, სხვებსაც ჰქონდეთ. [P] [SEP]

– კარგი, – ვამბობ, – შენ... უნდა ნახვიდე. [P] [SEP]

მდუმარედ მიქნევს თავს. [P] [SEP]

– ოღონდ... მეც შენთან... ერთად მოვდივარ. [P] [SEP]

იცინის. [P] [SEP]

– სად, სტადიონზე? მითხარი, რომ ხუმრობ. [P] [SEP]

თავს ვიქნევ უარის ნიშნად. [P] [SEP]

– ჰოლო... მოდი, ცოტა ხნით დავფიქრდეთ, კარგი? შენ ზომბი ხარ.

რა კარგად შემონახული და მიმზიდველიც უნდა იყო, მაინც ზომბი ხარ. აბა, თუ გამოიცნობ, რაში ვარჯიშობს კვირაში შვიდი დღის განმავლობაში სტადიონის ყველა ის ბინადარი, ვინც ათ წელს გადააბიჯა? [P] [SEP]

ხმას არ ვიღებ. [P] [SEP]

– მართალი ხარ! ზომბების ხოცვაში. უფრო ნათლად და გასაგებად რომ აგისხნა, ჩემთან ერთად ვერ წამოხვალ იმიტომ, რომ მოგკლავენ. [P] [SEP]

კრიჭა მეკვრება. [P] [SEP]

– მერე? [P] [SEP]

თავს გვერდზე ხრის. სახიდან დამცინავი გამომეტყველება უქრება. ხმა უთრთის: [P] [SEP]

– რა „მერე“? გინდა, რომ მოგკლან? მართლა გინდა? [P] [SEP]

წესით, ახლა მხრებს უნდა ვიჩეჩავდე.. უკვე კარგა ხანია, ყველაფრის პასუხად ასე ვიქცევი, მაგრამ ამ წამს, როცა იატაკზე ვწევარ და იგი ზემოდან შემფოთებული მზერით დამყურებს, ის ნაბავი გრძნობა მეუფლება, რომელიც გუშინ გაღვიძებისას მეძგერა – ერთმანეთში გადახლართული „არას“ და „ჰოს“ გამომხატველი გრძნობა; ანტიჩეჩვა. [P] [SEP]

– არა, – ჭერს მივმართავ, – სიკვდილი არ მინდა. [P] [SEP]

ამის თქმისას ვხვდები, რომ გამართულ საუბარში პირად რეკორდს ვამყარებ. ჭული თავს მიქნევს: [P] [SEP]

– ჰო, ეგ კარგია. [P] [SEP]

ღრმად ვისუნთქავ და ვდგები: [P] [SEP]

– უნდა... მოვიფიქრო, – ვეუბნები, თან თვალს ვარიდებ, – მალე... დავბრუნდები. კარი... ჩარაზე. [P] [SEP]

თვითმფრინავიდან გავდივარ. მისი მზერა მაცილებს და თან მომყვება. [P] [SEP]

• • • [P] [SEP]

ხალხი მაშტერდება. აქამდეც ალმაცერად მიყურებდნენ, მაგრამ იმ უცნაური საქციელის შემდეგ მათთვის კიდევ უფრო ამოუცნობი გავხდი. როცა ოთახში შევდივარ, ყველა ჩერდება და თვალს არ მაცილებს, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ მზერა მთლად არ გასცივებიათ და



საყვედურით სავსე გამოხედვაში დროდადრო აღტაცებაც გამოერევათ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მ-ს დარბაზის ერთ-ერთი ფანჯრის წინ მდგომს ვპოულობ. თავის ანარეკლს ათვალიერებს; თითები პირში შეუნყვია და ლოყებს უჩიჩხინებს. მგონი, ბრძოლის კვალის მოშლას ცდილობს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გაუმარტოს, – ვამბობ და უსაფრთხო მანძილზე ვდგები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯერ მიყურებს, შემდეგ ისევ ფანჯრისკენ ტრიალდება. ზედა ყბაზე ერთი ძლიერი მიწოლა და ყვრიმალის ძვალს ხმამაღალი ჭახანით კვლავ საკუთარ ადგილზე აბრუნებს. ჩემკენ ტრიალდება და ილიმის:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– როგორი... შესახედავია?<sup>[P]  
[SEP]</sup>

გაურკვეველად ვიქნევ ხელს. სახის ნახევარს კიდევ არა უშავს. აი, მეორე ნახევარი კი კვლავ ოდნავ ჩაზნექილია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ოხრავს და ყურადღება მინისკენ გადააქვს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გოგოებს... აღარ მოვეწონები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვიღიმი. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განსხვავებულები ვართ, მ-ს მაინც დიდპატივს ვცემ. ჩემ ნაცნობ ზომბებს შორის ერთადერთია, რომელსაც იუმორის გრძნობის მცირე ნასახი მაინც შემორჩა. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ... შვიდი მარცვალი შეუჩერებლად წარმოთქვა და ჩემ მიერ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ბოდიში, – ვეუბნები, – რომ... გლენე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

არ მპასუხობს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ერთი წუთი... სალაპარაკო... გცალია?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ყოყმანობს. შემდეგ მხრებს იჩეჩს. სკამების უახლოესი წყებისკენ

მიმყავს. ჩაბნელებულ, ანგარდაცვლილ „სტარბაქსში“ (სტარბაქსი – ყავის კაფეების ამერიკული ქსელი.) ვსხდებით. ჩვენ წინ ორი ჭიქა დაობებული ესპრესოა, რომელიც დიდი ხნის წინ დატოვეს მეგობრებმა, ბიზნესპარტნიორებმა თუ ტერმინალში შემთხვევით გაცნობილმა ადამიანებმა, რომელთაც საერთო ინტერესები აღმოაჩნდათ.

– მართლა... ბოდიში, – ვუბნები, – ბოლო დროს... სიფიცხე...

მ კოპებს ყრის:

– რა... გემართება?

– არ... ვიცი.

– ცოცხალი გოგო... მოიყვანე?

– ჰო.

– გა... გაგიჟდი?

– შეიძლება.

– ჰა, როგორია?

– რა?

– სექსი... ცოცხალთან...

გამაფრთხილებლად ვუყურებ.

– მაგარი... ნაშაა. სიამოვნებით...

– მოკვებე.

ფხუკუნებს:

– გეკაიფები.

– ასე... არ ვართ. სხვანაირად... ვართ.

– როგორ... სხვანაირად?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვიზნევი. ვერ ვხვდები, რა ვუპასუხო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– უფრო... ისე...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სახე უაღრესად უსერიოზულდება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა, გიყვარს?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მეც ასე ვფიქრობ და მხრების აჩეჩვის გარდა ვერაფრით ვპასუხობ, თან ვცდილობ, არ გამელიმოს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მ თავს უკან ხრის და მთელი სხეულით გამოხატავს, რომ იცინის. მხარზე მიბაგუნებს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ყოჩაღ... ბიჭო! შეყვარებულია... კაცი!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მასთან ერთად... მივდივარ, – ვეუბნები.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– სად?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– სახლში... მიმყავს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– სტადიონზე?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავს ვუქნევ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– უნდა... დავიცვა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამის გაგონებაზე მ საგონებელში ვარდება და სახე ეღუშება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– პო... ვიცი, – ვოხრავ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გულხელს იკრეფს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა... გემართება? – მეკითხება ხელმეორედ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

და რადგან მე პასუხი ისევ არ მიპოვია, კვლავ მხრების ჩეჩვით ვპასუხობ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კარგად... ხარ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვიცვლები. [P]  
[SEP]

გაუგებრად მიქნევს თავს. გამომცდელი მზერით მათვალაიერებს. მ-სთან ასეთი სერიოზულ საუბარს შეჩვეული არ ვარ. არც მ-სთან და, საქმე საქმეზე თუ მიდგა, არც რომელიმე მკვდართან. თითებში ყავის ჭიქას ვატრიალებ, მთელი გულისყური მის ბუსუსებიან, მწვანე შიგთავსზე გადამაქვს. [P]  
[SEP]

– როცა... ბოლომდე... გაერკვევი, – მეუბნება ბოლოს ისეთი გულწრფელი ტონით, რომლის მსგავსიც მისგან უნინ არასოდეს გამიგია, – გამაგებინე. გაგვაგებინე... [P]  
[SEP]

ველოდები, როდის მოიშორებს ამ სერიოზულ იერს და რამე ხუმრობას დააბრეხვებს, მაგრამ არ ხუმრობს. ამ წყალწალეებულ ეპოქაში მსგავსი გულწრფელობა ნებისმიერი ვინმესგან დიდი იშვიათობაა. [P]  
[SEP]

– კარგი, – ვამბობ. მხარზე ხელს ვუთათუნებ და ვდგები. იმავე უცნაური მზერით მაცილებს, როგორსაც დანარჩენი მკვდრების სახეზე ვაწყდები – განცვიფრებით, შიშითა და ყრუ მოლოდინით აღვსილი თვალებით. [P]  
[SEP]

ჩემი და ჭულის აეროპორტიდან გამოსვლის სცენა საქორწინო ცერემონიასაც წააგავს და სასადილოს რიგსაც. მკვდრები დერეფნებში გამწვრივებულან, რომ ჩვენს გასვლას უყურონ. ყველა მათგანი აქაა. ყველა მოუსვენრად და გაღიზიანებულად გამოიყურება – ამკარად დიდი სიამოვნებით შთანთქავდნენ ლუსის, მაგრამ მაინც ადგილიდან არ იძვრიან და არც ხმას იღებენ. ჭულის ცხარე პროტესტის



მიუხედავად, მ-ს მაინც ვთხოვე, აქედან გავეცილებინეთ. ის რამდენიმე ნაბიჯით უკან მოგვეყვება და ბრბოს საიდუმლო სამსახურის აგენტებით ათვალიერებს. [P]<sub>[SEP]</sub>

არაბუნებრივი სიჩუმე, ხალხით გადავსებული ოთახი, ხალხი, რომელიც არ სუნთქავს – ნამდვილად სიურრეალისტური სანახაობაა. შემიძლია დავიფიცო, რომ ჭულის გულის ბაგაბუგი მესმის. ცდილობს ყოჩაღად და მშვიდად გამოიყურებოდეს, მაგრამ მოუსვენარი თვალები მის მღელვარებას ამჟღავნებს. [P]<sub>[SEP]</sub>

– დარწმუნებული ხარ, რომ სწორად ვიქცევით? – ჩურჩულებს ჭული. [P]<sub>[SEP]</sub>

– კი. [P]<sub>[SEP]</sub>

– აქ ხომ... ასობით მათგანია. [P]<sub>[SEP]</sub>

– უსაფრთხოდ... დაგიცავ. [P]<sub>[SEP]</sub>

– ჰო, ჰო, სრულიად უსაფრთხოდ ვარ, როგორ დამავინყდა, – ხმა თანდათან უწყდება. [P]<sub>[SEP]</sub>

– მართლა, რ... კი მინახავს, როგორ გააძრე ტყავი რამდენიმე მათგანს, მაგრამ თუ გადაწყვიტეს, რომ სადილის მანიშნებელ ზარს ახლავე შემოჰკრან, მათი სუმი ვიქნები. [P]<sub>[SEP]</sub>

– არ... იზამენ, – ვეუბნები საოცრად დამაჭერებლად, – ჩვენ... ახალი ვართ. აქამდე... არ უნახავთ. შეხედე. [P]<sub>[SEP]</sub>

გარსშემოჭარულ სახეებს უფრო ყურადღებით აკვირდება და იმედი მაქვს, იმას ხედავს, რასაც მე. მათთვის ანომალური მოვლენების, ანუ ჩვენ მიმართ, მათი რეაქციები უცნაურ წყებად მოედინება. ვიცი, რომ

გაგვატარებენ, თუმცა ჯული ამაში დარწმუნებული არ ჩანს. მის სუნთქვაში მძიმე ხიხინი გაისმის. თავის ფოსტალიონის ჩანთაში იქექება და ინჰალატორს იღებს, თავსახურს აცლის და პირში იღებს ისე, რომ თვალებს მაინც აქეთ-იქით აცეცებს. [P]  
[SEP]

– ვარგად... იქნები, – ამბობს მ ხმადაბალი ბუბუნით. [P]  
[SEP]

ჯული სწრაფ ამოსუნთქვასთან ერთად ტრიალდება და მ-ს უყურებს.

[P]  
[SEP]

– შენ ვინ ჯანდაბამ გკითხა აბრი, შე გამოსირებულო სისხლიანო სოსისო? იმ საკრეჭით გუშინშუაზე უნდა გადამეხერხე. [P]  
[SEP]

მ ქირქილებს და წარბებანეული მიყურებს. [P]  
[SEP]

– ძალიან... ცოცხალი... ვინმე... დაგითრევია... რ. [P]  
[SEP]

გასასვლელამდე დარჩენილ მანძილს დაბრკოლებების გარეშე ვფარავთ. როდესაც დღის სინათლეზე გავდივართ, მუცელში ნერვიულ ბუილს ვგრძნობ. თავიდან ვფიქრობ, რომ ღია ცის შიშის ბრალია, რომელიც ყველგან და ყოველთვის მანუხებს ხოლმე. ცა ახლაც ჩვენს თავგემოთ ჩამონოლილა ნაცრისფერი და იისფერი ჩრდილების ნაკანრებით და დიდ სიმაღლეზე მოთუხთუხე გროვა ღრუბლებით, მაგრამ ამის ბრალი არაა. ხმის ბრალია. დაბალი, მოჭიკჭიკე ხმა ისმის, თითქოს შეშლილი ბარიტონი საბავშვო სიმღერებს ღიღინებსო. არ ვიცი, უფრო მახვილი სმენა გამიხდა თუ მართლა უფრო ხმამაღლა ისმის, მაგრამ ეს ხმა ჯერ კიდევ მანამდე მესმის, სანამ ჩონჩხები ჩნდებიან. [P]  
[SEP]

– ო, ჯანდაბა, – ჩურჩულებს თავისთვის ჯული. [P]  
[SEP]

ისინი ჩასასხდომი ბონის ორივე კუთხიდან შემოდიან და ჩვენს წინ მწკრივად ლაგდებიან. ამდენი მათგანი ერთად არასოდეს მინახავს. არც კი ვიცოდი, საერთოდ ამდენნი თუ იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს აეროპორტში მაინც. [P]  
[SEP]

– პრობლემა, – ამბობს მ, – გაცოფებულები... ჩანან. [P]  
[SEP]

მ მართალია. მათ ქცევაში რაღაც განსხვავებული შეინიშნება. მათი სხეულის ენა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო გამკაცრებულია. გუშინ ისინი ნაფიც მსაჯულებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ჩვენი საქმის განსახილველად გამოცხადდნენ. დღეს ისინი მოსამართლეები არიან, რომლებმაც განაჩენი უნდა გამოაცხადონ. ან ჭალათები, რომლებმაც განაჩენი უნდა აღასრულონ. [P]  
[SEP]

– მივდივართ! – ვუყვირი მათ, – უკან მიმყავს. რომ აქ... არ მოვიდნენ! [P]  
[SEP]

ჩონჩხები არ რეაგირებენ და არც ინძრევიან. მათი ძვლები თითქოს პარმონიულად აჟღერებენ რაღაც უცნობ, უსიამოვნო ნოტებს. [P]  
[SEP]

– რა... გინდათ? – მათგან პასუხს მოვიტხოვ. [P]  
[SEP]

მთელი წინა რიგი სინქრონულად სწევს ხელს და ჭულისკენ იშვებს. ახალა ვხვდები, როგორი არასწორია ეს ყველაფერი და როგორ ფუნდამენტურად განსხვავებულები არიან ეს არსებები ჩვენგან, დანარჩენებისგან. მკვდრები დაუკმაყოფილებლობის დაბურულ ზღვაში ტივტივებენ. ისინი სინქრონულად არაფერს აკეთებენ. [P]  
[SEP]

– უკან მიმყავს! – ვყვირი უფრო ხმამაღლა და ენის ბორძიკით კიდევ ერთხელ ვცდილობ მშვიდობიან მოლაპარაკებას, – თუ მას...

მოვკლავთ... ისინი მოდიან... ჩვენ... დაგვხოცავენ!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ისინი არ ყოყმანობენ. დრო არ აქვთ, რომ ჩემს ნათქვამზე იფიქრონ. მათი ქმედება წინასწარ განსაზღვრული და დაუყოვნებელია. უნისონში, თითქოს დემონი ბერები ჭოჭოხეთის მწუხრის ლოცვას გალობენო, თავიანთი გულმკერდის ღრუდან იმ თავიანთ ხმას უშვებენ, ამაყი ჩხავილით აცხადებენ საბოლოო განაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხმაში სიტყვები არ ურევია, მაინც ვიგებ, რასაც ამბობენ:<sup>[P]  
[SEP]</sup>

ლაპარაკი ფუჭია. არც მოსმენაა საჭირო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ყველაფერი უკვე გადანყვებილია და ის ვერ ნავა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩვენ მას მოვკლავთ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ყველაფერი ასეა, ყოველთვის ასე იყო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

და ყოველთვის ასე იქნება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჭულის ვუყურებ. კანკალებს. ხელს ვკიდებ და მ-სკენ ვიხედები. თავს მიკრავს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მისი პულისის სითბო ჩემს ყინულივით ცივ თითებს ავსებს და მე გავრბივარ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მარცხნივ ვუხვევთ და ვცდილობთ ჩონჩხების რაზმის კიდეს შემოვუაროთ. როდესაც ისინი ჩემთვის გზის გადასაჭრელად მოიწვევენ, ჩემს ზურგს უკნიდან ხტება, მთელი სხეულით ჩონჩხების ყველაზე ახლომდებარე რიგს ეჭახება და მოგრეხილი კიდურებისა და ერთმანეთში გადაგრეხილი ნეკნების გროვად აქცევს. მათი უჩინარი საყვირის მძვინვარე კვილი ჰაერს კვეთს.<sup>[P]  
[SEP]</sup>



– რას აკეთებ? – ჩემ უკან ექოშინებს ჯული, რომელსაც ხელით ვეჭაჩები. მე მართლა მასზე სწრაფად მივრბივარ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შენ... უსაფრთხოდ... გიც...<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არ გაბედო იმის თქმა, თითქოს მე მიცავ, – ყვირის ჯული, – ეს ისევეა უსაფრთხო, როგორც...<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული კივის, რადგან მხარზე ძვლადქცეული ხელი ხვდება და ღრმად ესობა. ჩონჩხის ყბები იხსნება და გოგოს კისერში სალი ეშვების ჩასობისთვის ემზადება, მაგრამ მომხდურს ხერხემალში ხელს ვავლებ და ჯულის ვაშორებ. ბეტონზე რაც შემოძლია ძლიერად ვანარცხებ, მაგრამ არც შეჭახების და არც ძვლების მსხვრევის ხმა არ გაისმის. ჩონჩხი, თითქოს მიზიდულობის ძალამ დაამარცხაო, თითქმის ჰაერში გამოკიდებული ჩერდება, მისი ნეკნთა რკალი ოდნავ ეხება მიწას, შემდეგ კი ისევ ფეხზე იმართება და ჩემკენ შეუპოვარი, უკვდავი მწერივით მოექანება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მ! – ყვირი განწირული ხმით, როცა მტერი ყელში მიჭერს, – დამეხმარე!<sup>[P]  
[SEP]</sup>

მ თავისი ხელებიდან, ფეხებიდან და ზურგიდან ჩონჩხების ჩამოშორებითაა დაკავებული, თუმცა მისი ზომისა და მასის დიდი უპირატესობის წყალობით ფეხზე მაინც მყარად დგას. სანამ ჩემით ვწვალობ და ვცდილობ, ჩონჩხის თითები ჩემს თვალებამდე არ მოვუშვა, მ მოლასლასებს, ჩემს მტერს ხელში სწევს, ტრიალდება და სხვა სამ ჩონჩხს ესვრის, რომლებიც უკნიდან აპირებდნენ თავდასხმას.

– ნადი! – ყვირის და წინ მიბიძგებს, შემდეგ მდევართან დასაპირისპირებლად ბრუნდება. ჭულის ხელს ვავლებ და სამიზნისკენ გავრბივართ. როგორც იქნა, ჭულიც ხედავს მას:მერსედესი. [P]  
[SEP]

– აჰ! – ამბობს ქოშინით, – კარგი. [P]  
[SEP]

მანქანაში ვხტებით და ძრავს ვქოქავ. [P]  
[SEP]

– აჰ, მერსი... – ჭული სალონს ისე უსვამს ხელს, თითქოს თავის საყვარელ შინაურ ცხოველს ეფერებაო, – ახლა ისე მიხარია შენი ნახვა. [P]  
[SEP]

სიჩქარის გადართვის შემდეგ პედალს ვანვები და წინ მივქრით. რატომღაც, მანქანის მართვა ახლა ადვილი ჩანს. [P]  
[SEP]

მ ბრძოლას შეეშვა და ახლა უბრალოდ თავის გადასარჩენად გარბის, უკან კი ჩონჩხების ბრბო გამოდევნებია. ასობით ზომბი გასასვლელ ზონაში დგას და ამ ყველაფერს ჩუმად ადევნებს თვალს. რას ფიქრობენ? საერთოდ, ფიქრობენ? არის რამე შანსი, რომ რაიმე რეაქცია გამოავლინონ მათ თვალწინ დატრიალებულ ამ ამბავზე, მათ მყარად დანესებულ ცხოვრების წესში მომხდარ უეცარ ანარქიულ აფეთქებაზე? [P]  
[SEP]

მ ბუსტად ჩვენი გასასვლელის პირდაპირ გარბის და მე სიჩქარის პედალს ვანვები. მ ჩვენ წინ კვეთს გზას, მას გამოდევნებული ჩონჩხებიც ჩვენ წინ კვეთენ გზას, შემდეგ კი გერმანული წარმოების ოთხი ათასი ფუნტი მათ მყიფე, გაძვალეებულ სხეულებს ეჯახება. ანატომიური წარმონაქმნები ყველა მიმართულებით მიფრინავენ. ორი ბარძაყის ძვალი, სამი ხელი და ნახევარი თავის ქალა მანქანაში ეცემა,

სადაც ვიბრირებას განაგრძობენ, სავარძლებზე იგრიხებიან და მწერების მსგავსად ბზუიან. ჭული ყველა მათგანს სასწრაფოდ გარეთ ყრის, ხელებს ნაჩქარევად ინმენდს სვიტერზე და თან ჟრიალით სლუკუნებს: [P]  
[SEP]

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. [P]  
[SEP]

მაგრამ საფრთხე უკვე აღარ გვემუქრება. ჩამომსვლელთა შესასვლელის გვერდით ჩაქროლები შემდეგ ასაფრენ ბილიკზე და ფართო სამყაროში გავდივართ, ამასობაში კი ჩვენ ზემოთ საავდრო ღრუბლები იკრიბება. ჭულის ვუყურებ. ის მე მიყურებს. ორივე ვიღიმი, როდესაც წვიმის პირველი წვეთები სახებზე გვეცემა. [P]  
[SEP]

ათ ნუთში თავსება იწყება. ვილუმპებით. გადასახდელსახურავიანი მანქანა ასეთი ამინდისთვის ნამდვილად არაა შექმნილი. ვერცერთი ვერ ვხვდებით, როგორ უნდა გადმოვაფართოთ სახურავის ნაწილი, ამიტომ ხმისამოუღებლად მივქრევართ და თავზე კოკისპირულად გვანვიმს. არ ვწუნუნებთ. ვცდილობთ, სიმხნევე შევინარჩუნოთ. [P]  
[SEP]

– იცი, საით უნდა წავიდეთ? – ოცი ნუთის სიარულის შემდეგ მეკითხება ჭული. სახებზე აწეწილი თმა მიჰკრობია. [P]  
[SEP]

– ჰო, – ვეუბნები. ნაცრისფრად ჩამუქებული ჰორიზონტისკენ მიმავალ გზას გავყურებ. [P]  
[SEP]

– დარწმუნებული ხარ? მე აზრზე არ ვარ და იმიტომ გეკითხები. [P]  
[SEP]

– ძალიან... დარწმუნებული. [P]  
[SEP]

აჭობებს, არ აფუხსნა, ასე კარგად რატომ ვიცი აეროპორტსა და ქალაქს შორის გამავალი გზა. ჩვენი სანადირო გზაა. ჰო, იცის, ვინც

ვარ და რასაც ვაკეთებ ხოლმე, მაგრამ რა აუცილებელია, შევახსენო? უკეთესი იქნება, ამ გასეირნებით დავტკბეთ და რაღაც-რაღაცები ცოტა ხნით მივივინყოთ. ჩემს მზიან ოცნებებში არც ისაა ჯერ სულმთლად ნორჩი გოგო და არც მე – მოსიარულე გვამი. არც ამ თავსხმაში გვინევს გზის გაკვლევა. წარმოვიდგენ, რომ ფრენკი და ავა(ფრენკი და ავა – იგულისხმება ცნობილი ნევილი ფრენკ სინატრა და ავა გარდნერი.) ვართ, სოფლის გზაზე მივქრევართ და ჩვენს მგზავრობას მუსიკალურად აფორმებს დაფხაჭნილ ვინილის ფირფიტაზე ჩანერილი საორკესტრო მუსიკა.<sup>[P SEP]</sup>

– ხომ არ გავჩერდეთ და ვინმეს გზის ჩვენება ვთხოვოთ?<sup>[P SEP]</sup>

ვუყურებ. შემდეგ ჩვენ ირგვლივ მიმოფანტულ ჩამოშლილ შენობებს ვათვალიერებ, რომლებიც საღამოს ბინდში შავად მოჩანან.<sup>[P SEP]</sup>

– ვხუმრობ, – ამბობს. ნვიმისაგან გადახლართული თმის ქვეშ თვალები უელავს. სავარძლის ზურგს ეყრდნობა და ხელებს კეფაზე ინყოფს, – რომ მოიქანცები და დასვენებას გადაწყვეტ, გამაგებინე. გადალრძეებული დედაბერივით ატარებ.<sup>[P SEP]</sup>

• • •<sup>[P SEP]</sup>

ფეხებთან წელის გუბეები გვიგროვდება. ჭულის ცოტა აკანკალებს. გაბაფხულის თბილი საღამო კია, მაგრამ ნვიმამ გალუმპა; ძველი, თავახდილი როდსტერის სალონში კი შემხვედრი ქარისაგან ამოვარდნილი ციკლონი ტრიალებს. მანქანა მთავარი გზიდან გადამყავს და სასაფლაოსავით გარინდული გარეუბნისკენ ვიღებ გვბს. ჭული შეკითხვით სავსე თვალებით მიმზერს. მესმის, კბილს კბილზე



როგორ აცემინებს.<sup>[P SEP]</sup>

ნელა მივუყვები ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივებულ სახლებს. დამის გასათევად შესაფერის ადგილს ვეძებ. ბოლოს ერთ ჩიხში ვუხვევ და დაჟანგული პლიმუთ ვოიაჯერის გვერდით ვაყენებ. ჯულის ხელს ვკიდებ და უახლოესი სახლისკენ მიმყავს. კარი ჩაურაზავთ, მაგრამ გამომშრალ-გამომშალი ხე წიხლისკვრას იოლად ნებდება. დიდი ხნის წინ გარდაცვლილი რომელიღაც ოჯახის მოთბო, მყუდრო ბუდეში შევდივართ. მთელ სახლში ძველებური, ნავთზე მომუშავე ლამპიონები დაუყენებიათ. ჯული ანთებს და ისინიც უცნაურ, შვებისმომცემ სინათლეებად იწყებენ ციმციმს. ჯული სამზარეულოსა და სასტუმრო ოთახში მიმორბის, სათამაშოებს, ჭურჭლეულსა და ერთმანეთზე დახვავებულ ჟურნალებს ათვალიერებს. პლუმის კოალას იღებს და თვალებში ჩაჰყურებს. „სახლი, თბილი სახლი“, ბუტბუტებს.<sup>[P SEP]</sup>

თავის სამგზავრო ჩანთას ბლუჯავს, პოლაროიდის კამერას იღებს, ჩემკენ მომართავს და აჩხაკუნებს. ამ სიბნელეში აპარატის სინათლე ისე ელავს, შეიძლება ელდა გეცეს. ჩემი შემფოთებული სახის დანახვისას ჯული იცინის და კამერას მალლა სწევს.<sup>[P SEP]</sup>

– გეცნობა? შენს ჩონჩხებს მოვპარე. პირდაპირმათი შეხვედრების ოთახიდან ავნაპნე გუშინ დილით, – გასამჟღავნებელ ფოტოს მინვდის, – ფირზე რალაცების აღბეჭდვა მნიშვნელოვანი გახდა, იცი? მით უმეტეს, ახლა, როცა მსოფლიო ნელ-ნელა იღუპება.<sup>[P SEP]</sup>

ობიექტივში იჭყიტება და მთელ ოთახს ისე ათვალიერებს.<sup>[P SEP]</sup>

– რასაც ხედავ, შეიძლება, მეტჯერ ვეღარც ნახო.<sup>[P SEP]</sup>

ფირს ჰაერში ვიქნევ. მასზე აღბეჭდილი მოჩვენება თანდათან მკვეთრ მოხაზულობას იძენს. მე ვყოფილვარ, რ, გვამი, რომელიც ფიქრობს, რომ ცოცხალია. ფოტოდან ჩემივე თავი შემომყურებს დაჭყეტილი, რუხი თვალებით. ჯული კამერას მიწვდის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არასოდეს მოიშორო და ყოველთვის გადაიღე სურათები. ამ კამერით თუ არა, გონებით მაინც. თუ გულით მოინდომებ და რამეს ყურადღებით დაიმახსოვრებ, ასეთი მოგონება ყოველთვის უკეთ გაგახსენდება, ვიდრე გონებაში შემთხვევით ჩაჭედილი, – პოზიორობს და მიცინის, – ბეეე!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ფოტოს ვუღებ. ფირი გარეთ მოსრიალებს. მის ასაღებად ხელს იწვდის, მაგრამ აპარატს განზე ვწევ და ზურგს უკან ვმაღავ. თავისი სურათის ნაცვლად ჩემსას ვაძლევ. თვალებს ატრიალებს, მართმევს და გვერდზე თავგადახრილი ათვალიერებს: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არა გიშავს. მგონი, წვიმამ ცოტა გაგასუფთავა კიდევ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ფოტოს სახიდან შორს იჭერს და ცოტა ხანს ალმაცერად უყურებს: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რატომ გაქვს ასეთი თვალები? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ფრთხილად ვეკითხები: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ასეთი... როგორი? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– უცნაურად ნაცრისფერი. მკვდრის თვალებს ნამდვილად არ ჰგავს. არც დანისლულია და არც არაფერი. რატომ გამოიყურებიან ასე? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

საგონებელში მაგდებს: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ ვიცი. ალბათ... მოქცევისას... ასე მოსდის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ისე ჭიქურ მიყურებს, რომ შემინებული ვიკუნტები: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შემადრწუნებელია, – ამბობს, – გებუნებრივს ჰგავს. თითქმის გებუნებრივს. დროდადრო ფერსაც ხომ არ იცვლის ხოლმე? მაგალითად, როცა ვინმეს კლავ ან რამე ეგეთი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვცდილობ, არ ამოვიოხრო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მგონი... შენ... ვამპირებზე ამბობ. <sup>[P]  
[SEP]</sup>

– ა, ჰო, ჰო, – იცინის, შემდეგ კი თავს ნალვლიანად მიქნევს, – ოღონდ, ისინი სინამდვილეში არ არსებობენ. ჯერ არა. ამ ბოლო დროს სხვადასხვაგვარი საზარელი არსება ისე მომრავლდა, ყველას ვერც ვამჩნევ. <sup>[P]  
[SEP]</sup>

განაწყენებასაც კი ვერ ვასწრებ, რომ მიყურებს და მიღიმის.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– თუმცა... მე მომწონს. შენს თვალებს ვგულისხმობ. ლამაზია. შემადრწუნებელი... მაგრამ ლამაზი. <sup>[P]  
[SEP]</sup>

ალბათ, ეს ყველაზე დიდი ქათინაურია, რაც მკვდრად ყოფნისას მიმიღია. ჯული ღიღინ-ღიღინით მიემართება სახლის დასათვალიერებლად და ჩემს გამტერებულ სახეს ყურადღებას არ აქცევს. <sup>[P]  
[SEP]</sup>

•••<sup>[P]  
[SEP]</sup>

გარეთ ქარიშხალი ბობოქრობს. დროდადრო ჭექა-ქუხილიც გაისმის. ბედს მადლობას ვწირავ, რომ სახლის ფანჯრებს არაფერი სჭირთ. სხვა სახლების უმეტესობაში შუშები ჩამტვრეული იყო. ზოგი ქურდებმა ჩაღწეს, ზოგი – მონადირეებმა. მეზობელ გაზონებზე ტვინგასხმული ზომბების გვამებს მოვკარი თვალი. იმედია, ჩვენმა მასპინძლებმა ცოცხლად გააღწიეს და რომელიმე სტადიონს შეაფარეს

თავი. ან სულაც, სადმე, მთებში, კარგად გამაგრებულ სამოთხეში მოხვდნენ, რომლის მარგალიტებით მოჭედილი ტიტანის კართან მგალობელი ანგელოზების გუნდი შეეგებათ...<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

სანამ ჯული სახლში დაძვრება, მისაღებ ოთახში ვზივარ და წვიმის ნკაპუნს ვუსმენ. ის ცოტა ხანში ბრუნდება, თან მთელი ბლუჯა მშრალი ტანსაცმელი მოაქვს და დივანზე ყრის. დაახლოებით ათი ზომით დიდ ჭინსის შარვალს ირჩევს:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რას იტყვი? – მეკითხება და შარვალს წელს ამომებს, – ხომ არ მასუქებს?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ამ შარვალსაც დივანზე აგდებს და ტანსაცმლის გროვაში ეფლობა. რაღაც ერთიან ნაჭერს იღებს, რომელიც კაბა ყოფილა:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ხვალ თუ ტყეში დავიკარგებით, ამას კარავივით გავჭიმავ. ღმერთო, როგორ გაუმართლა რომელიღაც ზომბის, რომ ამის პატრონისნაირი მსუყე ლუკმა ერგო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

თავს ვაქნევ და ამრეზილ სახეს ვიღებ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რა იყო, მსუქნებს არ ერჩით?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ქონი... უსიცოცხლოა. ზედმეტი. ჩვენ... ხორცი გვჭირდება.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

იცინის:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მელომანობასთან ერთად აზიზი მჭამელიც ყოფილხარ! – ტანსაცმელს ცალი კუთხისკენ აგროვებს და ოხრავს, – კარგი, მეყოფა. გადავიღალე. იქ ერთი საწოლი დგას, ძალიან ობმოდებულიც არაა; შეიძლება ღამის გატარება. ნავალ, დავიძინებ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ერთ ბენო დივანზე ვკალათდები. საკუთარ ფიქრებთან მთელი



ღამით მარტო დასარჩენად ვემზადები, თუმცა ჯული არ მიდის. საძინებლის კართან დგას და კარგა ხანს მიყურებს. მისი ასეთი მზერა აქამდეც მინახავს; თავს ვიმხნევებ, რომ რასაც უნდა მოასწავებდეს, ყველაფრისთვის მზად ვარ. [P]  
[SEP]

– რ... – ამბობს, – ხალხის შეჭმა... აუცილებელია? [P]  
[SEP]

გულში ვოხრაგ. ძალიან დამღალა ამ უტიფარმა შეკითხვებმა, მაგრამ ჩემნაირ ურჩხულებს იმის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რომ როდისმე მოსვენებას მისცემენ. [P]  
[SEP]

– ჰო. [P]  
[SEP]

– თორემ მოკვდები? [P]  
[SEP]

– ჰო. [P]  
[SEP]

– ამის მიუხედავად, მე მაინც არ შემეჭამე. [P]  
[SEP]

არაფერს ვპასუხობ. [P]  
[SEP]

– შენ მე გადამარჩინე. სულ მცირე, სამჯერ. [P]  
[SEP]

ნელა ვუქნევ თავს. [P]  
[SEP]

– ჩემთან შეხვედრის მერე არავინ შეგიჭამია, არა? [P]  
[SEP]

გონებას ვძაბავ, კოპებს ვკრავ. ვიხსენებ. მართალს ამბობს. თუმორჩენილი ტვინის ერთ-ორ ლუკმას არ ჩავთვლი, მასთან შეხვედრის შემდეგ გასტრონომიული ცელიბატის პერიოდი მიდგას. [P]  
[SEP]

მისთვის დამახასიათებელი ცალყბა ღიმილი დასთამაშებს. [P]  
[SEP]

– თითქოს... იცვლები. ხომ ასეა? [P]  
[SEP]

ისევ ჩუმად ვარ. როგორც ყოველთვის. [P]  
[SEP]

– კარგი, ღამე მშვიდობის, – ამბობს და საძინებლის კარს ხურავს.

დივანზე ვწევარ და ჩამოჯონილი წყლისგან დალაქავებულ ჭერს შევცქერო.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– რა გემართება? – აეროპორტის სტარბაქსში მიტოვებული დაობებული ყავის ჭიქების ზემოთ მ-ს ვხედავ, – კარგად ხარ?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ჰო, უბრალოდ ვიცვლები.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– როგორ იცვლები? თუ ყველანი ერთნაირი ცარიელი ფურცლიდან ვინყებთ, შენ რა გიბიძგებს სხვაგვარი მოქცევისკენ?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– შეიძლება, სულაც არაა ჩვენი სანყისი ფურცელი ცარიელი და ძველი ცხოვრების გამოძახილითაა შეფერადებული.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ჰო, მაგრამ იმ ცხოვრებიდან აღარაფერი გვახსოვს. ჩვენივე შექმნილ დღიურებს ველარც კი ვკითხულობთ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– არ აქვს მნიშვნელობა. ახლა იქ ვართ, სადაც ვართ. ამას ვერაფერს ვუშველით. იმაზე ფიქრი, აქ როგორ მოვხვდით, უაზროა. მთავარი ისაა, საით გადავწყვეტთ წასვლას.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ნუთუ ამის არჩევა შესაძლებელია?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– არ ვიცი.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ჩვენ მკვდრები ვართ. მართლა გგონია, რომ რამის არჩევის უნარი შეგვრჩა?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ალბათ. ოღონდ, ძალიან უნდა მოვინდომოთ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

წვიმის წვეთები სახურავს დოლივით ახმიანებს. ჭერში ძველი ფიცრები ჭრიალებს. სავარძლის გაცვეთილი ბალიშებიდან ამოჩრილი გამბარები მჩხვლეტენ. ჩემს გარდაცვალებისშემდგომ მოგონებებს

ვჩხრევ, რათა გავიხსენო, ბოლოს როდის გავძელი ამდენი ხანი უჭმელად. უეცრად ვამჩნევ, რომ ჭული ისევ ზღურბლზე დგას. გულხელი დაუკრეფია და თეძოთი კარის ჩარჩოს ეყრდნობა. ტერფით მოუსვენრად აბაკუნებს იატაკზე. [P]  
[SEP]

– რა იყო? – ვეკითხები. [P]  
[SEP]

– რა და... – ამბობს, – ვიფიქრე... სანოლი უზარმაზარია, ჰოდა, ვიფიქრე, თუ გინდა... თუ იქ დანვები, არ შემანუხებ. [P]  
[SEP]

წარბებს სულ ოდნავ ზევით ვწევ. ის ნითლდება. [P]  
[SEP]

– მომისმინე, მხოლოდ და მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ სანოლის ნახევრის დათმობაზე უარს არ გეტყვი. ეს ოთახები რაღაც დამთრგუნველად მოქმედებს; არ მინდა ძილის დროს მისის სპრატის(მისის სპრატი – ინგლისური საბავშვო სიმღერის მსუქანი პერსონაჟი.) მოჩვენება დამატყდეს თავს. თან იმის გათვალისწინებით, რომ უკვე ერთი კვირაა შხაპი არ მიმიღია, დაახლოებით ერთნაირი სუნი გვექნება და ბარი-ბარში ვიქნებით, – ცალ მხარს ზემოთ წევს, „როგორც გინდას“ ნიშნად, და საძინებლის სიღრმეში უჩინარდება. [P]  
[SEP]

რამდენიმე წუთს ვიცდი. შემდეგ, ჩემდა გასაკვირად, ვდგები და მასთან მივდივარ. უკვე წევს, ემბრიონის მსგავსად მოკეცილა და საბანი მჭიდროდ ამოუკეცია. ფრთხილად ვწვები მისგან ყველაზე დაშორებულ ადგილას. ყველა საბანი თავისკენ გადაუნყვია, მაგრამ არა უშავს – მე გათბობა მაინც არ მჭირდება. ჩემი ტემპერატურა არასოდეს განსხვავდება გარემო ტემპერატურისგან. სამაგიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ ამ მდიდრულ საბნებში გახვეულა, ჭულის

მაინც აკანკალებს. [P  
SEP]

– ეს ტანსაცმელი... – ბუტბუტებს. მერე დგება, – ერთი ამისიც! – თვალს მავლებს, – ეს ტანსაცმელი გასაშრობად უნდა გადავფინო. არ... გადაირიო, კარგი? [P  
SEP]

ჩემგან ბურგშექცევითაა. სველ ჭინსს იძრობს. მაისურსაც. სიცივისაგან ბურგზე კანი თეთრ-ლურჯად აჭრელებია. ზუსტად ჩემნაირი შეფერილობა აქვს. დანიზნკლული ლიფისა და კუბოკრული ტრუსისამარა გარბის, სველ სამოსს საშრობზე ფენს, შემდეგ სწრაფად გამორბის უკან, საბანში ძვრება და იკუნტება. [P  
SEP]

– ღამე მშვიდობისა, – მეუბნება. [P  
SEP]

თავქვეშ ხელებამონყობილი ჭერს ვუყურებ. ორივენი სანოლის კიდეში ვწევართ. ჩვენ შორის ოთხი ფუტი(ოთხი ფუტი = დაახლოებით 120 სანტიმეტრს.) მაინცაა. მგონია, რომ მხოლოდ ჩემი ამაზრბენი თვისებების გამო როდი იჩენს ამდენ სიფრთხილეს. ვხვდები, არა აქვს მნიშვნელობა, მკვდარი ვარ თუ ცოცხალი, უნარო თუ ვნებააშლილი; მისთვის მე მაინც მამაკაცი ვარ. შეიძლება, ჰგონია, რომ მეც ზუსტად ისე მოვიქცევი, როგორც ღამაზი გოგოს გვერდით მწოლიარე ნებისმიერი კაცი მოიქცეოდა; ფიქრობს, რომ მისგან რამის გამორჩენას ვეცდები; ან, ბოლოს და ბოლოს, მის შესაჭმელად გავინევ. ჰო, ოღონდ მაშინ რატომ მომიხმო აქ დასანოლად? გამოცდას მიწყობს? მე თუ საკუთარ თავს? რა ამოუხსნელმა ძალამ ჩააგონა, რომ ასეთ რისკზე წასულიყო? [P  
SEP]

ვუსმენ, ჩაძინებულს როგორ უმშვიდდება სუნთქვა. მისმა შიშებმაც



ჩათვლიმეს და რამდენიმე საათის შემდეგ ჩემკენ ბრუნდება. ჩვენ შორის არსებული დაშორება თითქმის გაქრა. ჩემკენ პირშექცეულს სძინავს. მისი წყნარი ფშვინვა ყურთან მილიტინებს. ამ წამს რომ გაეღვიძოს, ნეტავ, კვილს თუ ატებს? როდესმე მოვახერხებ დავარწმუნო, რომ ჩემ გვერდით არაფერი ემუქრება? მასთან სიახლოვე მოკვლისა და შეჭმის ინსტინქტებისგან განსხვავებულ, ყოვლისმომცველ და თავბარდამცემ გრძნობებს აღმიძრავს. ერთადერთი, რაც მსურს, მის გვერდით ყოფნაა. ვოცნებობ, რომ ოდესმე თავს მკერდზე მომაყრდნობს, მშვიდად ამოისუნთქავს და დაიძინებს.<sup>[56]</sup>

ზომბი ფილოსოფოსებს ნამდვილად უჩვეულო თავსატეხს ვუჩენ: რით აიხსნება, რომ ჩემი წარსული ბინდშიაგახვეული, მაგრამ აწმყო – ბრწყინვალე შარავანდედში, რომლიდანაც უამრავი ფერი და მელოდია იღვრება? სიკვდილისშემდგომი მოგონებები ძველი ხმისჩამწერის წყალობით შემონახულ ჩანაწერებს წააგავს – ვერაფერს ვარჩევ, ყველაფერი ბუნდოვანია და იოლად იმლება მეხსიერებიდან; თუმცა უკანასკნელი დღეების თითოეული საათი ძალიან ცხადად მახსოვს და ყოველ მოგონებას თვალის ჩინივით ვუფრთხილდები. რამ გამოიწვია ასეთი სიცხადე? ასეთი მკაფიოობა? ჭულისთან შეხვედრის წამიდან მოყოლებული, ნათლად მახსოვს, რა გზაც გამოვიარეთ, ვიდრე ამ აკლდამისებურ საძინებლამდე მოვალწევდით. მიუხედავად იმისა, რომ მილიონობით მოგონება უსარგებლო ნაგავივით მოვისროლე და მიმოვფანტე, თავს დავდებ, რომ მასთან შეხვედრა

მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება მემახსოვრება. [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

ჯერ კიდევ არ გათენებულა; გულაღმა ვწევარ და თუმცა სინამდვილეში დასვენება სულაც არ მჭირდება, მოულოდნელად ჩემი თვალების უკან დამალული კინოფირიდან სიზმრის ციმციმი იწყება. თუმცა ეს ნამდვილი სიზმარი კი არა, ხილვაა, ისეთი მკვეთრი და ნათელი, როგორსაც ჩემი უსიცოცხლო ტვინი ვერაფრით წარმოშობდა. ჩვეულებრივ, მეორად მოგონებებს სისხლისა და ნეირონების გემო უსწრებს ხოლმე წინ, თუმცა დღეს ასე არაა. ამალამ თვალებს ვხუჭავ და შუალამისეული მოულოდნელი წარმოდგენა თავისით იწყება. [P]  
[SEP]

გახსნის სცენა – სადილი. გრძელ, ლითონის მაგიდაზე მოკრძალებული სუფრაა გაშლილი. ბრინჯისა და ლობიოს ჯამები, სელის ოთხკუთხა პური. [P]  
[SEP]

– გმადლობ, უფალო, რომ მოგვეც საკვები, – ამბობს მაგიდის თავში მჯდომი კაცი, რომელსაც ხელები სალოცავად გადაუჭდვია, თუმცა თვალები გახელილი აქვს, – გვიკურთხე საბრძოლვეს. ამინ. [P]  
[SEP]

ჯული გვერდით მჯდომ ბიჭს იდაყვს ჰკრავს და მაგიდის ქვეშ ბარძაყზე ხელს ავლებს. ბიჭი პერი კელვინია. ისევ პერის გონებაში ვარ. მისი ტვინი აღარ არის, მისი სიცოცხლე აორთქლდა და გაქრა... მაგრამ ის მაინც აქაა. ნუთუ ეს ქიმიური მოგონებებია? ნუთუ მისი ტვინის ნარჩენები ჯერ კიდევ იხსნება ჩემი სხეულის სხვადასხვა ნაწილებში? ან იქნებ მართლა თვითონ ისაა? როგორღაც, რაღაც მიზეზის გამო მაინც ებლაუჭება აქაურობას? [P]  
[SEP]

– აბა, პერი, – ეუბნება ჯულის მამა პერის, ანუ მე, – ჯული ამბობს, რომ მიწათმოქმედებას ეწევი. [P]  
[SEP]

ბრინჯს ვყლაპავ. [P]  
[SEP]

– დიახ, სერ, გენერალო გრიჯო, მე... [P]  
[SEP]

– ყაზარმაში არ ვართ, პერი, ვსადილობთ. შეგიძლია უბრალოდ მისტერ გრიჯო დამიძახო. [P]  
[SEP]

– გასაგებია, კარგი, სერ. [P]  
[SEP]

მაგიდასთან ოთხი სკამია. ჯულის მამა მაგიდის თავში ზის, მე და ჯული კი მისგან მარჯვნივ, გვერდიგვერდ ვსხედვართ. მაგიდის მეორე ბოლოში სკამი ცარიელია. ჯული მხოლოდ იმას მეუბნება, რომ თორმეტი წლის იყო, როცა დედამისი წავიდა. მიუხედავად ჩემი არაერთი მოკრძალებული მცდელობისა, მეტს ვერაფერს ვაცდენინებ მაშინაც კი, როდესაც ჩემს შეტყუებულ საწოლებში შიშვლები ვწევართ ქანცგამოცლილები, ბედნიერები და ისეთი დაუცველები, როგორიც ნებისმიერი წყვილი შეიძლება იყოს. [P]  
[SEP]

– ამჟამად დათესვაზე ვმუშაობ, – ვეუბნები ჯულის მამას, – მაგრამ მგონია, რომ მალე დამაწინაურებენ. მოსავლის აღების ბედამხედველობას ვუმიზნებ. [P]  
[SEP]

– გასაგებია, – ამბობს კაცი და ჩაფიქრებული თავს აქნევს, – ცუდი სამუშაო ნამდვილად არაა... მაგრამ მაინტერესებს, მამაშენს რატომ არ უერთდები მშენებლობაზე? დარწმუნებული ვარ, იმ უმნიშვნელოვანეს დერეფანზე მუშაობისთვის დამატებითი ახალგაზრდები გამოადგება. [P]  
[SEP]

– უკვე მთხოვა, მაგრამ, ამმმ... არ ვიცი, უბრალოდ მგონია, რომ ამჟამად მშენებლობა საჩემო ადგილი არ არის. მცენარეებთან მუშაობა მართლა მომწონს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მცენარეებთან, – იმეორებს კაცი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენს დროში, ჩვენს ეპოქაში რალაცების გაზრდას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ნიადაგი ისეთი გამოფიტულია, მისგან რაიმეს გამოდნობა ძნელია, მაგრამ საბოლოოდ ძლიერ კმაყოფილებას გრძნობ, როცა რუხი ხრიოკიდან ამონვერილ სიმწვანეს ხედავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მისტერ გრიჭო ღეჭვას წყვეტს; სახეზე არაფერი ანერია. ჭულის მოუსვენრობა ემჩნევა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გახსოვს, ჯერ კიდევ აღმოსავლეთში ცხოვრებისას, მისაღებ ოთახში რომ პატარა ბუჩქი გვედგა? – ამბობს ჭული, – პატარა, წვრილ ხეს რომ ჰგავდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– კი, მახსოვს... – პასუხობს მამამისი, – რა იყო?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ძალიან გიყვარდა. ისე ნუ იქცევი, თითქოს მებაღეობა საშენო საქმე არ არის.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ის დედაშენის მცენარე იყო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მაგრამ შენც გიყვარდა, – შემდეგ ჩემკენ ტრიალდება, – ჰოდა, მამა ადრე ინტერიერის დიზაინერი იყო, გინდ დაიჯერე, გინდ არა; ჩვენი ძველი სახლი სულ თანამედროვე შუშითა და მეტალით ჰქონდა მორთული იკვას გამოფენასავით. დედას იქაურობის ატანა არ ჰქონდა – ყველაფერი ბუნებრივი, ნატურალური უნდოდა, კანაფისა და ხისგან



დამზადებული...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მისტერ გრიჭოს სახე დაეძაბა. ჭული ან ვერ ამჩნევდა, ან არ აინტერესებდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ...ჰოდა, ამის საპასუხოდ, დედა ამ გაფოთლილ, მწვანე ბუჩქს ყიდულობს, უბარმაზარ დანნულ ქოთანში რგავს და პირდაპირ მამაჩემის იდეალურად გადათეთრებული და მოვერცხლილი მისაღები ოთახის შუაში დგამს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჭული, ის ჩემი მისაღები ოთახი არ ყოფილა, – აწყვეტინებს მამამისი, – როგორც მახსოვს, ავეჯის თითოეული დეტალის შერჩევასა ოჯახში გამოკითხვას ვატარებდით და შენ მუდამ ჩემს მხარეს იჭერდი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მამა, მე სულ რაღაც რვა წლის ვიყავი და ალბათ, თავს ვარწმუნებდი, რომ კოსმოსურ ხომალდში ვცხოვრობდით. ჰოდა, რას ვამბობდი... დედა ამ ბუჩქს ყიდულობს და შემდეგ ამაზე მთელი კვირა კამათობენ – მამა ამტკიცებს, რომ ბუჩქი „შეუფერებელია“, დედა აცხადებს, რომ ან ბუჩქი დარჩება, ან თვითონ წავა...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჭული წამიერად ყოყმანობს. მამამისის სახე კიდევ უფრო იძაბება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ეს ყველაფერი გარკვეულ ხანს გაგრძელდა, – აგრძელებს ჭული, – მაგრამ შემდეგ დედამ თავისი ნამდილი ბუნება გამოავლინა, რაღაც სხვაზე გადაერთო და ბუჩქს აღარ რწყავდა. ჰოდა, როცა ბუჩქმა გახმობა დაიწყო, იცი საწყალ მცენარეს მხსნელად ვინ მოევლინა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ ვაპირებდი, რომ მისაღები ოთახის შუაში მკვდარი ბუჩქი

მქონოდა. ვინმეს უნდა მიეხედა. [P]  
[SEP]

– მამა, ყოველდღე რწყავდი. უვლიდი და მინას უფხვიერებდი. [P]  
[SEP]

– ჰო, ჭული, მცენარის ცოცხლად შენარჩუნება თუ გინდა, ასე უნდა მოიქცე. [P]  
[SEP]

– რატომ არ შეგიძლია აღიარო, რომ ის სულელური მცენარე გიყვარდა? – ჭული მამას ისეთი მზერით უყურებს, რომელშიც გაკვირვება და იმედგაცრუებაა შერეული, – არ მესმის, რა არის ამაში ცუდი? [P]  
[SEP]

– იმიტომ, რომ აბსურდია, – უკმეხად აწყვეტინებს მამა და ოთახში ატმოსფერო უცრად იცვლება. შეიძლება მცენარის მოვლასა და მორწყვაზე იბრუნო, მაგრამ არ გიყვარდეს. [P]  
[SEP]

ჭული სიტყვის სათქმელად პირს აღებს, შემდეგ ისევ ხურავს. [P]  
[SEP]

– უშინაარსო დეკორაციაა. თავისთვის დგას და დროსა და რესურსებს შთანთქმავს, შემდეგ ერთ დღეს სიკვდილს გადანყვეტს იმის მიუხედავად, თუ რამდენად კარგად რწყავდი. სისულელეა ასეთი მოკლე და უაზრო რამის მიმართ ემოციური მიჯაჭულობის ჩამოყალიბება. [P]  
[SEP]

სიჩუმის რამდენიმე გრძელი წამი გავიდა. ჭული მამის მზერას თავს არიდებს და ყურადღება ბრინჯზე გადააქვს. [P]  
[SEP]

– მოკლედ, – აგრძელებს საუბარს ბუტბუტით, – პერი, იმის თქმა მინდა, რომ მამა ადრე მებაღე იყო, ასე რომ, კარგი იქნება, თუ შენს მებაღეობის ამბებს გაუზიარებ ხოლმე. [P]  
[SEP]

– მებაღეობის გარდა კიდევ ბევრი რამ მაინტერესებს, – ვცდილობ,

სალაპარაკო თემა შევცვალე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰოო? – ინტერესდება მისტერ გრიჭო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო... მოტოციკლები. კარგა ხნის წინ BMW R 1200 გადავარჩინე და ახლა მის შეჭავშნასა და საბრძოლოდ მომზადებაზე ვმუშაობ, ყოველი შემთხვევისთვის.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ანუ მექანიკოსის გამოცდილებაც გაქვს? კარგია. იარაღის სანყოფში ახლა მექანიკოსების დეფიციტი გვაქვს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული თვალებს ატრიალებს და ლობიოს მარცვლებს პირში იტენის.

[P]  
[SEP]

– მიზანში სროლასაც ბევრ დროს ვახმარ. სკოლაში დამატებითი დავალების შესრულება მომთხოვეს და M40-ს მშვენივრად გავემკლავდი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰეი, პერი, – საუბარში ერთვება ჯული, – შენს სხვა გეგმებზე რატომ არ მოუყვები მამას? მაგალითად იმაზე, რომ ყოველთვის გინდოდა...<sup>[P]  
[SEP]</sup>

ფეხზე ფეხს ვაბიჯებ. ის მრისხანედ მიყურებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა უნდოდა ყოველთვის? – კითხულობს მამამისი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მე ჯერ... ჯერ მართლა... – წყალს ვყლუპავ, – სერ, სიმართლე რომ გითხრათ, მართლა არ ვარ დარწმუნებული. ბუსტად არ ვიცი, რისი კეთება მინდა ცხოვრებაში; მაგრამ უკვე თექვსმეტის ვარ და ვიცი, რომ მალე მომიწევს გადანყვება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

რისი თქმა გინდოდა?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ხმამალლა ინტერესდება რ და სცენის მიმდინარეობაში ისევ ერევა.

ვგრძნობ, როგორ ვცვლით ადგილებს. პერი ზემოთ იხედება და მას – მე – წარბეზებულ უყურებს.<sup>[P SEP]</sup>

კარგი რა, გვამო, ოღონდ ახლა არა. ჭულის მამას პირველად ვხვდები და ყველაფერი არც ისე კარგად მიდის. ყურადღების მოკრება მჭირდება.<sup>[P SEP]</sup>

– ყველაფერი კარგად მიდის, – აწყნარებს ჭული, – უბრალოდ მამაჩემი ამ ბოლო დღეებში ასეთია, წინასწარ ხომ გაგაფრთხილე.<sup>[P SEP]</sup>

– გირჩევნია ყურადღებით იყო, – მომმართავს პერი, – შეიძლება ერთ დღეს შენც შეხვდე და მისი გულის მოგება გაცილებით უფრო გაგიჭირდება, ვიდრე მე.<sup>[P SEP]</sup>

ჭული პერის თმაში ხელს აცურებს.<sup>[P SEP]</sup>

– ოო, ძვირფასო, ანმყოფე ნუ ლაპარაკობ, რა. თავს ზედმეტად ვგრძნობ.<sup>[P SEP]</sup>

– პერი ხვნეშის.<sup>[P SEP]</sup>

– ჰო, კარგი. ეს მაინც უკეთესი დრო იყო. როცა გავიზარდე, ნამდვილ ნეიტრონულ ვარსკვლავად ვიქცევი.<sup>[P SEP]</sup>

ვწუხვარ, რომ მოგკალი, პერი. განა მინდოდა, უბრალოდ...<sup>[P SEP]</sup>

– დაივიწყე, გვამო, მესმის შენი. მგონი იმ დროისთვის უკვე მეც მინდოდა, რომ თამაშიდან გავსულიყავი.<sup>[P SEP]</sup>

– როდესაც იმ დღეებზე ვიფიქრებ, ყოველთვის მომენატრები, დარწმუნებული ვარ, – ნალვლიანად ამბობს ჭული, – ძაან მაგარი ტიპი იყავი, სანამ მამაჩემი თავის კლანჭებს ჩაგასობდა.<sup>[P SEP]</sup>

– მასზე იბრუნებ, ხომ? – ზემოთ, ჩემკენ ჩურჩულებს პერი, –



ბლომადსირთულეები გადაიტანა. დაიცავი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

დავიცავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მისტერ გრიჭო ჩახველებით ყელს იწმენდს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შენს ადგილას უკვე დაგეგმვას დავინყებდი, პერი. შენი მრავალმხრივი უნარების პატრონს, ნამდვილად შეგიძლია, უსაფრთხოების სამსახურში წვრთნაზე იფიქრო. მინიდან ამოსული მწვანე მარცვლები კარგია, მაგრამ მთელი ეს ხილ-ბოსტნეულობა ჩვენთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს. შეგიძლია მთელი წელი მხოლოდ ნახშირცილით გაატარო და შენი უჭრედების გამოფიტვა შესამჩნევად კი არ იქნება. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი ცოცხლად გადარჩენაა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული პერის მხარზე ექაჩება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ნავედით, ეს ყველაფერი ხელახლა უნდა მოვისმინოთ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არაა, – ამბობს პერი, – ამის განმეორებით ყურება არ ღირს.

ნამო, სადმე ლამაზ ადგილას ნავიდეთ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

პლაჟზე ვართ. არა, დიდოსტატი ოკეანის მიერ ათასწლეულების მანძილზე გამოკვეთილ ნადვილ პლაჟზე არა – ისინი უკვე კარგა ხანია, წყალქვეშ მოექცნენ. ჩვენ ახლახან დატბორილი ქალაქის ნავსადგურის ნაპირზე ვართ. ტროტუარის დამსხვრეული ფილების ნატეხებს შორის სივრცეები ქვიშით ამოვსებულა. ზედაპირიდან ხავსმოდებული ლამპიონები ამოშვერილან, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ ციმციმებს საღამოს წყვდიადში და ტალღებს ნარინჯისფერი

სინათლის წრეებს უშენს. [P]  
[SEP]

– აბა, მეგობრებო, – ამბობს ჯული და ჯოხს წყალში ისვრის, –  
ვიქტორინის დროა. რას უპირებთ საკუთარ ცხოვრებას? [P]  
[SEP]

– ოჰ, გამარჯობა, მისტერ გრიჯო, – ვბუზღუნებ და მის გვერდით  
ვჭდები ნაპირზე გამორიყულ ხის ძელზე, რომელიც ერთ დროს  
სატელეფონო ხაზების ანძა იყო. [P]  
[SEP]

ყურადღებას არ მაქცევს. [P]  
[SEP]

– ნორა, შენ იწყებ. გვაინტერესებს არა ის, თუ როგორ მომავალს  
ვლით, არამედ ის, თუ თქვენ თვითონ რა საქმიანობას ისურვებდით. [P]  
[SEP]

ნორა ძელის წინ, ქვიშაში ზის და რამდენიმე კენჭით ერთობა, შუა  
თითსა და მხოლოდ ერთფანაგშერჩენილ არათითს შორის კი  
გაღვივებული ჭოინთი მოუქცევია. თაფლისფერი თვალები აქვს. კანი –  
რძიანი ყავის ფერი. [P]  
[SEP]

– ალბათ, ექთნობას, – ამბობს ნორა, – ხალხის მკურნალობა,  
სიცოცხლეების გადარჩენა. შეიძლება, განკურნების საშუალებაზეც  
მემუშავა. მთლიანად ამ საქმეზე გადავერთვებოდი. [P]  
[SEP]

– ექთანი ნორა, – ღიმილით ამბობს ჯული, – საბავშვო სერიალის  
სახელს ჰგავს. [P]  
[SEP]

– რატომ ექთანი? – ვეკითხები მე, – ექიმობას რატომ არ ირჩევ? [P]  
[SEP]

ნორა ირონიული ჩაცინებით მპასუხობს. [P]  
[SEP]

– ოჰ, რას მელაპარაკები, შვიდი წელი კოლეჯში ვისწავლო? ეჭვი  
მაქვს, კაცობრიობა მაგდენ ხანს საერთოდ ვერ გასტანს. [P]  
[SEP]

– არა, გასტანს, – ამბობს ჯული, – ასე ნუ ლაპარაკობ. თუმცა,

ექთნობაც არაა ცუდი. ექთნები სექსუალურები არიან! [P] [SEP]

ნორა ილიმის და თავის შავ კულულს ნაზად ექაჩება. მე მიყურებს. [P] [SEP]

– ექიმი რატომ? შენ ექიმობას უმიზნებ? [P] [SEP]

თავს მტკიცედ ვაქნევ. [P] [SEP]

– არა, გმადლობთ, უკვე მთელი ცხოვრებისთვის საკმარისი სისხლი და შიგნეულობა ვნახე. [P] [SEP]

– აბა რა გინდა? [P] [SEP]

– წერა მომწონს, – ვამბობ აღსარებასავით, – ჰოდა... მგონი, მწერლობა მინდა. [P] [SEP]

ჭული ილიმის. ნორა თავს გვერდით ღრევს. [P] [SEP]

– მართლა? ხალხი მაგას ჯერ კიდევ აკეთებს? [P] [SEP]

– რას? წერას? [P] [SEP]

– იმის თქმა მინდა, რომ... წიგნების ბიზნესი ჯერ კიდევ არსებობს? [P] [SEP]

მხრებს ვიჩეჩავ. [P] [SEP]

– პრინციპში... არა, აღარ. სწორი შენიშვნაა, ნორა. [P] [SEP]

– ბოდიში, უბრალოდ... [P] [SEP]

– არ გინდა, ვიცი, მართალი ხარ, ფანტაზიისთვისაც კი სისულელეა. პოლკოვნიკი როსო ამბობს, რომ მსოფლიოში ქალაქების მხოლოდ ოცდაათი პროცენტიღა ფუნქციონირებს, ანუ, თუ ზომბებმა კითხვა არ ისწავლეს... ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყებად არც ისე კარგი დროა. ალბათ, უბრალოდ უსაფრთხოების სამსახურს ავირჩევ. [P] [SEP]

– მოკვებე, პერი, – ამბობს ჯული და მხარზე მუშტს მირტყამს, – ხალხი ჯერ კიდევ კითხულობს.<sup>[P SEP]</sup>

– ნუთუ მართლა? – ეკითხება ნორა.<sup>[P SEP]</sup>

– ყოველ შემთხვევაში, მე ვკითხულობ. რა მნიშვნელობა აქვს, მის უკან ბიზნესია თუ არა? თუ ყველა იმდენად დაკავებულია რაღაცების აშენებითა და ვიღაცების დახოცვით, რომ საკუთარი სულის გამოსაკვებად თავს აღარ იწუხებენ, ეშმაკსაც ნაუღია ყველა. უბრალოდ ბლოკნოტში დანერგე და მომეცი. მე ნავიკითხავ.<sup>[P SEP]</sup>

– მთელი წიგნი მხოლოდ ერთი ადამიანისთვის? – ამბობს ნორა და ჩემკენ იყურება, – ღირს ამდენ წვალებად?<sup>[P SEP]</sup>

ჩემ ნაცვლად ჯული პასუხობს.<sup>[P SEP]</sup>

– სულ თუ არაფერი, მისი ფიქრები მაინც გამოვლენ გონებიდან, ასე არაა? ვიღაც ერთი ადამიანი მაინც გაეცნობა მათ. მგონი, მშვენიერი იქნება. თითქოს, მისი ტვინის ერთ პატარა ნაწილს ვფლობ, – გამომწვევად მიყურებს, – პერი, მომეცი შენი ტვინის ნაწილი. მინდა, გემო გავუსინჯო.<sup>[P SEP]</sup>

– ო, ღმერთო, – იცინის ნორა, – მართლ ხომ არ დაგტოვოთ?<sup>[P SEP]</sup>

ჯულის ხელს ვხვევ და დაღლილი ღიმილით ვიღიმი, რომელიც ბოლო ხანებში დამჩემდა.<sup>[P SEP]</sup>

– ჩემი პატარა გოგო, – ვამბობ და მჭიდროდ ვიხუტებ. იშმუშნება.<sup>[P SEP]</sup>

– შენ რას იტყვი, ჯულს? – ეკითხება ნორა, – რა არის შენი აუხდენელიოცნება?<sup>[P SEP]</sup>

– მასწავლებლობა მინდა, – ღრმად ისუნთქავს და აგრძელებს, –



კიდევ მხატვრობა, მომღერლობა და პოეტობა. პილოტობაც.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნორა ილიმის. შენუხებული, ჩუმიად თვალებს ზემოთ ვატრიალებ. ნორა ჭოინთს ჭულის ანვდის, რომელიც ოდნავ ქაჩავს და შემდეგ მე მთავაზობს. მე, როგორც ჭულიზე უფროსი და ნორაზე ბრძენი, უარის ნიშნად თავს ვიქნევ. ყველანი მოლიცლიცე წყალს გავყურებთ. ერთსა და იმავე ძელზე მსხდომი სამი ბავშვი ერთსა და იმავე მზის ჩასვლას უყურებს, თუმცა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ფიქრები ანუხებთ, ამასობაში კი თოლიები ჰაერს მგლოვიარე კივილით ავსებენ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

იმ ყველაფერს გააკეთებ, ზემოდან ჩურჩულით მიმართავს ჭულის რ, რომელსაც ისევ ვუცვლი ადგილს. ჭული ზემოთ იხედება და მე მიყურებს, ღრუბლებში გამოკიდებულ ზომბის, რომელიც ოკეანის თავზე მოუსვენარი სულივით დაფარფატებს. გაბრწყინებული მილიმის და ვხვდები, რომ ის ნამდვილი ჭული არ არის, ვიცი, რომ რასაც აქ ვიტყვი, ჩემი თავის ქალის საზღვრებს არასოდეს გასცდება, მაგრამ მაინც ვამბობ: შენ იქნები ძლიერი, ლამაზი და ბრწყინვალე; სამუდამოდ იცხოვრებ. სამყაროს შეცვლი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მადლობა, რ, – ამბობს ის, – რა საყვარელი ხარ. როგორ ფიქრობ, როცა დრო მოვა, ჩემს გაშვებას შეძლებ? როგორ ფიქრობ, შეძლებ დამშვიდობებას?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნერწყვს ვყლაპავ. ნამდვილად მომიწევს?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჭული მხრებს იჩეჩს, უმანკოდ ილიმის და ჩურჩულებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მხრების ჩეჩვა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • • [P]  
[SEP]

დილით ჩანყნარებული ამინდი გვხვდება. ჯულის გვერდით გულაღმა ვწეწარ სანოღზე. სინათლის წვრილი სხივი მტვრიან ჰაერშია შემოჭრილი და ჯულის სხეულს კაშკაშა, ცეცხლოვან სამოსად ეხვევა. ის კვლავ საბნებშია გახლართული. ვდგები და ვერანდაზე გავდივარ. გაბაფხულის მზე არემარეს თეთრად აბრდღვიალებს. სიოს ნამოქროღვისას მდუმარებას მხოლოდ უკანა ებოში მდგარი დაჟანგული საქანელის ჭრიალი არღვევს. ჩემს გონებაში სიბმრად მოვლენილი მსუსხავი კითხვისგან გამონწვეული ექო ტრიალებს. პასუხის გაცემას თავს ვარიღებ, თუმცა იმასაც ვხვდები, რომ ძალიან მალე ყველაფერი დამთავრდება. ცხრა საათისთვის მამამისს მივუყვან და მორჩა! კარს მომიჯახუნებენ და მეც შინისკენ გავწწე. ნუთუ მეყოფა ძალა, გავუშვა? ამაზე რთული ცხოვრებაში არაფერი უკითხავთ. სულ რაღაც ერთი თვის წინ დედამინის ბურგზე არაფერი მიხაროდა, არც მენატრებოდა და არც მენადა. ვიცოდი, რომ შეიძლებოდა ყველაფერი დამეკარგა და მაინც არაფერი მანაღვლებდა. მაგრამ იოლი ცხოვრება ყელში ამოვიდა. [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

უკან დაბრუნებისას ჯული სანოღის კიღებზე მჭდომარე მხვდება. ბურანშია, მთლიანად ჯერ არ გამოფხიზლებულია. აწწწილ-დანწწილი თმა ქარიშხლის შემდგე მიმოყრილ პალმებს უგავს. [P]  
[SEP]

– დილა მშვიღობისა, – ვეუბნები. [P]  
[SEP]

იბმორება. მთელი ძალით ვცდილობ, თვალი მისი ბურგისკენ არ



გამეფცეს, სანამ ის ლიფის ზონარს ისწორებს და ახალგაღვიძებული ბუტბუტებს. კუნთებისა და თითოეული მალის მოხაზულობას ვხედავ. ისედაც ნახევრად შიშველია. წარმოვიდგენ, რომ კანსაც იხდის. სასტიკი გამოცდილება მკარნახობს, რომ შინაგანადაც მიმზიდველია. იუველირული სიზუსტით შექმნილი საათის მექანიზმის მსგავსად, ისიც თვალისგან შეუმჩნევლად მალავს უდიდესი სიმეტრიითა და ოსტატობით შექმნილ სილამაზეს. [P][SEP]

– საუბმედ რა გვაქვს? – ლულლულებს, – შიმშილით ვკვდები. [P][SEP]  
 პასუხს ვაყოვნებ. [P][SEP]

– ალბათ... ერთ საათში... სტადიონზე მივალთ. ოლონდ... ბენზინი გვინდა... ჩვენი მერსისთვის. [P][SEP]

თვალეbs აფახულებს. ჯერ კიდევ სველ სამოსს იცვამს. ამჯერადაც ვცდილობ, არ შევხედო. ცოცხალი სხეული იოლად მიჰყვება მის ბრძანებებს. მოქნილია. ძალიან განსხვავდება ჩვენნაირი მკვდრების გვამისგან. [P][SEP]

უეცრად თვალეbs განგაშით ენთება: [P][SEP]  
 – ფუ, ამის... იცი, რა? მამაჩემს უნდა დავურევკო. [P][SEP]

სახლის ტელეფონს იღებს. ჩემდა გასაკვირად, ყურმილიდან სიგნალის ხმა მოისმის. როგორც ჩანს, ცოცხლებმა სატელეფონო სადენების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. ყოველივე, რისი მუშაობაც თანამგზავრსა თუ ციფრულ ტექნოლოგიაზე იყო დაფუძნებული, ალბათ დიდი ხნის წინ დადუმდა, თუმცა გადამცემები და კაბელები, რომლებიც რეალურ ობიექტებს

აკავშირებდნენ და მსგავს მყიფე მაგიაზე არ იყვნენ დამოკიდებულნი...  
ცოტა მეტ ხანს ძლებდნენ. [P]  
[SEP]

ჯული ნომერს კრეფს. დაძაბული იცდის. შემდეგ სახიდან  
ნერვიულობა უქრება: [P]  
[SEP]

– მამა! ჯული ვარ. [P]  
[SEP]

მეორე ბოლოდან შეძახილები ისმის. ჯული ყურმილს ყურიდან  
მოშორებით იჭერს და მზერით მეუბნება: „აუჰ, დაინყო“. [P]  
[SEP]

– ჰო, მამა, კარგად ვარ, კარგად. ცოცხალი და საღსალამათი.  
ნორამ გიამბო, რაც დაგვემართა, ჰო? – ყურმილში გამომავალი ხმა  
კიდევ უფრო ხმამაღლა ყვირის, – ჰო, ვიცოდი, რომ ძებნას  
დამინყებდით, მაგრამ არასნორ კვალს დაადექით. ორანის  
აეროპორტში აქვთ პატარა ბუნაგი მოწყობილი. ვილაც მკვდრებთან  
ერთად ჩამკეტეს ოთახში. საკუჭნაოსავით ან რამე მსგავსი  
დანიშნულებით იყენებდნენ. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ...  
აღბათ, დავავინყდი. გამოვალნიე, მანქანა ვიპოვე, ჩავჭექი და  
წამოვედი. ახლა სახლისკენ მომავალ გზაზე ვარ. დასარეკად  
გავჩერდი, – ცოტა ხნით ჩუმდება და მათვალაიერებს, – მმმ... არა,  
არავის გამოგზავნა არაა საჭირო, კარგი? უკვე სამხრეთის გარეუბანში  
ვარ. თითქმის... – იცდის, – ბუსტად არ ვიცი, სადღაც გბატკეცილის  
სიახლოვეს. არ გინდა, მა... – შემდება და სახე ეცვლება, – რა?! –  
ღრმად ოხრავს, – მამა, დედაჩემი რამ გაგახსენა ახლა? ამიხსენი,  
დედა რა შუაშია? არაფერში! გეუბნები, სახლისკენ მოვდივარ-მეთქი.  
ვბრუნდები... მამა! საერთოდ, მისმენ? არავინ გამოაგზავნო,



ვბრუნდები, გასაგებია? მანქანით მოვდივარ. გზაში ვარ... მამა!

ყურმილში ხმა წყდება.

– მამა?! – კვლავ სიჩუმეა. ტუჩს იკვნეტს და იატაკს ჩასცქერის. ყურმილს კიდებს.

ნარბებს ცნობისმოყვარეობით ვნევ მალლა. მგერა იმ შეკითხვებით მაქვს სავსე, რომელთა დასმასაც ვერ ვბედავ.

შუბლს ისრესს და მძიმედ სუნთქავს.

– რ, ბენზინის მოსაძებნად მართო ვერ ნახვალ? ცოტა ხნით... უნდა დავფიქრდე.

ლაპარაკისას თვალს არ მისწორებს. ფრთხილად ვხვევ ხელს მხარზე. ჯერ თავს მარიდებს, უკან იხევს, შემდეგ უეცრად ჩემკენ ტრიალდება, ღონივრად მეხუტება და სახეს ჩემს მაისურში რგავს.

– ცოტა დრო მჭრდება, – ამბობს და მშორდება. თავს ინესრიგებს.

მივდივარ და ვტოვებ. გარაჟში სანვავის ცარიელ ჯურჯელს ვპოულობ და უბანს ვზვერავე, იქნებს სადმე სავსეავბიანი მანქანა ვიპოვო, საიდანაც ბენზინს გადმოვასხამ. შლანგმომარჯვებული, როგორც კი ახალდაჭეჭყილ შევროლულე ტაპოსთან ვიმუხლები, შორიდან ძრავის დაქოქვის ხმა მომდის. ყურადღებას არ ვაქცევ. ბენზინს ვაგემოვნებ, რომელიც პირს მიშუშხავს და მინვავს. როცა ჯურჯელს ვავსებ, ჩიხისკენ ვბრუნდები და სახეს მზეს ვუშვერ. შემდეგ თვალს ვახელ და ვშეშდები. ნითელი პლასტმასის ჯურჯელი დაგვიანებული სადაბადებისდღეო საჩუქარით მიჭირავს. მერსედესი თავის ადგილას აღარ დგას.

• • • [P]  
[SEP]

სახლში შესულს სასადილო ოთახის მაგიდაზე დატოვებული წერილი მხვდება. რაღაც წერია, მაგრამ ერთად დახვავებულ ასოებს სიტყვებად ვერ ვკრავ. წერილის გვერდით პოლაროიდის ორი ფოტო დევს. ორივეზე ჯულია გამოსახული. თავისი გადაღებულია. კამერა მხრის სიმაღლეზე დაუჭერია, თავისკენ მიუტრიალებია და ისე გადაუღია. ერთ-ერთი ფოტოდან ხელს უხალისოდ მიქნევს. მეორე სურათზე ხელი გულზე მიუბჯენია. სახე შეუვალი აქვს, მაგრამ თვალები დასველებია. [P]  
[SEP]

– მშვიდობით, რ, – წამჩურჩულებს ფოტო, – იმის დრო მოვიდა, რომ დაგემშვიდობო. შენც ხომ მემშვიდობები? [P]  
[SEP]

სურათი ცხვირწინ მიჭირავს და მივშტერებივარ. თითოთ ვეფერები. ჯერ კიდევ შეუმშრალ საღებავს ცისარტყელის ფერებად ვდღაბნი. შენახვას და თან წაღებას ვაპირებ, მაგრამ არ გამომდის. არ შემწნევს იმის ძალა, რომ ჯული სუვენირად ვაქციო. [P]  
[SEP]

– შენც ხომ მემშვიდობები, რ? დამემშვიდობე. [P]  
[SEP]

ფოტოს კვლავ მაგიდაზე ვაბრუნებ და სახლიდან გავდივარ. მაინც არ ვემშვიდობები. [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

გებს აეროპორტისაკენ ვიღებ. არ ვიცი, რა მელის. სრულკვდომა? შეიძლება. ზომბებში ისეთი მღელვარება გამოვინვიე, არ გამიკვირდება ჩონჩხებმა დასნებოვნებული ნაგავივით რომ მომკვეთონ. კვლავ მარტო ვარ, მცირე თვალსაწიერით და მწირი

არჩევანით. სხვაგან ნასასვლელი მაინც არ მაქვს. <sup>[P]  
[SEP]</sup>

მანქანით ორმოცი ნუთის სავალ გზას ფეხით მთელ დღეს მოვუნდები. ქარი მიმართულებას იცვლის და გუშინდელი საავდრო ღრუბლები ისევ ჩემს თავგემოთ იყრიან თავს, სქელდებიან, ერთმანეთში იხორხლებიან. ლურჯი ცის მცირე ნაგლეჯი უზარმაზარი ფოტოკამერის ობიექტივში დარჩენილ ღიობს წააგავს. სწრაფად და მტკიცედ მივაბიჯებ. თითქმის მარშით მივდივარ. <sup>[P]  
[SEP]</sup>

ცის სილურჯე ჯერ ნაცრისფერში გადადის, შემდეგ – ინდიგოსფერში. ბოლოს კი მას ღრუბლები მთლიანად ფარავენ. წვიმს, თანაც ისე ასხამს, ნუხანდელი წარღვნა ბოსტნეულზე შერჩენილ ნამად მეჩვენება. წვიმა ტანსაცმელში ატანს, ბოლომდე მჟღინთავს და, ჩემდა გასაოცრად, მაკანკალებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ბლომად მეძინა, ვგრძნობ, რომ ახლაც რული მერევა. მიყოლებით მესამე ღამეა, რაც ასე მემართება. <sup>[P]  
[SEP]</sup>

განზე ვუხვევ და გბატკეცილსა და მომცრო, შენაკად გზას შორის მოქცეულ, მცენარეულით ამწვანებულ სამკუთხა მალლობზე გადავდივარ. ბუჩქნარს მივარღვევ და ათი-თორმეტი კედრით შემოსაზღვრულ მომცრო ტყეს ვანყდები. გადაღლილ მგზავრთა მოჩვენებებისთვის ნამდვილად სასიამოვნო ხედია. <sup>[P]  
[SEP]</sup>

ერთ-ერთი ხის ძირში ვიკუნტები. ავად თუ კარგად, თავშესაფრის მაგივრობას გამიწევს. თვალს ვხუჭავ. ჰორიზონტს ელვა ელექტრონათურასავით აჩახჩახებს. ძვლებით ჭეჭა-ქუხილის ყრუ გრუხუნს ვგრძნობ. ბნელში ვიძირები. <sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯულისთან ერთად ვარ 747-ში. ვხვდები, რომ სიზმარია. ნამდვილი სიზმარი და არა პერი კელვინის ცხოვრების მორიგი გაელვება. რასაც ვხედავ, მთლიანად ჩემი წარმოსახვაა. აეროპორტში ცხოვრების პირველ დღეებში წარმოდგენილ გადადღაბნილ ჩვენებასთან შედარებით ახლანდელის ხარისხი გაუმჭობესებულია, მაგრამ მაინც სამოყვარულო ვიდეოკამერით გადაღებულ მოცახცახე კადრებს ჰგავს და პერისეულ დახვეწილ კინოშედეგებთან ახლოსაც კი ვერ მივა. [P]  
[SEP]

ჯული და მე ფეხმორთხმით ვსხედვართ თვითმფრინავის მბრწყინავ, ქათქათა ფრთაზე. ერთმანეთს ვუყურებთ. ღრუბლებს გემოთ ვლივლივებთ. ქარი თმას გვიჩეჩავს, მაგრამ იმაზე ძლიერ არა, როგორც კაბრიოლეტით სეირნობისას. [P]  
[SEP]

– უკვე სიზმრებსაც ხედავ? – ამბობს ჯული. [P]  
[SEP]

ნერვიულად ვიციანი. [P]  
[SEP]

– მგონი. [P]  
[SEP]

ჯულის არ ეღიმიება. მზერა გაჰყინვია. [P]  
[SEP]

– ჩემი აზრით, გოგოსთან ურთიერთობამდე ისეთი არც არაფერი დაგმართვინია, დასიზმრებად რომ ღირებულებო. სკოლის მოსწავლეს ჰგავხარ, რომელიც დღიურის შევსებას ვერ ელევა. [P]  
[SEP]

უკვე მიწაზე ვართ. მზით განათებულ მდელიობზე ვისვენებთ. ფონად ავადმყოფურად გასუქებული წყვილი მოჩანს, რომელიც ადამიანის კიდურებისგან ბარბექიუს ამზადებს. ვცდილობ, ჯულის ვუყურო. [P]  
[SEP]

– ვიცვლები, – ვეუბნები. [P]  
[SEP]



– არ მაინტერესებს, – მპასუხობს, – ახლა უკვე სახლში ვარ. ნამდვილ ცხოვრებას დავუბრუნდი, სადაც შენ არ არსებობ. არდადეგები დასრულდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ცის შორეთში ფრთოსანი მერსედესი მიფრინავს და გრუხუნით ეფარება თვალს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მე ნავედი, – ამბობს, თან თვალს თვალში მიყრის, – კარგად გავერთე, მაგრამ უკვე ყველაფერი დასრულდა. ასეც ხდება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

თავს ვაქნევ, ვცილობ, მისი მზერა ავირიდო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ამისთვის მზად არ ვარ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– სხვა რას ელოდი?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არ ვიცი. უბრალოდ, სასწაულის იმედი მქონდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– სასწაულები არ ხდება. არსებობს მიზეზი და შედეგი, სიზმარი და სინამდვილე, ცოცხალი და მკვდარი. იმედი სისულელეა. მოსაბეზრებელია ეგ შენი რომანტიზმი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

შეცბუნებული ვუყურებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– დროა, გაიზარდო. ჯული თავისიანებთან დაბრუნდა. შენც შენიანებისკენ უნდა ნახვიდე. სულ ესაა. ადრეც ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მეღრიჭება და უსწორმასწორო, ჩაყვითლებულ ეშვებს აღრჭენს. საკოცნელად იწევს, ტუჩებს მაგლეჭს, კბილებს აფურთხებს, მომაკვდავი ბავშვივით ნივის და მღრღნის, ტვინისკენ მიიწევს. ჩემს საკუთარ, ცხელ, ნითელ სისხლში ვიხრჩობი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

თვალს ვახელ და ვდგები. სახიდან სველ ტოტებს ვიშორებ. ჭერ ღამეა. ისევ წვიმს. ტყიდან გავდივარ და გზისპირა ბარიერისკენ მივბოტებ. ზღუდეს ვეყრდნობი, უკაცრიელ გზატკეცილსა და მის მიღმა განოლილ ჩამუქებულ ჰორიზონტს გავცქერი. თავში ერთადერთი, შაკიკივით მტკივნეული აზრი მიგუგუნებს: ცდებით, თქვე ურჩხულებო. ყველაფერში.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გზის მეორე მხარეს თვალის კუთხით სილუეტს ვამჩნევ, რომელიც აუჩქარებელი, თანაბარი ნაბიჯით მოიწვეს ჩემკენ. კუნთებს ვძაგრავ, ბრძოლისთვის ვემზადები. გარიყულ მკვდარს, ეულად დიდი ხნის ხეტიალის შედეგად შეიძლება თავისიანის ცოცხალისგან გარჩევის უნარმა უმტყუნოს. ზოგიერთისთვის საერთოდ სულერთი ხდება. ასეთები ნებისმიერს ჭამენ და ყურადღებას არ აქცევენ, ვის, რას ან სად უღებენ ბოლოს. ურთიერთობის სხვა მეთოდები არ იციან. წარმოვიდგენ, რომ ერთ-ერთმა ასეთმა ქმნილებამ დასასვენებლად შეჩერებული ჯული მოიხელთა, სახეში ბინძური ხელები წაავლო და მოხდენილ ყელში კბილებით წვდა. ამის გაფიქრებაზე ისე ვცოფდები, რომ მზად ვარ ნაკუნებად ვაქციო, ვინც კი მომიახლოვდება. ყოველ ჭერზე, როდესაც ვფიქრობ, რომ მას ვინმემ რამე დაუშავა, შემადრწუნებელი, პირველყოფილი მრისხანება მიპყრობს, რომელთან შედარებითაც ხალხის ხოცვისა და შეჭმის თანმდევი სისასტიკე ბავშვურ გაჭავრებად მოჩანს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ბრგე აჩრდილი ტორტმანით მიახლოვდება. ელვის შუქი სახეს უნათებს. ხელებს ძირს ვუშვებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თითქმის ვეღარ ვცნობ. სახეზე კლანჭებისაგან დატოვებული ჭრილობები ემჩნევა. ისეა დაკბენილი, სხეულზე უამრავ ადგილას კბილებით ნაჭიჭვნი ეტყობა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰეი, – ღმუის. სახეზე ღვარად ჩამოსდის წვიმის წყალი, რომელიც შემდეგ მის ნაჭრილობევეებში გროვდება, – წამო სადმე... წვიმას... გავერიდოთ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მეჩხერ ხეებს გვერდს უვლის და დამრეც გორაკზე მილოღავს. მივყვები. გადასასვლელის ქვეშ მშრალად დატოვებულ ადგილზე ვჩერდებით. იქაურობა ჭუჭყით, ლუდის ძველი ქილებითა და ნახმარი მპრიცებითაა გატენილი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აჟ... რას... აკ... აკეთებ? – ვეკითხები. სიტყვებს თავს ძლივს ვუყრი. სულ რაღაც ნახევარი დღე გავატარე მდუმარედ და ენაზე უკვე ჟანგი მედება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აბა... გამოიცანი, – მპასუხობს მ, თან თავის ჭრილობებზე მიმითითებს, – ჩონჩხები. გამომაგდეს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ბოდიში.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მ ბლუის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ერთი... მაგათიც...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მზისგან ფერდაკარგულ ლუდის ქილას უქნევს წიხლს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ოღონდ... იცი, რა? – დაჩეხილ სახეზე ღიმილისმაგვარი გამომეტყველება ემჩნევა, – ბოგი... გამომყვა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გბატკეცილისკენ იშვერს ხელს. დაახლოებით ცხრა სხეული ნელა

მოიზღაბნება ჩვენკენ. [P]  
[SEP]

გაოცებული ვუყურებ მ-ს: [P]  
[SEP]

– გამოგყვა? რატომ? [P]  
[SEP]

მხრებს იჩეხს: [P]  
[SEP]

– იქ... გაგიჟდნენ. რალაცები... შეიცვალა, – თითოთ მეტაკება, – შენ.

[P]  
[SEP]

– მე? [P]  
[SEP]

– შენ და... ის გოგო. ჰაერში... რალაც... ცვლილება. [P]  
[SEP]

გადასასვლელის ქვეშ ცხრა ზომბი ჩერდება. დგანან და უშინაარსოდ იყურებიან. [P]  
[SEP]

– გამარჯობა, – ვეუბნები. [P]  
[SEP]

ირწევინ და ხმადაბლა ღმუიან. ერთი თავს მიკრავს. [P]  
[SEP]

– გოგო... სადაა? – მეკითხება მ. [P]  
[SEP]

– მას ჯული ჰქვია, – ისე თავისუფლად ვამბობ, თითქოს გვირილის თბილ ნაყენს ვსვამდე. [P]  
[SEP]

– ჯუ... ლი... – გაჭირვებით იმეორებს მ, – კარგი. სადაა? [P]  
[SEP]

– სახლში ნავიდა. [P]  
[SEP]

მ სახეზე მაკვირდება. მხარზე ხელს მხვევს: [P]  
[SEP]

– შენ... როგორ ხარ? [P]  
[SEP]

თვალს ვხუჭავ და ნელა ვოხრავ: [P]  
[SEP]

– არა, – ქალაქისკენ მიმავალ გზას ვაყოლებ თვალს. თავში თითქოს რალაც მიფეთქდება. ჯერ ვგრძნობ, მერე ფიქრს ვიჭერ, და გადანყვეტილებასაც ვიღებ, – მე მისმოსაძებნად მივდივარ. [P]  
[SEP]



ცხრა მარცვალი. ისევ დავამხე რეკორდი. [P]  
[SEP]

– სად... სტადიონზე? [P]  
[SEP]

თავს ვუქნევ. [P]  
[SEP]

– რატომ? [P]  
[SEP]

– მის... გადასარჩენად. [P]  
[SEP]

– რის... გან? [P]  
[SEP]

– ყველა... ფრისგან. [P]  
[SEP]

მ კარგა ხანს დაჟინებით მიყურებს. მკვდრებს შეუძლიათ თვალდაუხამხამებლად რამდენიმე ნუთი ათვალღერონ ერთმანეთი. ნეტავ, თუ გაიგო, რაც ვუთხარი? კარგად მე თვითონაც კი ვერ ვხვდები. მხოლოდ შინაგანად ვგრძნობ, რაც უნდა ვქნა. გეგმა კი არა, გეგმის ნამცეცა, ვარდისფერი ჩანასახია. [P]  
[SEP]

ჩაფიქრებული უმზერს ცას: [P]  
[SEP]

– ნუხელ... სიზმარი ვნახე... ნამდვილი სიზმარი... მოგონებები. [P]  
[SEP]

გაშტერებული ვუცქერი. [P]  
[SEP]

– ბავშვობა... ბაფხული... მანანის ფაფა... გოგო, – ისევ მე მიყურებს,

– მაინც... რას ჰგავს? [P]  
[SEP]

– რა? [P]  
[SEP]

– ხომ... იგრძენი. იცი... რა არის? [P]  
[SEP]

– რაზე... ამბობ? [P]  
[SEP]

– სიზმარზე, – სახე იმ ალტაცებულ ბავშვს მიუგავს, ტელესკოპში რომ პირველად გაიხედა, – ყველაფერზე... სიყვარულია? [P]  
[SEP]

ბურგზე მბურძგლავს. რა ხდება? უკიდევანო კოსმოსის რა

ნანილისკენ მიქრის ჩვენი პლანეტა? მ-ს სიზმრები ეზმანება, მოგონებები უბრუნდება, გასაოცარ შევითხვებს მისვამს; მე ყოველდღიურად ვაუმჯობესებ გამართული საუბრის რეკორდს; გადასასვლელის ქვეშ ცხრა უცნობი მკვდარი დგას ჩვენთან ერთად, რომლებიც აეროპორტსა და ჩონჩხების შიშინა ბრძანებებს გაეცალნენ. დგანან და ელიან... რალაცას. [SEP]

ჩემ წინაშე სუფთა ტილო გადაშლილა. რა უნდა დავხატო? რომელი ფერით დავინყო ამ სინაცრისფრის შეფერადება? [SEP]

– მეც... მოვდივარ, – ამბობს მ, – დაგვემარები... მისვლაში. გადარჩენაში. [SEP]

მომლოდინე მკვდრებისკენ ტრიალდება. [SEP]

– დაგვემარებით? – ეკითხება. მისთვის უჩვეულოდ, ხმადაბლა ესაუბრება, – გოგოს... გადარჩენაში? ვიხსნათ... – თვალს ხუჭავს და ძალას იკრებს, – ჯუ... ლი? [SEP]

სახელის გაგონებაზე მკვდრებს გამოცოცხლება ეტყობათ. თითებს ხრიან და თვალეები ენთებათ. მ კმაყოფილებას ვერ მალავს. [SEP]

– დაკარგულის... მოძებნაში... დაგვემარებით? – ისეთი მტკიცე ხმით კითხულობს, ვერ ვიჭერებ, რომ ეს ხმა მისი დაგლეჯილი ყელიდან მოდის, – დაგვემარებით... გამოყვანაში? [SEP]

ზომბები მ-ს უყურებენ. შემდეგ – მე. ერთმანეთს ათვალიერებენ. ერთ-ერთი მათგანი მხრებს იჩეჩს. მეორე თავს იქნევს. [SEP]

– და...ხმა...რება, – ღმუის რომელიღაც და დანარჩენების თანხმობის ნიშნად ხავიან. [SEP]

მელიმება. არ ვიცი, რას ვაკეთებ, როგორ, ან რა შედეგს მოიტანს, მაგრამ ციხესიმაგრის ასაღებად საალყე კიბე უკვე აღმართულია და დარწმუნებული ვარ, რომ ჯულის კვლავ ვიხილავ. დანამდვილებით ვიცი, რომ დამშვიდობებას არ ვაპირებ. თუ ამ უცნაურ დევნილებს დახმარება სურთ, თუ ჩემში იმ უბრალო ბიჭზე მეტს ხედავენ, რომელიც გოგოს მისდევს, დაე, დამეხმარონ. ვნახოთ, რა მოხდება, თუკი მკვდართა სამეფოს დამახასიათებელი „არას“ ნაცვლად ჩვენებურ „ჰოს“ შევცახებთ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

სამხრეთიდან მომავალ გზატკეცილს ჩრდილოეთისკენ მივუყვებით. ჭექა-ქუხილს თითქოს ჩვენი შეეშინდაო, მთებს მიღმა გადაიხვეწა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

გზას ვადგავართ, რომელიც სადღაც მიგვიძღვის.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>ნაბიჭი მეორე - <sup>[P]<sub>SEP</sub></sup><sup>[P]<sub>SEP</sub></sup><sup>[P]<sub>SEP</sub></sup>მოპოვება<sup>[P]<sub>SEP</sub></sup><sup>[P]<sub>SEP</sub></sup>ახალგაზრდა ვარ. ჯანმრთელი, ძლიერი, მამაკაცური, ჯანლონითა და ენერგიით სავსე მოზარდი ბიჭი. მაგრამ ვბერდები. ყოველი წამი ასაკს მიმატებს. ჩემი უჭრედები სულ უფრო თხელდება, მყიდდება, გრილდება და მუქდება. თხუთმეტი წლის ვარ, მაგრამ ჩემ გარშემო თითოეული სიკვდილი ათი წლით მაბერებს. თითოეული სიმხეცე, თითოეული ტრაგედია, სევდის ყოველი მომენტი სიკვდილს მაახლოებს. მალე უკვე ღრმა სიბერეში შევალ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ეს მე ვარ, პერი კელვინი სტადიონიდან. კედლებზე ჩამომსხდარი ჩიტების ხმა მესმის, მტრედების ზანტი ლულუნი და შოშიების მუსიკალური ჭიკჭიკი. ზემოთ ვიხედები და ღრმად ვისუნთქავ. დღეს ჰაერი აქაც კი ბევრად სუფთაა. ნეტავ სამყარო საკვამურების

გამოჩენამდე საუკუნეებით ადრეც ასეთი იყო? ერთდროულად თან მაცოფებს, თან მხიბლავს ის ამბავი, რომ ზუსტად ვერასოდეს გვეცოდინება, და ისიც, რომ არსებობს რაღაცები, რასაც ისტორიკოსების, მეცნიერებისა და პოეტების ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, უბრალოდ, ვერასოდეს გავიგებთ. როგორ უღერდა პირველი სიმღერა? რა გრძნობა დაეუფლათ ადამიანებს, როდესაც პირველი ფოტო ნახეს? ვინ ვის აკოცა პირველად და რამდენად სასიამოვნო იყო?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– პერი<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვილიმი და ჩემს პატარა თაყვანისმცემელს ხელს ვუქნევ, როდესაც ის და მისი ათზე მეტი დობილი და ძმობილი ერთ ხაზზე ჩამწკრივებულები და ხელიხელჩაკიდებულები ქუჩას კვეთენ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰეი... მეგობარო, – ვუძახი ბიჭუნას. მის სახელს ვერასდროს ვიმახსოვრებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ბალებში მივდივართ!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მაგარია!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული გრიჭო, რომელიც მწკრივს დედა გედივით წინ მიუძღვის, მილიმის. ქალაქში, რომელშიც ათასობით ადამიანი ცხოვრობს, ამ გოგოს ყოველდღე ვხვდები. ზოგჯერ ეს სკოლასთან ხდება, რაც გასაგებია, ხანდახან კი სტადიონის ყველაზე შორეულ კუთხეებში, სადაც შეხვედრის შანსები ძალზე დაბალია. ის დამდევს თუ მე დავდევ? ნებისმიერ შემთხვევაში, მისი დანახვისას სტრეს ჰორმონების შემოძალეებას ვგრძნობ, რომლებიც ჩემი ხელის მტევნების



გასაოფლიანებლადაც მიისწრაფვიან და ჩემი სახის დასამუნუკებლადაც. ნინა შეხვედრისას სახურავზე ამიყვანა. მუსიკას საათობით ვუსმენდით, მზის ჩასვლის შემდეგ კი ერთმანეთსთითქმის ვაკოცეთ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– პერი, გინდა ჩვენთან ერთად წამოხვიდე? – მეუბნება ის, – საველე გასვლა გვაქვს!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვა, რა სახალისოა... საველე გასვლა იქ, სადაც ეს-ესაა რვა საათი მუშაობაში გავატარე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– პეი, აქ დიდი არჩევანი არ გვაქვს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მეც იგივე შევამჩნიე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ხელის დაქნევით თავისთან მიხმობს და მეც დაუყოვნებლივ ვემორჩილები და თან ყველანაირად ვცდილობ, ყოყმანი დამეტყოს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გარეთ გასვლა არასოდეს უნევთ? – ვამბობ და თან ბავშვების მოუქნელ მარშირებას თვალს ვადევნებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მისი გრაუ ამბობს ხოლმე, რომ ისედაც გარეთ ვართ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– სულ გარეთ ვგულისხმობ: ხეები, მდინარეები და ასე შემდეგ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არა, სანამ თორმეტი არ შეუსრულდებათ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– საშინელებაა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰო...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გზას ხმისამოუღებლად ვაგრძელებთ, ჩვენ უკან ბავშვების ბუტბუტს თუ არ ჩავთვლით. სტადიონის კედლები მცველებად აღმართულან მშობლებივით, რომლებსაც ეს ბავშვები ველარასოდეს ნახავენ. ჭულის ნახვით გამონწვეული ჩემი აღელვება მელანქოლიის მოულოდნელი

ღრუბლით იფარება. [P]  
[SEP]

– აქ როგორ ძლებ, – ვამბობ რიტორიკული შეკითხვასავით. ჭული მიბღვერს. [P]  
[SEP]

– ჩვენ გასვლის უფლება გვაქვს, თვეში ორჯერ. [P]  
[SEP]

– ვიცი, მაგრამ... [P]  
[SEP]

იცდის. [P]  
[SEP]

– პერი, მაგრამ რა? [P]  
[SEP]

– ოდესმე დაინტერესებულხარ, საერთოდ ღირს თუ არა – კედლებისკენ მივანიშნებ, – ეს ყველაფერი? [P]  
[SEP]

გამოხედვა ეძაბება. [P]  
[SEP]

– იმის თქმა მიინდა, რომ ვითომ აქ გაცილებით უკეთ ვართ? [P]  
[SEP]

– პერი, – მანყვეტინებს მოულოდნელი მგზნებარებით, – ასეთი ყლეობების თქმა არც გაბედო, გესმის? არ გაბედო, – ჭული ჩვენ უკან ხმაურის მკვეთრ შეწყვეტას ამჩნევს, ტონს მკვეთრად ცვლის და თავდაჭერებული ჩურჩულით ბავშვებს მიმართავს, – ბოდიში, ცუდი სიტყვები წამომცდა. [P]  
[SEP]

– ყლეობა! – ყვირის ჩემი პატარა მეგობარი და მთელი მწკრივი სიცილისგან იხევა. [P]  
[SEP]

ჭული თავს უკმაყოფილოდ აქნევს. [P]  
[SEP]

– მშვენიერია. [P]  
[SEP]

– ნნ ნნ, ონავრები, – ვქირქილებ. [P]  
[SEP]

– შენ მოკეტე. რასაც ვფიქრობდი, ის გითხარი. ეგეთი ავსიტყვაობა არ შეიძლება. [P]  
[SEP]

დაეჭვებული ვუყურებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გარეთ თვეში ორჯერ გვიშვებენ. თუ საკვების შეგროვება გვინევს, კიდევ უფრო ხშირად. როგორმე ცოცხლად უნდა გადავრჩეთ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ისე საუბრობს, თითქოს ბიბლიის სტრიქონებს კითხულობსო, ძველი ანდაზებით. თითქოს გრძნობს, რომ მისი სიტყვები ჩემზე დამაჯერებლად არ მოქმედებს, მაშტერდება, შემდეგ სასწრაფოდ ისევ წინ იყურება. ხმა თანდათან უმშვიდდება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– თუ ჩვენს საველე გასვლაზე წამოსვლა გინდა, მეტი ავსიტყვაობა აღარ გამაგონო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ბოდიში.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აქ საკმარისად დიდი ხნის მოსული არ ხარ. უსაფრთხო ადგილას გაიზარდე. საფრთხეს სრულად ვერ იაზრებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ამ სიტყვების მოსმენისას შინაგანად მრისხანებით ვივსები, მაგრამ ენაზე კბილის დაჭერას ვახერხებ. არ ვიცი, რა ტკივილი ალაპარაკებს, მაგრამ ვიცი, რომ ეს ტკივილი ძალზე ღრმაა. ის ჯულის ამკაცრებს და ამავდროულად საშინლად ასუსტებს. ეს ტკივილი მისი ეკლებიცაა და უღრანი ტყიდან გამოშვერილი მისი ხელიც.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ბოდიში, – ვამბობ ისევ, მის ხელს ვეტანები და ჭინსის ჭიბიდან ამოსაღებად ვეჭაჩები. თბილია. ჩემი ცივი თითები მის თბილ თითებს გარედან ეხვევა და ჩემს გონებაში დაუპატიჟებლად კრთება საცეცების გამოსახულება. თვალების ხამხამით ვიშორებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აღარანაირი ავსიტყვაობა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

თვალეზგაფართოებული, გლუვლოყებანთლებული ბავშვები

გაფაციცებით შემომცქერიან. მაინტერესებს, ვინ არიან, რას ნარმოადგენენ და რა მოელთ. [P] [SEP]

• • • [P] [SEP]

– მამა [P] [SEP]

– პო [P] [SEP]

– მგონი, ერთი გოგო შემიყვარდა. [P] [SEP]

მამა საქალაქდეს დებს და ჩაფხუტს ისწორებს. ღრმა ნაოჭებით დაღარულ სახეზე ღიმილი ემჩნევა. [P] [SEP]

– პოო? [P] [SEP]

– მგონი [P] [SEP]

– რა პქვია? [P] [SEP]

– ჯული გრიტო. [P] [SEP]

თავს იქნევს. [P] [SEP]

– შევხვედრივარ ერთ-ორჯერ. ის... პეი! დაგ! – კედლის კიდიდან იხრება და ერთ-ერთ მუშას ეძახის, რომელიც ლითონის ძელს მიათრევს, – ეგ ორმოციანია, დაგ. მაგისტრალებისთვის ორმოცდაათიან ყალიბს ვიყენებთ, – მზერა ისევ ჩემზე გადმოაქვს, – ლამაზი გოგოა. ოღონდ ფრთხილად იყავი, ცეცხლთან თამაში უყვარს. [P] [SEP]

– მეც მიყვარს ცეცხლის პირას ყოფნა. [P] [SEP]

მამა იღიმის, თვალები უბრწყინავს. [P] [SEP]

– მეც, ჩემო ბიჭო. [P] [SEP]

მისი რაცია შიშინებს. პასუხობს და ინსტრუქციებს გადასცემს.



მშენებლობისგან დამახინჯებულ, ბეტონნარევ ხედს გავყურებ. თხუთმეტი ფუტის(თხუთმეტი ფუტი = 4.5 მეტრს.) სიმაღლის კედლის კიდეში ვდგავართ, რომელიც რამდენიმე კვარტალს გასდევს. მის პარალელურად კიდევ ერთი კედელი შენდება, რომელმაც მთავარი ქუჩა ქალაქის გულზე გამავალ დახურულ დერეფნად უნდა აქციოს. ქვემოთ მუშები ირევიან, ბეტონის ფილებს აგებენ, საყრდენი ჩარჩო ამოჰყავთ. [P] [SEP]

– მა... [P] [SEP]

– რა? [P] [SEP]

– შენი აზრით, სისულელეა? [P] [SEP]

– რა? [P] [SEP]

– შეყვარებულობა. [P] [SEP]

ჩერდება. რაციას იშორებს. [P] [SEP]

– რას გულისხმობ, პერ? [P] [SEP]

– რას და... ახლანდელ ცხოვრებას. ყველაფერი ისეთი გაურკვეველია... ამჟამინდელ სამყაროში სიყვარულის მსგავს რამეებზე დროის ფლანგვა სისულელე ხომარაა? ნებისმიერ წამს შეიძლება ყველაფერი თავზე დაგვენგრეს. [P] [SEP]

მამა დიდხანს მიყურებს. [P] [SEP]

– როცა დედაშენს შევხვდი, – მეუბნება, – საკუთარ თავს მეც იგივე შეკითხვა დავუსვი. ომებისა და კრიზისის ქარცეცხლში ვიყავით გახვეულები, – რაცია კვლავ შიშინებს, თუმცა მამა ყურადღებას არ აქცევს, – დედაშენის გვერდით ცხრამეტი წელი გავატარე. გგონია, რომ

მცოდნოდა, მხოლოდ ერთი წელი, ან, თუნდაც, ერთი თვე გვეწერა ერთად ყოფნა, მასზე უარს ვიტყვოდი? – კონსტრუქციას გასცქერის. ნელა აქნევს თავს, – ცხოვრებას ვერავინ დაგიგეგმავს, პერი. ის არაა იდეალური. აზრი არ აქვს, იჯდე და ელოდო, როდის მოვა შენთვის ხელსაყრელი დრო. სამყარო ახლანდელი ნამია და მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებ ამ ნამს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

განადგურებული საოფისე შენობის ჩამუქებულ ფანჯრებს ვათვალიერებ. წარმოვიდგენ, როგორ სხედან იქ მომუშავეთა ჩონჩხები თავ-თავიანთ სამუშაო მაგიდებთან და იმ საქმის დასრულებაზე ზრუნავენ, რომლის ბოლოსაც ვერასდროს მოესწრებიან.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რომ გცოდნოდა, მხოლოდ ერთი კვირა გექნებოდათ, მაშინ რას იზამდი?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– პერი... – მამაჩემის ხმას ოდნავი გაოცება ეტყობა, – სამყაროს აღსასრული ხვალ ნამდვილად არაა, მეგობარო. მისი გაუმჭობესებისთვის ვშრომობთ ამდენს, შეხედე, – ქვემოთ მომუშავე ჯგუფისკენ იშვერს ხელს, – გზებს ვაგებთ. ვაპირებთ, სხვა სტადიონებსა და სამალავებს დავუკავშირდეთ, გავერთიანდეთ. იქნებ, ერთობლივი კვლევებითა და რესურსებით ამის განმკურნავ ნამალსაც მივაგნოთ, – მხარზე ხელს მიტყაპუნებს, – შენ, მე, და დანარჩენებმა... ერთად გამოგვივა. ასე მალე ნუ აიცრუებ ჩვენს შესაძლებლობებზე გულს, კარგი?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მისი შვების მომგვრელი სიტყვები ცოტათი მანყნარებს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– კარგი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მპირდები?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გპირდები.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მამა ილიმის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– სიტყვაზე გიჭერ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იცო, მერე რა მოხდა, გვამო? – ჩემი ცნობიერის კუნჭულებიდან მეჩურჩულება პერი, – აბა, თუ გამოიცნობ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რატომ მიყვები ამ ყველაფერს? – ვეკითხები სიბნელეს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იმიტომ, რომ მხოლოდ ამის უნარიღა შემწევს. მინდა, რომ ეს შენც გაიგო. გასაუჩინარებლად ჯერ მზად არ ვარ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არც მე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მის ხმაში სუსხიან ღიმილს ვგრძნობ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ძალიანაც კარგი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • •<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მაინც გამოგიჭირე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული კიბეზე ამოდის, ჩემი ახალი სახლის სახურავზე მოაბიჯებს და მიყურებს. მეც ვუყურებ, შემდეგ ისევ ჩემს სამუშაოს ვუბრუნდები.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თხელი მეტალის ფირფიტებს ტერფით ფრთხილად სინჯავს, ჩემკენ მოემართება და სახურავის კიდეზე ჩემ გვერდით ჯდება. ჩვენი ფეხები პაერში გამოკიდებულან და შემოდგომის ცივ ნიაზე ნელა ქანაობენ.

<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– პერი?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არ ვპასუხობ. სახეზე გვერდიდან მაკვირდება. ხელს ინვდენს და ორი თითით გაბურძგნილ ყავისფერ თმას მისწორებს. მისი მზერა ჩემზე თითქოს მიზიდულობის ძალითაა მომაგრებული, მაგრამ მე მაინც ვუძალიანდები. ტალახიან ქუჩას ჩავცქერი. [P]  
[SEP]

– არ მჯერა, რომ აქ ვარ, – ვბურტყუნებ, – ეს სულელური სახლი თავისი გამოდევნილებით. [P]  
[SEP]

ჯერ ჩუმადაა, ცოტა ხანში კი ხმადაბლა მპასუხობს. [P]  
[SEP]

– ისინი გამოდევნილები არ არიან. ისინიც უყვარდათ. [P]  
[SEP]

– ცოტა ხანი. [P]  
[SEP]

– მათი მშობლები არ წასულან. ისინი წაიყვანეს. [P]  
[SEP]

– რა განსხვავებაა? [P]  
[SEP]

ისე დაჟინებით მიყურებს, რომ საპასუხო შეხედვის გარდა სხვა არჩევანი აღარ მრჩება. [P]  
[SEP]

– დედაშენს უყვარდი, პერი. ამაში ეჭვი არასდროს უნდა შეგეპაროს. მამაშენსაც. [P]  
[SEP]

სიმძიმეს ველარ ვუძლევ და ვნებდები. თავს ჯულისგან საპირისპირო მხარეს ვატრიალებ; ცრემლები მომდის. [P]  
[SEP]

– შეგიძლია დაიჯერო, რომ მიგატოვა ღმერთმა, იღბალმა, ბედისწერამ ან რამე მსგავსმა, რაც გინდა, ოღონდ იცოდე, რომ მათ უყვარდი. [P]  
[SEP]

– და ეს რას ცვლის? – ვჩხავი და კვლავ თვალს ვარიდებ, – ვის რა ფეხებზე ჰკიდია. მკვდრები არიან, ესაა ახლანდელი სიტუაცია. ესაა, რაც მნიშვნელოვანია. [P]  
[SEP]



რამდენიმე წუთს არ ვლაპარაკობ. ცივი სიო ხელეებზე ხორკლებს გვაყრის. გარშემორტყმული ტყეებიდან წამოსული ღია ფერის ფოთლები შიგნით შემოსასვლელ გზას პოულობენ, სტადიონის ფართო პირში ბზრიალით ქვემოთ მოემართებიან და სახლის სახურავზე ეშვებიან. [P]  
[SEP]

– პერი, იცი რა? – ამბობს ჯული. ხმა საკუთარი ტკივილებისგან უკანკალებს, – საბოლოოდ ყველაფერი კვდება. ჩვენ ეს ვიცით. ხალხი, ქალაქები, მთელი ცივილიზაციები. არაფერი გრძელდება სამუდამოდ. პოდა, არსებობა რომ მხოლოდ ორმნიშვნელობიანი იყოს – მკვდარი ან ცოცხალი, აქ ან აქ არა, – საერთოდ რა ჯანდაბას ექნებოდა ამრი? – ზემოთ რამდენიმე მოფარფატე ფოთოლს უყურებს და ხელს იშვერს ერთ-ერთი მათგანის, ნეკერჩხლის ალისფერი ფოთლის, დასაჭერად, – დედაჩემი ამბობდა, რომ სწორედ ამიტომ გვაქვს მეხსიერება და მეხსიერების საპირისპირო – იმედი. იმისთვის, რომ ის, რაც დაკარგულია, მაინც მნიშვნელოვანი იყოს; რომ შეგვეძლოს წარსულის გადმოწყობა და მომავლის აშენება, – ფოთოლს სახესთან იტრიალებს, – დედას თქმით, ცხოვრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ამრი, თუ დროს ისევე შევხედავთ, როგორც ამას ღმერთი აკეთებს – წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთდროულად. [P]  
[SEP]

საკუთარ თავს ჯულისკენ გახედვის უფლებას ვაძლევ. ჩემს სახეზე ცრემლებს ხედავს და ცდილობს, მომწმინდოს. [P]  
[SEP]

– ანუ, როგორია მომავალი? – ვეკითხები წარბშეუხრელად, როდესაც მისი თითები ჩემი თვალების გარშემო დასრიალებენ, –

წარსულს და აწმყოს ვხედავ, მაგრამ მომავალი როგორია? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– როგორი და... – ფხუკუნით ამბობს ჯული, – მგონი ეგ ყველაზე ჩამჭრელი შეკითხვაა. წარსული ფაქტებისგან შედგება... მომავალი კი, მგონი, უბრალოდ იმედია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ან შიში. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არა, – მტკიცე თავის გაქნევით უარობს და ფოთოლს თმაში მიმაგრებს, – იმედი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

• • • <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მკვდრები ბორძიკ-ბორძიკით მიინევენ ჰორიზონტზე გამოკვეთილი სტადიონისკენ, რომელიც ირგვლივ შემოჭარული შენობების ფონზე ბუნდოვნად მოჩანს. სტადიონი, რომელიც რამდენიმე კვარტალს აერთიანებს, უხვი ნლების, ჭარბი სამყაროს, სურვილებისა და იმედების ეპოქის სამახსოვრო დიად მონუმენტად აღმართულა; ეპოქისა, რომელიც დასრულდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

უკვე მეორე დღეა, მკვდრების ფერმკრთალ რაზმთან ერთად გაშლილ გზებზე დავხეტილობ, მსგავსად კერუაკისეული ბიტ-თაობისა, ბენზინის ფულიც რომ არ ებადათ. დანარჩენებს შივდებათ. მ-სთან მოკლე, უსიტყვო კამათის შემდეგ საკვების საპოვნელად ძველ, მიტოვებულ სოფლურ სახლთან ჩერდებიან. გარეთ ვიცდი. უკვე იმდენი დღე გავიდა, აღარც მახსოვს, ბოლოს როდის ვჭამე, მაგრამ უცნაურ სიმხნევეს ვგრძნობ, რომელიც შიმშილსა და ნაყროვანებას შორისაა მოქცეული. სახლიდან გამომავალი კვილი ახლა უფრო დამთრგუნველად მოქმედებს, ვიდრე მაშინ, თავად მეც რომ

ვმონანილეობდი მსგავს ნადირობებში, არადა ახლა საკმაოდ მოშორებით, ქუჩის გადაღმა ვდგავარ. ყურებზე ხელს ვიფარებ და ველოდები, როდის დასრულდება.<sup>[SEP]</sup>

გამოდიან. მ თვალს მარიდებს. ხელის ზურგით ინშენდს პირზე მომდგარ სისხლს და გვერდით ჩავლისას დამნაშავის მზერით მიყურებს. დანარჩენები მ-სავით კარგად ჯერ ვერ ხვდებიან, რა დააშავეს, მაგრამ ცვლილება მათაც ემჩნევათ. ნარჩენები არ მოაქვთ. სისხლიან ხელებს ტანსაცმელზე იმშრალევენ და გზას უხერხული დუმილით მიუყვებიან. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია.<sup>[SEP]</sup>

როგორც კი სტადიონს ისეთ მანძილზე ვუახლოვდებით, რომელზეც ცოცხლების სუნს მეტნაკლებად ვარჩევთ, გონებაში გეგმას ვსახავ. მთლად გეგმა არც ეთქმის. კომიქსივით მარტივია, და სწორედ ამიტომ ვიმედოვნებ, რომ გაჭრის. მსგავსი რამ ადრე არავის უცდია და არც მოუნდომებია.<sup>[SEP]</sup>

სტადიონის ჭიშკრიდან რამდენიმე კვარტლის მოშორებით მდგარ მიტოვებულ სახლთან ვჩერდებით. აბაზანაში შევდივარ და სარკის წინ ჩემს თავს ვათვალიერებ. ალბათ, წინა მცხოვრები ასე ათასჯერ მაინც მოქცეულა. გონებაში ჭკუიდან გადამყვან დილის რუტინას ვიმეორებ, როლში შევდივარ: მალვიძარა – შხაპი – ჩაცმა – საუზმე. აბა, როგორ გამოვიყურები? ხომ მაქვს ეფექტური შესახედაობა? ვარ მზად, აქედან გასვლისას პასუხი გავცე ყველა იმ გამონწევას, ამ სამყაროს ჩემთვის რომ მოუმზადებია?<sup>[SEP]</sup>

თმაზე ცოტაოდენ ჟელეს ვისვამ და პალსტუხს ვისწორებ. პერანგით

ვფარავ სხეულზე დამჩნეულ შავ ნაჭრილობეებს. ოდეკოლონსაც ვიპყურებ. [P]  
[SEP]

– მზად ვარ, – ვეუბნები დანარჩენებს. [P]  
[SEP]

მ მზერით მაფასებს. [P]  
[SEP]

– ნავა. [P]  
[SEP]

ჭიშკრისკენ მივდივართ. [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

რამდენიმე კვარტლის გავლის შემდეგ ცოცხლების სუნს უკვე ცხადად ვგრძნობთ. სტადიონი თითქოს ტესლას უზარმაზარ ელექტროკოჭად ქცეულა, რომელიც მოვარდისფრო, სურნელოვან ელვას აკვესებს. გუნდის ყველა წევრი მონინებით შეშდება. ზოგიერთს დორბლიც სდის. ცოტა ხნის წინ რომ არ ეჭამათ, ძლივძლივობით შეთითხნილი სტრატეგია ერთ წამში ჩამოიშლებოდა. [P]  
[SEP]

რომ არ შეგვნიშნონ, ჭიშკარს გვერდითი ქუჩით ვუახლოვდებით. მთავარი გზის კვეთაზე შემორჩენილ საფოსტო სატვირთოს ვეფარებით. კუთხიდან ვიჭყიტები და ვზვერავ. ორი შენობის იქით ოთხ ყარაულს ვხედავ, სტადიონის მთავარ შესასვლელს დარაჯობენ, მხარზე იარაღი გაუდიათ და მოკლე-მოკლედ ლაპარაკობენ. მათი გაუთლელი, მხედრული წინადადებები იმაზე ნაკლებ მარცვალს შეიცავს, ვიდრე ჩვენი. [P]  
[SEP]

მ-ს ვუყურებ. [P]  
[SEP]

– მადლობა... დახმა... რებისთვის. [P]  
[SEP]

– არაფრის, – მპასუხობს მ. [P]  
[SEP]



– არ... მოკვდე. [P]  
[SEP]

– არ ვა... ვაპირებ. მზად... ხარ? [P]  
[SEP]

თავს ვუქნევ. [P]  
[SEP]

– ცოცხალს... უნდა... ჰგავდე. [P]  
[SEP]

ვილიმი. კიდევ ერთხელ ვისწორებ თმას, ღრმად ვისუნთქავ და მივრბივარ. [P]  
[SEP]

– მიშველეთ! – ვყვირი და ხელებს ვიქნევ, – მიშველეთ... მომდევენ! [P]  
[SEP]

რაც შემიძლია, სწორად და გამართულად მივრბივარ. პირდაპირ ჭიშკარს ვუმიზნებ. უკან მ და დანარჩენები მომდევენ და თეატრალურად ღმუიან. [P]  
[SEP]

მცველები ინსტინქტურად რეაგირებენ: იარაღს იმარჯვებენ და ზომბებს ესვრიან. რომელიღაცას მკლავი ძვრება, რომელიღაცას – ფეხი. ცხრა უსახელოთაგან ერთ-ერთს თავში ხვდება და ის ეცემა. საბედნიეროდ, ჩემკენ არავინ ისვრის. ჯულიზე ვფიქრობ და მართონელივით გავრბივარ. ვხვდები, რომ კარგადაც გამომდის: ნორმალურად, ცოცხალივით გამოვიყურები, „ადამიანთა“ რიცხვში გავდივარ, თითქმის. საიდანღაც კიდევ ორი მცველი გამოდის, მაგრამ არც ისინი მიყურებენ გულდასმით. მხოლოდ ცერად თუ გამომხედავენ, შემდეგ ისევ თავიანთ სამიზნეებს უბრუნდებიან და თან ყვირიან: [P]  
[SEP]

– მიდი! აქეთნამოდი, ძმაო! [P]  
[SEP]

ჩემ ბურგსუკან კიდევ ორი ზომბი ეცემა. სანამ კარში შევსხლტები, ვხედავ, როგორ უხვევენ განზე მ და გადარჩენილი მკვდრები და უკან



იხვევენ. უეცრად სხვაგვარ სირბილზე გადადიან, აღარ ბორძიკობენ და ცოცხლებივით მიქრიან. მთლად ჩემსავით სწრაფად და თვალწარმტაცად ვერა, მაგრამ მიზანდასახულად. მცველები ყოვნდებიან. ცეცხლს წყვეტენ. [P] [SEP]

– ეს რა ჩემი...? – ბუტბუტებს ერთი. [P] [SEP]

შესასვლელში საქალაქდიანი და უბის წიგნაკომომარჯვებული კაცი მხვდება – საემიგრაციო სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც მზადაა, ვინაობა გამოამკითხოს, ათასგვარი დოკუმენტი შემავსებინოს და ბოლოს, ალბათ, მაინც უარი მტკიცოს. მკვდრები წლების განმავლობაში ამ კაცის გულმონყალების იმედად იყვნენ და როგორც კი ვინმე დაუცველს გამოასახლებდა, ნანგრევებში მოვიხელთებდით და ვჭამდით. ეს პიროვნება ჩემკენ მოიწევს, წიგნაკს ფურცლავს და თვალს თვალში მიყრის. [P] [SEP]

– რას გადარჩი, მეგობარო?! ახლა შენგან დამჭირდება... [P] [SEP]

– ტედი! ერთი ამას შეხედე! [P] [SEP]

ტედი თვალს მაშორებს და ღია კარში იხედება. მისი გუნდელი ჭარისკაცები დამბლადაცემულებივით დგანან. მიყურებს. [P] [SEP]

– აქ მოიცადე. [P] [SEP]

ტედი გარბის და მცველების გვერდით ჩერდება. მათთან ერთად უყურებს, როგორ გარბიან შორეულ ქუჩაზე შემზარავი ზომბები, რომლებიც ძალიან ჰგვანან ცოცხალ ადამიანებს. წარმოვიდგენ, რა გამომეტყველება აქვს ახლა ამ ხალხს; გულისრევის შეგრძნებისგან როგორ უბუყბუყებთ მუცელი, თითქოს მათ ფეხქვეშ დედამინა

დატრიალდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მათი წამიერი უყურადღებობით ვსარგებლობ, ვტრიალდები და გავრბივარ. ჩაბნელებულ დერეფანს მივუყვები, რომლის ბოლოშიც სინათლე ჩანს. ნეტავ, ეს დერეფანი სამშობიარო არხია თუ სამოთხისკენ მიმავალი გვირაბი?! ვჩნდები თუ ვქრები? თუმცა, რაც უნდა იყოს, უკან დაბრუნება უკვე ძალიან გვიანია. სადამოს მონითალო, ბინდშერეული ცის კამარაგადაფარებულ ცოცხალთა სამყაროში შევდივარ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სპორტული არენა, რომელსაც ჯული სახლს უწოდებს, უბოძოდ დიდია. ალბათ, იმ სტადიონთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ერთდროულად ორი მოვლენის სამასპინძლოდ ააგეს. ასეთებს მაშინ აშენებდნენ, როცა ადამიანებისთვის ყველაზე საჭირობოროტო საკითხს ის წარმოადგენდა, დრო მხიარულად სად გაეტარებინათ. გარედან უსიცოცხლო, გიგანტური, ოვალურად შემოვლებული კედლის გარდა არაფერია. ბეტონისაგან დამზადებულ ერთ დიდ კიდობანს ჰგავს, რომელსაც თვით ღვთის შეწევნაც კი ვერ აატივტივებს. თუმცა, კედლებს მიღმა სტადიონის ჭეშმარიტი სული ჩანს: ქაოსი, რომელიც ნესრიგისკენ მიილტვის – თითქოს ბრაზილიური ფაველები თანამედროვე არქიტექტორს დაუპროექტებიაო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იაფფასიანი დასაჯდომები მოუხსნიათ და ადგილი მინიატურული ცათამბჯენებისთვის გამოუთავისუფლებიათ. შებლუდული ქონების დასატევად უჩვეულოდ მაღალი და ვიწრო შენობები აუხორხლავთ, რომელთა კედლები გადარჩენილი მასალის ნარევისაგანაა შექმნილი.

ერთ-ერთი ცათამბჯენი ბეტონის საძირკველით ინყება, რომელსაც სიმაღლის მატებასთან ერთად უფრო და უფრო სუსტი მასალა ცვლის – ჯერ ლითონი, შემდეგ – პლასტმასი, მეცხრე სართულიდან მოყოლებული კი – მერქნის ბურბუმელის არასანდო ფილები. ერთი შეხედვით, შენობები ნიავის პირველივე დაქროლებამე უნდა ჩამოიშალნონ, მაგრამ მათ კოშკიდან კოშკამდე გადაჭიმული ბაგირების მტკიცე ქსელი აკავებს. ამ ყველაფერს ზემოდან გადმოჰყურებს სტადიონის შიდა კედლები, რომელიც გადაჭრილი მილებით, მავთულებითა და ნვერნამახული არმატურითაა გამაგრებული. ლითონის ეს ჩონჩხი ბეტონიდან აჯაგრული ნვერივითაა ამოშვერილი. ლამპიონების მბჟუტავი განათება მქრქალ ფორთოხლისფერ სინათლეს აფენს ამ ჩაკეტილ სამყაროს.<sup>[P. 56]</sup>

გვირაბიდან გამოსვლისას სიცოცხლის მკვეთრი სურნელი გარს მერტყმის და პირდაპირ ცხვირში მირტყამს. ისეთი ტკბილია, ისეთი ძლევამოსილი, რომ მისი ჩასუნთქვა ტკივილს ინვევს. ასე მგონია, სუნამოს ფლაკონში ვიძირები და ვიხრჩობი. არომატების სქელ ნისლში ჯულის სურნელს ვგრძობ, რომელიც ამ ქაოსს ემიჯნება და თითქოს წყალქვეშეთიდან მიხმობს. მის ძახილს მივყვები.<sup>[P. 57]</sup>

ქუჩების სიგანე ტროტუარისას არ აღემატება. გზებზე ბალახის ძველ, ხელოვნურ საფარზე წვრილ ბოლებად დაუსხამთ ასფალტი. მოუასფალტებელი ნაწილებიდან წინანდელი გაზონი ღია მწვანე ხავსივით იჭყიტება. აბრებზე ქუჩის სახელები არაა დატანილი. შტატების, პრეზიდენტების თუ ხეების დასახელების ნაცვლად თეთრი,

მარტივი ნახატები მიუჭდაბნიათ: ატამი, ბურთი, გველი, დოლი, – თითქოს ანბანის შესასწავლი საბავშვო ნიგნიდან ამოუღიათ. ყველა კუთხეში ჭუჭყია ჩამტდარი. ასფალტის ზედაპირი მოულიპია. ირგვლივ აქაური ყოველდღიური ცხოვრების ნარჩენები ბუდობენ: თუნუქის ქილები, სიგარეტის ნამწვები, ნახმარი კონდომები და ცარიელი მასრები.<sup>[P SEP]</sup>

ვცდილობ, ტეტია ტურისტით არ დავინყო თვალების ცეცება, მაგრამ რაღაც, უბრალო ცნობიმოყვარეობაზე უფრო ძლიერი, მაიძულებს, ყოველი გმისპირი თუ სახურავი გულდასმით დავათვალიერო. მართალია, აქ პირველად მოვხვდი, მაგრამ თითქოს ყველაფერი მეცნობა. ნოსტალგია მიპყრობს. რომელიღაც ქუჩას მივუყვები, რომელსაც, ალბათ, ეტლის ქუჩა ჰქვია, და თვალწინ ჩემ მიერ მოპარული მოგონებები დაქრის.<sup>[P SEP]</sup>

აი, აქ მოგვინია ახალი ცხოვრების დანყება. აქ გადმოგვასახლეს, როცა სანაპიროები დაიტბორა, ჭურვები ჩამოყარეს, ჩვენი მეგობრები დაიხოცნენ და უცნობ, ცივ არსებებად აღდგნენ.<sup>[P SEP]</sup>

პერის ხმა არაა – მათი ხმაშენყობილი გუგუნია, ვინც ოდესმე მომიკლავს და შემიჭამია. ყველას ჩემი ქვეცნობიერის ბნელ კუნჭულში მოუყრია თავი საჭორაოდ და ძველი ამბების გასახსენებლად.<sup>[P SEP]</sup>

აგერ, ვეფხვის გამზირი, სადაც ჩვენიერების ფერად დროშებს არჭობდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ერები არსებობდნენ და დროშებსაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდათ; აი, ბარბაზნების ქუჩაც, სადაც საბრძოლო ბანაკს შლიდნენ და ურიცხვი მტრის,



ცოცხალი მკვდრების წინააღმდეგ შეტევისა თუ თავდაცვის გეგმებს ანყობდნენ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავდახრილი მივდივარ. ვცდილობ, კედლების სიახლოვეს ვიარო. ჩემკენ მომავალს თუ ვინმეს ვამჩნევ, ბოლო წამამდე წინ ვიყურები და გვერდით ჩავლისასლა შევავლებ ხოლმე მზერას. ნაჩქარევად და უხერხულად ვუკრავთ ერთმანეთს თავს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ცივილიზაციის ხუხულამ დიდხანს ვერ გაუძლო და ბანქოს სახლივით მალე ჩამოიშალა. მისი წონასწორობის დასარღვევად ერთი-ორი შებერვაც საკმარისი აღმოჩნდა. კანონმორჩილი მოქალაქეები მიხვდნენ, რომ მხოლოდ წარმოსახვითი და იოლად გადასალახი ბარიერებით იყვნენ დაცულნი. სურვილებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სამყოფი შეძლება ჰქონდათ და გამოიყენეს კიდევ. როგორც კი ჩამოხნულდა, ყველამ თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩემი ტანსაცმლის გამო ვღელავ. ვისაც ვხვდები, ყველას სქელი, ნაცრისფერი ჭინსის შარვალი, ნყალგაუმტარი ლაბადა და ტალახში გაბინტლული სამუშაო ჩექმები აცვია. ნეტავ, როგორ უნდა ავხსნა, ისეთი რა ადგილიდან მოვედი, სადაც ხალხი ტანსაცმლის არჩევისას ესთეტიკაზე ზრუნავს? თუნდაც ვერ მიხვდნენ, რომ ზომბი ვარ, მათ ყურადღებას აუცილებლად მიიქცევს ვიღაც შემლილი, ბოლო მოდაზე გამონკვეპილი მთვარეული, რომელიც კოხტა კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამონყობილი დახეტილობს. ნაბიჯს ვუჩქარებ, სასონარკვეთილი ქსუტუნით მივყვები ჯულის მიერ დატოვებულ სურნელოვან კვალს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>



ესეც თავშეყრის გამზირი, სადაც ერთობლივი ყრილობებისთვის განკუთვნილი დარბაზი ააგეს; სადაც „ისინი“ „ჩვენი“ შეიცვალა, ან გვეგონა, რომ შეიცვალა. მონაწილეობას ვიღებდით კენჭისყრაში, ვირჩევდით ლიდერებს, მომხიბლავ მამაკაცებსა თუ თეთრკბილებიანსა და მჭევრმეტყველ ქალბატონებს, რომელთაც ჩვენს იმედებსა თუ შიშებს ვანდობდით, რადგან გვჭეროდა, რომ ხალხი, რომელსაც მათნაირი ღონიერი ხელისჩამორთმევა შეეძლო, ნდობას იმსახურებდა. ჩვენი ნდობა ერთხელაც კი არ გაუმართლებიათ. სხვაგვარად ვერც მოხდებოდა – ისინი ხომ ჩვენნაირი ადამიანები იყვნენ? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ეტლის ქუჩიდან განზე ვუხვევ და სტადიონის ცენტრისკენ მივდივარ. ჭულის სურნელს უფრო და უფრო მკაფიოდ ვარჩევ, მაგრამ ზუსტი მიმართულება ჯერ ისევ ბუნდოვანია. ისევ იმის იმედი მაქვს, რომ ჩემს ტვინში გამართული გალობის მიუხედავად, რამეს მოვიფიქრებ და მცირე მინიშნებას მაინც წავაწყდები. ამ ძველ მოჩვენებებს საერთოდ არ აღელვებთ, როგორ მიდის ჭულის ძიების საქმე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

იუველირთა ქუჩა. მას შემდეგ, რაც მივხვდით, რომ ჩვენ და ჩვენს შვილებს ამ შეცვლილ სამყაროში მოგვიწევდა ცხოვრება, აქ სკოლები ავაგეთ. ვასწავლეთ, როგორ ესროლათ იარაღი, მოეზილათ ბეტონი, მოეკლათ, თავი გადაერჩინათ, და თუკი კარგად აითვისებდნენ ამ ყველაფერს, საჭირო უნარებში საკმარისად დახელოვნდებოდნენ, თავისუფალ დროს წერა-კითხვასა და მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებასაც ვასწავლიდით. ახლებური სამყაროს შეცნობაში

ვეხმარებოდით. თავიდან ძალიან ვცდილობდით, დიდ იმედს ვამყარებდით, მაგრამ მთელი ეს წვალება წვიმისგან მოლიპულ ციცაბო აღმართზე ცოცვას ჰგავდა. ბევრმა ვერ გაუძლო და ჩამოვარდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვამჩნევ, რომ მეხსიერებაში შემორჩენილი რუკა, ცოტა არ იყოს, ვადაგასულია – იმ ქუჩისთვის, რომელიც მათ იუველირთა ქუჩად მოიხსენიეს, სახელი გადაურქმევიათ. აბრა შედარებით ახალია, ცინცხალი მწვანე საღებავი ჯერ არ შეშრობია. ნახატის ნაცვლად რაღაც სიტყვა აწერია. ცნობისმოყვარეობით აღვსილი ვტრიალდები და ნიშნისკენ მივდივარ. დანარჩენებისგან მკვეთრად გამორჩეულ ფართო, ლითონისგან ნაგებ შენობას ვუახლოვდები. ჯულის სურნელი ისევ შორსაა და ვიცი, რომ არ უნდა შევყოვნდე, მაგრამ ფანჯრებიდან გადმოღვრილი მკრთალი სინათლე თითქოს ჩემს შინაგან ხმებს აფორიაქებს. ცხვირით შუშას ვეჭყლიტები და ისინიც ჩუმდებიან.<sup>[P]  
[SEP]</sup>

დიდ და განიერ ოთახს ვხედავ. ნეონის ნათურებს შორის წყება-წყება დალაგებული მერხთა რიგები მოჩანს. ათობით ბავშვი, რომელთა ასაკი ათ წელს არ აღემატება, რიგების მიხედვით ჯგუფებად არიან დაყოფილნი: ერთი გუნდი გენერატორს აწყობს, მეორე – სანვავს დასტრიალებს, ზოგი იარაღს ზეთავს, დანებს ლესავს, ჭრილობებს მკურნალობს. ჩემს ფანჯარასთან ყველაზე ახლოს განლაგებულ რიგში გვამებს კვეთენ. რა თქმა უნდა, გვამები ნამდვილი არაა. როცა რვა წლის პატარა, თმადანნული ქერა გოგონა მის წინ მწოლიარე სუბიექტს პირზე კანს აძრობს, დაღრეჯილკბილებიანი

არსება თვალს ახელს და აქეთ-იქით იხედება; გოგო ცოტა ხანს ებრძვის და ეჭაჭგურება, შემდეგ ეშვება, დაქანცული და მონყენილი იერი აქვს. გვამი ჩემი ფანჯრისკენ იხედება და წამიერად, სანამ გოგონა თვალებს დათხრის, ერთმანეთის მზერას ვანყდებით.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ვცდილობდით, საოცარი ახალი სამყარო შეგვექმნა, – ბუტბუტებენ ხმები, – ჩვენ შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც ძველი ცივილიზაციის დასასრულში ახლის დაწყების შესაძლებლობა დაინახა. მათი აზრით, ისტორიის მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება შეგვეძლო – კაცობრიობის სიჭაბუკე თანამედროვე ეპოქის ცოდნის წყალობით უნდა აღგვედგინა. მაგრამ ყველაფერი ისე სწრაფად იცვლებოდა...<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

შენობის მეორე ბოლოდან გაშმაგებული შეხლა-შემოხლის ხმაური მოდის. ბეტონზე ვიღაცის ფეხსაცმელები ფხაკუნობენ; კედელზე აკრული ლითონის ფურცლები იდაყვების დარტყმისაგან ბრაგუნობენ. შემდეგ ყრუ, ხმადაბალი კვნესა მოისმის. შენობას ირგვლივფუკლი, რომ კარგად დავინახო, რა ხდება.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ჩვენ მიერ აღმართულ კედლებს მიღმა იმ კაც-ურჩხულთა ურდოები ირეოდნენ, ჩვენივე ქონების მიტაცება რომ სურდათ; შიგნიდან კი, ამ ერთი ბენო ყუთიდან, ხალხთა შემლილი ნაზავი ვენინააღდეგებოდით – უამრავი კულტურის, ენისა და ერთმანეთთან შეუთავსებელი ღირებულებების მატარებელი განსხვავებული ადამიანები. ჩვენი სამყარო მეტისმეტად პატარა იყო იმისათვის, რომ მშვიდობიანად ეარსება. შეთანხმებულად მოქმედება შეუძლებელი ჩანდა. ამიტომ მიზნები შევცვალეთ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

შემდეგი ფანჯრიდან სანყობის მსგავს დიდ, უკედლებო, ძლივს განათებულ ოთახს ვხედავ. ოთახში დაღენილი ავტომობილები და სხვადასხვა ნაყარნუყარი ისეა მიმოფანტული, თითქოს ქალაქის ლანდშაფტს იმეორებსო. მოზრდილი ბავშვების გუნდი შიგნით გავლებულ მესერს ლოყით მიჰკრობიან. ყველანი ბეტონის ბარიკადებს აწყდებიან, რომლებითაც რაღაც „სიტყვით გამოსვლის ბონის“ მაგვარი შემოუსაზღვრავთ. ოდესღაც მსგავს ბონებში პოლიტიკური აქციის მონაწილე ადამიანები აპროტესტებდნენ ამა თუ იმ მოვლენას, მაგრამ ახლა ტრანსპარანტებმოქანავე დისიდენტების ნაცვლად ამ ჩაკეტილ სივრცეში ოთხად-ოთხი სილუეტი მოჩანს: აქციის დასარბევად განკუთვნილი საპოლიციო აღჭურვილობით კბილებამდე შეიარაღებული მოზარდი და სამი სასტიკად დასახიჩრებული მკვდარი.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

განა ვინმე ადანაშაულებს შუა საუკუნეების ექიმბაშებს მათი მეთოდების გამო?! სისხლის გამოშვება, წურბელები, თავის ქალის გახვრეტა... ის ექიმები თავიანთ გზას ბრმად მიჰყვებოდნენ, სასწაულის მოხდენის იმედი ჰქონდათ; მათ ხალხს შავი ჭირით სიკვდილი ემუქრებოდა და რამე უნდა ელონათ. ჩვენც ზუსტად ამ ექიმბაშებს დავემსგავსეთ – ჩვენი განათლებულობის, წინნასული ტექნოლოგიების, ლაბერული სკალპელებისა და სოციალური სისტემის მიუხედავად, არანაირი განსხვავება არ იყო. მათსავით ბრმად მოგვინია გზის გაკვალვა, მათსავით უიმედო მდგომარეობაში ჩავცვივდით. <sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>



არენაზე შეყრილი მკვდრები ისე უღონოდ ბარბაცებენ, ვხვდები, რომ ყველაფერთან ერთად, შიმშილითაც მიუსავათებიათ. ცხადია, ამ გვამებმა კარგად იციან, სად არიან და რა ბედი ელით, მაგრამ ძლივსშერჩენილი ოდნავი თვითკონტროლიც კი დაუკარგავთ და ბიჭისკენ მიიწევენ, ის კი იარაღს იმარჯვებს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გარესამყარო კარგა ხნის წინ ჩაიძირა სისხლის ზღვის ფსკერზე, რომლის ტალღებმა ჩვენს უკანასკნელ თავშესაფრამდეც ამოაღწია – კედლები უნდა გაგვემაგრებინა. მივიჩინეთ, რომ ობიექტური სინამდვილე ისაა, რისაც უმრავლესობას სჯერა, ამიტომ უმცირესობის ხმებს წავუყრეთ. ავირჩიეთ გენერლები, მშენებლები, პოლიცია და ინჟინრები; ის ზიზილ-პიპილოები, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა არ გააჩნდა, უკუვაგდეთ. ჩვენი იდეალები მდუღარესა და წნეხში მანამ ვანრთეთ, სანამ მომცრო ნაწილები არ დაინვა და ჩამოშორდა, საბოლოოდ კი მტკიცე გალია გამოვადნეთ, რომელიც ჩვენ მიერ მანამდე შექმნილი სასტიკი სამყაროს შემოტევენს გაუძლებდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შეცდომაა! – უყვირის ინსტრუქტორი ბიჭს მას შემდეგ, რაც ყმანვილი მოახლოებულ მკვდარს ესვრის, ტყვიით მკერდს უფლეთს და თითებსა და ფეხს აცლის. – თავში დაუმიზნე! დანარჩენი ნაწილები დაივიწყე! – ბიჭი კიდევ ორჯერ ისვრის, მაგრამ საერთოდ ვერ არტყამს. ტყვიები ყრუ ხმაურით ჩეხავენ მძიმე ფანერით მოპირკეთებულ ჭერს. ზომბებიდან ყველაზე სწრაფი ბიჭს მკლავში სწვდება და იარაღს ხელიდან გლეჯს; რამდენიმე წამის განმავლობაში

სასხლეთს ისეთი სიფრთხილით სინჯავს, თითქოს პულსს ზომავს, შემდეგ თოფს გვერდზე აგდებს და ბიჭს მესერთან იმწყვდევს, გამეტებით ცდილობს, ჩაფხუტით დაცული სახე დაუკბინოს. ინსტრუქტორი ბრძოლის ველზე შერბის, პისტოლეთს ზომბის თავს აბჯნის, ისვრის და იარაღს ბუდეში აბრუნებს. – გახსოვდეთ, – იძახის ყველას გასაგონად, – ავტომატური ჯერით სროლისას უკუცემა ლულას ზემოთ წევს. განსაკუთრებით ამ ძველ მოსბერგებს უმრუდდებათ მიზანი, ამიტომ ქვემოთ დაუმიზნეთ, თორემ ისე მარტო ცას თუ დაჭრით,- ძირს დავარდნილ იარაღს იღებს და ბიჭს აკანკალებულ ხელებში სჩრის, – მიდი, განაგრძე!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ყმანვილი ყოყმანობს, შემდეგ ლულას ასწორებს და ორჯერ ისვრის. სიხლის შხეფები სახეზე ესხმევა და ნიღაბს შავად უწინწკლავს. ჩაფხუტს იძრობს და მის ფეხებთან მიმოყრილ მკვდრებს აშტერდება. გაჭირვებით სუნთქავს; თავს ძლივს ერევა, რომ არ იტიროს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– კარგია, – ამბობს ინსტრუქტორი, – მშვენიერია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვიცოდით, რომ არასწორად ვიქცეოდით. ვიცოდით, რომ საკუთარ თავს იმ მეთოდებით ვუღებდით ბოლოს, რომლის სახელიც კი არ ვიცოდით. წარსულის ბედნიერი დღეების გახსენებისას მწარედ ვტიროდით, მაგრამ სხვა გზა არ გვექონდა. გადასარჩენად ყველაფერს ვაკეთებდით, რაც შეგვეძლო. თავს არ ვზოგავდით, რომ ჩვენი იდუმალი პრობლემების გადასაჭრელად საჭირო განტოლება ამოგვეხსნა, მაგრამ ის ძალიან რთული აღმოჩნდა. მეტისმეტად დავიღალეთ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ფანჯრიდან გადაშლილ სანახაობას ფეხებთან მოფუთფუთე გერმანული ნაგაბის ლეკვის ქსუტუნი მწყვეტს. სველი ნესტოები უბზინავს. მე მიყურებს. მეც ვუყურებ. ჯერ მხიარულად ქოშინებს, შემდეგ კანჯში მეძგერება და კბილებს მასობს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ტრინა, ფუ!<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

პატარა ბიჭი მორბის, ძაღლს საყელურში სწვდება, მაშორებს და ქუჩის გადალმა მდგომი სახლის ღია კარისკენ მიერეკება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ცუდო ძაღლო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ტრინა თავს ატრიალებს, რომ შემომხედოს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ბოდიში! – გბის მეორე მხრიდან მეძახის ბიჭი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არაუშავს, რა მოხდა მერე. უდარდელად ვუქნევ ხელს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სახლის კარში გოგო გამოდის და ბიჭის გვერდით დგება. ღიპი წინ ნამოუგდია და დიდი, მუქი თვალებით მიყურებს. გოგო შავთმიანია, ბიჭი კი – თმახუჭუჭა ქერა. ექვსიოდე წლისანი თუ იქნებიან.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– დედას ხომ არ ეტყვით? – მეკითხება გოგონა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

უეცრად მონოლილ ემოციებს უკანვე ვყლაპავ და უარის ნიშნად თავს ვაქნევ. ამ პატარების წკრიალა ხმები, მათი უნაკლო, ბავშვური საუბარი...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჯულის... ხომ არ იცნობთ? – ვეკითხები.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჯული კაბერნეს? – მპასუხობს ბიჭი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჯული... გრიჯოს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჯული კაბერნე ძალიან გვიყვარს. ყოველ ოთხშაბათს გვიკითხავს.

– ზღაპრებს! – ამატებს გოგო. [P]  
[SEP]

ეს სახელი არ მეცნობა, მაგრამ რომელიღაც მოგონების ნაფლეთი  
მას მთელი ძალით ებღაუჭება. [P]  
[SEP]

– სად ცხოვრობს... იცით? [P]  
[SEP]

– გვირილების ქუჩაზე, – მეუბნება ბიჭი. [P]  
[SEP]

– არაფერიც, ყვავილის ქუჩაზე! ყვავილი ხატია! [P]  
[SEP]

– გვირილაც ყვავილია. [P]  
[SEP]

– ა, ჰოო. [P]  
[SEP]

– ქუჩის კუთხეში ცხოვრობს. გვირილების ქუჩა, ეშმაკის გამზირი. [P]  
[SEP]

– ეშმაკის კი არა, ძროხის! [P]  
[SEP]

– ძროხა არა, ის! ეშმაკი! ორივეს რქები აქვს და გერევა. [P]  
[SEP]

– კარგი ერთი! [P]  
[SEP]

– მადლობა, – ვეუბნები და წასასვლელად ვტრიალდები. [P]  
[SEP]

– თქვენ ზომბი ბრძანდებით? – მორცხვად მეკითხება გოგონა. [P]  
[SEP]

ადგილზე ვშეშდები. ჩემი პასუხის მოლოდინში წინ და უკან ქანაობს.  
მშვიდად ვულიმი და მხრებს ვიჩეჩავ. [P]  
[SEP]

– ჭული... ასე არ ფიქრობს. [P]  
[SEP]

მეხუთე სართულიდან ვიღაცის ბრაზიანი ხმა ბავშვებს კომენდანტის  
საათის შესახებ ახსენებს და უყვირის, კარი ჩაკეტონ და უცნობებს არ  
დაელაპარაკონ. ამიტომ ბავშვებს გამოსამშვიდობებლად ხელს ვუქნევ  
და გვირილებისა და ეშმაკისკენ მივიჩქარი. მზე ჩასვლის პირასაა და  
ცას ჟანგისფერი დასდებია. სადღაც შორს დამონტაჟებული ხმის  
გამაძლიერებელიდან რიცხვთა ჩამონათვალი ისმის. ფანჯრების



უმეტესობაში ბნელა. ჰალსტუხს ვუშვებ და სირბილზე გადავდივარ. [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

ჭულის სურნელი ყოველი კვარტლის შემდეგ მძაფრდება. როდესაც  
სტადიონის ოვალურ ცაზე პირველი ვარსკვლავები კიაფდება, კუთხეში  
ვუხვევ და ალუმინის ფირფიტებით შემოღობილი დიდი ნაგებობის  
ძირში ვჩერდები. შენობების უმეტესობა მრავალოჭახიან  
საცხოვრებელ კომპლექსებს წააგავს, მაგრამ ეს შედარებით მომცრო  
და ვინრო კონსტრუქციაა და დანარჩენი, მჭიდროდ ჩალაგებული  
შენობებისგან უცნაურადაა განცალკევებული. ოთხსართულიანია,  
მაგრამ სიგანეში მხოლოდ ორი ოთახი თუ დაეტევა; რაღაც  
გარდამავალია სოფლის სახლსა და ციხის საგუშაგო კოშკს შორის.  
მესამე სართულზე სახლის გვერდიდან გამოჩრილ აივანს თუ არ  
ჩავთვლით, ყველა ფანჯარა ჩაბნელებულია. ამ მკაცრი შესახედაობის  
ადგილას აივანი შეუფერებლად რომანტიკული ჩანს მანამ, სანამ მის  
ორივე კუთხეში სადგამზე დამაგრებულ სნაიპერის შაშხანებს არ  
ვამჩნევ. [P]  
[SEP]

ხელოვნურგაბონიან ებოში დახვავებული ხის ყუთების უკან  
ვიმალები; სახლის შიგნიდან ხმები მესმის. თვალებს ვხუჭავ და მათი  
ტკბილი რითმებითა და ნაზი ტემბრით ვტკბები. ჭულის და კიდევ ერთი  
გოგოს ხმა მესმის. რაღაცას ჯაზის სტილში მოკანკალებ და  
სინკოპირებადი ხმებით განიხილავენ. ვამჩნევ, რომ ვირწევი და მათი  
საუბრის რიტმზე ვცეკვავ. [P]  
[SEP]

საბოლოოდ საუბარი წყდება და ჭული აივანზე ჩნდება. მისი

წასვლიდან სულ ერთი დღე გავიდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ათწლიანი განშორების შემდეგ ვნახულობ. იდაყვებით მოაჭირს ეყრდნობა. შემცივნებული ჩანს, რადგან მხოლოდ შიშველ ფეხებზე ჩამოშვებული შავი, ფართო მაისური აცვია. [SEP]

– ისევ აქ ვარ, – ამბობს და აშკარად მხოლოდ ჰაერს მიმართავს, – როდესაც კარში შევედი, მამაჩემმა ბურგზე ხელი მომიტყაპუნა. მართლა ასე, ვიღაც ვიგინდარა საფეხბურთო მწვრთნელივით მოიქცა. მხოლოდ ის მითხრა, მიხარია, რომ კარგად ხარო და თავისი მომდევნო პროექტის თუ რაღაცის შესვენებაზე გაიქცა. ვერც კი ვიჭერებ, რომ ასეთი... არა, განსაკუთრებით თბილი არასოდეს ყოფილა, მაგრამ... [SEP]

ჩუმი წკაპუნი მესმის და ჭული მცირე ხნით მონოლოგს წყვეტს. შემდეგ კიდევ ერთი წკაპუნი. [SEP]

– სანამ არ დავურევე, წესით, მკვდარი უნდა ვგონებოდი, ხომ? ჰო, მართალია სამძებრო რაზმები გაგზავნა, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ხომ იშვიათად ბრუნდებიან ხოლმე დაკარგულები? ანუ, მისთვის... მკვდარი ვიყავი. შეიძლება ზედმეტად მკაცრად ვაფასებ, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენ, რომ ამის გამო ეტირა. ვინც ეს ამბავი შეატყობინა, იმასთანაც ალბათ, მხოლოდ ბურგზე ხელის მოთათუნებით შემოიფარგლა, შემდეგ თქვეს, უნდა გავმაგრდეთო, და საქმიანობა განაგრძეს, – ჭული მინას ჩასცქერის, თითქოს მის მიღმა ხედვა შეუძლია და დედამიწის ჯოჯოხეთურად ცხელ ბირთვის ათვალღიერებსო, – რა სჭირს ამ ხალხს? – ამბობს ისე ჩუმად, რომ ძლივს მესმის, –

დაბადებისას უკვე აკლდათ რაღაც ნაწილები, თუ გზადაგზა დაკარგეს?

[P]  
[SEP]

მცირე ხანს ჩუმადაა და ის-ისაა გამოჩენას ვაპირებ, როდესაც უეცრად სიცილს იწყებს, თვალებს ხუჭავს და თავს თითქოს უარის ნიშნადიქნევს. [P]  
[SEP]

– ის სულელი მართლა მენატრება... რ მენატრება! ვიცი, რომ სიგიჟეა, მაგრამ ვითომ მართლა ძალიან სიგიჟეა? მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის... რაც არის? იმის თქმა მინდა, რომ „ზომბი“ ჩვენ მიერ გამოგონილი უაზრო სიტყვაა იმ მდგომარეობის აღსანიშნავად, რომლისააც არაფერი გაგვეგება. სახელს რა მნიშვნელობა აქვს? ჩვენ რომ... რომ არსებობდეს რაღაცნაირი... – მისი ხმა თანდათან დაბლდება და წყდება. ჯული აუდიოჩამწერს თვალების წინ იჭერს და ათვალიერებს, – დედას შვევცი... – ბურტყუნებს თავისთვის, – აუდიო დღიური... საჩემო არაა, – ამბობს და აუდიოჩამწერს სასწრაფოდ აივნიდან ისვრის. ჩამწერი მარაგების ყუთებს თავზე ევლება და პირდაპირ ჩემს ფეხებთან ეცემა. ვიღებ, ჩემი პერანგის ჯიბეში ვიტენი და ხელით ისე ვაწვები, რომ მისი კუთხეები გულმკერდში მესობა. თუ ოდესმე ჩემს 747-ში დავბრუნდები, ეს სახსოვარი ჩემს საძინებელ ადგილთან ყველაზე ახლო გროვაზე დაიდებს ბინას. [P]  
[SEP]

ჯული ერთი შეხტომით აივნის ფართო მოაჭირს ზემოდან ექცევა, ჩემგან ბურგშექცევით ჯდება და თავის ძველ, გაცვეთილ „მოლესკინში“ („მოლესკინი“ – რვეულების, ბლოკნოტების, დღიურებისა და მსგავსი საკანცელარიო ნივთების მწარმოებელი

იტალიური კომპანია. აქ ნახმარია ბლოკნოტის მნიშვნელობით.)  
ჭღაბნას იწყებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

დღიური თუ პოეზია? ორივე სისულელეა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნეტავ ჩემზე თუა რამე?<sup>[P]  
[SEP]</sup>

სიბნელიდან გამოვდივარ და ვჩურჩულებ:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჭული.<sup>[P]  
[SEP]</sup>

არ იბნევა. ნელა ტრიალდება და სახეზე თანდათან ღიმილი  
ედღაბნება გაზაფხულზე დამდნარი ყინულივით.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ო... ღმერთო, – ოდნავ ხითხითებს, შემდეგ მოაჭირიდან ჩამოდის  
და სახით ჩემვენ ტრიალდება, – რ, აქ ხარ! ღმერთო ჩემო!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვიღრიტები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– სალამი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აქ რას აკეთებ? – სისინებს და ცდილობს, ხმას არ აუნიოს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მხრებს ვიჩეჩავ და მიმაჩნია, რომ მიუხედავად ხშირი  
გადაჭარბებისა, ახლა ამ ჟესტს სწორად ვიყენებ. შეიძლება ის  
სასიცოცხლო მნიშვნელობის ლექსიკონიც კი იყოს ჩვენს უმეტველო  
სამყაროში.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მოვედი, რომ... გნახო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მაგრამ, ხომ გახსოვს, სახლში წამოსასვლელი ვიყავი. შენ უნდა  
დამმშვიდობებოდი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არ ვიცი რატომ... დამემშვიდობებ. მე... გესალმები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ურთიერთსაპირისპირო გრძნობებისგან ტუჩები უკანკალებს, თუმცა  
საბოლოოდ უხალისო ღიმილზე ჩერდება.<sup>[P]  
[SEP]</sup>



– ღმერთო, რა სულელი, ხარ, რ. მაგრამ რ...<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჭულს! – სახლიდან ხმა ისმის, – შემოდი, რაღაც უნდა გაჩვენო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ერთ ნამს მაცადე, ნორა, – პასუხად გასძახის ჭული. მე დამყურებს,

– ნამდვილი სიგიჟეა, გესმის? მოგკლავენ. აზრი არ აქვს, რამდენად შეიცვალე, აქაურებს არ აინტერესებთ, არც მოგისმენენ, პირდაპირ გესვრიან. გესმის?<sup>[P]  
[SEP]</sup>

თავის დაქნევით ვეთანხმები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

სადრენაჟო მიღზე აცოცებას ვინყებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ღმერთო ჩემო, რ! მისმენ მაინც?<sup>[P]  
[SEP]</sup>

მინიდან დაახლოებით სამი ფუტის სიმაღლეზე ვცოცდები და მხოლოდ მაშინ ვაცნობიერებ, რომ სიმაღლეზე ცოცვაში დაოსტატებამდე ჯერ კიდევ ბევრი მიკლია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე შემოძლია სირბილი, ლაპარაკი და, იქნებ, სიყვარულიც კი. მიღზე ხელი მისხლტება და მიწაზე ზურგით ვეცემი. ჭული პირზე ხელს იფარებს, თუმცა სიცილს ბოლომდე ვერ იკავებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰეი, კაბერნე! – ისევ უხმობს ნორა, – რა ხდება, ვინმეს ელაპარაკები?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მაცადე, კარგი? უბრალოდ აუდიოდლიურს ვავსებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ფეხზე ვდგები და ვცდილობ მტვერი ჩამოვიფერთხო. ჭულისკენ ვიხედები. ნარბეზმეჭმუხნილი ტუჩს იკვნეტს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რ..., – ამბობს სანყლად, – ვერ...<sup>[P]  
[SEP]</sup>

აივნის კარი იღება და ნორა ჩნდება; მისი კულულები ისეთივე სქელი და უხეშია, როგორც მრავალი წლის წინ, ჩემს ხილვებში. ფეხზე

მდგომი არასდროს მინახავს. ჩემდა გასაკვირად, ძალიან მაღალია, ჯულიზე ნახევარი ფუტი(ნახევარი ფუტი = 15 სანტიმეტრს.) მაღალი მაინც იქნება. კამუფლაჟირებული კაბის ქვემოთ გრძელი, ყავისფერი ფეხები მოშიშვლებია. აქამდე ის და ჯული კლასელები მეგონენ, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ის რამდენიმე წლით უფროსია. ალბათ, დაახლოებით ოცდახუთის იქნება. [P SEP]

– რას აკე... – ჩემი დანახვისას სიტყვას წყვეტს და წარბები მაღლა ასდის, – ღმერთო ჩემო, ისაა? [P SEP]

ჯული ამოხვნეშის შემდეგ ამბობს: [P SEP]

– ნორა, გაიცანი, ეს არის რ. რ, ეს ნორაა. [P SEP]

ნორა ისე მომშტერებია, თითქოს თოვლის კაცი, ჩუპაკაბრა ან რქაეული დაინახაო. [P SEP]

– აამ... სასიამოვნოა... შენი გაცნობა... რ. [P SEP]

– ჩემთვისაც, – ვპასუხობ და ალტაცების შეკვივლების დასაფარად ნორა პირზე ხელს იფარებს. ჯულისკენ იხედება, მერე მზერა ისევ ჩემზე გადმოაქვს. [P SEP]

– რა უნდა ვქნათ? – ეკითხება ჯული ნორას და ცდილობს მეგობრის დაბნეულობას ყურადღება არ მიაქციოს, – პირდაპირ ასე გამოცხადდა. ვცდილობ ავუხსნა, რომ მოკლავენ. [P SEP]

– პირველ რიგში, აქ ამოსვლა მოუწევს, – ამბობს ნორა, რომელიც ჯერ კიდევ მე მომშტერებია. [P SEP]

– სახლში? ხო არ გამოშტერდი? [P SEP]

– კარგი რა, მამაშენი კიდევ ორი დღე არ დაბრუნდება. სახლში

უფრო უსაფრთხოდ იქნება, ვიდრე ქუჩაში. [P]  
[SEP]

ჭული ერთ ნუთს ჩაფიქრებულია. [P]  
[SEP]

– კარგი. რ, დაიცადე, ჩამოვალ. [P]  
[SEP]

შენობის წინა მხარეს მივდივარ და კართან ვდგები. პერანგსა და პალსტუხში გამოწყობილი, ნერვიულად ვიცი. კარს აღებს და მორცხვად იღიმის. სკოლის გამოსაშვები ბანკეტი აპოკალიფსის მისადგომებთან. [P]  
[SEP]

– სალამი, ჭული, – ისე ვეუბნები, თითქოს წინა საუბარი არც არსებულა. [P]  
[SEP]

ჭერ ყოყმანობს, შემდეგ ნაბიჯს დგამს და მეხუტება. [P]  
[SEP]

– მართლა მომენატრე, – ეუბნება ჩემს პერანგს. [P]  
[SEP]

– მე... ეგ გავიგონე. [P]  
[SEP]

უკან იხევს და სახეში მიყურებს. მის თვალეში რაღაც ველური კრთება. [P]  
[SEP]

– ჰეი, რ, – მომმართავს, – რომ გაკოცო, მე... ანუ... გადავიქცევი? [P]  
[SEP]

ჩემი ფიქრები ისე არეულად ინყებენ ხტუნვას, როგორც მუსიკალური ფირფიტა მინისძვრის დროს. რამდენადაც ვიცი, მხოლოდ კბენით, სისხლისა და თხევადი ქსოვილების ძალადობრივი გადაცემითაა შესაძლებელი ცოცხლის მკვდრად გადაქცევა ნამდვილ სიკვდილამდე, გარდაუვალის დასაჩქარებლად. მაგრამ იმაზეც ვფიქრდები, რომ ეს შევითხვა ჭულიმდე არასოდეს, არასოდეს, არავის დაუსვამს. [P]  
[SEP]

– არა... მგონია, – ვპასუხობ მე, – მაგრამ... [P]  
[SEP]

ქუჩის ბოლოში პროექტორის შუქი კრთება. ღამის სინყნარეს არღვევს ორი მცველი, რომელიც ყვეით ბრძანებებს გასცემს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჯანდაბა, პატრული, – ჩურჩულებს ჯული და სახლის შიგნით მითრევეს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შუქები უნდა ჩავაქროთ, კომენდანტის საათი უკვე დაიწყო. ჩქარა, – კიბეებით ზემოთ არბის და მეც მივყვები. გულმკერდში შვება და იმედგაცრუება არასტაბილური ელემენტებივით ირევიან ერთმანეთში. ჯულის სახლი შემზარავად ცარიელი ჩანს. სამზარეულოში, მისაღებში, მოკლე დერეფნებში და კიბეების გასწვრივ კედლები თეთრი და ცარიელია. მცირერიცხოვანი ავეჯი პლასტმასისგანაა დამზადებული. უხემ, ჩალისფერ ხალიჩას ნეონის ნათურების რიგიდან სინათლე ეცემა. აქაურობა გაკოტრებული კომპანიის დაცარიელებულ ოფისს ჰგავს – ცარიელი ოთახები ექოს გამოსცემს, ჰაერი კი სასონარკვეთილების სუნითაა გაჟღენთილი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული გზადაგზა სინათლეს აქრობს და სახლს აბნელებს, ვიდრე მის საძინებლამდე მივალწვეთ. სინათლეს აქაც აქრობს და საწოლის გვერდით დამაგრებულ სანათურს ანთებს. ოთახში შევდივარ, ნელი ტრიალით ვათვალისწინებ ოთახს და ხარბად ვინოვ ჯულის პირად სივრცეს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მისი გონება ოთახი რომ იყოს, ასეთივე შესახედაობის იქნებოდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ყველა კედელი სხვადასხვა ფერისაა – ერთი ნითელი, ერთი თეთრი, ერთი ყვითელი, ერთი შავი – ჭერი კი ცისფერია და ზედ თვითმფრინავების პატარა მოდელებია ჩამოკიდებული. თითოეული



კედელი გარკვეული თემატიკის დიზაინითაა მორთული. წითელი თითქმის მთლიანად დაფარულია კინოთეატრების ბილეთების მონახევებითა და საკონცერტო პოსტერებით; ყველა მათგანი წლებისგან გაყვითლებული და გაცრეცილია. თეთრი კედელი ნახატებითაა გადატვირთული, რომლებიც თითქმის იატაკიდან იწყება მოყვარულის მიერ აკრილით შესრულებული ნამუშევრებით და ზემოთ ზეთში შესრულებული სამი გამოგნებელი ტილოთი მთავრდება: მძინარე გოგო, რომელსაც სადაცაა ვეფხვები დაესხმიან თავს, კოშმარული ქრისტე გეომეტრიულად შესრულებულ ჭვარზე და სიურრეალისტური ლანდშაფტი ზედ მიმოფენილი მდნარი საათებით.

[P]  
[SEP]

– სცნობ ამათ? – ამბობს ჯული და თან ღიმილს ვერ იკავებს, – სალვადორ დალი. რა თქმა უნდა, ორიგინალებია. [P]  
[SEP]

აივნიდან ნორა შემოდის. მხედავს, რომ ტილოებს სულ რამდენიმე ინჩის მანძილიდან შევცქერი და იცინის. [P]  
[SEP]

– კარგი გაფორმებაა, არა? მე და პერის სულ გვინდოდა, რომ ჯულისთვის დაბადების დღეზე საჩუქრად „მონა ლიზა“ გვეშოვნა, რადგან ჯულისაც მისნაირი ჩალიმება სჩვევია – აი! ზუსტად ახლა, შეხედე! – მაგრამ, ეჰ, პარიზი ფეხით ჩასასვლელად საკმაოდ შორია. ადგილობრივი გამოფენებით დაკმაყოფილება გვინევს. [P]  
[SEP]

– ნორას თავის ოთახში მთელი კედელი პიკასოები აქვს, – ამატებს ჯული, – ვინმეს რომ ჯერ კიდევ ადარდებდეს, ნახატების ლეგენდარული ქურდები ვიქნებოდით. [P]  
[SEP]

აკრილის ნახატების ქვედა რიგის უკეთ დასათვალთვალად ვიხრები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– თვითონ ჯულის დახატულია, – ამბობს ნორა, – ხო მაგრებია?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული მეგობარს ზიზღით არიდებს თვალს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ნორამ მაიძულა, მანდ გამომეფინა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნახატებს ყურადღებით ვაკვირდები. ფუნჯის მოუქნელ მონასმებში გოგოს საიდუმლოებების ამოცნობას ვცდილობ. ორი ნახატი ღია ფერებშია შესრულებული სქელ, ნანვალზე ქსოვილზე. მესამე ნახატი ქერა ქალის უხეში პორტრეტია. შავი კედლისკენ ვიყურები, რომელიც მხოლოდ ერთი ორნამენტითაა მორთული – სავარაუდოდ იგივე ქალის პოლაროიდის სურათია ჭიკარტით მიმაგრებული. ისეთი შესახედაობა აქვს, როგორც ალბათ ჯულის ექნება ოციოდე წლის შემდეგ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული ჩემს მზერას თვალს აყოლებს, რასაც ნორასკენ გახედვა მოსდევს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ეგ დედაჩემია, – ამბობს ჯული, – როცა თორმეტის ვიყავი, მაშინ ნავიდა, – ჩახველების შემდეგ ფანჯარას უახლოვდება და გარეთ იხედება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ყვითელი კედლისკენ ვტრიალდები, რომელიც აშკარად მთლიანად ცარიელია. ხელს კედლისკენ ვიშვერ და წარბებს ზემოთ ვზიდავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ეს... აამ... ჩემი იმედის კედელია, – ამბობს ჯული. ხმაში დარცხვენილი სიამაყე ემჩნევა, რაც მის საუბარს ბავშვურობასა და უმნიშვნელობას სძენს, – ცარიელს ვტოვებ რამე ისეთისთვის, რაც

მომავალში მოხდება. [P]  
[SEP]

– მაგალითად... რა? [P]  
[SEP]

– ჯერ არ ვიცი. იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მოხდება მომავალში. იმედია, რამე სასიხარულო. [P]  
[SEP]

მხრების აჩეჩვით საუბარს ამთავრებს და თავისი სანოლის კუთხეზე ჯდება, თითებს საკუთარ თეძოებზე ათამაშებს და მიყურებს. ნორა გვერდით უჯდება. სკამები არაა, ასე რომ მე ძირს ვჯდები. ხალიჩა დაჭმუჭნილი ტანსაცმლის ფენების ქვეშაა დამალული. [P]  
[SEP]

– აბა... რ, – ამბობს ნორა და ჩემკენ იხრება, – შენ ზომბი ხარ. როგორი შეგრძნებაა? [P]  
[SEP]

– ააამ... [P]  
[SEP]

– როგორ მოხდა? როგორ გადაიქცევი? [P]  
[SEP]

– არ... მახსოვს. [P]  
[SEP]

– ძველ ნაკბენებს, ნატყვიარებს ან რამეს ვერ გამჩნევ. ბუნებრივი მიზეზი უნდა ყოფილიყო. ნუთუ გარშემო არავინ იყო, რომ შენთვის ტვინი გაესხმევინებინა? [P]  
[SEP]

მხრებს ვიჩეჩავ. [P]  
[SEP]

– რამდენი წლის ხარ? [P]  
[SEP]

მხრებს ვიჩეჩავ. [P]  
[SEP]

– გარეგნულად ოც წელზე ცოტა უფროსს ჰგავხარ, მაგრამ შეიძლება ოცდაათზე მეტისაც კი იყო. შენი სახე... რატომ საერთოდ არ ხარ გახრწნილი? სუნი თითქმის არც აგდის. [P]  
[SEP]

– მე... არ... ააამ... [P]  
[SEP]

– შენი სხეულის ფუნქციები ჯერ კიდევ მუშაობს? არა, ხო? ანუ იმას ვგულისხმობს, შეგიძლია, რომ მართლა... ანუ იმის თქმა მინდა...<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ღმერთო ჩემო, ნორა, – ანცვეტინებს ჯული და თედობე მუჭლუგუნს ჰკრავს, – შეგიძლია თავი შეიკავო? აქ დაკითხვაზე კი არ მოსულა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯულის მადლიერი მზერით ვუყურებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– თუმცა ერთი კითხვა მეც მაქვს, – ამბობს ჯული, – სტადიონზე როგორ შემოაღნიე?<sup>[P]  
[SEP]</sup>

მხრებს ვიჩეჩავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ფეხით.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მცველებს გვერდი როგორ აუარე?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– თავი... ცოცხლად... მოვაჩვენე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

გაკვირვებული მიყურებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შემოგიშვეს? ტედმა შემოგიშვა?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ყურადღება... გავუფანტე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ხელს შუბლზე იდებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ვაა... – ჩერდება, შემდეგ ეჭვიანად იღიმის, – რაღაც... მოვლილი ჩანხარ. რ, თმა დაივარცხნე?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შენიღბულია! – ნორა სიცილს იწყებს, – ცოცხლის ფორმაშია გამონწყობილი!<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ვერ ვიტყვებ, რომ მცველები ამაზე წამოეგნენ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– როგორ ფიქრობ, შეძლებდა გამოვლას? – ინტერესდება ნორა, – გარეთ, ნამდვილ ხალხს შორის...<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული დაეჭვებული მათვალაიერებს, გეგონება ფოტოგრაფია,



რომელსაც ჭარბწონიანი ფოტომოდელის გადაღებას აიძულებენო. [P]  
[SEP]

– პრინციპში, – აღიარებს ბოლოს, – მგონი... შესაძლებელია. [P]  
[SEP]

მათი კრიტიკული განსჯისგან ვიკრუნჩხები. ბოლოს ჯული ღრმად ისუნთქავს და დგება. [P]  
[SEP]

– ახლა მაგას უკვე აზრი აღარ აქვს, ამაღამ მაინც აქ დარჩენა მოგიწევს, სანამ მოვიფიქრებთ, რა გიმეფლოთ. ავალ, ცოტა ბრინჯს შევათბობ. ნორა, შეგამ? [P]  
[SEP]

– არაა, სულ რაღაც ცხრა საათის წინ ნახშირცილა ვჭამე, – შემდეგ ინტერესით მიყურებს, – და შენ არ... გშია, რ? [P]  
[SEP]

თავს ვიქნევ. [P]  
[SEP]

– არა... იყოს. [P]  
[SEP]

– წარმოდგენა არ მაქვს, შენი დიეტური შეზღუდვები როგორია. არა, ჯულიმ კი ყველაფერი ამიხსნა შენზე, მაგრამ ჩვენ არ... [P]  
[SEP]

– მართლა, – ვანყვეტინებ, – მართლა... არ მშია. [P]  
[SEP]

მაინც დაეჭვებული ჩანს. ჩემს წარმოსახვაში მისი თვალების უკან დატრიალებულ ვიდეოფირს ვხედავ. ჩაბნელებული ოთახი სისხლით ივსება. მისი მეგობრები იატაკზე სულს ღაფავენ. მე წითელი ხელები გამიშვვრია და ჯულისკენ მივიწევ. ჯულიმ შეიძლება დაარწმუნა, რომ განსაკუთრებული შემთხვევა ვარ, მაგრამ მაინც არ უნდა გამიკვირდეს, თუ შიგადაშიგ ნორას აღელვებულ მზერას ნავანყდები. ნორა რამდენიმე წუთი ხმის ამოუღებლად მიყურებს. შემდეგ თავს მანებებს და ჭოინთის გადახვევას იწყებს. [P]  
[SEP]

როდესაც ჯული საჭმელთან ერთად ბრუნდება, მისგან კოვზს

ვთხოულობ, ერთ ლუკმა ბრინჯს ვსინჯავ და ღეჭვისას ვიღიმი. როგორც ყოველთვის, ახლაც უხეში ჩალასავით ჩამდის, მაგრამ ჩაყლაპვას მაინც ვახერხებ. ჭული და ნორა ჯერ ერთმანეთს უყურებენ, შემდეგ მე. [P] [SEP]

– როგორი გემო აქვს? – მეკითხება ჭული ფრთხილად. სახეს ვმანჯავ. [P] [SEP]

– გასაგებია, მაგრამ მაინც, დიდი ხანია, ადამიანები არ გიჭამია და ჯერ კიდევ დადიხარ. როგორ გგონია, შეგიძლია რომ საერთოდ შეეშვა... ცოცხალ საჭმელს? [P] [SEP]

ცალყბად ვუღიმი. [P] [SEP]

– მგონი... არაა გამორიცხული. [P] [SEP]

ჭულის ამაზე ეღიმება. ნახევრად ჩემს მოულოდნელ სარკაზმზე, ნახევრად მის უკან დამალულ იმედზე. მისი სახე ისეთი ნათელია, როგორიც არასოდეს მინახავს; იმედია, არ ვცდები და რაც ვთქვი სიმართლეა. იმედია, უბრალოდ მოტყუება არ ვისწავლე. [P] [SEP]

• • • [P] [SEP]

ღამის პირველი საათისთვის გოგოებს ძილი ერევათ და მთქნარებას იწყებენ. მისაღებში გასაშლელი სანოლები კია, მაგრამ ჭულის ოთახიდან გასვლა არავის უნდა. თვალწარმტაცად მოხატული ეს პატარა კუბი ანტარქტიდის სუსხიან სიცარიელეში აღმართულ თბილ თავშესაფარს წააგავს. ნორა სანოლზე წვება, ჭული და მე იატაკს ვამჯობინებთ. თითქმის ერთი საათის განმავლობაში ნორა რაღაცებს წერს, შემდეგ სანათურს აქრობს და პატარა, კოხტა ბენზოხერხივით

ხრიალს უშვებს. ჯული და მე გულაღმა ვწევართ, სქელი საბანი გვაფარია, ქვასავით მაგარი იატაკისგან დამცავ ლეიბად მისი სამოსი გვიგია. მთლიანად მისი არსებითვარ მოცული. უცნაური შეგრძნებაა. ყველაფერს მისი ცოცხალი სურნელი დაჰკრავს. ჩემ გვერდითაც ისაა, ზემოთაც და ქვემოთაც. მთლიან ოთახად ქცეულა. [P]  
[SEP]

– რ, – მეჩურჩულება, თან ჭერს უყურებს, რომელიც ფოსფორისებურად მოციმციმე საღებავითაა მოხატული – ზოგან სიტყვები გამოუყვანია, ზოგან – უცნაური სურათები. [P]  
[SEP]

– ჰო. [P]  
[SEP]

– მძულს ეს ადგილი. [P]  
[SEP]

– ვიცი. [P]  
[SEP]

– სადმე სხვაგან წამიყვანე. [P]  
[SEP]

ვფიქრობ, რა ვუპასუხო. მეც ჭერს მივშტერებივარ. ნეტავ შემეძლოს იმის წაკითხვა, რა დანერა. არ შემიძლია. წაკითხვის ნაცვლად, წარმოვიდგენ, რომ იქ ასოები კი არა, ვარსკვლავებია. სიტყვები მაშინვე თანავარსკვლავედებად იქცევა. [P]  
[SEP]

– სად გინდა... წასვლა? [P]  
[SEP]

– არ ვიცი. სადმე, შორს. რომელიმე მიყრუებულ კონტინენტზე, სადაც მსგავსი რამეები არ ხდება და ხალხი მშვიდობიანი ცხოვრებით ტკბება. [P]  
[SEP]

ვდუმვარ. [P]  
[SEP]

– პერის ერთი უფროსი მეგობარი ჰყავდა. მფრინავი იყო... შენი სახლ-თვითმფრინავით გავფრინდეთ! თითქოს ვინებაგოთი(ვინებაგო –

საცხოვრებელი სატვირთო.) მივფრინავთ. სადაც მოგვინდება, იქ წავალთ! – მხარეთქობზე წვება და მილიმის, – რას იტყვი, რ? ქვეყნის დასალიერშიც შეგვეძლება წასვლა.<sup>[P] [SEP]</sup>

მის ხმაში გამომკრთალი ალტაცება ძრწოლას მგვრის. იმედი მაქვს, ჩემს თვალეში გაკვესებულ ავის მომასწავებელ სხივს ვერ ხედავს. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ასე მგონია, ამ ბოლოს დროს ჰაერში რაღაც ტრიალებს, საბედისწერო სიმშვიდე, და როგორც კი ქალაქისკენ ან მისი შემოგარენისკენ მივდივარ, ეს სიმშვიდე ჩამძახის, რომ ყველაფერი დასრულდა: პრობლემებისგან გაქცევა, არდადეგები, გზებზე მანქანით ხეტიალი, ტროპიკებში მოგზაურობა... თითქოს მსოფლიო შავ ჭირს მოუცავს.<sup>[P] [SEP]</sup>

– შენ ამბობდი... – ვწვალობ. მინდა, გასაგებად გამოვთქვა, – შენ ამბობდი... რომ...<sup>[P] [SEP]</sup>

– კარგი, რა, – მაქვებებს, – მარტივი ენით, შენებურად გამოთქვი.<sup>[P] [SEP]</sup>

– შენ ამბობდი... თვით... მფრინავი... არ... არის მთელი... სამყარო.<sup>[P] [SEP]</sup>

მხიარული სახე უსერიობულდება:<sup>[P] [SEP]</sup>

– რა?<sup>[P] [SEP]</sup>

– ამ... საგიჟეთს... ვერ... გავეცევით.<sup>[P] [SEP]</sup>

ფრუტუნებს:<sup>[P] [SEP]</sup>

– მე ვთქვი ეს?<sup>[P] [SEP]</sup>

– მამაშენი... ბეტონის ყუთი... კედლები... იარაღი... გაქცევა... დამალვას... ვერ ჭობს. შეიძლება... უარესიცაა.<sup>[P] [SEP]</sup>



ფიქრობს. [SEP]

– ჰო, ვიცი, – მეუბნება და გული მიკვდება, რომ მისი აღმაფრენა ხელის ერთი მოსმით მოვსპე, – ვიცი. სწორედ ამას ჩავჩიჩინებდი ჩემს თავს მთელი ეს წლები, რომ კიდევ არის იმედი და შეგვიძლია ჩვენ ირგვლივ არსებული სამყაროს გარდაქმნა. ბლაბლა... მსგავსი ნაგვით ვიტენიდი თავს. უბრალოდ... რაც დრო გადის, სულ უფრო რთულია, ამის გჯეროდეს. [SEP]

– მესმის, – ვამბობ და თან ვცდილობ, გულწრფელ საუბარში გარეული ბზარები დავმალო, – მაგრამ... არ უნდა... დანებდე. [SEP]

ხმა უმკაცრდება. ჩემი სიტყვები დამატებით კითხვებს უჩენს. [SEP]

– ასე უცებ საიდან გაგიჩნდა მომავლის იმედი? რა გიტრიალებს თავში? [SEP]

არაფერს ვამბობ, მაგრამ ჩემს სახეზე აღბეჭდილ აზრთა მდინარებას დიდი ასოებით შესრულებული საგაზეთო სათაურივით კითხულობს, რომელიც თანდათან უფრო და უფრო წვრილი შრიფტით ამცნობს მკითხველს ატომური ბომბის ჩამოგდების, ტიტანიკის ჩაძირვისა და მსოფლიო ომების შესახებ. [SEP]

– ამქვეყნად მშვიდი ადგილი აღარ დარჩა, არა? – მეკითხება. თავს თითქმის შეუმჩნეველად ვიქნევ. [SEP]

– შენი აზრით, მთელი მსოფლიო დაიღუპა? – ამბობს, – სენი ყველას მოედო? [SEP]

– ჰო. [SEP]

– საიდან იცი? [SEP]

– არ ვიცი. უბრალოდ... ვგრძნობ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

გულამომჭდარი კვნესის. ჩვენს თავბემოთ ჩამოკიდებულ თვითმფრინავების ციციქნა მოდელეებს მისჩერებია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აბა, რაღა გავაკეთოთ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– უნდა... გამოვასწოროთ. ყველ... აფერი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ცალ იდაყვს ეყრდნობა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რას გულისხმობ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ხმამალლა მოსდის. ნორა კრთება და ხვრინვას წყვეტს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ყველაფერი უნდა გამოვასწოროთ? – სიბნელეში თვალები უციმციმებს, – მაინც, როგორ მოვახერხებთ? რამე გზა თუ გეგულება, მეც გამომხილე, თორემ დედას გარდაცვალების შემდეგ გამუდმებით ამაზე ვფიქრობ და ვერაფრით ვხვდები, რა უნდა ვქნათ. როგორ გამოვასწორობთ ყველაფერს, როცა სამყარო ნამსხვრევებადაა ქცეული? ხალხი იხოცება. ყოველ ნამს სულ უფრო და უფრო შემზარავი სიკვდილით. რით უნდა ვუშველოთ? იცი, რა არის ამის გამომწვევი მიზეზი? რამე სენია?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვყოყმანობ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მაშინ მითხარი, რის გაკეთებას გეგმავ? მინდა ვიცოდე, რ. როგორ „უნდა გამოვასწოროთ“?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ისევ ჭერში ვიყურები. სიტყვიერ თანავარსკვლავედებს, სივრცეში რომ მწვანედ ელვარებენ, თვალს ვერ ვწყვეტ. სანამ ასე ვწევარ და წარმოსახვით მშვიდობიან კოსმოსურ სივრცეში დავმოგზაურობ, ორი

ვარსკვლავი ფორმას იცვლის. ბრუნდებიან, მკვეთრდებიან, ნათლად ვარჩევ მათ მოხაზულობას. ისინი... ასოებად გარდაიქმნებიან. [P]  
[SEP]

ც [P]  
[SEP]

დ [P]  
[SEP]

– ცდე... – ვჩურჩულებ, – რა? [P]  
[SEP]

– ცდი... – ვამბობ ისევ. ვცდილობ, გამოვთქვა. ჟღერს. მარცვალია.

ბუნდოვანი თანავარსკვლავედი სიტყვად იქცევა. [P]  
[SEP]

– იქ... რა წერია? – ვკითხულობ და ჭერზე მივუთითებ. [P]  
[SEP]

– სად? ციტატებზე ამბობ? [P]  
[SEP]

ვდგები და წინადადების იმ ნაწილს ვუჩვენებ, რომლის ნაკითხვასაც ვცდილობ, – აი, აქ. [P]  
[SEP]

– ლენონის სიმღერის ნაწყვეტია. „მაგინე“-ის. [P]  
[SEP]

– რა... ნაწყვეტი? [P]  
[SEP]

– „თუ ცდი, გამოვა“. [P]  
[SEP]

მთელი წუთი ვდგავარ და კოსმოსის შეუპოვარი მკვლევარივით ვიყურები. შემდეგ ვწვები, ხელებს თავქვემოთ ვიწყობ, თვალები ფართოდ მაქვს გახელილი. მის შეკითხვებზე პასუხები არ მაქვს, სამაგიეროდ, ვგრძნობ, რომ ისინი სადღაც არსებობენ. შორეულ კუნაპეტში გამკრთალი სინათლის სხივივით ციმციმებენ. [P]  
[SEP]

წელი ნაბიჯები. ჩექმებქვეშ ტალახი. გვერდით არ ვიხედები. ჩემს გონებაში უცნაური მანტრები იხვევა. ბნელი ხეივნებიდან წვერებში გამოცრილი ბუტბუტი ისმის. [P]  
[SEP]

სად მიდიხარ, პერი? სულელო ბავშვო. უტვინო ბიჭო. სად? [P]  
[SEP]

სამყარო ყოველდღიურად სულ უფრო ფართო, ბნელი და ცივი ხდება. შავი კარის წინ ვჩერდები. ამ მეტალის სახლში გოგო ცხოვრობს. მიყვარს? უკვე ძნელი სათქმელია, მაგრამ მხოლოდ ის დადამრჩა. უკანასკნელი წითელი მზე სულ უფრო მეტად გაფართოებულ სივარდიელში.<sup>[P]  
[SEP]</sup>

სახლში შევდივარ და კიბეზე მჯდომს ვპოულობ. ხელები მუხლებზე შემოუხვევია. თითი ტუჩთან მიაქვს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მამაჩემი, – მეუბნება ჩურჩულით.<sup>[P]  
[SEP]</sup>

კიბეს ზემოთ ვაყოლებ თვალს და გენერლის საძინებლისკენ ვიყურები. მისი მოგუდული ხმა მესმის.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აი, ეს სურათიც, ჭული. აკვაპარკი, გახსოვს? მხოლოდ ერთი ჩამოსრიალებისთვის ათი ვედრო წყალი უნდა ამეზიდა. ოცნუთიანი შრომა ათწამიანი მხიარულებისთვის. მაშინ ამის გაკეთება გვიღირდა, ხომ ასეა? მიყვარდა შენი სახის დანახვა, როცა მილიდან ხტებოდი. მაშინაც კი ძალიან ჰგავდი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჭული წყნარად დგება და წინა კარისკენ მიემართება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ძალიან ჰგავხარ, ჭული. მე საერთოდ არა, მხოლოდ მას ჰგავხარ. ეს როგორ გააკეთა?<sup>[P]  
[SEP]</sup>

კარს ვაღებ და უკან გავდივარ. ჭული მომყვება, ნელი ნაბიჯითა და უხმაუროდ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– როგორ შეეძლო, ასეთი სისუსტე გამოეჩინა? – მდნარი ფოლადის მსგავსი ხმით აგრძელებს კაცი, – როგორ შეეძლო, აედავეტოვებინეთ?<sup>[P]  
[SEP]</sup>



ჩუმად მივაბიჭებთ. მსუბუქი წვიმა თმაზე გვეწვეთება და ჩვენც თავებს ძაღლებივით ვიქნევთ. პოლკოვნიკ როსოს სახლთან მოვდივართ. როსოს ცოლი კარს გვიღებს, ჭულის უყურებს და გულში იკრავს. შიგნით, სითბოში შევდივართ. [P]  
[SEP]

როსოს მისაღებში ვნახულობთ. ყავას წრუპავს და სათვალით სისველისგან დალაქავებულ ძველ წიგნს მისჩერებია. სანამ ჭული და მისის როსო სამზარეულოში ხმადაბლა საუბრობენ, პოლკოვნიკის მოპირდაპირე მხარეს ვჯდები. [P]  
[SEP]

– პერი. [P]  
[SEP]

– პოლკოვნიკო. [P]  
[SEP]

– როგორ ძლებ? [P]  
[SEP]

– ცოცხალი ვარ. [P]  
[SEP]

– კარგი დასაწყისია. სახლში როგორ მოთავსდი? [P]  
[SEP]

– იქაურობის ატანა არ მაქვს. [P]  
[SEP]

როსო მცირე ხანს ჩუმადაა. [P]  
[SEP]

– რაზე ფიქრობ? – ამბობს ბოლოს. [P]  
[SEP]

სიტყვებს ვეძებ. თითქოს მათი უმეტესობა დამავინცდა. ბოლოს ჩუმად ვამბობ. [P]  
[SEP]

– მომატყუა. [P]  
[SEP]

– ეგ როგორ? [P]  
[SEP]

– მითხრა, რაღაცების გამოსწორებას ვცდილობთ და თუ არ დავნებდებით, ყველაფერი შეიძლება კარგად დასრულდესო. [P]  
[SEP]

– ამის სჯეროდა. მგონი, მეც მჯერა. [P]  
[SEP]

– მაგრამ შემდეგ მოკვდა, – ჩემი ხმა კანკალს იწყებს და ვცდილობ გავმაგრდე, – თანაც უაზროდ. არც ბრძოლა ყოფილა, არც კეთილშობილური თავგანწირვა. რაღაც სულელური უბედური შემთხვევა მუშაობისას, რომელიც ნებისმიერ დროს ნებისმიერს შეიძლება დაემართოს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– პერი...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ მესმის, სერ. რა აზრი აქვს იმ სამყაროს გამოსწორების მცდელობას, რომელშიც ასე ცოტა ხნით ვიმყოფებით. რა აზრი აქვს მთელ ამ მუშაობას, თუ ერთ დღეს მაინც ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე უნდა გაქრეს? რაღაც წყეული აგური თავში.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როსო არაფერს ამბობს. ჩვენი სიჩუმისას სამზარეულოდან მომავალი დაბალი საუბარი გასაგები ხდება, ასე რომ ისინი ჩურჩულზე გადადიან და ცდილობენ პოლკოვნიკს ის დაუმალონ, რაც, დარწმუნებული ვარ, უკვე იცის. ჩვენი პატარა სამყარო უკვე საკმაოდ დაიღალა იმისთვის, რომ თავისი ლიდერების დანაშაულები აღელვებდეს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მინდა უსაფრთხოებას შევეუერთდე, – ვაცხადებ უკვე მტკიცე ხმით და მკაცრი სახით.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როსო ხვნეშის და წიგნს ძირს დებს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რატომ, პერი?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– იმიტომ, რომ მეტი აღარაფერი დარჩა, რისი კეთებაც მიღირს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მეგონა, ნერა გინდოდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აზრი არ აქვს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რატომ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ახლა უფრო მნიშვნელოვანი საბრუნავი გვაქვს. გენერალი გრიჭო ამბობს, რომ უკვე უკანასკნელი დღეები გვიდგას. არ მინდა, ჩემი უკანასკნელი დღეები ქალაქდღმე ასოების ჭლაბნაში გავატარო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– წერა ქალაქდღმე ასოების ჭლაბნა არ არის. ის კომუნიკაციაა. მესხიერება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არც მაგათ აღარ აქვს მნიშვნელობა. უკვე ძალიან გვიანია.<sup>[P]  
[SEP]</sup>  
გამომცდელი მზერით მაკვირდება. წიგნს ისევ იღებს და ყდას მაჩვენებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ეს ისტორია იცი?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გილგამეშია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, „გილგამეშის ეპოსი“, ჩვენთვის ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ლიტერატურული ნამუშევარი. შეიძლება ვთქვათ, რომ კაცობრიობის სადებიუტო რომანია, – როსო მყიფე, ყვითელ გვერდებს ფურცლავს, – სიყვარული, სექსი, სისხლი და ცრემლები. მარადიული სიცოცხლის საძიებელი მოგზაურობა სიკვდილისგან გასაქცევად, – მაგიდის ბემოდან ხელს იშვერს და წიგნს მანვდის, –ოთხი ათასზე მეტი წლის წინ დაინერა თიხის ფირფიტებზე იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ტალახს ხნავდნენ და ორმოც წელზე მეტხანს იშვიათად ცხოვრობდნენ. ამ წიგნმა უთვალავ ომს, კატასტროფასა და ეპიდემიას გაუძლო და დღემდე აგრძელებს ხალხის მოხიბვლას, იმიტომ, რომ მე აქ ვარ, თანამედროვე ნანგრევების შუაგულში, და მას ვკითხულობ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

როსოს ვუყურებ, წიგნს არა. ჩემი თითები ტყავის გარეკანში

ეფლობა. [P]  
[SEP]

– სამყარო, რომელშიც ეს ამბავი წარმოიშვა, დიდი ხნის გამქრალია, მისი ხალხი მკვდარია, მაგრამ ის მაინც აგრძელებს ანმყოსა და მომავალთან შეხებას, რადგან ვილაცამ იზრუნა, რომ ის სამყარო შენარჩუნებულიყო, სიტყვებად გადმოცემულიყო და დამახსოვრებულიყო. [P]  
[SEP]

წიგნს შუაზე ვშლი. გვერდებში გაუგებარი ელიფსებით ფირფიტების ნაკლული, გამოუსადეგარი და ისტორიისთვის დაკარგული ხაზებია მონიშნული. ამ ნიშნებს ვაკვირდები და მხედველობის არეს შავი წერტილებით ვავსებ. [P]  
[SEP]

– არ მინდა ამის დამახსოვრება, – ვამბობ და წიგნს ვხურავ, – მინდა უსაფრთხოებას შევეუერთდე. მინდა სახიფათო საქმე ვაკეთო. მინდა დავივიწყო. [P]  
[SEP]

– პერი, რას ამბობ? [P]  
[SEP]

– არაფერს არ ვამბობ. [P]  
[SEP]

– არა, ნამდვილად ამბობ. [P]  
[SEP]

– არა, – ოთახში ჩრდილები ჩვენი სახეების ხაზებად ერთიანდებიან და თვალებიდან ფერებს გვაცლიან, – აღარაფერი დარჩა ისეთი, რაზეც ლაპარაკი ღირს. [P]  
[SEP]

••• [P]  
[SEP]

დამუნჯებული ვარ. პერის ფიქრებში აფარფატებული, მის მწუხარებას ეკლესიის ბარივით ვირეკლავ. [P]  
[SEP]

– პერი, მუშაობ? – ჩურჩულით მივმართავ სიცარიელეს, – მეორე



შანსის გამოყენებას ცდილობ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩუუუუ, ამბობს პერი, ყველაფერს ნუ გააფუჭებ. მინდა ბოლომდე მივიყვანო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მის დაუღვრელ ცრემლებში ატივტივებული მარილიან წყვდიადში ვიცდი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჭულის საძინებელში აივნის ფანჯრიდან დილის მზე იჭრება და მომწვანო თანავარსკვლავედებს ისევ მოლურჯო-მოთეთრო ჭერად აქცევს. გოგოებს კვლავ სძინავთ, მე კი, თვლემის რამდენიმე მოუსვენარ საათს თუ არ ჩავთვლით, მთელი ღამის განმავლობაში თვალმოუხუჭავად ვწევარ. უმოძრაოდ მეტს ვეღარ ვძლებ, საბნიდან ვძვრები და ჭრიალა სახსრებს ვშლი. მზეს ხან სახის ერთ ნაწილს ვუშვერ, ხან – მეორეს. მძინარე ნორა რაღაც სამედიცინო ტერმინებს ბურდღუნებს, „მიტოზიო“ თუ „მეიოზიო“, ან შეიძლება, სულაც „ნეკროზი“. მუცელზე გადაშლილი, ძაღლისყურა ნიგნი შერჩენია. ჭერ ვყოყმანობ, შემდეგ ცნობისმოყვარეობა მძლევს და მას ფრთხილად ვიღებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

სათაურს ვერ ვკითხულობ, მაგრამ ყდა მეცნობა – უშფოთველსახიან ტიპს ყელი მოუღერებია და მკითხველს საკუთარი კისრის ვენების შესასწავლად ეპატიჟება. სამედიცინო კრებულია, „გრეის ანატომია“.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნერვიულად ვიყურები მხარსუკან, მძიმე ტომს დერეფნისკენ მივათრევ და ვფურცლავ. მასში აღწერილი ორგანოები თუ ძვლები,

ადამიანის რთული აგებულების არქიტექტურა ჩემთვის მშვენივრადაა ნაცნობი. სხეულის სხვადასხვა ნაწილთა მოყვანილობა და ნაკვეთები სუფთად და ზედმიწევნით კარგადაა გამოკვეთილი; იმდენად სუფთად, რომ ჭუჭყისა თუ სისხლის ერთ ლაქასაც კი ვერ შეხვდებით. დრო მიდის, მე კი ჩაფიქრებული ვათვალიერებ ნაირ-ნაირ ილუსტრაციებს. დანაშაულისა და აღტაცების გრძნობა მეუფლება იმ კათოლიკე მოზარდით, „პლაეზოც“-ის რომ ფურცლავს. რა თქმა უნდა, სათაურებს ვერ ვარჩევ, თუმცა ფოტოების თვალიერებისას თავში რამდენიმე ლათინური სიტყვა მაინც მიტიტვივდება – ალბათ, ძველი ცხოვრების გამოძახილია; ან ლექციაზე მოვკრავდი ყურს, ან დოკუმენტურ ფილმში. მესხიერებაში შემორჩენილი ეს ცოდნა სასაცილოდ მეჩვენება, მაგრამ მაინც მთელი ძალით ვებლაუჭები. რატომ ვიქცევი ასე? რაში მჭირდება იმ ნატიფი სტრუქტურის ნაწილთა დასახელებებისა და ფუნქციების დამახსოვრება, რომელსაც უკვე წლებია, ძალმომრეობით ვანადგურებ? მჭირდება, იმიტომ, რომ არ ვიმსახურებ ამის არცოდნას. უნდა ვიგრძნო ის ტკივილი, რაც მათ შეცნობასა და, შესაბამისად, საკუთარი თავის შეცნობასაც ახლავს: ვინ ვარ, რას წარმოვადგენ სინამდვილეში. იქნებ ამ გავარვარებული, ცრემლით გასტერილებული სკალპელით მაინც მოვახერხო საკუთარ თავში აღმოჩენილი გახრწნილობების ამოკვეთა.<sup>[59]</sup>

ამასობაში საათები გადის. ყველა გვერდი გადავათვალიერე, მესხიერებას შემორჩენილი ინფორმაციის თითოეული მარცვალი გამოვწურე; წიგნს ფრთხილად ვაბრუნებ პირვანდელ ადგილას, ნორას

მუცელზე, და ფეხაკრეფით გავდივარ აივანზე. იქნებ კაშკაშა მზემ მცირეოდენი შვება მოჰგვაროს ჩემს აფორიაქებულ სულს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მოაჭირს ვეყრდნობი და ჭულის დაკრუნჩხულ ქალაქს გავყურებ. ნუხანდელი სიბნელისა და უსიცოცხლობის ნასახიც აღარ ეტყობა, ტაიმზ სკვერით ფუსფუსებს. რას აკეთებენ აქაურები? ხანდახან ჩვენ, უკვდავებიც ვიკრიბებით ხოლმე აეროპორტში, მაგრამ შედეგიანს არაფერს ვაკეთებთ. საერთოდ, შრომა არ გვინწევს: ვდგავართ და ვვლოდებით, რა მოხდება. ცოცხლების დამახასიათებელი გუნდური შემართება ჩემზე დამათრობლად მოქმედებს; მინდება, ჩავიდე და ქვემოთ მოსიარულე ხალხში გავერიო, იმ ოფლსა და უჰაერობაში გზის გასაკვალად სხვებს მხარი ვუბიძგო და მუჭლუგუნები დავუშინო. ჩემს შევითხვევებზე პასუხები თუ სადმე არსებობს, უეჭველად იქ, ქვემოთ უნდა ვეძებო, მათი ბინძური, ტალახიანი ფეხსაცმელების ლანჩებქვეშ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

საძინებელში გოგოები ჭორაობენ. მათი ხმა მესმის. როგორც იქნა, გაიღვიძეს. ოთახში შევდივარ და ჭულის გვერდით ვწვები. საბანს ვიფარებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– დილა მშვიდობისა, რ, – არც ისეგულწრფელად მესალმება ნორა. მგონი, ჩემდამი ადამიანური მოპყრობა ჯერ მაინც ეუცხოვება. ყოველი შემოხედვისას ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს სიცილს ძლივს იკავებს. ასეთი დამოკიდებულება შეურაცხმყოფელია, მაგრამ მესმის მისი. მე მისთვის წარმოუდგენელი მოვლენა ვარ, რომელთან შეგუებასაც დრო სჭირდება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გაუმარჯოს, – მთქნარებით მესალმება ჭულიც და ბალიშზე

თავმიდებული მიყურებს. უსიამოვნო იერი ადევს: თვალები შემუშვებია და თმა ყალყზე დასდგომია. ნეტავ, როგორ სძინავს ღამღამობით ან სიზმრად რას ნახულობს; ნეტავ მეც ისევე შემეძლოს მის ზმანებებში შეღწევა, როგორც ის აღწევს ჩემსაში.<sup>[P]  
[SEP]</sup>

გვერდზე ტრიალდება და ნიკაპს იდაყვზე აყრდნობს. ყელს ინმენდს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აჰა, – ამბობს, – აქამდე მოაღწიე. ახლა რა უნდა ქნა? <sup>[P]  
[SEP]</sup>

– ქალაქის... დათვალაიერება... მინდა. <sup>[P]  
[SEP]</sup>

თვალეზით ჩემს სახეს ჩხრეკს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რატომ? <sup>[P]  
[SEP]</sup>

– მინდა, ვნახო... როგორ ცხოვრობთ. თქვენ, ცოცხლები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ტუჩებს კუმავს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ძალიან სარისკოა. შეიძლება, ვინმემ შეგნიშნოს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– კარგი რა, ჯული, – ამბობს ნორა, – აქამდე მოსასვლელად მთელი გზა თვითონ გაიარა. ნამო, გავასეირნოთ! შევნიღბავთ, ტანსაცმელს გამოვუცვლით და ვგაა. ტედი ხომ გააცურა, არც სხვებთან გაუჭირდება. ყურადღებით თუ ვიქნებით, ყველაფერი კარგად ჩაივლის. შენ ხომ ყურადღებით იქნები, რ? <sup>[P]  
[SEP]</sup>

ჰო-მეთქი, თავს ვუქნევ, და კვლავ ჯულიზე გადამაქვს მზერა. ის ხმას არ იღებს. შემდეგ ბურგზე კოტრიალდება და თვალებს ხუჭავს. მისი მშვიდი სუნთქვა თანხმობასავით ჟღერს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ვაშაა! – იძახის ნორა. <sup>[P]  
[SEP]</sup>

– ვცადოთ. ოღონდ იცოდე, რ, შენიღბვის შემდეგ თუ საკმარისად



დამაჯერებლად არ დაემსგავსე ცოცხალს, გასეირნება არ შედგება. გარდა ამისა, თუ შევამჩნევ, რომ ვინმე დაჟინებით გამტერდება, შინ ვბრუნდებით. მოსულა? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავს ვუქნევ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– თავის დაქნევა არ მინდა. მითხარი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მოსულა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული საბნიდან ძვრება და სანოლის კიდემე მიცოცავს. ყურადღებით მათვალაიერებს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კარგი, – თმა ყველა მიმართულებით გასწვნივია, – აბა, შენს გამონყოფას შევუდგეთ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

••• <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნეტავ ჩემი ცხოვრება ფილმი იყოს, რომ მისი დამონტაჟება შემეძლოს. კადრების სწრაფი წყება და ფონად რაიმე გაცვეთილი პოპ-სიმღერა გაცილებით ადვილი ასატანი იქნებოდა, ვიდრე ორი მომქანცველი საათი, რომლის განმავლობაშიც გოგოები ცდილობენ შემცვალონ, ისეთ მდგომარეობაში დამაბრუნონ, რაც ფართო საზოგადოებაში ადამიანურ გარეგნობად ითვლება. თმას მბანენ. ჯაგრისის შემოცვეთამდე კბილების ხეხვის შემდეგაც კი ჩემს ღიმილს ყავაზე შემჯდარი ბრიტანელის გარდა ვერანაირად გაასაღებენ. ცდილობენ ჯულის გარდერობიდან ცოტა უფრო ბიჭური სამოსი შემირჩიონ, მაგრამ ჯული გაჩხინკულია და მის მაისურებს ისე ვფხრენ და ღილებს ისე ვანყვეტ, თითქოს ბოდიბილდერი ვიყო. ბოლოს ფარხმალს ყრიან და სანამ ჩემს ძველ სამუშაო ტანისამოსს რეცხავენ,



შიშველს მინევს აბაზანაში მოცდა. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

ლოდინისას შხაპის მიღება მინდება. ეს ჩემთვის დიდი ხნის დავინწყებული გამოცდილებაა და მისით ისე ვტკბები, როგორც ღვინის პირველი ყლუპით ან პირველი კოცნით. ჩემს გაცვეთილ სხეულზე ორთქლადენილი წყალი ჩაედინება და თან მიაქვს მრავალი თვის ან წლის მანძილზე დაგროვილი ჭუჭყი და სისხლი, რომლის ნაწილი მე მეკუთვნის, უფრო დიდი ნაწილი კი სხვებს. მთელი ეს სიბინძურე სპირალებად ჩაედინება დრენაჟში და იქიდან თავის კუთვნილ ადგილას, მინისქვეშეთში მიემართება. ჩემი ნამდვილი, ღია ნაცრისფერი კანი ჩნდება, რომელიც მართალია ნაიარევებით, ნაფხაჭნებითა და ნატყვიარებითაა სავსე, მაგრამ უკვე სუფთაა. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

ჩემი სხეული ახლა პირველად ვნახე. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

როდესაც ჩემი ტანსაცმელი შრება და ჭული ყველაზე შესამჩნევი ნახვრეტების ამოკერვას ამთავრებს, ვიცვამ და სისუფთავის უცხო შეგრძნებას ვაგემოვნებ. პერანგი კანზე აღარ მენებება. შარვალი უხეშად აღარ მესახუნება. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

– ჰალსტუხი მაინც უნდა მოიშორო, – ამბობს ნორა, – მაგ სამასკარადო აღჭურვილობით, სულ მცირე, ათი ომით მაინც ჩამორჩები თანამედროვე მოდას. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

– არა, დაიტოვოს, – მოითხოვს ჭული და სამოსის ზონარისებურ ატრიბუტს ჭირვეული ღიმილით უყურებს, – ეგ ჰალსტუხი მომწონს. მენს სრულ სირუხეში ერთადერთი განსხვავებული დეტალია. <sup>[P]</sup><sub>SEP</sub>

– ჭულს, ხალხში შერევაში ხელს შეუშლის. გახსოვს ჩვენკენ

მომართული უცნაური მზერები, როდესაც სამუშაო ჩექმების ნაცვლად კედების ჩაცმა დავიწყეთ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ზუსტადაც. ხალხმა უკვე იცის, რომ მე და შენ უნიფორმებს არ ვიცვამთ; სანამ რ ჩვენთან ერთად იქნება, შეუძლია მოტკეცილი შორტი ჩაიცვას და შლაპა დაიხუროს, ყურადღებას არავინ მიაქცევს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნორა ილიმის.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ეგ იდეა მომწონს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ასე რომ, ჰალსტუხი თავის ადგილას რჩება მთელი თავისი წითელი აბრეშუმის შეუხამებლობით. მის შეკვრაში ჯული მეხმარება. თმას მვარცხნის და ცოტა ჟელესაც მისვამს. ნორა გულმოდგინედ მახრჩოლებს მამაკაცის სხეულის სპრეით.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ააჰ, ნორა, – აპროტესტებს ჯული, – მაგ რაღაცას ვერ ვიტან. სიმყრალე ისედაც არ ასდის, ეგ რა საჭიროა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– სულ ოდნავმაინც ყარს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, ახლა უკვე ნამდვილად ყარს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– სჯობს ქიმიური რეაქტორის სუნი ასდიოდეს, ვიდრე გვამის, არა? ძაღლებს დავაფრთხოებთ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

შემდეგ მცირე დებატები იმართება იმასთან დაკავშირებით, უნდა ვატარო თუ არა სათვალე თვალების დასამალად. საბოლოო გადანყვეტილებით, სათვალე უფრო მეტ ეჭვს გამოიწვევს, ვიდრე ჩემი არაბუნებრივი სინაცრისფრე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– სხვათა შორის, არც ისე შესამჩნევია, – ამბობს ჯული, – უბრალოდ შეეცადე, თვალის გამტერებაში არავის შეეჭიბრო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ყველაფერი კარგად იქნება, – ამბობს ნორა, – აქ ისედაც უკვე აღარავინ ჰგავს ერთმანეთს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩემი გარდასახვის საბოლოო ეტაპი მაკიაჟია. სანამ მე პოლივუდელი ვარსკვლავივით სარკის წინ ვზივარ, ისინი მპუდრავენ, ტუჩსაცხს მისვამენ და ჩემს შავ-თეთრ კანს აფერადებენ. როდესაც საქმეს რჩებიან, სარკეში გაოგნებული ვიყურები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ცოცხალი ვარ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მე ვარ პროფესიონალი, ბედნიერი, წარმატებული, საუკეთესო ჯანმრთელობის მქონე სიმპატიური ახალგაზრდა, რომელიც ეს-ესაა შეხვედრიდან გამოვიდა და სპორტდარბაზისკენ მიემართება. ხმამაღლა ვიციანი. სარკეში ჩემს თავს ვუყურებ და ამ ყველაფრის მხიარული აბსურდულობა გარეთ იფრქვევა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

სიცილი. ჩემი კიდევ ერთი პირველი რაღაც.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ო, ღმერთო... – ნორა რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს, რომ კარგად შემომხედოს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰაჰ, – ამბობს ჯული და თავს გვერდით ხრის, – იცი, საკმაოდ...<sup>[P]  
[SEP]</sup>

– საკმაოდ სექსუალურად გამოიყურები, – ყრანტალებს ნორა, – ჯული, შეიძლება ნავიყვანო? მხოლოდ ერთი ღამით...<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მოკვებ შენი ბინძური პირი, – ხითხითებს ჯული და ჯერ კიდევ მამონძებს. შუბლზე იმ უსისხლო ნაჭდევს სინჯავს, სადაც ერთ დროს დანა მომარტყა, – ალბათ, ჯობს ესეც დავფაროთ. ბოდიში, რ, – ჭრილობაზე სალბუნს მადებს და ხელის მსუბუქი მიჭერით აფიქსირებს, – ესეც ასე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული ისევ უკან იხევს და პერფექციონისტი მხატვარით მაკვირდება, ნასიამოვნები, მაგრამ მაინც ფრთხილი.<sup>[SEP]</sup>

– დამა...ჯერებელია? – ვკითხულობ მე.<sup>[SEP]</sup>

– ჰმმ, – ისმის ჯულის პასუხი.<sup>[SEP]</sup>

მთელი ძალით ვცდილობ, ჩემი საუკეთესო ღიმილი ვაჩუქო და ტუჩებს ვჭიმავ.<sup>[SEP]</sup>

– ო ღმერთო, ეგ ნამდვილად არ უნდა ქნა. <sup>[SEP]</sup>

– ბუნებრივად მოიქეცი, – ამბობს ნორა, – წარმოიდგინე, რომ სახლში ხარ, აეროპორტში, და მეგობრები გახვევია, საერთოდ თუ გყავთ თქვენნაირებს.<sup>[SEP]</sup>

მახსენდება ის მომენტი, როცა ჯულიმ სახელი დამარქვა, სიტბო ჩემს სახეზე, როდესაც ლუდსა და ერთ თეფშ ტაილანდურ საჭმელს ერთად მივირთმევდით.<sup>[SEP]</sup>

– აი, ასე, ახლა უკეთესია, – ამბობს ნორა.<sup>[SEP]</sup>

ჯული თავს აქნევს და თითებს მოღიმარ ტუჩებზე იდებს, თითქოს სურს ამოხეთქილი ემოციები შეაკავოსო – სიხარულის, სიამაყისა და მღელვარების თავბრუდამხვევი კოქტეილი.<sup>[SEP]</sup>

– სისუფთავე გიხდება, რ.<sup>[SEP]</sup>

– დიდი... მადლობა.<sup>[SEP]</sup>

ღრმად, მტკიცედ ისუნთქავს და ამბობს:<sup>[SEP]</sup>

– აბა, მაშინ, – შალის ქუდს თავის მოურჯულებელ თმაზე იხურავს და ჟაკეტის ელვას იკრავს, – მზად ხარ ნახო, რითია დაკავებული კაცობრიობა მას შემდეგ, რაც შენ ის მიატოვე? <sup>[SEP]</sup>

ნინათ, როდესაც ქალაქში სანადიროდ დავდიოდი, ხშირად მიმიპყრია მზერა სტადიონის კედლებისკენ. მაშინ წარმოვიდგენდი, რომ მათ მიღმა ნამდვილი სამოთხე იყო. მეგონა, იქ უზადოდ ცხოვრობდნენ; სტადიონის მობინადრეთაგან ყველა ბედნიერი დაიარებოდა, მშვენიერებით იყო შემკული და არაფერი აკლდა. მაშინდელი ბორძიკა ლაშქრობებისას მხოლოდ შურს ვგრძნობდი და მინდოდა, ყველა ერთიანად დამეღრღნა. მაგრამ ახლა... ერთი ამ ადგილს შეხედეთ! ლითონის დაბრეცილი ფირფიტაა, რომელიც მზებე ელვარებს; ჰორმონებით გაჭყეპილი საქონლის სადგომი, რომელსაც ბუმები ეხვევიან. ამაოდ გარეცხილი, ლაქაშერჩენილი თეთრეული შენობების დამაკავშირებელ კაბელებზე გასაშრობად ჰკიდია და ქარის ყოველ ნამოქროლვაზე იარაღაყრილ მოალყეთა თეთრი დროშასავით ფრიალებს.<sup>[SEP]</sup>

– კეთილი იყოს შენი მობრძანება ქალაქ-სტადიონზე, – მეუბნება ჯული და მკლავებს ფართოდ შლის, – ერთ დროს ამერიკად წოდებულ ტერიტორიაზე ამაჟამად შემორჩენილ კაცობრიობის უდიდეს თავშესაფარში.<sup>[SEP]</sup>

რატომ დავრჩით? გუგუნს იწყებენ ხმები, სანამ ჯული ადგილობრივ ქუჩებსა და ღირსშესანიშნაობებს მაცნობს, – რას წარმოადგენს ქალაქი და რატომ ვაშენებთ? ჩამოაშორეთ კულტურა, ვაჭრობა, წარმოება და სიამოვნების წყაროები – სხვა რაღა რჩება? უსახელო ქუჩების ცხავი, რომელიც ასეთივე უსახელო ადამიანებითაა სავსე.<sup>[SEP]</sup>

– ამ აკვარიუმში ოცი ათასამდე ცოცხალია ჩატენილი, –



ცენტრალურ მოედანთან ჩავლისას ამბობს ჯული. იქ მოზრდილი ბრბო შეკრებილა, – მალე ისე ვინროდ ვიქნებით, ერთმანეთს მივეჭყლიტებით. ადამიანთა მოდგმა ერთ დიდ, უტვინო ამებას დაემსგავსება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

რატომ არ დავიქსაქსეთ? რატომ არ მივაშურეთ მაღალ მთებს და იქ არ დავბინავდით, სადაც გამჭვირვალე ჰაერი და სუფთა ნყალია? რა დაგვრჩენია ერთმანეთს მინებებული ამ ოფლიანი სხეულების სამყოფელში?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვცდილობ, გზის საფარს თვალი არ მოვაცილო, როგორმე მოსიარულე ხალხში ავითქვიფო და ყურადღება არ მივიპყრო. მზერას საგუშაგო კომპებისკენ, ნყლის ავზებისკენ, მცველებისკენ, იმ ახალი შენობებისკენ ვაპარებ, რომლებიც თითქოს შემდუღებლების აპარატურის ნაპერწკლებიდან იზრდებიან, თუმცაუმეტესად მაინც ფეხქვეშ ვიყურები – ასფალტი, კუთხეებში ამოლესილი ჭუჭყი და ძაღლის მძღნერი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– იმის ნახევარი ტემპით ვვითარდებით, რაც გადარჩენისთვისაა აუცილებელი, – ბად-ბოსტნების სიახლოვეს ამბობს ჯული. ისინი სათბურების ნახევრადგამჭვირვალე კედლებში დაღანდულ ბუნდოვან, მწვანე სიზმარს წააგვანან, – ნამდვილი საჭმელი მომცრო ულუფებად გვირიგდება, კვების მწირი რაციონის შესავსებად ნახშირცილას ვიყენებთ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ყვითელ სამოსში გამონყობილი ყმანვილების სამკაციანი ჯგუფი ჩამოკრეფილი ფორთოხლით ავსებულ ურიკას მიაგორებს.

ერთ-ერთის სახეს მთელ სიგრძეზე უცნაური წყლული მიუყვება; ვაშლზე გაჩენილ მოყავისფრო ლაქებს წააგავს. თითქოს სახის ქსოვილის უჭრედები ერთბაშად დაიფუშნენ. [P SEP]

– იმაზე საერთოდ აღარაფერს ვამბობ, ყოველთვის ურად რომ აუცილებელი ნამლების დეფიციტია. შემგროვებლების ჯგუფი მომარაგებას ძლივს ასწრებს. ალბათ, სულ მალე უკანასკნელი ბოთლი პრობაკისათვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ დავუპირისპირდებით სხვა ანკლავებს. [P SEP]

იქნებ, შიშმა შეგვაკავა? – განაგრძობენ ხმები, – კაცობრიობის საუკეთესო ხანაში შიშს კიდევ ვუმკლავდებოდით, მაგრამ ცუდ წლებში რა უნდა გვექნა? ამიტომ, აღვმართეთ ცადანვდილი კედლები და მათ მიღმა მივიყუჩეთ. იმდენ ხანს ვიმალებოდით, სანამ არ გავიზარდეთ და მოვძლიერდით; ცბიერ მხედართმთავრებს ვირჩევდით, ახალ-ახალ იარაღს ვიგონებდით, გვეგონა, ამ გზით ბედნიერების მოპოვებას შევძლებდით. მაგრამ ეს მიზანი ადვილად მისაღწევი არ აღმოჩნდა. [P SEP]

– მე კიდევ ის მიკვირს, – ერთვება ნორა, თან მზერით ავადმყოფური იერის მქონე ფეხმძიმე ქალს ბურღავს, – ამ გაჭირვებისა და უქონლობის მიუხედავად, ხალხი მაინც აჩენს ბავშვებს. აქაოდა, ადრე ასე ხდებოდაო, ახლაც პატარა ასლების შექმნით სამყაროს ნალექვით ემუქრებიან. [P SEP]

ჯული ნორას უყურებს. რაღაცის სათქმელად აღებს პირს, თუმცა არაფერს ამბობს. [P SEP]

– ტრანიანი საფენების მთის ძირში ვცხოვრობთ და სული გვხდება,

მაგრამ ჯერ არავინ გამოჩენილა ისეთი, ვინც ხალხს მოუწოდებს, თქვენი თესლი თქვენივე სათესლეში შეინახეთო.<sup>[P SEP]</sup>

– ჰო, მაგრამ... – ჯულის ხმაში მისთვის არადამახასიათებელი მოკრძალება გამოსჭვივის, – რა ვიცი... ბავშვის დაბადება მშვენიერია, არა? რაღაც ისეთია, რაც სიცოცხლის გაგრძელებასა და ზრდაში მაინც გვეხმარება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამყარო უკვე მოკვდა; განადგურებისაგან გვიცავს, თუნდაც უამრავი ჩვენგანი დაიღუპოს. მისი ნყალობით სიცოცხლე გადამდები ხდება.<sup>[P SEP]</sup>

– რა არის გადამდებობაში მშვენიერი? პერპესიც გადამდებია, მაგრამ მის მშვენიერებაზე ჯერ არაფერი გამიგია.<sup>[P SEP]</sup>

– აუ, ნორა, მოკეტე, რა. შენ ხალხი გიყვარს. მიზანთროპობა პერის ჰობი იყო.<sup>[P SEP]</sup>

ნორა მხრებს იჩეჩს და იცინის.<sup>[P SEP]</sup>

– მთავარი ის კი არაა, რომ მოსახლეობის რაოდენობის შენარჩუნებას ვუწყობთ ხელს, არამედ ის, რომ ჩვენ მიერ შექმნილი ცოდნა შევინარჩუნოთ, მომავალს გადავცეთ, ვინ ვართ და რა გაგვიკეთებია, რომ ყველაფერი ჯერ არ დასრულებულა და კვლავ გრძელდება. ჰო, გარკვეულწილად, ასე ფიქრი ეგოისტურიცაა, მაგრამ სხვაგვარად ჩვენს ხანმოკლე სიცოცხლეს რა ფასი ექნებოდა?<sup>[P SEP]</sup>

– მგონი, მართალი ხარ, – კვერს უკრავს ნორა, – ამ პოსტ-ყველაფრისეულ ერაში სხვას მაინც ვერაფერს დავტოვებთ.<sup>[P SEP]</sup>

– ჰო, ყველაფერი ქრება. როგორც გავიგე, იანვარში მსოფლიოს უკანასკნელი სახელმწიფოც განადგურებულა.<sup>[P SEP]</sup>

– ვა, მართლა? რომელი იყო? [P]  
[SEP]

– კარგად არ მახსოვს. მგონი, შვედეთი. [P]  
[SEP]

– დედამინა ოფიციალურად გაუკაცურდა. რა დამთრგუნველია. [P]  
[SEP]

– შენ რა გენაღვლება, მემკვიდრეობით მაინც გერგო რაღაც მამაშენი ეთიოპიელი იყო, არა? [P]  
[SEP]

– ჰო, მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მას თავისი ქვეყანა აღარ ახსოვდა, მე ერთხელაც არ ვყოფილვარ. ისე განადგურდა, მისი ნახვა ვერ მოვახერხე. ერთადერთი, რაც მართლა მემკვიდრეობით გადმომეცა, ყავისფერი კანია. ან კანს რაღა მნიშვნელობა აქვს, ვილა უყურებს? – ხელს ცხვირწინ მიფრიალებს, – ერთ ან ორ წელიწადში მაინც ყველანი გაგმკვდრისფერდებით. [P]  
[SEP]

წინ ვუშვებ და მე უკან ვრჩები. ისინი ქაქანს აგრძელებენ. ვუყურებ, ლაპარაკისას ხელებს როგორ იქნევენ; მათი ხმა ჩამესმის, მაგრამ სიტყვებს ვერ ვარჩევ. [P]  
[SEP]

რაღა დარჩა ჩვენგან? – კენესიან მოჩვენებები და ჩემი ქვეცნობიერის სიღრმეში დაძრწიან, – არც სამშობლო, არც კულტურა. ომი არ გაგვიჩაღებია, მაგრამ ვერც მშვიდობა შევინარჩუნეთ. რაღას ნარმოვადგენთ? რის გასაკეთებლად გვერჩის ცარიელი ძვლები მას შემდეგ, რაც ხორცი დაგვკარგეთ? [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

გვიან ნაშუადღევს იმ გზას ვაღწევთ, რომელსაც ერთ დროს იუველირთა ქუჩა ერქვა. წინ სკოლის მოკუნტული და კუმბი შენობები გველოდება და მუცელში შეკუმშვებს ვგრძნობ. გზაჯვარედინზე ჭული



ყოყმანობს, სკოლის მოლაპლაპე ფანჯრებს ჩაფიქრებული გაჰყურებს და ამბობს: [P]  
[SEP]

– ეს სანვრთნელი დანესებულებებია, მაგრამ შიგნით შეხედვა არ გინდა. გზა განვაგრძოთ. [P]  
[SEP]

სიხარულით მივყვები და ბნელ ბულვარს ვმორდებით. გზად მწვანე აბრას ვაშტერდები. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ პირველი ასო არის „ჭ“. [P]  
[SEP]

– იმ... ქუჩას რა ჰქვია? – ვკითხულობ და აბრაზე ვანიშნებ. [P]  
[SEP]

ჭული ილიმის. [P]  
[SEP]

–რა იყო? ჭული ჰქვია. [P]  
[SEP]

– ადრე ძვირფასი ქვა იყო გამოსახული, – საუბარში ერთვება ნორა, – მაგრამ სკოლების ამენების შემდეგ მამამისმა სახელი გადაარქვა. ხომ საყვარლობაა? [P]  
[SEP]

– თავის დროზე საყვარლობა იყო, – აღიარებს ჭული, – მამა ზოგჯერ ახერხებს, ასეთი უესტით გამაკვირვოს. [P]  
[SEP]

ჭულის კედლების გასწვრივ მივყვებით და ზუსტად მთავარი კარიბჭის მოპირდაპირედ მდებარე ფართო, ბნელ გვირაბამდე მივდივართ. ვხვდები, რომ ეს ის გვირაბებია, საიდანაც სპორტული გუნდები ტრიუმფალურად შედიოდნენ მინდორზე, ძველად, როდესაც ათასობით ადამიანს ჯერ კიდევ შეეძლო ასეთი ტრივიალური რაღაცების გულშემატკივრობა. რადგან მოპირდაპირე მხარის გვირაბი ცოცხლების სამყაროსკენ მოემართება, გასაკვირი არაა, რომ ეს სასაფლაოსკენ მიდის. [P]  
[SEP]



ჭული მცველების წინ საიდენტიფიკაციო ბარათს აფრიალებს და ისინიც უკანა ჭიშკრისკენ მიგვითითებენ. ბორცვიან მინდორზე შევდივართ, რომელიც ასობით ფუტი ბადისებრი ღობითაა გარშემორტყმული. შავი კუნელის ბუჩქები აჭრელებული რუხი ცისკენ მიიკლაკნებიან და ჯვრებითა და წმინდანების ქანდაკებებით შესრულებული კლასიკური საფლავის ქვების თავზე მცველებად დგანან. ეჭვი მაქვს, ეს ქვები რომელიღაც მიტოვებული დამკრძალავი ბიუროდან მოიტანეს, რადგან მათზე ამოკვეთილი სახელები და თარიღები ტრაფარეტებითაა გადაფარული, რომელსაც მოგვიანებით თეთრი საღებავით უხეშად დაანერეს ასოები. ეპიტაფიები გრაფიტის სტილში გამოყვანილს ჰგავს. [P. 159]

– აი, აქ ვასაფლავებთ... რაც ჩვენგან რჩება, – ამბობს ჭული. რამდენიმე ნაბიჯით წინ მიიწევს, მე და ნორა კი შესასვლელთან ვრჩებით. ჩვენ უკან კარი ჩაკეტილია და ადამიანების მოპულსირე ხმაური ჭეშმარიტად მკვდრების მტკიცე სიჩუმითაა ჩანაცვლებული. აქ დასაფლავებული თითოეული სხეული ან თავმოკვეთილია, ან ტვინამოცლილი, ან სულაც მხოლოდ ერთ ყუთში ჩაყრილი ნახევრად შეჭმული ხორცისა და ძვლების გროვა. ახლა ვხვდები, რატომ არჩიეს სასაფლაოს აშენება სტადიონის კედლებს გარეთ: ის არა მარტო უფრო დიდ ფართობს იკავებს, ვიდრე მოსავლისთვის დამუშავებული შიდა მიწის ყველა ნაკვეთი, არამედ მისი შიგნით არსებობა მორალური მდგომარეობისთვისაც არასახარბიელო იქნებოდა. ეს კიდევ უფრო უღმობელი შეხსენებაა, ვიდრე ძველი სამყაროს მშვიდი

სამუდამო განსასვენებლების მზიანი მდელოები. ეს მომავლის მოგონებაა. არა ინდივიდების დონეზე, რომელთა სიკვდილსაც შევეგუებით, არამედ მთლიანად სახეობის, ცივილიზაციის, სამყაროს დონეზე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– დარწმუნებული ხარ, რომ დღეს აქ შესვლა გინდა? – ფრთხილად ეკითხება ნორა ჯულის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული ლაქებიანი ყავისფერი ბალახიდან ამოზრდილ ბორცვებს გასცქერის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ყოველდღე მოვდივარ. დღესაც დღეა. დღეს სამშაბათია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰო, მაგრამ... გინდა აქ დაგელოდოთ? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩემკენ იხედება და მცირე ხანს ფიქრობს, შემდეგ თავს აქნევს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არა, წამოდით. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მიდის და მივყვები. ნორა ჩემგან უცნაურ დისტანციას იჭერს და უკან მომდევს, სახეზე ჩუმი გაკვირვება აღბეჭდვია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამ სასაფლაოზე ბილიკები არ არის გაკვალული. ჯული სწორ ხაზზე მიაბიჯებს, საფლავის ქვებსა და ბორცვებს კვეთს. ბორცვებიდან ბევრი ჯერ კიდევ რბილი და ფხვიერია. გოგოს თვალები მაღალ სვეტზეა მიჭაჭვული, რომლის წვეტსაც მარმარილოს ანგელოზი ამშვენებს. მე და ჯული ოდნავ ჩამორჩენილი ნორას ნინ გვერდიგვერდ ვჩერდებით. დაძაბული ვცდილობ საფლაოზე დანერილი სახელის ნაკითხვას, მაგრამ წარწერა საკუთარ თავს არ მიმჟღავნებს. პირველი რამდენიმე ასოც კი მიუწვდომელი რჩება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ეს... დედაჩემია, – ამბობს ჯული. საღამოს გრილი სიო თმას

თვალეში აყრის, მაგრამ მის მოშორებას არ ცდილობს, – მაშინ დაგვეტოვა, როცა თორმეტის ვიყავი. [P SEP]

ნორა ჩვენ უკან წრიალებს, შემდეგ საფლავეებს შორის მიდის და თითქოს ეპიტაფიების კითხვით ერთობა. [P SEP]

– მგონი გაგიჟდა, – ამბობს ჯული, – ერთ ღამეს ქალაქში მარტო გამოვარდა და სულ ეს იყო. მისი მხოლოდ რამდენიმე ნაწილი იპოვეს, მაგრამ... ამ საფლავეში არაფერია, – ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობს. მახსენდება, როგორ ცდილობდა აეროპორტში მკვდრის მიბაძვას თავისი გადამეტებული თამაშითა და არადამატერებელი ნიღბით, – მგონი, ეს ყველაფერი მისთვის მეტისმეტი იყო, – ჰაერში ხელს იქნევს და მთელ სასაფლაოსა და სტადიონზე მანიშნებს, – ნამდვილი თავისუფლებისმოყვარე სული ჰქონდა, იცი? ცეცხლით აღსავსე ბოქმური ქალღმერთი იყო. მამაჩემს ცხრამეტი წლის ასაკში შეხვდა; კაცმა თავბრუ დაახვია. ძნელი დასატერებელია, მაგრამ მაშინ მამაჩემი მუსიკოსი იყო, როკ-ბენდში კლავიშზე უკრავდა და თან საკმაოდ კარგად. ძალიან ადრე დაქორწინდნენ და შემდეგ... არ ვიცი... სამყარო მძღნერში ჩაიძირა და მამა შეიცვალა. ყველაფერი შეიცვალა. [P SEP]

ვცდილობ, თვალეში შევხედო. თმა ეფარება. ხმაში კანკალი ერევა. [P SEP]

– დედა ცდილობდა, მართლა ძალიან ცდილობდა, რაც შეეძლო, ყველაფერი ძველებურად შეენარჩუნებინა, თავის ყოველდღიურ სამუშაოს ასრულებდა, შემდეგ კი დროს სულ ჩემთან ატარებდა,

ყველაფერი მე გადმომცა. მამა ჩვენთან თითქმის არასდროს იყო, მხოლოდ ჩვენ ორნი ვრჩებოდით, დედა და პატარა ველური. მახსოვს, ძალიან ვერთობოდით; იმ აკვაპარკში მიგყავდი ხოლმე... – უცებ სლუკუნი სიტყვას აწყვეტინებს, სიტყვები ეყლაპება და პირზე ხელს იფარებს. მისი თვალები ჭუჭყიანი კულულებიდან მუდარით შემომცქერიან, – ის უბრალოდ ამ ჯანდაბისთვის არ იყო გაჩენილი, – ჭულის ხმა ფალცეტზე ვიბრირებს, – აქ რა უნდა ეკეთებინა? ყველაფერი, რაც მას სასიცოცხლო ენერგიას ანიჭებდა, გაქრა. ერთადერთი, რაც დარჩენოდა, ეს სულელი, მახინჯკბილებიანი თორმეტი წლის ბავშვი იყო, რომელიც მას ყოველ ღამე აღვიძებდა და კოშმარების გასადევნად ჩახუტებას სთხოვდა. გასაკვირი არაა, რომ აქ დარჩენა აღარ უნდოდა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გაჩერდი, – ვამბობ მტკიცედ და მის სახეს ჩემკენ ვაბრუნებ, – გაჩერდი, – სახეზე ცრემლები ჩამოსდის – მარილიანი სეკრეტი, რომელიც სადინრებიდან და არხებიდან, მოპულსირე უჭრედებისა და აგრესიული წითელი ქსოვილების გვერდით ჩამოედინება. ჭულის ცრემლებს ვწმენდ და მკერდში ვიკრავ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შენ... ცოცხალი... ხარ, – ვბუტბუტებ მის თმაში, – შენთვის... ცხოვრება ღირს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მის თრთოლას ვგრძნობ. მკლავები ძლიერად მაქვს შემოხვეული და ისიც პერანგზე მებლაუჭება. სიოს ხმადაბალ სტვენას თუ არ ჩავთვლით, პაერში ჩამიჩუმი არ ისმის. ნორა ახლა უკვე ჩვენკენ იხედება და საკუთარ თმას ეთამაშება. ჩვენი თვალები ერთმანეთს



ხვდება და ის სევდიანად იღიმის, თითქოს ბოდიშს მიხდის, რომ არ გამაფრთხილა. მაგრამ ჭულის კარადაში დამალული ჩონჩხების არ მეშინია. ერთი სული მაქვს, სხვა დანარჩენებსაც შევხვდე, თვალი თვალში გავუყარო და ძლიერად, ძვლების ტკაცუნამდე ჩამოვართვა ხელი. [P]  
[SEP]

სანამ ის ჩემს პერანგს თავისი სევდითა და ცრემლებით ასველებს, ვხვდები, რომ კიდევ ერთი ისეთი რალაცის გაკეთებას ვაპირებ, რაც აქამდე არ გამიკეთებია. ფილტვებს ჰაერით ვივსებ და ვცდილობ ვიმღერო: „საოცრება... ხარ...“, ვხავი და ვცდილობ ფრენკის მელოდიას მივყვე, „საოცრება... მხოლოდ ამის თქმა მსურდა“ [P]  
[SEP]

პაუზა. შემდეგ ჭულის ქცევაში რალაც იცვლება. ვხვდები, რომ იცინის. [P]  
[SEP]

– ვაა, – ხითხითებს და სახეში მიყურებს, იღიმის და იმავდროულად, ჯერ კიდევ ცრემლიანი, მოციმციმე თვალებით მიყურებს, – ძალიან ლამაზი იყო, რ, მართლა. შენ და ზომბი სინატრამ „დუეტები III“ უნდა ჩაწეროთ. [P]  
[SEP]

ჩახველების შემდეგ თავს ვიმართლებ: [P]  
[SEP]

– გახურება... მაკლდა. [P]  
[SEP]

სახეზე ჩამოშლილ თმას გვერდით მიწევს. საფლავს უყურებს. უკანა ჯიბეში ხელს იყოფს და აეროპორტიდან გამოყოლილ დამგკნარ გვირილას იღებს, რომელსაც ოთხიოდე ფურცელიდა შერჩენია. საფლავის ქვის წინ პირდაპირ მიწაზე დებს. [P]  
[SEP]

– ბოდიში, დე, – ამბობს რბილად, – უკეთესი ვერ ვიპოვე, – ხელს



მჭიდებს, – დე, ეს რ-ა, მართლა კარგი ტიპია, ძალიან მოგეწონებოდა.  
ეს ყვავილი მისგანაცაა. [P]  
[SEP]

მიუხედავად იმისა, რომ საფლავი ცარიელია, მაინც გონებაში მიელვებს, როგორ ამოდის საფლავიდან ჭულის დედის ხელი და კოჭზე მეჭიდება. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ იმ კიბოს ერთ-ერთი უჭრედი ვარ, რომელმაც იგი მოკლა. მაგრამ, ჭულის მონაყოლით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, მაპატიებდა. ეს ხალხი, ეს შესანიშნავი, სიცოცხლით სავსე ქალები, როგორც ჩანს, მე არ მაიგივებენ იმ არსებებთან, რომლებიც ყველას და ყველაფერს ანადგურებენ, რაც მათთვის ძვირფასია. ნება დამრთეს, რომ გამონაკლისი ვიყო და ამ საჩუქრის ძალიან მადლიერი ვარ. მინდა, როგორმე მადლობა გადავუხადო და მათი პატიება დამსახურებული გავხადო. მინდა, აღვადგინო ის სამყარო, რომლის დანგრევაში წვლილი მეც მიმიძღვის. [P]  
[SEP]

როდესაც მისის გრიჭოს საფლავს ვშორდებით, ნორა გვიერთდება.  
ჭულის მხარზე ხელს უსვამს და თავზე კოცნის. [P]  
[SEP]

– კარგად ხარ? [P]  
[SEP]

ჭული თავს უქნევს. [P]  
[SEP]

– როგორც ყოველთვის. [P]  
[SEP]

– გინდა, რაღაც კარგი გითხრა? [P]  
[SEP]

– ძალიან. [P]  
[SEP]

– ჩემს სახლთან ველური ყვავილების გროვა ვნახე. თხრილში იზრდებიან. [P]  
[SEP]

ჯული ილიმის. თვალებიდან უკანასკნელ ცრემლებს იწმენდს და აღარაფერს ამბობს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გზადაგზა საფლავის ქვებს ვათვალიერებ. ისინი არასწორად და არათანაბრად დალაგებული, რაც სასაფლაოს უძველესის შესახედაობას აძლევს, არადა ათობით საფლავი ახალგათხრილია. სიკვდილზე ვფიქრობ. ვფიქრობ, რამდენად მოკლეა სიცოცხლე მასთან შედარებით. მაინტერესებს, რამდენად ღრმად ჩადის ეს სასაფლაო, კუბოების რამდენი ფენაა ერთმანეთზე დანყობილი და დედამიწის რა ნაწილს შეადგენს ჩვენი ნარჩენები. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

შემდეგ ჩემი ავადმყოფური ფიქრები წყდება. მუცელში რაღაცის ტოკვას ვგრძნობ. უცნაური შეგრძნებაა – დაახლოებით ისეთი, როგორც საშვილოსნოში მჯდომი ბავშვის ნიხლების კვრა წარმომიდგენია. მკვეთრად ვჩერდები და ვტრიალდები. ახლომდებარე ბორცვიდან არაფრით გამორჩეული ოთხკუთხა ქვა მიყურებს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მოიცადეთ, – ვუბნები გოგოებს და ბორცვზე ავდივარ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რას აკეთებს? – მესმის ნორას შეკითხვა, – ეს ხომ... <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

საფლავის წინ ვდგავარ და ქვაზე დანერილ სახელს მივჩერებივარ. გულისრევისა და თავბრუსხვევის შეგრძნება ფეხებიდან მენწყება, თითქოს ჩემ წინ უძირო ორმო იხსნება და უდრევი ძალა მისი კიდისკენ მექაჩებაო. მუცელში ისევ რაღაც ფართხალდება, ტვინის უჭრედებზე რაღაცის მოჭიდებას ვგრძნობ... ვვარდები. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

პერი კელვინი ვარ და ეს ჩემი სიცოცხლის ბოლოდღეა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

რა უცნაური შეგრძნებაა, რომ იღვიძებ და ამას აცნობიერებ. მთელი ცხოვრება მალვიძარასთან ბრძოლაში გავატარე; ყოველ დილით არაერთხელ ვურახუნებდი მალვიძარის გადავადების ღილაკს, სანამ საკუთარი თავის მიმართ ბრაზი და ძლიერი სირცხვილი სანოლიდან გამოძრომას არ მაიძულებდნენ. ადვილად მხოლოდ იმ დღეებში ვდგებოდი, როდესაც ძალას, მიზანსა და სიცოცხლის მიზეზს ვგრძნობდი ხოლმე. რა უცნაურია, რომ დღესაც ასევე ადვილად ვდგები. [P]  
[SEP]

როდესაც ჭულის დახორკლილკანიანი ხელებიდან თავს ვითავისუფლებ და სანოლიდან ვძვრები, გოგო კრუსუნებს. საბნის ჩემ ნახევარსაც ისაკუთრებს და მორკალულ პოზაში კედელთან თავსდება. კიდევ რამდენიმე საათი ეძინება და სიზმარში თვალწარმტაც, თუმცა სამიმ უსასრულო რელიეფებსა და ნაირნაირ ფერებს ნახავს. რომ დავრჩე, გაღვიძებისთანავე აღწერას დაიწყებს, დაწვრილებით მომითხრობს ამბების მოულოდნელ შემოტრიალებებსა და სიურრეალისტურ გამოსახულებებს, რომლებიც მისთვის ძალზე ცხადია, ჩემთვის კი – უმინაარსო. მახსოვს დრო, როდესაც მისი მონათხრობი ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო, როდესაც მის სულის შფოთვებს ჩემთვის სევდანარევი სიხარული მოჰქონდა, მაგრამ მეტს ვეღარ ვუძლებ. საკოცნელად და გამოსამშვიდობებლად ვიხრები, მაგრამ ჩემი ტუჩები ხევდება და ვშეშდები. არ შემიძლია, არ შემიძლია. ვერ გავუძლებ. უკან ვიხევ და იქაურობას ისე ვტოვებ, რომ ჭულის არც კი ვეხები. [P]  
[SEP]

ორი წლის წინ ზუსტად ამ დღეს მოყვა მამაჩემი ჩამონგრეული კედლის ქვეშ, რომელსაც თავად აშენებდა. მე დავობლდი. უკვე შვიდას ოცდაათი დღეა, რაც მამა მენატრება, დედა – კიდევ უფრო დიდი ხანია, მაგრამ ხვალ აღარავინ მომენატრება. ჩემი თავშესაფრის, დევნილებისთვის განკუთვნილი ამ უბადრუკი სახლის ფარდალალა კიბეებით დაბლა ვეშვები და ქალაქში გავდივარ. მამა, დედა, ბაბუა, მეგობრები... ხვალ აღარავინ მომენატრება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯერ ძალიან ადრეა და მზე მთებს ნორმალურად არც კი ასცდენია, მაგრამ ქალაქს უკვე ღვიძავს. ქუჩები გადავსებულია მუშებით, შემკეთებელთა ჯგუფებით, საბავშვო ეტლებს ხელჩაჭიდებული დედებითა და დედობილებით, რომლებიც ბავშვთა მწკრივებს მწყემსებივით მიუძღვიან. სადღაც შორს ვიღაც კლარნეტზე უკრავს; აკანკალებული ნოტები ჰაერში ჩიტების ჭიკჭიკივით გაისმის და ვცდილობ სმენა დავიხშო. მუსიკის მოსმენა არ მინდა, არ მინდა ვარდისფერი განთიადი. სამყარო მატყუარაა. მისი სიმახინჯე ყოვლისმომცველია და სილამაზის ნაფლეთები კიდევ უფრო უარესს ხდის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავშეყრის გამზირის ადმინისტრაციული შენობებისკენ მივემართები და მიმღებს ვეუბნები, რომ გენერალ გრიჭოსთან შვიდ საათზე დანიშნული შეხვედრისთვის ვარ მოსული. გოგონას გენერლის კაბინეტში მივყავარ და გასვლისას კარს კეტავს. გენერალი სამუშაო მაგიდაზე დახვავებული ფურცლებიდან თავს არ იღებს და თითის აწევით მოცდას მთხოვს. ვდგავარ და ოთახის კედლებს ვათვალიერებ:



ჭულის სურათი, ჭულის დედის სურათი, თავად გენერლისა და პოლკოვნიკ როსოს გაცრეცილი ფოტო, რომელზეც ორივეს აშშ-ის არმიის ჩვეულებრივი ფორმები აცვია და დატბორილი ნიუ-იორკის ფონზე სიგარეტს ეწევიან. გვერდით ორი მწვეელი კაცის კიდევ ერთი ფოტოა, ამჯერად ნანგრევებად ქცეული ლონდონის ფონზე. შემდეგ ფოტოებზე დაბომბილი პარიზი და დანახშირებული რომიც ჩანს. [P] [SEP]

ბოლოს და ბოლოს, გენერალი სამუშაოდან თავს იღებს, სათვალეს იხსნის და მიყურებს. [P] [SEP]

– მისტერ კელვინ? [P] [SEP]

– სერ. [P] [SEP]

– ეს თქვენი პირველი გასვლაა ჯგუფის მმართველის რანგში. [P] [SEP]

– დიახ, სერ. [P] [SEP]

– მზად ხართ? [P] [SEP]

ერთ წამს ენა მებმის. გონებაში მიელვებს ცხენების, ჩელისტებისა და ღვინის ჭიქას დაკონებული წითელი ტუჩის სურათები, რომლებიც ცდილობენ, გზიდან გადამიყვანონ. გამოსახულებებს ძველი კინოფირივით ვწვავ. [P] [SEP]

– დიახ, სერ. [P] [SEP]

– კარგია. აი, გასასვლელად საჭირო საშვი. შენი ჯგუფის დავალების მისაღებად საზოგადოებრივ ცენტრში პოლკოვნიკ როსოს მიაკითხე. [P] [SEP]

– გმადლობთ, სერ, – საბუთებს ვიღებ და გასასვლელად ვტრიალდები, მაგრამ კარის ბღურბლზე ვჩერდები, – სერ? – ჩემს ხმას ბზარი ეპარება მიუხედავად იმისა, რომ დავიფიცე, ამას არ

დავუშვებდი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გისმენ, პერი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– უფლებას მაძლევთ, რომ თავისუფლად ვილაპარაკო?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მიდი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მშრალ ტუჩებს ვილოკავ:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– საერთოდ, რა აზრი აქვს ამ ყველაფერს?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– უკაცრავად?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არის რამე მიზეზი, რის გამოც ამ ყველაფერს ვაკეთებთ?

შეგროვებითი გასვლები და... ყველაფერი...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– პერი, ვშიშობ, შენი შეკითხვა ვერ გავიგე. შეგროვებული მარაგები

სიცოცხლეს გვინარჩუნებენ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ცოცხლად დარჩენას იმიტომ ვცდილობთ, რომ იმედი გვაქვს,

სამყარო ერთ დღეს უკეთესი გახდება? ამისკენ მივილტვით?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გამომეტყველება არ ეცვლება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ალბათ, კი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ხმა თანდათან სამარცხვინოდ მიკანკალდება და მას უკვე ვეღარ ვაკონტროლებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– დღევანდელ დღეს რა ხდება? არსებობს დღეს ისეთი რამ, რისი სიყვარულის გამოც სიცოცხლე გიღირთ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– პერი...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– სერ, მეტყვით, რა არის? გთხოვთ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალეები მარმარილოსავით ცივი აქვს. ყელიდან ისეთ ხმას გამოსცემს, თითქოს სიტყვის წარმოთქმას აპირებს, მაგრამ შემდეგ

ჩერდება. ტუჩები ეძაბება. [P]  
[SEP]

– შეუფერებელი საუბარია, – გაშლილ ხელის მტევნებს მაგიდაზე აწყობს, – უკვე გმაშიუნდა იყო. საქმე გაქვს. [P]  
[SEP]

ნერწყვს მძიმედ ვყლაპავ: [P]  
[SEP]

– დიახ, სერ, მაპატიეთ. [P]  
[SEP]

– შენი ჭგუფის დავალების მისაღებად საზოგადოებრივ ცენტრში პოლკოვნიკ როსოს მიაკითხე. [P]  
[SEP]

– დიახ, სერ. [P]  
[SEP]

ოთახიდან გამოვდივარ და ბურგს უკან კარს ვხურავ. [P]  
[SEP]

პოლკოვნიკ როსოს ოფისში უაღრესად პროფესიონალურად ვიქცევი. ჩემი ჭგუფის დავალებას ვითხოვ და ისიც კონვერტს მიწვდის; მოჭუტულ, უკვე არცთუ ისე მახვილმზერიან თვალებში სითბო და სიამაყე ემჩნევა. წარმატებას მისურვებს და მადლობას ვუხდი; სადილად მეპატიჟება, თუმცა თავაზიანად ვუარობ. ხმა აღარ მეზბარება. სრულ სიმშვიდეს ვინარჩუნებ. [P]  
[SEP]

ცენტრის მისაღებში დაბრუნებისას გზად სპორტული დარბაზისკენ ვიხედები და ნორას ვხედავ, რომელიც მაღალი ფანჯრების მიღმიდან შემომცქერის. მის უკან ფრენბურთის მოედანზე შეკრებილი, თინეიტჯრობის ასაკს მიუღწეველი ყველა ბავშვის მსგავსად მასაც კარგად მომჭდარი შავი შორტები და ბრეტელებიანი თეთრი ზედა აცვია. ეს ნორას „გუნდია“, მისი სევდიანი მცდელობა, რომ რამდენიმე ბავშვი კვირაში ორი საათით რეალობას გაარიდოს. გვერდით ჩავლისას მხოლოდ თავის დაკვრით შემოვიფარგლები და როდესაც

გასასვლელ კარს ვაღებ, უკნიდან ნორას კედების ხმა მესმის, რომელიც თანდათან მიახლოვდება. [P SEP]

– პერი! [P SEP]

ვჩერდები და კარი თავისით იხურება. ნორასკენ ვტრიალდები. [P SEP]

– ჰეი. [P SEP]

ცივი გამომეტყველებით, მკლავებგადაჯვარედინებული მიდგას ნინ. [P SEP]

– ესე იგი დღეს დიდი დღეა, ჰა? [P SEP]

– ჰო, მგონი. [P SEP]

– რა ტერიტორიას უმიზნებთ? ყველაფერი დაგეგმილი გაქვს? [P SEP]

– ფაიზერის ძველი შენობა, მერვე ავენიუზე. [P SEP]

თავს მიქნევს. [P SEP]

– კარგია, კარგი გეგმა ჩანს, პერი. ყველაფერს მალე მორჩები და ექვსისთვის უკვე დაბრუნებული იქნები, ხომ ასეა? არ დაგავინყდეს, დღეს ხეხილის ბაღში მიგვყავხარ. უფლებას არ მოგცემთ, წელსაც ისევე დამნუხრებულმა იბოდილო აქეთ-იქით, როგორც შარშან ამ დღეს. [P SEP]

სპორტულ დარბაზში მყოფ ბავშვებს გავყურებ, რომლებიც ფრენბურთის ბურთით თამაშობენ, იცინიან და ილანძღებიან. [P SEP]

– არ ვიცი, რამდენად შევძლებ. შეგროვება შეიძლება ჩვეულებრივთან შედარებით უფრო დიდხანს გაგრძელდეს. [P SEP]

თავს მიქნევს. [P SEP]

– ჰო, კარგი, კარგი. ეს ის მონგრეული შენობა არაა, ნაპრალებითა



და ჩიხებით რომაა სავსე? ალბათ, ამიტომ დამატებითი სიფრთხილევ გჭირდებათ, არა?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– კო.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– გასაგებია, – ნორა თავით ჩემს ხელში მოთავსებულ კონვერტზე მანიშნებს, – ჯერ არ შეგიმონმებია?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– ჯერ არა.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მგონი გირჩევნია დროზე შეამონმო, პერი, – ფეხს იატაკზე აბაკუნებს; სხეული ფარული ბრაზისგან უთრთის, – უნდა დარწმუნდე, რომ ჯგუფის წევრების შესაძლებლობები კარგად იცი – მათი ძლიერი მხარეები, სისუსტეები და ასე შემდეგ. მაგალითად, ჩემი, იმიტომ, რომ მეც მაგ სიაში ვარ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ფერი მიმდის.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– რა?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მეც უეჭველად მოვდივარ. როსომ ჯგუფში გუშინ ჩამსვა. იცი ჩემი სიძლიერეები და სისუსტეები? არის შენს დღის წესრიგში რამე ისეთი, რაც შეიძლება ჩემთვის რთული აღმოჩნდეს? ამას იმიტომ გეკითხები, რომ ნამდვილად არ მინდა, ჯგუფის მმართველის რანგში შენი პირველივე გასვლა საფრთხეში ჩავაგდო.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

კონვერტს თავს ვახევ და სახელების შემონმმებას ვინყებ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– ჯულიც ჩაენერა. არ უხსენებია?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ანთებული თვალები ფურცლიდან ნორაზე გადამაქვს.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– კო, ასეა, ნაგავო, რამე პრობლემაა? – ხმა უკიდურესი დაძაბულობისგან სადაცაა გაეზზარება, თვალებში ცრემლი

ჩასდგომია, – რა იყო, გაპროტესტებას აპირებ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

კარს ძლიერი ბიძგით ვაღებ და დილის ცივ ჰაერზე გამოვდივარ. ზემოთ ჩიტები ჩანან – ცარიელთვალეა მტრედები, მკივანა თოლიები – ასევე ყველა ის ბუბი და ხოჭო, რომელიც მათ სკინტლს ჭამს; ფრენის უნარი საჩუქრად დედამინის ყველაზე უსარგებლო ბინადრებს ერგოთ. რა იქნებოდა, მათ მაგივრად მე მრგებოდა? სრულყოფილი, მსუბუქი თავისუფლება. არც ღობეები, არც კედლები, არც საზღვრები; ყველგან ვიფრენდი – ოკეანეებსა და კონტინენტებზე, მთებსა და ჯუნგლებში, თვალუნვდენელ ველებზე – და სადღაც, ყველა ამ შორეულ, ხელშეუხებელ სილამაზეს შორის, ცხოვრების მიზეზს ვიპოვიდი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

პერისეულ ნევდიადში ვცურავ. ღრმად, თავდაყირა ვმარხივარ მიწაში. ფეხებთან მცენარეთა ფესვებსა და მოფუთფუთე მატლებს ვგრძნობ; სასაფლაო ამოტრიალებულა – საფლავის ქვების ნაცვლად კუბოებია, თავად ქვები კი მოლურჯო, გამჭვირვალე სიცარიელეში დანთქმულა, რომელსაც მარმარილოზე ამოტვიფრული სახელები და გულისამაჩუყებელი ეპიტაფიებიც ჩაუყლაპავს. ირგვლივ მხოლოდ გახრწნილებაა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვგრძნობ, რაღაც მოძრაობს. სიცარიელიდან გამოტყორცნილი ხელი მხარში მეჭიდება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– გამარჯობა, გვამო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

747-ში ვართ. ჩემი სუვენირის გროვები ლამაზ სვეტებადაა დალაგებული. სავარძლებს შორის გასასვლელი აღმოსავლური ხალიჩების ფენებითაა დარბილებული. პატეფონიდან დინ მარტინი დილინებს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– პერი?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

პილოტის კაბინაშია, სავარძელში მის და ხელები საკონტროლო ბერკეტებზე ულაგია. პილოტის უნიფორმა აცვია, რომლის თეთრი პერანგი სისხლითაა დალაქავებული. მილიმის და ფანჯრისკენ მიმანიშნებს, საიდანაც ღრუბლის ფენები მოჩანს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ძირითად საფრენ სიმაღლეს ვუახლოვდებით. შეგიძლიათ, სალონში თავისუფლად იმოძრაოთ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ნელი, ფრთხილი მოძრაობებითვდგები და პილოტის კაბინაში პერის ვუერთდები. შეცბუნებული ვუყურებ. მილიმის. საკონტროლო ბერკეტებზე დადებულ ნაცნობი მტკრის ფენებს თითით ვეხები.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ეს შენი მოგონება არაა, ხომ?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– არა, ეს შენი მოგონებაა. მინდოდა, თავი კომფორტულად გეგრძნო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ახლა რაზეც ვდგავარ, შენი საფლაგია?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

მხრებს იჩეჩს.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ალბათ. თუმცა, მგონი შიგნით მხოლოდ ჩემი ცარიელი თავის ქალაა. შენ და შენმა მეგობრებმა ჩემი უმეტესი ნაწილი სახლში ნაიღეთ სასუსნაოდ, ხომ გახსოვს?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ბოდიშის მოსახდელად პირს ვაღებ, მაგრამ თვალებს ხუჭავს და

ხელის აქნევით მანყვეტინებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არ გინდა, გთხოვ. ეგ ყველაფერი უკვე წარსულია. თანაც, ვინც შენ მოკალი, ის მე არ ვიყავი. ის უფროსი და დაბრძენებული პერი იყო. ახლა სკოლის მოსწავლე პერის ელაპარაკები, ახალგაზრდა ოპტიმისტს, რომელიც რომანს წერს სათაურით „მოჩვენებები მაქციების წინააღმდეგ“. მირჩევნია, ახლა იმაზე არ ვიფიქრო, რომ მკვდარი ვარ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

დაეჭვებული ვათვალთვრებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აქ გაცილებით მხიარული ხარ, ვიდრე საკუთარ მოგონებებში.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აქ ფართო ხედი მაქვს. ძნელია, საკუთარი ცხოვრება სერიოზულად აღიქვა, როდესაც მას ერთიანად ხედავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვაშტერდები. მისი რეალურობა ძალზე დამაჭერებელი ჩანს, მუნუკებით და ყველაფრით.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შენ მართლა შენ ხარ? – ვეკითხები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ეგ რას ნიშნავს?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მთელი ეს ხანი, რაც შენ გელაპარაკები... მხოლოდ შენი ტვინის ნარჩენები იყავი? თუ შენ მართლა ნამდვილად შენ ხარ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ქირქილებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ამას მართლა მნიშვნელობა აქვს?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– პერის სული ხარ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შეიძლება. რაღაც მაგდაგვარი. რაც გინდა ის დაუძახე.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– შენ... სამოთხეში ხარ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

იცინის და თავის სისხლით გაჟღენთილ პერანგს ებლაუჭება.<sup>[P]  
[SEP]</sup>



– მთლად ვგრეც არაა. რაც უნდა ვიყო, „რ“, შენში ვარ, – ჩემი გამოხედვის შემხედვარე ისევ იცინის, – ძაან დომხალია, არა? მაგრამ უფროსი და უფრო ბრძენი ამ ცხოვრებიდან საკმაოდ ბნელად ნავიდა. იქნებ ეს ჩვენი შანსია, რომ დავენიოთ და რაღაცები მოვიმოქმედოთ, ვიდრე... ხომ ხვდები. ვიდრე ის მოხდება, რაც შემდეგ გველოდება. [P SEP]

ფანჯრიდან ვიხედები. ხმელეთის ან ზღვის ნასახი არ ჩანს; მხოლოდ ჩვენ ქვემოთ გადაშლილი და ზემოთ აგრაგნილი ღრუბელთა სამყაროს აბრეშუმის მთებია. [P SEP]

– რა გველოდება? [P SEP]

– რაც შემდეგი შეგვხვდება, – თვალებს დამცინავი საზეიმო იერით ზეცისკენ აპყრობს და იღრიჭება, – შენ იქ მოხვედრაში დამეხმარები, მე კი შენ შეგეშველები. [P SEP]

თვითმფრინავი ჰაერის არათანაბარ ნაკადთან შეტაკებისას ჯანჯლარებს და მკვეთრად ვარდება, რა დროსაც მუცელში რაღაც მწყდება. [P SEP]

– რატომ დამეხმარები? მე ხომ შენი სიკვდილის მიზეზი ვარ? [P SEP]

– კარგი რა, რ, ჯერ კიდევ ვერ მიხვდი? – ჩემი შეკითხვით ნანწყენი ჩანს. ცხელებიანივით დაძაბულ თვალებს მისწორებს, – მე და შენ ერთი და იმავე დაავადების მსხვერპლნი ვართ. ერთსა და იმავე მხარეს ვიბრძვით, უბრალოდ, სხვადასხვა ფრონტზე გამართულ ბრძოლებში ვმონაწილეობთ; უკვე ძალიან დაგვიანებულია, რომ რამის გამო მძულდე – ორივენი ერთ წყეულ ამბავში ვართ გახვეულები. ჩემი სული, შენი ცნობიერება, ჩემი ნარჩნები და შენი

ნარჩენები ერთმანეთშია გადახლართული და შეერთებული, – მხარზე ისე მხურვალედ მირტყამს ხელს, რომ ლამის ტკივილს ვგრძნობ, – ერთ მხარეს ვართ, გვამო. [P]  
[SEP]

თვითმფრინავი მცირედ დაგდაგებს. პერის წინ საკონტროლო ბერკეტი ირხევა, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს. არ ვიცი, რა ვთქვა, ამიტომ უბრალოდ ვეუბნები: [P]  
[SEP]

– კარგი. [P]  
[SEP]

ისიც თავს მიქნევს: [P]  
[SEP]

– კარგი. [P]  
[SEP]

იატაკს ვიბრაციის კიდევ ერთი სუსტი ტალღა აწყდება, თითქოს ბომბების შორეული აფეთქების გამოძახილიაო. [P]  
[SEP]

– მაშ ასე, – ამბობს პერი, – ღმერთმა სწავლაში პარტნიორებად გვაქცია. ჩვენს პროექტებზე უნდა ვილაპარაკოთ, – ღრმად ისუნთქავს და ჩემკენ იყურება, თან ნიკაპზე ხელს ივლებს, – ჩვენს თავში ბოლო დროს არაერთი შთამაგონებელი ფიქრი მოვისმინე, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ სრულად გესმის, რა შტორმისკენ მივემართებით. [P]  
[SEP]

კაბინაში რამდენიმე წითელი ნათურა ციმციმს იწყებს. სადღაც, თვითმფრინავის გარეთ, ფხაჭუნის ხმა ისმის. [P]  
[SEP]

– რამე გამომრჩა? [P]  
[SEP]

– იქნებ, სტრატეგია? ამ ქალაქში ისე დავეხეტებით, როგორც კატა – ძაღლების ბუნაგში. გამუდმებით სამყაროს შეცვლაზე საუბრობ, მაგრამ აქ ზიხარ და თათებს ილოკავ, სანამ პიტბულები ჩვენ გარშემო

დადრნიან. რა გეგმა გაქვს, ფისუნია?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გარეთ ბამბის ღრუბლები ფოლადის მატყლად იქცევა. სინათლე ციმციმებს, ჩემი სუვენირები ჩხარუნობენ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ მაქვს... ჭერ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აბა, როდის გექნება? ხომ იცი, რომ დრო არ იცდის. შენ იცვლები, შენი ძმობილი მკვდრები იცვლებიან, სამყარო მზადაა, რაღაც სასწაულებრივი მოხდეს. რას ველოდებით?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვითმფრინავი დაგდაგებს და დაშვებას იწყებს. პილოტის თანაშემწის სავარძელს ვეხეთქები და ვგრძნობ, გული ყელში როგორ ამომდის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ ვიცდი. ახლაც ვმუშაობ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რაზე მუშაობ? აბა, რას აკეთებ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვცდილობ, – ვპასუხობ და პერისთვის მზერის მოუშორებლად ჩემი სავარძელის გვერდებს ვეჭიდები, რადგან თვითმფრინავი ყანყალსა და გრუხუნს იწყებს, – მეც მინდა ცვლილებები, თავს ვაიძულებ, ამაზე ვიბრუნო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

პერის თვალები უვინროვდება და ტუჩებს კუმავს; არაფერს ამბობს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ეს ხომ პირველი ნაბიჯია? – ვყვირი და ვცდილობ ქარისა და მოგრუხუნე ძრავების ხმაური გადავფარო, – ყველაფერი ხომ ამით უნდა დაიწყოს?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვითმფრინავი კიდევ ერთხელ ირყევა, რასაც ჩემი სუვენირების სვეტის ჩამოშლა და ნახატების, ფილმების, ჭურჭლის, თოჯინებისა და

სასიყვარულო წერილების მთელ სალონში მიმოფანტვა მოსდევს, რადიოში კი ხმა გაისმის:<sup>[P SEP]</sup>

რ? პეი, კარგად ხარ?<sup>[P SEP]</sup>

პერის სახე უცვივდება და მთელი მხიარულება უქრება. <sup>[P SEP]</sup>

– ცუდი ამბები ახლოვდება, რ. ზოგი მათგანი სასაფლაოს ჭიშკართანვე გიცდის. მართალი ხარ, ცვლილებების სურვილი პირველი ნაბიჯია, მეორე – მისი მოპოვებაა. როდესაც წარღვნა დაიწყება, არ მინდა, მთელი ის ხანი სიზმრებში გაატარო, ახლა ხომ ჩემი გოგოც შენთანაა.<sup>[P SEP]</sup>

გეყოფა, უკვე წერვებს მიშლი. გაიღვიძე!<sup>[P SEP]</sup>

– ვიცი, რომ მას არ ვიმსახურებდი, – ამბობს პერი. მისი ხმადაბალი ბუტბუტი როგორღაც ყველანაირ ხმაურს ფარავს, – ყველაფერი შემომთავაზა და მე აინუნშიც არ ჩავაგდე. ახლა შენი ჯერია, რ. წადი, დაიცავი. გაცილებით სუსტია, ვიდრე ჩანს. <sup>[P SEP]</sup>

წყეულო ნაბიჯვარო! გაიღვიძე, თორემ გეფიცები, ტვინს გაგასხმევენებ!<sup>[P SEP]</sup>

თავს ვუქნევ, პერიც იგივეს იმეორებს. შემდეგ მინისკენ ტრიალდება და გულხელს იკრეფს, საკონტროლო ბერკეტები ძლიერად ძაგძაგებენ. შტორმის ღრუბლები შუაზე იპობა და დედამინისკენ ვეცემით, პირდაპირ სტადიონისკენ მივექანებით. აი, ისინიც, სახელგატეხილი რ და ჯ წვიმით გაჟღენთილ სახურავზე დაფენილ პლედზე სხედან. რ ზემოთ იხედება, ჩვენ გვხედავს და თვალები უფართოვდება, როცა ჩვენ...<sup>[P SEP]</sup>

•••<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალეებს ფართოდ ვახელ და მზერა მენმინდება. სახელდახელო სასაფლაოზე გათხრილი მომცრო საფლავის წინ ვდგავარ. მხარზე ჭულის ხელი მადევს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კარგად ხარ? – მეკითხება, – რა ჯანდაბა გეტაკა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ყელის ჩასანმენდად ვახველებ. გარემოს ვათვალიერებ:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ბოდიში, ფიქრმა წამილო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ძალიან კი შემაშინე. წამო, აქ ყოფნა აღარ მინდა, – გასასვლელისკენ გამალებით მიიწევს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნორა და მე მივყვებით. ნორა მხარდამხარ მომდევს, აღმაცერად მიყურებს:<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ფიქრმა წაგილო, არა? – მეკითხება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავს ვუქნევ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კარგა ხანს შენს თავს ელაპარაკებოდი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალს ვუსწორებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– და გრძელ-გრძელ სიტყვებსაც იძახდი. მგონი, „სასწაულებრივს“ მოვკარი ყური.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მხრებს ვიჩეჩავ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მცველები კარს გვიღებენ თუ არა, ქალაქის ცხოვრების ჩანჩქერისებურად მგრგვინავი ხმაური ჩაგვესმის. ისევ სტადიონზე ვბრუნდებით. ზურგს უკან კარის მიხურვასთან ერთად მუცელი მიწრიალდება – ნაყოფი წიხლებს მიშენს. ხმა ჩამჩურჩულებს, იწყება, რ. მზად ხარ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>



– ფუ, გამართლებაც ამას ჰქვია, – ამბობს სუნთქვაშეკრული ჯული.

[P]  
[SEP]

აი, მისი აღმატებულებაც, – ბუსტად ჩვენ ცხვირწინ, ქუჩის კუთხიდან მხედრული ნაბიჯით ჯულის მამა, გენერალი გრიჭო გამოდის. პირდაპირ ჩვენკენ მოემართება. გაურკვეველი რანგის სამი ოფიცერი ახლავს, თუმცა სამხედრო აღკაზმულობას არცერთი არ ატარებს. მთელ მათ ფორმას ღია ნაცრისფერი პერანგები და სამუშაო შარვლები შეადგენს – არანაირი ჩინ-მედლები თუ სამხედრო ნოდების მიმანიშნებელი რამე დეტალი, მხოლოდ ბევრი ჯიბე, ინსტრუმენტების ასხმულა და ლამინირებული სამკერდე ნიშნები. ქამარზე შებმულ ბუდეებში მსხვილკალიბრიანი იარაღი ნაზად უბზინავთ. [P]  
[SEP]

– არ დაიბნე, რ, – მეჩურჩულება ჯული, – ხმა არ ამოიღო. უბრალოდ, მშშ... თავი მოაჩვენე, თითქოს მორცხვი ხარ. [P]  
[SEP]

– ჯული! – უხერხულად ეძახის გენერალი. [P]  
[SEP]

– გამარჯობა, მამა, – პასუხობს ჯული. [P]  
[SEP]

მამამისი, თავისი ამალითურთ, ჩვენ წინ ჩერდება. ჯულის მხარზე ხელს ნაჩქარევად უთათუნებს. [P]  
[SEP]

– როგორ ხარ? [P]  
[SEP]

– კარგად. დედას სანახავად ვიყავი. [P]  
[SEP]

კაცს ყბები ეძაგრება, მაგრამ არაფერს ამბობს. ჯერ ნორას უყურებს, თავს უკრავს, შემდეგ მზერა ჩემზე გადმოაქვს. დაჟინებით მათვალიერებს. რაციას აძრობს. [P]  
[SEP]

– ტედ, გუშინ რომ ტიპი გაგისხლტა, როგორ აღწერე? ახალგაზრდა

მამაკაცი ნითელი ყელსახვევით... მაღალი, გამხდარი, სუსტი აღნაგობის?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მამა, – მიმართავს ჯული.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

რაცია მჭახედ ხრიალებს. გენერალი განზე სწევს და ქაშიდან ცერბორკილს იხსნის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– დაკავებული ხართ უნებართვო შემოჭრის გამო, – მიხსნის მიზეზს, – და გაგამწესებთ..<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ღმერთო! გეყოფა, მამა, – ჯული ჩვენ შორის დგება, რომ ხელები გაანწვინოს, – რა გჭირს? გოლდმანის გუმბათიდან მწვია, მტერი კი არაა. სანამ აქამდე მოვიდოდა, გბაში კინალამ მოკლეს. იქნებ, მისთვის გამონაკლისი დაუშვა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვინაა? – ეკითხება გენერალი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული ისე მეფარება, თითქოს გენერლის მძლავრი სიტყვებისგან უნდა დამიცვას.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვინაა და... არჩი ჰქვია. არჩი მითხარი, ხო? – თვალთ მანიშნებს დამეც თავს ვუქნევ, – ნორას ახალი შეყვარებულია. დღეს პირველად შევხვდი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნორა იკრიჭება და მხარზე მეხვევა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ნახეთ, როგორ უყვარს გემოვნებიანი ჩაცმა. არც კი მეგონა, ვინმე კიდევ თუ ატარებდა ჰალსტუხს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გენერალი ყოყმანობს. შემდეგ ცერბორკილს უკან აბრუნებს და ნაძალადევად მილიმის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– სასიამოვნოა შენი გაცნობა, არჩი. რა თქმა უნდა, უკვე

გეცოდინება, რომ თუ სამ დღეზე მეტ ხანს აპირებ დარჩენას, საემიგრაციო სამსახურში უნდა გამოცხადდე და დარეგისტრირდე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავს ვუქნევ და ვცდილობ, თვალი ავარიდო, მაგრამ სახიდან მზერას ვერ ვწყვეტ. ხილვების წყალობით, რამდენიმე წლის წინ გამართულ დაძაბულ სადილს შეგვესწარი; იმდროინდელ გენერალთან შედარებით ახლანდელი გაცილებით უფრო დაბერებული მეჩვენება, თითქოს ათი წელი მაინც გასულაო. კანი დათხელებია, გასიფრიფანებია; ყვრიმალეები ამოსჩრია; შუბლზე ლურჯად ემჩნევა ამობურცული ვენები. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მის თანმხლებთაგან ერთ-ერთი ყელს იწმენდს: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შევითყვეთ პერის შესახებ და ძალიან ვწუხვარ, მის კაბერნე. ძალიან მოგვენატრება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამ კაცსაც ვიცნობ. პოლკოვნიკი როსოა. ასაკით გრიჭობე უფროსია, მაგრამ უკეთაა შემონახული. ტანდაბალია, პუტკუნა; მოხუცისთვის დამახასიათებელ მის ღიპს დაკუნთული მკერდი და მკლავები გადმოჰყურებენ. თავს ჭაღარა და მეჩხერი თმა უმშვენებს. სქელშუშიანი სათვალის მიღმიდან დიდი, ლურჯი, წყალწყალა თვალეები იმზირებიან. ჭული ერთი შეხედვით წრფელი ღიმილით მიმართავს: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გმადლობ, როსი. მეც მომენატრება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თითქოს სიტყვებს სწორად არჩევენ, მაგრამ მათი ხმა ყალბად ჟღერს; ფრაზები სიღრმეში მობობოქრე მძლავრი დინების საპირისპიროდ, ზედაპირზე ცურავენ. გუმანი მკარნახობს, რომ მათ

უკვე მიუსამძიმრეს ერთმანეთს ნაკლებად ფორმალურ გარემოში, რაც გრიჭოს ცნობისმოყვარე მზერას, როგორც ჩანს, გამოეპარა. [P]  
[SEP]

– მადლობას გიხდით თანაგრძნობისთვის, პოლკოვნიკო როსო, – ამბობს გენერალი, – თუმცა კიდევ უფრო მადლობელი დაგრჩებით, თუ ჩემი ქალიშვილისადმი მიმართვისას ჩვენს გვარს არ შეცვლით, თუნდაც ეს „ცვლილება“ ჯულის სურვილსაც ემთხვეოდეს. [P]  
[SEP]

პოლკოვნიკი წელში იმართება. [P]  
[SEP]

– ბოდიშს გიხდით, სერ. თქვენი წყენინება აბრადაც არ მქონია. [P]  
[SEP]

– მხოლოდ და მხოლოდ მეტსახელია, – ერთვება ნორა, – მე და პერიმ ვიფიქრეთ, რომ კაბერნე უფრო უხდებოდა, ვიდრე... [P]  
[SEP]

თუმცა გრიჭოს გამოხედვას ამჩნევს და უკან იხევს. შეკრებილებს გენერალი ზანტად გვავლებს თვალს. მის მზერასთან შეხვედრას გავურბივარ და ძირს მანამ ვიყურები, სანამ სხვა მხარეს არ იხედება. [P]  
[SEP]

– უნდა წავიდეთ, – ამბობს უმისამართოდ, – მოხარული ვარ, რომ გაგიცანი, არჩი. ჯული, ამაღამ შეხვედრები მაქვს დანიშნული და მთელ ღამეს იქ გავატარებ, დილით კი გოლდმანისკენ გავემურები, რათა გაერთიანების შესახებ ვიმსჯელოთ. სახლში, ალბათ, რამდენიმე დღის შემდეგ დავბრუნდები. [P]  
[SEP]

ჯული თავს უკრავს. გენერალი და მისი თანმხლებნი აღარაფერს ამბობენ და მიდიან. ჯული მინას ჩაშტერებია, ღრმა ფიქრებშია წასული. ჩამონოლილ რამდენიმენამიან სიჩუმეს ნორა არღვევს. [P]  
[SEP]

– უუუჰ, კი შემეშინდა. [P]  
[SEP]



– ნამო, ხეხილის ბაღში წავიდეთ, – ბუტბუტებს ჯული, – უნდა დავლიო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მე კვლავ ქუჩას გავცქერი, ვხედავ, როგორ იკარგება მამამისი სიშორეში. სანამ კუთხეს მიეფარება, ჩემკენ ტრიალდება და თვალს მავლებს. მბურძგლავს. ნეტავ, პერი როგორ წარღვნას გულისხმობდა – სუფთა და გამაჯანსაღებელ ტალღებს თუ რამე უფრო ბობოქარს? ფეხქვეშ თრთოლას ვგრძნობ, ძლივს შესამჩნევ ჯაყჯაყს, თითქოს ამ მიწის ქვეშ დამარხული ყველა ქალისა თუ კაცის ძვლები ერთდროულად ჩხრიალებს, ქანებს ბზარავს, მაგმად იგზნება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როგორც ირკვევა, ხეხილის ბაღი სულაც არ არაა სტადიონის აგრარული მეურნეობის ნაწილი – ქალაქის ერთადერთი პაბია, თუ რაღაც პაბს მიახლოებული, რომელიც აქაური მშრალი კანონის დაცვით ფუნქციონირებს. მის შესასვლელამდე მისაღწევად სტადიონის ეშერისეული, ვერტიკალურად აღმავალი ციცაბო გზა უნდა გაიკვლიო. თავდაპირველად, რაღაც დაფხავებული შენობის მეოთხე სართულზე ავდივართ – ადგილობრივები თავიანთი კარის ჯუჭრუტანებიდან გვადევნებენ თვალს. ამას მეზობელ შენობაზე თავბრუდამხვევი გადასვლა მოსდევს – სანამ ჩვენ კოშკების დასამაგრებლად გაბმულ ბაგირებზე გადებულ ბოგურაზე გადავდივართ, ქვემოდან ბიჭები ნორას კაბის ქვეშ შეჭყეტას ცდილობენ. როგორც კი ამ შენობაში შევდივართ, კიდევ სამ სართულზე გვინევს აფოფხება, სანამ ვერანდამდე მივალთ, რომელიც ქუჩებს გადმოჰყურებს. აქ გრილი ნიავი უბერავს. პაბიდან, რომლის მუხის კარსაც ყვითელი ხის



გამოსახულება ამშვენებს, ისეთი ბუზუნი გამოდის, რომ ვერანდის მეორე ბოლომდე აღწევს. <sup>[SEP]</sup>

წინ მოუქნელად ვიჭრები და ჭულის კარს ვუღებ. ნორა იცინის, ჭული კი თვალებს ატრიალებს. შედიან და მეც მიყვები. <sup>[SEP]</sup>

იქაურობა გადაჭედულია, მაგრამ ირგვლივ პირქუში განწყობა მეფობს. არც შეძახილები, არც მისალმებები, არც ნომრების გაცვლა-გამოცვლა... მიუხედავად მშრალი კანონისას იატაკქვეშეთში მომუშავე პაბისთვის დამახასიათებელი გასაიდუმლოებული ადგილმდებარეობისა, „ხეხილის ბაღში“ ალკოჰოლს არ ჰყიდიან. <sup>[SEP]</sup>

– გეკითხები, – ამბობს ჭული, სანამ ამ სანიმუშო ქცევის მქონე საზოგადოებაში მივიკვლევთ გზას, – ამქვეყნად ამაზე სულელური რამე თუ არსებობს – ყოფილი სამხედროები და მშენებლობის მუშები თავიანთ დარდს ნატურალურ წვენებში ახრჩობენ. კიდევ კარგი, გარედან სასმლის შემოტანა მაინც არ იკრძალება. <sup>[SEP]</sup>

„ხეხილის ბაღი“ ამ ქალაქში პირველი შენობაა, რომელსაც სულის ნატამალი შერჩენია. სალოთაო ადგილებისთვის დამახასიათებელი სრული აღჭურვილობით დაიკვებნის – დართსის დაფებიცაა, ბილიარდის მაგიდებიც და ბრტყელეკრანიანი ტელევიზორიც, სადაც ამერიკული ფეხბურთის მატჩებს აჩვენებენ. მატჩის დანახვისას ჯერ განვცვიფრდი – ნუთუ ტელევიზია კიდევ არსებობს? ნუთუ ამ სამყაროს კიდევ შემორჩენია ქარაფშუტა ხალხი? თუმცა მოგვიანებით, დაახლოებით მესამე მეოთხედის მეთაე ნუთმე, გამოსახულება ვიდეოკასეტის ჩანანერივით იდღაბნება და ეკრანზე სხვა მატჩი

ჩნდება; შუა შებოჭვისას გუნდებიც იცვლება და ანგარიშიც. ხუთი წუთის შემდეგაც იგივე მეორდება, ოღონდ ამჯერად ეკრანზე წამიერად იელვებს ლენტის გადაბმის ადგილი. ფეხბურთის გულშემატკივრებიდან ამგვარ ხარვეზებს ყურადღებას არავინ აქცევს. გამოცარიელებული მზერით გამუდმებით ერთი და იმავე გამოსახულების წყვეტილ კადრებს უყურებენ და სასმელს ისე წრუპავენ, თითქოს რომელიღაც ისტორიული დადგმის მონაწილეები არიან.<sup>[P]  
[SEP]</sup>

რამდენიმე ტიპი ამჩნევს, რომ მივშტერებივარ, ამიტომ განზე ვიხედები. მაგრამ მალე თვალი მაინც უკან გამირბის. გონებაში რაღაც, აქაური სცენის მსგავსი მიტივტივებს. მოგონება ისე იკვეთება, როგორც პოლაროიდის გაუმჟღავნებელ ფირზე აღბეჭდილი ლანდი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– სამი გრეიპფრუტი, – მიმართავს ჯული ბარმენს, რომელიც სასმლის მომზადებას შეცბუნებული და გაკვირვებული იწყებს. ჭორკობზე ვსხდებით, გოგოები საუბარს აბამენ. მათი ხმების მუდერი მელოდია მუსიკალური აპარატიდან მომავალ ხმაურიან კლასიკურ როკს ფარავს, მაგრამ მალე ეს საუბარიც სადღაც იჩქმალება – ტელევიზორს ვუყურებ, ხალხს ვათვალიერებ, ვამჩნევ მათ კუნთებქვეშ განლაგებული ძვლების მოხაზულობას; ხორცზე გადაკრულ ტყავში სახსრები ამოსჩრიათ; ვხედავ მათ ჩონჩხებს და ჩემს თავში დაბადებული აზრი, რომელიც მოულოდნელ მიმართულებას იძენს, თანდათან უფრო მკაფიო ხდება: აქაურები ჩვენებური ჩონჩხების აღნაგობისა და არეულ-დარეული, გამომშრალი გონების

წინამორბედები არიან.<sup>[P]  
[SEP]</sup>

სამყარო უკიდურესად იკუმშება, შავ ხვრელამდე დადის. წარსული მოგონებები და სავარაუდო მომავალი უმცირეს ნაწილაკებად მანამ იშლება, სანამ ფიზიკური გარსისგან მთლიანად არ თავისუფლდება. ერთ მდგომარეობაში სამარადჟამოდ გამოკეტილი არსებების ბრძოლა სინგულარობაში გადასარჩენად – ასეთია ჩონჩხების სამყარო. ისინი მზერაჩამქრალ საპასპორტე სურათებს ჰგვანან, დროის იმ მომენტში გაყინულებს, როდესაც თავიანთი ადამიანობა დათმეს; ვხედავ საბედისწერო წამს, როდესაც ძველ ცხოვრებასთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფი გადაჭრეს და უფსკრულში დაინთქნენ; მათ აღარაფერი შერჩათ: არც ფიქრები, არც გრძნობები, წარსული თუ მომავალი. საჭიროების გარდა აღარაფერი არსებობს – ყველაფერი უცვლელად უნდა შეინარჩუნონ. ან თავიანთი არსებობის მარადიულ წრეზე უნდა იბრუნონ, ან გადაშენდებიან; ფერები, ხმები, ფართო ცა სულებს ამოხდის და ამოშანთავს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

თავში ერთი აზრი იწყებს ფუთფუთს, ისეთი ბუზუნით ედება ჩემს ნერვებს, თითქოს სატელეფონო ხაზებით გადაეცაო – რა მოხდება, თუკი ამ მარადიული წრიდან გადავახვევინებთ? უკვე საკმარისად გამოვუთხარეთ ძირი და ერთი მცირედი შეჩიხინებითაც შეიძლება ბრმა მრისხანება გამოვიწვიოთ. რა შედეგს მივიღებთ, თუ მოულოდნელად, განსაცვიფრებლად და მძლავრად შევაქანებთ? იქნებ, უბრალოდ, დაილენნონ? ან დანებდნენ? მტვრად იქცნენ და ქარმა გახვეტოს?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რ, – მეჭიკავება ჯული, – აქ ხარ? ისევ ფიქრებმა გაგიტაცა? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვილიმი და მხრებს ვიჩეჩავ. სიტყვების მარაგი ამჯერადაც მღალატობს. მომიწევს, მალე ვიპოვო ისეთი გზა, რომელიც ჯულის პირდაპირ ჩემს გონებაში შემოუძღვება. კარგად არ ვიცი, რის გაკეთებას ვაპირებ, მაგრამ რაც უნდა იყოს, დარწმუნებული ვარ, მარტო ვერ მოვახერხებ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ბარმენს სასმელები მოაქვს. ბაცი ყვითელი ფერის სითხით სავსე ჭიქებს ეჭვის თვალით ვათვალიერებთ. ჯული მე და ნორას გვეღრიჭება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გახსოვთ, ბავშვობაში გრეიპფრუტის სუფთა წვენს მარტო მაგარი ტიპები რომ სვამდნენ? საბავშვო სასმელების ვისკი იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მართალი ხარ, – სიცილით პასუხობს ნორა, – ქვეშაფსიებს ვაშლის წვენი, „კაპრი სანი“ და მსგავსი რაღაცები დაჰქონდათ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული ჭიქას მალლა სწევს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჩვენს ახალ მეგობარს, არჩის გაუმარჯოს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სანამ მე ჩემი სასმისის აღებას ვცდილობ, გოგოები თავიანთსას უკვე მიჭახუნებენ. ვსვამთ. გემოს კარგად ვერ ვგრძნობ, თუმცა ენას კი მისუსხავს; შემდეგ სითხე ძველ ნაჭრილობევეებში მიიკვლევს გზას და ლოყებიდან მეღვრება. აღარც მახსოვს, სად ავიკიდე ეს ჭრილობები. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული შეკვეთას იმეორებს. როდესაც სასმელი მოაქვთ, ის დგება, თავის ზურგჩანთას მხარზე იკიდებს და სამივე ჭიქა მიაქვს. ჩვენკენ იხრება და გვანიშნებს, ახლავე დავბრუნდებიო. ჭიქებიანად შედის



საპირფარეშოში.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რას... აკეთებს? – ვეკითხები ნორას.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა ვიცი... სასმელს გვპარავს?<sup>[P]  
[SEP]</sup>

უხერხული სიჩუმე ისადგურებს – ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი საერთო ნაცნობი გვაკავშირებს, რომლის არყოფნაშიც ურთიერთობა ნავლდება. რამდენიმე წუთში ნორა ჩემკენ იხრება და ჩურჩულით მეკითხება:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– იცი, რატომ მოიტყუა, რომ ჩემი შეყვარებული იყავი?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ცალ მხარს ვწევ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, აბა რა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მისი მაშინდელი სიტყვები არაფერს ნიშნავს. უბრალოდ, ცდილობდა, როგორმე მამამისის ყურადღებას გაერიდებინე. რომ ეთქვა, ჩემი შეყვარებულიაო, ან მეგობარიო, თუნდაც, ნაცნობიო, გრიჭო კითხვებით ტვინს გაგიღერძავდა. წესიერად რომ შემოეხედა... ეს გრიმი სრულყოფილი კი არაა...<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მე... მესმის.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, სხვათაშორის, რომ იცოდე: დღეს რომ დედამისის მოსანახულებლად წაგიყვანა, ეგ სერიოზული ამბავია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

წარბებს ვწევ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– როგორც წესი, ხალხს მასზე არ ელაპარაკება ხოლმე. არასოდეს. სამი წლის განმავლობაში პერისთანაც კი არ დაუძრავს კრინტი. ბუსტად არ ვიცი, რას ნიშნავს მისთვის იმ ადგილას წასვლა, მაგრამ... დღევანდელი საქციელი რაღაც ახალია.<sup>[P]  
[SEP]</sup>



ბარს დაბნეული ვათვალთვლებ. ნორას სახეს უცნაური, ნაზი ღიმილი უცისკროვნებს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– იცი, ცოტათი პერის მაგონებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვხევდები. ვგრძნობ, როგორ დულს და თუხთუხებს სინდისის ქენჯნა, ყელში მანვება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ოღონდ, კარგად ვერ ვხვდები, რით. არა, მასავით ხისტავიანი ბაქია ნამდვილად არ ხარ. უბრალოდ, ისეთივე... დაუდევარი ხარ, როგორიც ის იყო მოზარდობისას.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ენას კბილი უნდა დავაჭირო. გულწრფელობას არაერთხელ ჩაუვუგდივარ მძიმე მდგომარეობაში. მაგრამ სიტყვები თავად ლაგდებიან და ცემინებასავით მიღიტიინებენ. ვერ ვუძლებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მე მოვკალი. მისი ტვინი... შევჭამე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნორა ტუჩებს კუმავს და თავს მიქნევს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჰოო... მეც ეგრე ვიფიქრე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სახე მელრიცება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არა, დანახვით არაფერი დამინახავს, მაგრამ ორჯერ ორის გამოთვლა შემიძლია. ლოგიკა მკარნახობდა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მზერა მეყინება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჭულიმ... იცის?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არა მგონია. რომც სცოდნოდა, ალბათ, სხვაგვარად მაინც არ მოიქცეოდა, – ხელზე მეხება, – შეგიძლია, გაუმხილო, რ. გაპატიებს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რატომ გგონია?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ისიც იმავე მიზეზის გამო გაპატიებს, რა მიზეზითაც მე. [P]  
[SEP]

– რა მიზეზით? [P]  
[SEP]

– შენ არაფერი ჩაგიდენია. იმ სენის ბრალია ყველაფერი. [P]  
[SEP]

ველოდები, რომ კიდევ რაღაცას იტყვის. ის ბარის თავზე დამაგრებულ ტელევიზორს უყურებს. მუქ სახეზე მომწვანო, მკრთალი ანარეკლი დასთამაშებს. [P]  
[SEP]

– ჭულიმ გიამბო, როგორ უღალატა პერიმ იმ ობოლ გოგოსთან? [P]  
[SEP]

პასუხის გაცემისას ჯერ ვცოყმანობ, შემდეგ თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ. [P]  
[SEP]

– ჰოდა... ის გოგო მე ვიყავი. [P]  
[SEP]

საპირფარეშოს თვალს არ ვაშორებ. ნორას ეტყობა, ყველაფრის მოყოლა აქვს გადაწყვეტილი. [P]  
[SEP]

– აქ სულ რაღაც ერთი კვირის ჩამოსული ვიყავი, – ამბობს, – ჭულის ჯერ არც ვიცნობდი. ფაქტობრივად, ამ ამბის მერე გავიცანი. მის ბიჭთან ვინეჯი და ამის გამო ვძულდი. შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ მოხდა, და ისე გამოვიდა, რომ დავმეგობრდით. სიგიჟეა, არა? – ცარიელ ჭიქას იყუდებს, იქნებ, უკანასკნელი წვეთიც დასცინცლოს, შემდეგ განზე სწევს, – ამით იმის თქმა მინდა, რომ დამპალ სამყაროში ვცხოვრობთ და ბევრი დამპლობაც ხდება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აუცილებლად ამ ნალპობში უნდა ვიბანაოთ. თექვსმეტი წლის ვიყავი, რ... ჩემმა ნარკომანმა მშობლებმა ზომბებით სავსე ჯურღმულში მხოლოდ იმიტომ მიმაგდეს, რომ ჩემი გამოკვების თავი არ ჰქონდათ. წლების განმავლობაში მარტო

დავხეებოდი, სანამ ქალაქ-სტადიონს არ მოვადექი. საკმარისი თითები არ მაქვს იმის ჩამოსათვლელად, რამდენჯერ გადავრჩინამდილ სიკვდილს. [P]  
[SEP]

მარცხენა ხელს სწევს და ნახევრად ნაცლილ არათითს ისე მიტრიალებს, თითქოს პატარძალია და ბრილიანტის ბეჭდის ჩვენება უნდა. [P]  
[SEP]

– ჰო, რას ვამბობდი... რას და, როცა ამხელა სიმძიმის თრევა გინევს, წვრილმანები უნდა დაიკიდო და ცხოვრებას უფრო მსუბუქად უნდა შეხედო, თორემ ჩაიძირები. [P]  
[SEP]

თვლებში ვუყურებ, მაგრამ ვერ ვხვდები, რას გულისხმობს. უვიცი ვარ. [P]  
[SEP]

– მსუბუქად რომ შეხედო... რას ხედავ... ჩემ მიერ... პერის მოკვლაში? [P]  
[SEP]

– კარგი, რა, რ, – ხუმრობით მისილაქებს, – შენ ზომბი ხარ, დასნებოვნებული. ყოველ შემთხვევაში, მაშინ დასნებოვნებული იყავი, როცა პერი მოკალი. შეიძლება, ახლა შეიცვალე – იმედია, მართლა ასეა, – მაგრამ მაშინ არც კი იცოდი, რომ არჩევანის საშუალება გქონდა. შენს საქციელს ვერც დანაშაულს ვუნოდებ და ვერც მკვლელობას. რაღაც უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი ახსნა მოეძებნება, – თითს საფეთქელზე იკაკუნებს, – ჭულის და მე ეს გვესმის. ძენ-ბუდიზმში ერთი ასეთი გამოთქმაა: „ნურც შეაქებ, ნურც განიკითხავ. დაე, ფონს მათ გარეშე გახვიდე“. ჩვენ ის კი არ გვინდა, დანაშაულის სიმძიმე ადამიანის მდგომარეობას დავაკისროთ, ხალხის

განკურნებაზე ვფიქრობთ. [P]  
[SEP]

საპირფარეშოდან ჭული გამოდის და სასმელს გვიდგამს; ძლივსშესამჩნევი ღიმილი დასთამაშებს. [P]  
[SEP]

– ხანდახან გრეიპფრუტის წვენითაც შეიძლება გამხიარულდე. [P]  
[SEP]

ნორა საცდელად ერთ ყლუპს აგემოვნებს და პირს არიდებს, სახეზე ხელს იფარებს. [P]  
[SEP]

– ღმერთო! – ამბობს ხველებ-ხველებით, – რამდენი გიქნია... [P]  
[SEP]

– ერთი-ორი მომცრო ბოთლი არაფი ჩავაცალე, – ჩურჩულებს ჭული გოგოური უმანკოებით, – ჩვენი მეგობარი არჩისა და მისი თვითმფრინავის ძღვენი. [P]  
[SEP]

– მაგარია, არჩი. [P]  
[SEP]

თავს ვაქნევ. [P]  
[SEP]

– თუ შეიძლება... ნუ მეძახით... [P]  
[SEP]

– კარგი, კარგი, – მპასუხობს ჭული, – არჩის აღარ დაგიძახებთ, მაგრამ ახლა რისი სადღეგრძელო დავლიოთ? დასალევი შენი მოტანილია, რ, შემოგვთავაზე რამე. [P]  
[SEP]

ჭიქას ვწევ, ვცნოსავ, თავს ვირწმუნებ, რომ აღსრულებული და მოსალოდნელი სიკვდილის გარდა კიდევ შემიძლია რამის სუნის აღქმა, რომ ჭერ კიდევ ადამიანი ვარ, ერთი მთლიანი, დაუნანევრებელი არსება. ნესტოებით ციტრუსის არომატს ვგრძნობ – ასეთი სუნი დგას ხოლმე ბაფხულობით ფლორიდის უხვ ბაღებში. ენის წვერზე ის სადღეგრძელო მადგება, რომელიც უკვე მილიონჯერ გაუცვეთიათ, მაგრამ ვიკიდებ. [P]  
[SEP]

– სიცოცხლეს... გაუმარტოს. [P]  
[SEP]

ნორა სიცილს იკავებს. [P]  
[SEP]

– რაო? [P]  
[SEP]

ჯული მხრებს იჩეჩს. [P]  
[SEP]

– ძველია, მაგრამ მერე რა?! – ჭიქას სწევს და მიჭახუნებს, – სიცოცხლეს გაუმარტოს, მისტერ ზომბი. [P]  
[SEP]

– ლ'ცჰაიმ, – ნორა იყუდება და ბოლომდე ცლის. ჯულიც ბაძავს. [P]  
[SEP]

რალა დამრჩენია – მეც ბოლომდე ვისხამ. [P]  
[SEP]

არაყი ტვინში ტყვიასავით მირტყამს. პლაცებოს ეფექტი ნამდვილად არაა. ძლიერი სასმელია და მეც ვგრძნობ. ვგრძნობ. ნუთუ ეს შესაძლებელია? [P]  
[SEP]

ჯული კიდევ ერთხელ უკვეთავს გრეიპფრუტს და თვალის დახამხამებაში მათგან გრეიპჰუნდებს ამზადებს. არაყი არ ენანება. რადგან აქ ალკოჰოლური სასმელები აკრძალულია, მგონია, რომ გოგოები ჩემსავით მალე დათვრებიან, მაგრამ შემდეგ ვხვდები, სტადიონის გარეთ გასეირნებისას ლიქიორის მაღაზიაში შევლა ამათთვის ჩვეული ამბავია. სანამ მე მეორე ჭიქას ვცლი და სხეულში დატრიალებულ თავბრუდამხვევ შეგრძნებებს ვაყურადებ, ისინი უკვე შემდეგ ჭიქაზე გადადიან. ბარის ხმაური ჩემთვის წყდება, მხოლოდ ჯულის ვუყურებ – ჩემი დაბურული სამყაროს ერთადერთ ნათელ წერტილს. ის იცინის. თავისუფლად, დაუნანებლად მჩუქნის თავის სიცილს, რომლის მსგავსიც უნინ არასოდეს მომისმენია. თავს უკან სწევს, ყელს აჩენს და იცინის. ის და ნორა რომელიღაც საერთო ამბავს



იხსენებენ. ჩემკენ ტრიალდება და რაღაცას ამბობს, მათ ხუმრობებში მონაწილეობის მისაღებად მეპატიჟება, თეთრ კბილებს აელვარებს, მაგრამ მე ვერაფერს ვპასუხობ. მხოლოდ ვუყურებ, იდაყვი დახლზე ჩამომიყრდნია, ნიკაპი – ხელზე, და ვიღიმი. [SEP]

ნუთუ ასეთია ბედნიერება? [SEP]

სასმისს ვცლი თუ არა, მუცლის ქვედა ნაწილში რაღაც მანუხებს. ვხვდები, რომ მეფსია. რადგან მკვდრები არ სვამენ, შარდის გამოყოფა მათთვის ძალიან უჩვეულო მოვლენაა. იმედია, გავიხსენებ, როგორ უნდა მოვფსა. [SEP]

ტუალეტისკენ მივლასლასებ და პისუართან დგომისას შუბლით კედელს ვყრდნობი. შარვალს ვიხსნი და ქვემოთ ვიხედები. აი, ისიც: სიცოცხლის, სიკვდილისა და პირველ-პაემანზე-მანქანის-უკანა-სავარძელზე-ჟიმაობის მითიური იარაღი. მოფომფლოვებული ჰკიდია. ახლა ის უსარგებლოა. უსიტყვოდ მკიცხავს იმის გამო, რომ წლების განმავლობაში დანიშნულებისამებრ არ ვიყენებდი. ჩემს ცოლსა და მის ახალ საყვარელზე ვფიქრობ, რომლებიც ისე ეხახუნებოდნენ ერთმანეთის ცივ სხეულებს, როგორც შესაფუთ მანქანაზე მოკონწიალე თავმოჭრილი ქათმები. ჩემი ძველი ცხოვრების ყველა უსახელო გატაცებას ვიხსენებ; ალბათ, ისინი ან მკვდრებად იქცნენ, ან ცოცხალ მკვდრებად. შემდეგ მახსენდება უზარმაზარ სანოლზე ჩემ გვერდით მოკუნტული ჭული. მახსენდება, რა სასაცილოდ, სიტუაციის შეუფერებლად გამოიყურებოდა მისი ტრუსი; მახსოვს მისი სუნთქვა, სანამ მე სახის ნაკვთებს ვუთვალაიერებდი და მიკვირდა, რა

საიდუმლოს მალავდნენ მისი უჭრედების მანათობელი ბირთვები. [P]  
[SEP]

მძღნერისა და ფსლის სუნით აყროლებულ ტუალეტში ვფიქრობ, ძალიან ღრმად ხომ არ მივტოპავ? ნუთუ შევძლებ, რომ კბილებდაფჩენილ, ხარბ ზეცას კიდევ ერთი შესაძლებლობა გამოვტყუო? ახალი წარსული, ახალი მოგონებები, სიყვარულის პირველი შეხება მჭირდება. ცხოვრების დანყება როგორმე თავიდან უნდა მოვახერხო. [P]  
[SEP]

ტუალეტიდან გამოსვლისას იატაკი ფეხქვეშ მეცლება. ხმები ყრუ დუდუნად გარდაიქმნებიან. ჭული და ნორა გაცხოველებულ საუბარში ჩაბმულან, ახლო-ახლო სხედან და იცინიან. კაცი, რომელსაც ეტყობა, რომ ცოტა ხნის წინ გადააბიჭა ოცდაათს, ბართან მიდის და ჭულის მისამართით რაღაც უხამსობას იძახის. ნორა უყურებს, დამცინავად პასუხობს, ჭული კი იგერიებს. კაცი მხრებს იჩეჩს და ბილიარდის მაგიდასთან ბრუნდება, სადაც მეგობარი უცდის. ჭული რაღაც შეურაცხმყოფელს მიაძახებს, რაზეც ის მეორე იცინის, მაგრამ ეს კაცი ცივად იღრიჭება და პასუხს უბრუნებს. ერთი წამით ჭული თითქოს შეშდება, შემდეგ ის და ნორა ზურგს აქცევენ ბილიარდის მაგიდას და ნორა ჩურჩულზე გადადის. [P]  
[SEP]

– რამე... მოხდა? – ვკითხულობ მათთან მიახლოებისას. ვგრძნობ, რომ ბილიარდის მაგიდასთან მდგომი ორივე ტიპი მე მიყურებს. [P]  
[SEP]

– არა, არაფერი, – მპასუხობს ჭული, მაგრამ ხმა უთრთის, – ყველაფერი რიგზეა. [P]  
[SEP]

– რ, ერთი ნუთით ვერ დაგვტოვებ? – ამბობს ნორა. [P]  
[SEP]

ვდგავარ და ხან ერთს ვუყურებ, ხან – მეორეს. მელოდებიან. ვტრიალდები და მოშორებით გავდივარ. ერთბაშად უამრავ რამეს ვგრძნობ. ეზოსკენ მივემართები და ბარიერს ვეჩეხები. შვიდი სართულის სიმაღლიდან ქუჩებს გადავცქერი და თავბრუ მეხვევა. შენობათა უმრავლესობაში შუქი არ ანთია, მაგრამ ქუჩისლამპიონები კრთიან და ციმციმებენ. ჯულის ხმის ჩამწერი ჭიბეს სულ ოდნავ მიმძიმებს. ვიღებ და ვაკვირდები. ვიცი, ასე მოქცევა კარგი არ არის, მაგრამ... უბრალოდ, მჭირდება – თვალებს ვხუჭავ, ცალი მხრით ბარიერს ვეყრდნობი, ჩანანერს ცოტა უკან ვახვევ და ჩართვის ღილაკს ვანწვები.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ...ვითომ მართლა ძალიან სიგიჟეა? მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის... რაც არის? იმის თქმა მინდა, რომ „ზომბი“ ჩვენ მიერ გამოგონილი უაზრო სიტყვაა...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ხელმეორედ ვახვევ. ასე მგონია, ახლახან მოსმენილ მცირე ნაწყვეტში მთელი ჩემი შეგნებული არსებობაა მოქცეული; მთელი ის დრო, რაც ჯულის ვიცნობ. ლენტის ხანმოკლე შიშინი ჩემი ცხოვრების ყოველ ნამს იტევს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯერ გადახვევის შეწყვეტის ღილაკს ვაჭერ, შემდეგ – ჩართვისას.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ...ჰგონია, რომ ვერავინ ამჩნევს, მაგრამ სინამდვილეში ყველამ ყველაფერი იცის, უბრალოდ, ეშინიათ და ხელსაც არ ანძრევენ. მისი მდგომარეობა კი უფრო მძიმდება. ნუხელ მითხრა, მიყვარხარო, მართლა ასე მითხრა. დაამატა, ძალიან ლამაზი ხარ და რაც დედაშენში მომწონდა, ყველაფერი მემკვიდრეობით გადმოგეცაო.

იფიცებოდა, რამე რომ დაგემართოს, გავგიჟდებიო. დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვებს გულწრფელად ამბობდა; ვიცი, რომ შინაგანად მართლა ასე გრძნობს... მაგრამ ამის სათქმელად ღორივით გამოთრობა რომ დასჭირდა... ფუ, კინალამ გული ამერია. იმ მომენტში დასანახად ვერ ვიტანდი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

აქ ჩანანერი ცოტა ხნით წყდება. მხარუკუდმა ვიხედები, ბარში შესასვლელ კარს ვუყურებ; თან მრცხვენია, თან უიმედობა მერევა. ვიცი, რომ ნდობა ადამიანებს შორის ნელ-ნელა ისადგურებს, მის მოსაპოვებლად რამდენიმეთვიანი მჭიდრო ურთიერთობაა საჭირო, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებ. მინდა, რომ მის ხმას ვუსმინო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მის დასმენაზეც მიფიქრია, – გრძელდება ჩანანერი, – შევვარდებოდი საზოგადოებრივ ცენტრში და როსის ვუბრძანებდი, დააპატიმრე-მეთქი. საერთოდ, სმის სანინაალმდეგო არაფერი მაქვს, პირიქით, მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ მამაჩემის შემთხვევაში... საქმე ცოტა სხვაგვარადაა. ეს მისთვის რამის აღნიშვნა ან დღესასწაული კი არა, შიშისა და ტკივილისმომგვრელი პროცესია – თითქოს შუა საუკუნეების რომელიღაც სისხლიანი ოპერაციისათვის თავს იყუჩებს. პო... ვიცი, რატომაც სჭირს ასე. იმავე მიზეზის გამო მე უარესებიც ჩამიდენია, მაგრამ... მამაჩემი...<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ხმა თრთის და წყდება. თითქოს თავის თავს საყვედურობს:<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ღმერთო, – ჩურჩულებს მიკროფონისგან მოშორებით, – ფუ, ამის...<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

რამდენიმე წამის განმავლობაში მხოლოდ მხრიალი ისმის.



ყურადღებით ვუსმენ. უეცრად, კარი იღება და სასწრაფოდ ვტრიალდები. ჩამწერი სადღაც სიბნელეში ვცემა. ჭული არაა. ის ორი ტიპი გამოდის, ბილიარდის მაგიდასთან რომ იდგნენ. კარში ჩერდებიან, ერთმანეთს ეჭიკავენებიან; სიგარეტის მოკიდებისას სინათლე ვცემათ და ვხედავ, როგორ ეღრიცებათ ტუჩები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰეი, – ის კაცი მეძახის, ჭულის რომ ელაპარაკებოდა, და ორივენი ჩემკენ მოდიან. მაღალი ტიპია, მომხიბლავი, დაკუნთული მკლავები უამრავი ტატუთი აუჭრელებია: გველებით, ჩონჩხებით და აღარარსებული როკ-ჯგუფების სიმბოლოებით, – გაუმარტოს, ძმა. შენ ის არ ხარ, ნორას ახალი კაცი?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯერ ვყოყმანობ, შემდეგ მხრებს ვიჩეჩავ. ორივენი ისე იცინიან, თითქოს რამე უხამსი ხუმრობა დამებრეხებინოს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰო, აბა რა?! იმას რას გაუგებ, არა?! – თავის მეგობარს მკერდში უქიმიუნჯებს, თან ირგვლივ მივლიან, – ანუ, ჭულისაც იცნობ? ჭულის მეგობარი ხარ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

თავს ვუქნევ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– დიდი ხანია, იცნობ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ისევ მხრებს ვიჩეჩავ, თან ვგრძნობ, როგორ ვიძაბები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩემგან რამდენიმე ფუტის მოშორებით ჩერდება, კედელს ეყრდნობა და სიგარეტს აუჩქარებლად ექაჩება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ეგეც მაგარი თავანყვეტილი იყო. რამდენიმე წლის წინ სროლაში ვავარჯიშებდი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ამათ უნდა გავეცალო. ახლავე უნდა შევტრიალდე და წავიდე.<sup>[P]  
[SEP]</sup>



– ლაწირაკ კელვინთან შეხვედრისას უმანკო კრავი იყო, მაგრამ დაახლოებით ერთ წელიწადში, უუუჰ, მაგარი გოგო დადგა, – ამოხვნეშისას კვამლის ისარს პირდაპირ გამომშრალ თვალში მასობს, – იმ დროს ასი ბაქსით სიგარეტის შეკვრასაც ველარ იყიდდი, მაგრამ ამ ძუკნასთან კარგა ხანს მეყო.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ვურტყამ და თავს კედელზე ვახეთქებინებ. მარტივი ილეთია – სახეში ხელისგულთ ვუბიძგებ, ბირთვის მკვრელივით ვმლი მკლავს და ეგაა, კეფით კედელს ერჭობა. არ ვიცი, შეიძლება მოვკალი კიდეც – მკიდია. ამის ძმაკაცი ჩემს ჩაბლუჭვას ცდილობს, მაგრამ მასაც იგივე მოძრაობით ვუმასპინძლდები. „ხეხილის ბალის“ ალუმინაკრულ კედელს ბრძოლის კვალი, ორი ღრმული რჩება. ის უიღბლოები მოწყვეტით ეცემიან. ბარბაცით ჩავდივარ კიბეზე და საცალფეხო ბოგურაზე გადავდივარ. ვიღაც მოზარდები ირგვლივ გაბმულ ტროსებზე გადაკიდებულან, ჭოინთებს აფუილებენ და მათ გვერდით ჩავლისას თვალს მაყოლებენ. ვცდილობ, „უკაცრავად“ ვთქვა, მაგრამ საჭირო მარცვლებს ვერ ვპოულობ. ოთხსართულიანი შენობის კიბეებზე ვეშვები და ფერიის, წკრიალას თუ რაც ჰქვია, ქუჩაზე გამოვდივარ. მხოლოდ ის მინდა, თუნდაც ერთი წამით გავეცალო ამ ხალხს, აზრებს თავი მოვუყარო. მშია, ღმერთო, კბილები მიკანკანებს.

<sup>[P]</sup>  
<sup>[SEP]</sup>

რამდენიმე წუთი უმიზნოდ ვხეტილობ. ვიკარგები, გზას ველარ ვიგნებ. წვიმაცრის, მე კი რომელიღაც ვინრო შუკაში ვარ მარტო. სველი, მუქი ასფალტი ზემოდან გადმოხრილი მოკიაფე ლამპიონების

სინათლეს ირეკლავს. ჩემ წინ ორი მცველი მოჩანს: ერთ-ერთი კონუსური განათების ქვეშ შეყუყულან და უშვერი ლაპარაკით ცდილობენ, თავიანთი ბავშვური შიში მამაკაცური, უხეში სიტყვების მიღმა მიჩქმალონ. [P]  
[SEP]

– ...მთელი გასული კვირა მეორე დერეფანში ბეტონს ვასხამდით. გოლდმანის გუმბათისგან მიღზე ნაკლები გვაშორებს, მაგრამ საქმის გამკეთებელი თითქმის აღარავინ დარჩა იმიტომ, რომ გრიჭო მშენებლობიდან ხალხს ხსნის და უსაფრთხოების სამსახურში ტენის. [P]  
[SEP]

– გოლდმანის მხარეს რა ხდება? დერეფნის მეორე ბოლოს რას უპირებენ? [P]  
[SEP]

– მაგათ სულმთლად დაენძრათ. კარიბჭიდან ცხვირს ძლივს ყოფენ. ყური მოვკარი, რომ გრიჭოს ცუდი დიპლომატიის ნყალობით გაერთიანების საკითხი ცუდ დღეშია. იმის გათვალისწინებით, რაც პირველ დერეფანს დამართა, უკვე ეჭვი მეპარება, საერთოდ უნდა გაერთიანება თუ არა. სულ არ გამიკვირდება, თუ გაირკვევა, რომ დერეფნის კედლების ჩამონგრევა მაგის გაჩალიჩებულია. [P]  
[SEP]

– შენც ხო იცი, რო უაზრო ჭორებია. გეყოფა, ნუ ავრცელებ მაინც. [P]  
[SEP]

– ჰო, კარგი, თუმცა აშკარაა, რომ კელვინის დაბრედის მერე მშენებლობის საქმე სულ უფრო და უფრო ღრმად მიდის ტრაკისკენ – რალაცებს ვჩიჩქნით და მერე ისევ ბეტონით ვავსებთ. [P]  
[SEP]

– მე მაინც ის მირჩევნია, მშენებლობაზე რამე ვაკეთო, ვიდრე აქ ვიდგე და მთელი ღამე პოლიციელობანა ვითამაშო. რაც აქ ხარ, ვინმესთვის სროლა მოგინია? [P]  
[SEP]

– ერთი-ორჯერ ტყიდან გამოხეტილებულ გვამს მივართვი. ბახ-ბუხ, და სულ ეგ იყო. მორჩა თამაში. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჩონჩხები არ გამოჩენილან? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ერთი წელი მაინცაა, რაც არ მინახავს. თავიანთ ბუნაგებში არიან ჩაკეტილები. მაგრა სირულად ვატარებთ დღეებს... <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შენ რა, გირჩევნია, იმათ სდიო? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აბა, რა. დონდლო გვამების ხოცვას რა მულამი აქვს. იმ მორბენალი ნაბობრების დევნა კიდევ ერთი სიამოვნებაა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მეკაიფები? მაგათზე როგორ უნდა გაერთო? ტიპები ბუნების შეცდომები არიან. ტყვიითაც კი არ შევეხებოდდი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მაგიტო არტყამ ასიდან მარტო ერთს? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ადამიანის ნიშანწყალიც აღარ ეტყობათ. უცხოპლანეტელებს ან რამე ვგეთებს ჰგვანან. მაგათ დანახვაზე ვიფსამ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ქვეშაფსია ხარ და აბა რას იბამ? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გააჭვი რა. ნავალ, მივაჩხრიალებ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მცველი სიბნელეს ერევა. მისი მენწყვილე ისევ ლამპიონის ქვეშ დგას. რადგან წვიმა ძლიერდება, სანვიმარში უფრო გულდასმით ეხვევა. მე გზას ვაგრძელებ, ეს ტიპები არ მაინტერესებს. ვცდილობ, წყნარი კუთხე ვიპოვო, სადაც გაჩერდები, თვალებს დავხუჭავ და აბრებს თავს მოვუყრი. მაგრამ სინათლეს ვუახლოვდები თუ არა, მცველი მამჩნევს. მგონი, შარში გავები. მთვრალი ვარ. გამართული სიარულის ნაცვლად ვბარბაცებ. თავი მკერდზე ჩამომვარდნია და ბორძიკისას აქეთ-იქით ქანქარებს. ზუსტად ისე გამოვიყურები,

როგორც... ის არსება, რომელიც სინამდვილეში, ვარ კიდევ. [P]  
[SEP]

– სდექ! – ყვირის მცველი. [P]  
[SEP]

ვჩერდები. [P]  
[SEP]

ჩემკენ იხრება, სულ ოდნავ. [P]  
[SEP]

– თუ შეიძლება, სინათლეზე დამენახეთ, სერ. [P]  
[SEP]

თხოვნას ვუსრულებ. ლამპიონისაგან გამოფრქვეული მოყვითალო შუქისაგან მოხაზული წრის კიდეში ვდგავარ. ვცდილობ, ტანი გამართულად შევიკავო და არ გავინძრე. შემდეგ კიდევ ერთ რამეს ვხვდები: წვიმა თმას მიღბობს და სახეზე ჩამომნურნურებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელ ჩემს გრიმს სპობს და მის ქვეშ დამალულ რუხ, ფერმკრთალ ხორცს აშიშვლებს. უნებურად უკან ვიხევ, სინათლის რგოლიდან გავდივარ. [P]  
[SEP]

დარაჯი ჩემგან დაახლოებით ხუთი ფუტის მოშორებით დგას. იარაღი ჩაუბლუჯავს. მიახლოვდება და გამჭოლ მზერას მაპყრობს. [P]  
[SEP]

– ამ საღამოს ალკოჰოლი ხომ არ მიგიღათ, სერ? [P]  
[SEP]

პირს ვაფჩენ იმის სათქმელად, რომ „არა, სერ, როგორ გეკადრებათ. მხოლოდ ერთ-ორ ჭიქა გემრიელ და ჭანმრთელობისათვის სასარგებლო გრეიპფრუტის წვენს გვახელით ჩემს გულითად მეგობართან, ჯული კაბერნესთან ერთად“, მაგრამ სიტყვები ზურგს მაქცევენ; ენა გამსივებია და უმოქმედოდ ხმება პირში, რის გამოც ვღმუი: [P]  
[SEP]

– მმმმუუუუუუჰნ... [P]  
[SEP]

– ეს რა ყ... – მცველს თვალები უფართოვდება, ფანარს აძრობს და



განაცრისფრებულ სახეზე მანათებს. სხვა გზა აღარ მაქვს, სიბნელიდან ვხტები და პირდაპირ ვესხმი, იარაღს ვტაცებ და ყელში ვკბენ. მისი სასიცოცხლო ძალა ჩემს დამშეულ სხეულსა და ტვინში გადმოდის, მისავათებულ, სისხლმონყურებულ ჟინს მიკლავს. მის ხორცს ვფლეთ, მხრის კუნთსა და ნაზ ქსოვილებს ვუღრღნი, თუმცაღა მათში ჯერ კიდევ სისხლი ფეთქავს, და მოულოდნელად... ვჩერდები. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

საძინებელის კართან ჯული დგას და მაცდურად მიღიმის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თვალებს ვხუჭავ და კბილებს ვაკრაჭუნებ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სხეულს მინაზე ვაგდებ და ვშორდები. ჩემს უცოდინრობას ვედარაფერს დავაბრალებ. ახლა უკვე ვიცი, რომ არჩევანის საშუალება მაქვს, და რაღაც არ უნდა დამიჭდეს, ცვლილებას ვირჩევ. თუ მკვდრების ხის მსხმოიარე ტოტი ვარ, გავხმები. თუ მეცოდინება, რომ ამ ხის ღრმადგადგმული ფესვების გასახმობად ჩემი შიმშილობა აუცილებელი, ასეც ვიზამ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მუცლის შიგნიდან ნაყოფის ნიხლს ვგრძნობ. პერის ნაზი, მტკიცე ხმა ჩამესმის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

შიმშილობა არ მოგიწევს, რ. ჩემი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში უამრავ რამეს მხოლოდ იმიტომ ვაკეთებდი, რომ მეგონა, საჭირო იყო; მაგრამ მამაჩემი მართაღს ამბობდა: ცხოვრებას ვერავინ დაგიგეგმავს. ყველაფერი ჩვენზე, ჩვენს ერთობლივ გონზეა დამოკიდებული. მართლაც რომ არსებობდეს რაიმე გეგმა, სწორედ ჩვენ ვქმნით მას, და როცა მოგვინდება, შეცვლაც შეგვიძლია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>



პირში შერჩენილ ხორცის ნაჭერს ვაფურთხებ. სახიდან სისხლს ვინმენდ. პერი ნანლავებს მინურავს; ვარწყევ. წინ ვიხრები და ყველაფერს უკან ვიღებ: ხორცსაც, სისხლსაც და არაყსაც. როგორც კი ვიმართები და პირს ვიმშრალებ, უკვე ფხიზლად ვარ. გაბრუებამ გაიარა. გონება ახალთახალი, დაუჩხაპნელი მუსიკალური ფირფიტასავით მენმინდება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მცველის სხეული იკრუნჩხება. მხრებს ისე სწევს, თითქოს ვიღაცის უხილავი თითები ექაჩება. უნდა მოვკლა. ვიცი, რომ საჭიროა, მაგრამ არ შემძლია. სულ ახლახან ისეთი ფიცი დავდე, იმის წარმოდგენაც კი, რომ ამ კაცს ბოლო უნდა მოვულო, დავკბინო და ხელმეორედ გავსინჯო მისი სისხლი, შიშისგან მახევებს. კანკალებს და ბუყბუყით აფჩენს პირს, ისე ხავის, თითქოს იხრჩობა. ფრჩხილებით ტალახს ებლაუჭება; მის გადმოკარკლულ და გამოცარიელებულ თვალებს თანდათან ახლებური სიკვდილის მუქი ლაქა ერევა. პირიდან სისხლისგამყინავი, სველი ღრენა წყდება. ეს უკვე მეტისმეტია. ვტრიალდები და გავრბივარ. მიუხედავად იმის, რომ სულ რამდენიმე წამის წინ სასწაულებრივი სიმამაცის მოხმობა დამჭირდა, მაინც ლაჩრად ვრჩები.<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

თავსხმაა. ფეხებს ქუჩაში დამდგარ გუბეებში ვატყაპუნებ და ტალახის წვეთები ახალგარეცხილ სამოსზე მეშხეფება. თმა სახეზე წყალმცენარესავით მიმტყეპებია. ალუმინის დიდ შენობასთან ვჩერდები, რომლის სახურავზე ფანერის ჭვარია აღმართული.

გუბესთან ვიმუხლები და სახეზე წყალს ვისხამ. პირს სახურავებიდან ჩამონარეცხი ნაკადით ვივსებ და უკან ვაფურთხებ. ამ ქმედებას იქამდე ვიმეორებ, ვიდრე ყველანაირ გემოს არ ვიქრობ. ხისგან დამზადებული ეს წმინდა ასო ტ გემოთ ბუნდოვნად მოჩანს და ვინტერესდები, შეუძლია თუ არა ღმერთს, როგორც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა იყოს, ოდესმე მიმიღოს. [P SEP]

პერი, უკვე შეხვდი მას? ცოცხალია და კარგადაა? მითხარი, რომ უბრალოდ ცაში შესასვლელი პირი არაა. მითხარი, რომ გემოდან კიდევ რაღაც დაგვცქერის ცარიელი ცისფერი თავის ქალის გარდა. [P SEP]

პერი არ მპასუხობს. მის სიჩუმეს ვეგუები. ფეხზე ვდგები და სირბილს ვაგრძელებ. [P SEP]

ჯულის სახლთან ვბრუნდები ისე, რომ გზად ვცდილობ, ქუჩის განათებებს თავი ავარიდო. სახლის კედლის ძირში ვიბუზები, აივნის ქვეშ თავშესაფარს ვპოულობ და იქ ვიცდი, სანამ სახლის მეტალის სახურავზე წვიმა ბრაგუნობს. ალბათ, ერთი საათი გადის, როცა შორიდან გოგოების ხმა მესმის, მაგრამ ამჯერად მათი რიტმების მოსმენა სულაც არ მახარებს. ცეკვა სამგლოვიაროა, მუსიკა – მინორული. [P SEP]

წინა კარისკენ გარბიან. ნორას თავისი ჭინსის ქურთუკი თავზე გადაუფარებია, ჯულის კი კაპიუშონი წამოუხურავს. ნორა პირველი აღებს კარს და შიგნით შერბის. ჯული ჩერდება. არ ვიცი, სიბნელებაში მხედავს თუ უხვად ნასხურები სპრეის სიმყრალის სუნი მისდის, მაგრამ რაღაც ძალა აიძულებს, შენობის კუთხის მიღმა გამოიხედოს.

სიბნელეში დაკარგული ლევკივით აბუზულს მხედავს. ნელა მიახლოვდება, ხელები ჭიბეებში აქვს ჩატენილი. იკუბება და თავისი კაპიუშონის ვინრო ღიობიდან შემომცქერის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კარგად ხარ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვითყუები და თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

მინის პატარა, მშრალ ნაწილზე ჩემ გვერდით ჯდება და ბურგით სახლს ეყრდნობა. კაპიუშონს იძრობს და მის ქვეშ შალის ქუდსაც იხდის, თვალებიდან სველ თმას იშორებს და შემდეგ ისევ იხურავს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შემაშინე. ისე უცებ გაქრი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

საცოდავად შევცქერი, მაგრამ არაფერს ვამბობ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– არ გინდა მითხრა, რა მოხდა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავს უარის ნიშნად ვიქნევ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შენ, აამ... შენ გათიშე ტიმი და მეთი?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

თავს ვუქნევ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სახეზე დარცხვენილი კმაყოფილების ღიმილი უკრთება, თითქოს ეს- ესაა ვარდების უზარმაზარი თაიგული მივართვი და სასიყვარულო სიმღერა დავუნერე.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ძალიან... სახალისო იყო, – ამბობს და ხითხითს იკავებს. წუთი გადის. მუხლზე მეხება, – დღეს კარგად გავერთეთ, არა? რამდენიმე უსიამოვნო მომენტს თუ არ ჩავთვლით.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გალიმებას ვერ ვახერხებ, მაგრამ თავის დაქნევით ვეთანხმები.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ცოტა შეგარხომებული ვარ. შენ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

უარი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ძალიან ცუდი. ასწორებს, – ღიმილი სულ უფრო უმკვეთრდება, თვალებით კი სადღაც შორს იყურება, – იცი, რომ პირველად რვა წლისამ დავლიე? – ბგერებს ოდნავ ყლაპავს, – მამაჩემი ღვინის დიდი მოყვარული იყო და ის და დედაჩემი საომარ კამპანიებს შორის პერიოდებში ღვინის წვეულებებს მართავდნენ. თავიანთ ყველა მეგობარს კრებდნენ, რომელიმე იშვიათ საკოლექციო ღვინოს ხსნიდნენ და სვამდნენ. მეც იქ ვიყავი, დივანზე ვიჯექი, ჩემთვის ნებადართულ ნახევარ ჭიქას ვწრუპავდი და ვიციხოდი სულელდიდებზე, რომლებიც დაღევის მერე კიდევ უფრო სულელდებოდნენ. როსი მაგრად აწითლდებოდა ხოლმე. ერთი ჭიქის მერე უკვე სანტა კლაუსს ჰგავდა. ის და მამა ერთხელ პატარა მაგიდაზე ხელის გადანევაში შეეჭიბრნენ და სანათი გატეხეს. ძაან... მაგარი იყო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

თითო მინაში რაღაცის ხაზვას იწყებს. ნაღვლიანი ღიმილი აქვს, რომელიც კონკრეტულად არავისკენ და არაფრისკენ არის მიმართული.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– იცი, ყველაფერი ყოველთვის ასე მკაცრი არ იყო. მამასაც ჰქონდა თავისი კარგი პერიოდები და მსოფლიოს დაცემის შემდეგაც კი ვახერხებდით ხოლმე მხიარულებას. პატარა ოჯახურ საშემგროვებლო ექსპედიციებს ვაწყობდით და ვერც კი წარმოიდგენ, ისეთ გიჟურ ღვინოებს ვპოულობდით. '97 დომ ლომანé-ჩონტი-ს ათასდოლარიანი ბოთლები მიტოვებული მარნების იატაკზე თავისუფლად დაგორავდნენ, – თავისთვის ხითხითებს, – მამა მათ დანახვამდე



სიხარულით ლამის ყვირილს იწყებდა ხოლმე. მაგრამ როცა აქ  
გადმოვედით, ის თითქოს... დამუნჯდა. მაგრამ ეჰ, ადრე რას არ  
ვსვამდით. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვუყურებ, როგორ ლაპარაკობს. ვხედავ მისი ყბის მოძრაობას და  
გოგოს ტუჩებიდან გადმოდენილ თითოეულ სიტყვას ვაგროვებ. მის ამ  
თბილ მოგონებებს არ ვიმსახურებ. ვისურვებდი, ჩემი სულის ცარიელ  
კედლებზე მათი დახატვა შემეძლოს, მაგრამ ყველაფერი, რასაც  
ვხატავ, თითქოს მალევე იქერცლება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შემდეგ დედა გაიქცა, – ხელს მიწინიდან იღებს და საკუთარ  
ნამუშევარს აკვირდება. სახლი დაუხატავს. პატარა, კოხტა კოტეჯი,  
რომლის საკვამურიდანაც კვამლის ღრუბელი ამოედინება, სახურავზე  
კი მზის კეთილი ღიმილი ეცემა, – მამამ იფიქრა, რომ დედა ამ დროს  
მთვრალი იყო, სწორედ ამას მოჰყვა სასმელების აკრძალვა. მაგრამ  
მე ვნახე და მთვრალი არ ყოფილა. ძალიან ფხიზელი იყო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯერ კიდევ იღიმის, თითქოს ეს ყველაფერი მსუბუქი, ნოსტალგიური  
მოგონებები იყოს, თუმცა ღიმილი ამჯერად უკვე ცივი და უსიცოცხლო  
გამხდარა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– იმ ლამით ჩემს ოთახში შემოვიდა და ცოტა ხნით დამხედა. თავი  
მოვიმძინარე. მერე, ის-ის იყო მოულოდნელად წამოხტომა და მისი  
შეშინება გადავწყვიტე, რომ ოთახიდან გავიდა. ვერაფერი ვუთხარი. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ხელს ქვემოთ ინვდენს და თავისი ნახატი ნაშლას აპირებს, მაგრამ  
მაჯაბე ვეხები. თვალებში ვუყურებ და თავის გაქნევით ვცდილობ  
გადავაფიქრებინო. ცოტა ხანს ჩუმად მიყურებს, შემდეგ მთელი



სხეულით ჩემკენ ტრიალდება და ჩემი სახიდან სულ რამდენიმე ინჩის დაშორებით ჩერდება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რ, რომ გაკოცო, მოვკვდები? – მტკიცე გამოხედვა აქვს. თითქმის ფხიბელია, – შენ მითხარი, რომ არაფერი მომივა, ხომ? არ დავინფიცირდები? იმიტომ რომ მართლა მინდა, გაკოცო, – მოუსვენრად ცმუკავს, – მაგრამ შეიძლება არც ისე ცუდი იყოს, რამე რომ გადმომდო. შენ ხომ ახლა სხვანაირი ხარ, არა? შენ არ ხარ ზომბი, შენ... რაღაც ახალი ხარ, – მისი სახე ჩემთან ძალიან ახლოსაა. ღიმილი სერიოზული გამოხედვით იცვლება, – ხომ ასეა, რ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

თვალეში ვუყურებ, მათ ყინულოვან წყლებში ვფართხალებ იმ მებღვაურივით, რომლის გემიც ჩაიძირა და რომელიც ხელის მოსაჭიდებლად ხის ნამსხვრევებს ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჯული, – ვეუბნები, – რაღაც... უნდა გაჩვენო.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მოკრძალებული ცნობისმოყვარეობით თავს ოდნავ ატრიალებს, რომ კარგად მომისმინოს:<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვდგები, ხელს ვკიდებ და მასთან ერთად სეირნობას ვინყებ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

წყნარი ღამეა, პირველყოფილი წვიმის შიშინს თუ არ ჩავთვლით. მიწა იჟღინთება, ასფალტი სლიპინა ხდება, ჩრდილები კი მანათობელ შავ ლაქებად იქცევა. ვინრო მეორეხარისხოვან ქუჩებსა და გაუნათებელ ხეივნებში მივიკვლევ გზას. ჯული ოდნავ უკან მომყვება და გვერდიდან მიყურებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– სად მივდივართ? – მეკითხება ჯული.<sup>[P]  
[SEP]</sup>

გზაჯვარედინთან ვჩერდები, რომ ჩემი მოპარული მოგონებებიდან რუკები ამოვქეჭო, ვიხსენებ სურათებს, რომლებიც არასდროს მინახავს, ხალხს, რომლებსაც არასდროს შევხვედრივარ. [P] [SEP]

– თითქმის... მივედით. [P] [SEP]

კიდევ რამდენიმე კუთხიდან ჩუმი გახედვა, გზაჯვარედინზე ფეხაკრეფით გადარბენა და უკვე ადგილზე ვართ. ჩვენ წინ მაღალი, წვრილი ხუთსართულიანი შენობა მოჩანს, რომელიც დანარჩენი ქალაქის ჩონჩხივით ნაცრისფერია და ფანჯრები ფრთხილი თვალებივით ყვითლად უციმციმებს. [P] [SEP]

– რ, რა ჯანდაბას აკეთებ, – ჩურჩულებს ჯული და შენობას აჰყურებს, – ეს ხომ... [P] [SEP]

წინა კარისკენ ვექაჩები. სახურავის შვერილის ქვეშ წვიმას ვვმალებით, წვეთები იქაურობას სამხედრო დოლივით ახმიანებენ. [P] [SEP]

– შეიძლება... შენი ქუდი ვითხოვო? – ვეკითხები ისე, რომ სახეში არ ვუყურებ. [P] [SEP]

მცირე ხანს საერთოდ არ ინძრევა, შემდეგ ქუდს იხდის და მიწვდის. წაგრძელებული ფორმისაა, მუქი ლურჯი შალი ნითელი ბოლებით... [P] [SEP]

ჯული ჩვიდმეტი წლის რომ გახდა, მისის როსომ მოუქსოვა. პერის აზრით, გოგო ამ ქუდში ელფს ჰგავდა და როდესაც ჯულის ის ეხურა, ბიჭი ტოლკინის ენებზე ესაუბრებოდა ხოლმე. ჯული მას ყველაზე დიდ წერდს ეძახდა, პერიც ეთანხმებოდა, თან ყელს მხიარულად უკოცნიდა და... [P] [SEP]

ქუდს სახეზე ვიფხატებ და კარზე წელა და მუსიკალურად ვაკაკუნებ.

მზერამორცხვი ბავშვივით მინაზე მაქვს მიწებებული. კარი ჭრიალით იღება და შიგნიდან სპორტულ შარვალში გამონყობილი შუახნის ქალი გამოგვეყურებს. დასიებული სახე ძლიერ დანაოჭებია, ჩანთლებული თვალების ქვეშ კი მუქი პარკები ჰკიდია.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– მის გრიჯო? – უკვირს ქალს.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ჯული მე შემომცქერის.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– გამარჯობა, მისის გრაუ. ისაა...<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– აქ რას აკეთებთ? ნორა შენთანაა? კომენდანტის საათი უკვე დაიწყო.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ვიცი, ჩვენ... ხეხილის ბაღიდან მოვდიოდით და ცოტა დავიკარგეთ. ნორა ამაღამ ჩემთან რჩება, მაგრამ შეიძლება ჩვენ ცოტა ხნით შემოვიდეთ? ბიჭებს უნდა დაველაპარაკო.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

სანამ მისის გრაუ ზერელედ გვათვალისწინებს, თავაუწევლად ვდგავარ. გაბრაბებული ამოხვნეშის შემდეგ კარს ბოლომდე გვიღებს.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ხომ იცით, რომ აქ დარჩენა არ შეგიძლიათ. ეს სახლი-თავშესაფარია და არა ღამის სათევი დანესებულება, ეს თქვენი მეგობარი კი ახალი საცხოვრებლის ძებნისთვის მეტისმეტად დიდია.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ვიცი, მაპატიეთ, მხოლოდ... – ჯული ისევ მე მიყურებს, – მხოლოდ ერთ ნუთს გავჩერდებით.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ფორმალობებს ვეღარ ვუძლებ. ქალს გვერდს ვუვლი და სახლში შევდივარ. საძინებლის კარის უკნიდან ახალფეხადგმული ბავშვი

იჭყიტება; მისის გრაუ თვალებს უბრიალებს: [P]  
[SEP]

– რა გითხარი? – ისეთ ხმაზე უყვირის, რომ ალბათ, სხვა ბავშვებსაც გაელვძიებათ, – ახლავე სანოლში, ჩქარა. [P]  
[SEP]

ბიჭი სიბნელეში უჩინარდება. ჭულის კიბეებისკენ მივუძღვი. [P]  
[SEP]

მეორე სართული პირველის იდენტურია იმ განსხვავებით, რომ აქ ძირს გაშლილ მატრასებზე შედარებით უფროს ბავშვებს სძინავთ. ბევრნი არიან. ახალი სახლი-თავშესაფრები სოკოებივით მრავლდება, რადგან ბავშვების დედები და მამები ნამდაუნუმ უჩინარდებიან – მათ ეპიდემია ყლაპავს და ინელებს. რამდენიმე პატარა სხეულს ვაბიჭებთ და კიბეებისკენ მივმართებით, როდესაც პატარა გოგონა ჭულის კოჭზე სუსტად ეჭიდება და ჩურჩულებს: [P]  
[SEP]

– კოშმარი დამესიზმრა. [P]  
[SEP]

– არა უშავს, პატარა, – დაუყვავა ჭულიმ, – ახლა უსაფრთხოდ ხარ. [P]  
[SEP]

გოგონა თვალებს ისევ ხუჭავს. კიბეზე ავდივართ. მესამე სართულს ჭერ კიდევ სძინავს. თინეიჯერები და მეჩხერწვერიანი თითქმის მოზრდილები დასაკეც სკამებზე სხედან, სამუშაო მაგიდებთან მოხრილან, რვეულებში რაღაცებს წერენ და სხვადასხვა სახელმძღვანელოებს ფურცლავენ. ბავშვების ნაწილი საძინებლებში ორდონიან სანოლებზე ხვრინავს. ყველა კარი ღიაა, ერთის გარდა. [P]  
[SEP]

რამდენიმე შედარებით უფროსი ბიჭი სამუშაოდან თავს გაკვირვებული სწევს: [P]  
[SEP]

– ვაა, ჭული? როგორ ხარ? ხო კარგად უძლებ? [P]  
[SEP]



– სალამი, ბიჭებო. მე... – ხმა უწყდება და მისი მრავალწერტილი საბოლოოდ წერტილად გარდაიქმნება. ჩაკეტილ კარს უყურებს. მე მიყურებს. ხელს ვჭიდებ, გზას ვაგრძელებ, იმ კარს ვაღებ და შიგნით შესვლის შემდეგ ისევ ვკეცავ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ფანჯრიდან შემოსულ ლამპიონების ყვითელ შუქს თუ არ ჩავთვლით, ოთახში ბნელა. ფანერის უჭრებიანი კარადისა და ბენრებგადაცლილი სანოლის გარდა ოთახში არაფერია. ჭერზე ჭულის რამდენიმე სურათია აკრული. დანარჩენ სახლთან შედარებით მძიმე და ცივი ჰაერი დგას. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რ... – მეკითხება ჭული აკანკალებული, საშიში ხმით, – აქ რა ჯანდაბას ვაკეთებთ? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ბოლოს და ბოლოს, მისკენ ვტრიალდები. მოყვითალო სიბნელეში ვდგავართ და სეპიას ტონებში გადაღებული მუნჯი კინოს მსახიობებს ვგავართ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჭული, – ვეუბნები, – ის თეორია... რატომ ვჭამთ... ტვინებს... – ჭული უარის ნიშნად თავს მიქნევს, მაგრამ მე ვაგრძელებ, – სიმართლეა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ცოტა ხანს ჩავცქერი თვალებში, რომლებიც თანდათან უწითლდება, შემდეგ ვიმუხლები და კარადის ქვედა უჭრას ვაღებ. მის შიგნით, ძველი საფოსტო მარკების, მიკროსკოპის და კალის ფიგურების არმიის გროვის ქვეშ ქალაქების ნითელი ძაფით შეკრული დასტა დევს. ვიღებ და ჭულის ვანვდი. უამრავი უცნაური და ჩახლართული შეგრძნების გამო მგონია, რომ ხელნაწერი ჩემია. თითქოს ლანგარზე

დადებული საკუთარი გული გავეცი. სრულიად მზად ვარ, რომ ჭულიმ თავისი ფრჩხილებით ნაფლეთებად აქციოს.<sup>[P SEP]</sup>

ხელნაწერს იღებს, ძაფს ხსნის. თავფურცელს მთელი ნუთი უყურებს და, აკანკალებული, წყვეტილად სუნთქავს. შემდეგ თვალებს ინმენდს და ჩახველების შემდეგ კითხვას იწყებს.<sup>[P SEP]</sup>

– „ნითელი კბილები“. ავტორი: პერი კელვინი, – მგერა ფურცლის ქვედა კიდებზე გადააქვს, – „ჭული კაბერნეს, სინათლის ერთადერთ დარჩენილ სხივს“, – ჭული ხელნაწერს დაბლა უშვებს და ცოტა ხნით გვერდით იხედება. ცდილობს დამალოს, რომ ყელში ბურთი აქვს გაჩხერილი. შემდეგ თავს ერევა და ფურცელს პირველ თავზე შლის. კითხვისას ცრემლების ნაკვალევს ღიმილი იკავებს, – ვაა, – ამბობს და თითს ცხვირზე სრუტუნით ისვამს, – მართლა რაღაც... კარგია. ადრე მშრალ და დანაწევრებულ ნაგავს წერდა ხოლმე. ეს თითქოს უფრო ზედაპირულია, მაგრამ სასიამოვნო კუთხით ზედაპირული. უფრო მეტად ჩანს, სინამდვილეში როგორი იყო, – ისევ თავფურცელს უყურებს, – ერთი წელიც არ იქნება გასული, რაც ამის წერა დაიწყო. წარმოდგენა არ მქონდა, თუ ისევ წერდა, – ბოლო ფურცელზე შლის, – დაუსრულებელი წინადადებაა: „ცოტა ხალხით დაცოტა იარაღით, გარდაუვალი სიკვდილი ელოდა, მაგრამ მაინც ბოლომდე იბრძოდა, რადგან...“<sup>[P SEP]</sup>

ცერებს ფურცლებს უსვამს და ცდილობს, შეიგრძნოს. სახესთან ახლოს მიაქვს და ღრმად იყნოსავს. შემდეგ თვალებს ხუჭავს, ხელნაწერებს ხურავს და ისევ თოკით კრავს. მე მიყურებს. მასზე

თითქმის ერთი ფუტით მაღალი და სამოცი ფუნტით მძიმე ვარ, მაგრამ თავს პატარად და ბუმბულივით მსუბუქად ვგრძნობ, თითქოს ერთი დაჩურჩულებით შეუძლია ძირს დამაგდოს და გამსრისოს. [P]  
[SEP]

მაგრამ ჭული ხმას არ იღებს. ხელნაწერს თავის ადგილას აბრუნებს და უჭრას ნაზად ხურავს. წელში იმართება, სახელოთი სახეს იმშრალებს და მეხუტება. ყურს მკერდზე მადებს. [P]  
[SEP]

– დუგ-დუგ, – ბუტბუტებს, – დუგ-დუგ, დუგ-დუგ. [P]  
[SEP]

ხელები ტომარასავით მკიდია. [P]  
[SEP]

– ბოდიში, – ვეუბნები მე. [P]  
[SEP]

თვალები დახუჭული აქვს, მის ხმას ჩემი პერანგი ნანილობრივ ახშობს. [P]  
[SEP]

– გპატიობ. [P]  
[SEP]

ხელს ვწევ და ჩალისფერ თმაზე ვეხები. [P]  
[SEP]

– გმადლობ. [P]  
[SEP]

ეს სამი მარტივი, პრიმიტიული ფრაზა ასეთი ყოვლისმომცველი არასოდეს ყოფილა. თავიანთ ჭეშმარიტ მნიშვნელობებს ატარებენ. ვგრძნობ, რომ მისი ლოყები ჩემს მკერდზე მოძრაობენ. ყვრიმალის დიდი კუნთი ტუჩებს გასაღიმებლად ექაჩება. [P]  
[SEP]

პერი კელვინის ოთახის კარს უსიტყვოდ ვკეტავთ და სახლიდან გავდივართ. კიბეზე ჩასვლისას ერთად შეკრებილ თინეიჯერებს, მბორგავ ბავშვებსა და ღრმად ჩაძინებულ ჩვილებს გვერდს ვუვლით და სახლიდან გავდივართ. გულმკერდში ბიძგს ვგრძნობ, უფრო ახლოს გულთან, ვიდრე კუჭთან, ხოლო თავში რბილი ხმა ჩამესმის. [P]  
[SEP]

გმადლობ, ამბობს პერი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

• • •<sup>[P]  
[SEP]</sup>

დიდი სიამოვნებით დავამთავრებდი აქ. რა კარგი იქნებოდა, ჩემი ცხოვრების დამონტაჟება რომ შემეძლოს. რომ შემეძლოს წინადადების შუაში განყვეტა და მთელი დარჩენილი ნაწილის უჭრაში შენახვა, ჩემი ამნებობის სრულყოფა და ყველაფერ იმის დავინყება, რაც მოხდა, ხდება და მოხდება. თვალებს დავხუჭავდი და ბედნიერად დავიძინებდი.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მაგრამ არა, რ, უმანკოდ ვერ დაიძინებ. ხომ არ დაგავინყდა, ხელები სისხლით რომ გაქვს მოსვრილი? ტუჩებიც, კბილებიც. გაიღიმე, გიღებენ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჯული, – ვამბობ და საბოლოო ცოდვის გასამხელად მხნეობას ვიკრებ, – რაღაც... უნდა გითხრა...<sup>[P]  
[SEP]</sup>

ბუმ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

სტადიონზე სათამაშო მინდვრის პროექტორები მზეებივით ვარვარდება და შუალამე დღის სინათლით იცვლება. ჯულის სახეზე თითოეულ ფორას ვხედავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რა ჯანდაბა ხდება? – გაკვირვებისგან პირს აღებს ჯული და აქეთ-იქით იყურება. ამის შემდეგ ლამის სიჩუმეს ტვინის მხვრეტავი განგაშის სიგნალი არღვევს და ვხედავთ, რომ გიგანტური ეკრანი განათებულია. სტადიონის ზედა კიდიდან ზეციური ფირფიტასავით ეშვება და ეკრანზე ჩნდება ანიმაცია, რომელზეც ხელებგაშვერილ ზომბებს გამოქცეული კვოტერბევია გამოსახული. ეკრანი ციმციმს იწყებს და ერთმანეთს



ცვლიან ეს ანიმაცია და რაღაც სიტყვა, რომელიც, ჩემი აზრით, შეიძლება იყოს: [P]  
[SEP]

შემოტრა [P]  
[SEP]

– რ... – მეკითხება შეძრწუნებული ჯული, – ვინმეს უკბინე? [P]  
[SEP]  
სასონარკვეთილი შევცქერი. [P]  
[SEP]

– სხვა არ... არჩევანი არ... მქონდა, – ვამბობ ენის ბორძიკით, მეტყველება პანიკის გამო სრულიად მერღვევა, – მცველმა... გამაჩერა... არ ვაპირებდი. არ... მინდოდა. [P]  
[SEP]

ჯული ტუჩებს კუმავს, თვალებს მასობს, შემდეგ კი მხოლოდ ერთი თავის გაქნევით იფარგლება, თითქოს რაღაც ფიქრს განაგდებს, რომ საკუთარი თავი მეორეს დაუთმოსო. [P]  
[SEP]

– კარგი, მაშინ შიგნით უნდა შევიდეთ. ჯანდაბა, რ... [P]  
[SEP]  
სახლში შევრბივართ და კარს აჯახუნებს. კიბის თავზე ნორა დგას.

[P]  
[SEP]

– ჰეი, სად იყავით და გარეთ რა ხდება? [P]  
[SEP]

– განგაშია, – ამბობს ჯული, – სტადიონზე ზომბია. [P]  
[SEP]

– ამას გულისხმობ? [P]  
[SEP]

ნორას ხმაში გაჩენილი იმედგაცრუება ჟრჟოლას მგვრის. [P]  
[SEP]

– კიც და არაც. [P]  
[SEP]

ჯულის საძინებლისკენ მივიჩქარით, სადაც ის შუქებს აქრობს. ყველანი იატაკზე, გასარეცხი ტანსაცმლის გროვებზე ვსხდებით და

გარკვეულ ხანს ხმას არავინ იღებს. უბრალოდ ვსხედვართ და ხმებს ვუსმენთ: მცველების სირბილი და ყვირილი. თოფის გასროლა. ჩვენივე სუნთქვა. [P]  
[SEP]

– ნუ ღელავ, – ჩურჩულებს ჯული ნორას მისამართით, მაგრამ ვიცი, რომ სინამდვილეში ეს გამხნელება მე მეკუთვნის, – ძალიან არ გავრცელდება. იმ გასროლებით, ალბათ პირველი ნაკბენი უკვე მოკლეს. [P]  
[SEP]

– ანუ ყველაფერი რიგზეა? – კითხულობს ნორა, – რ-ს არაფერი ემუქრება? [P]  
[SEP]

ჯული მიყურებს. სახეზე ავის მომასწავებელი გამომეტყველება აქვს. [P]  
[SEP]

– რომც იფიქრონ, რომ ყველაფერი ბუნებრივი სიკვდილით დაიწყო, იმ მცველს საკუთარი თავისთვის აშკარად არ უკბენია. უსაფრთხოებამ იცის, რომ მინიმუმ ერთი ზომბი მათი მხედველობის მიღმაა. [P]  
[SEP]

ნორა ჯულის მსგავსად ჩემკენ იხედება და ცხადად წარმომიდგენია, როგორ ვნითლდები. [P]  
[SEP]

– შენ ჩაიდინე? – მეკითხება ნორა და დაძაბული ცდილობს, აუღელვებლობა შეინარჩუნოს. [P]  
[SEP]

– არ... მინდოდა... აპირებდა... მოვე... კალი [P]  
[SEP]

რალაცას ამბობს. სახეზე არაფერი ანერია. [P]  
[SEP]

მის მზერას ვიჭერ, მინდა, რომ ჩემი უსაზღვრო სინდისის ქენჭნა იგრძნოს. [P]  
[SEP]

– ჩემთვის ბოლო იყო, – ვამბობ და დაძაბული ვცდილობ, ენა ჩემს იდიოტურ პირში მოვითვინიერო, – რაც არ უნდა მოხდეს. ღმერთს ვფიცავ. [P]  
[SEP]

რამდენიმე აუტანელი წუთი გადის. შემდეგ ნორა წელი თავის დაქნევით ჭულის მიმართავს. [P]  
[SEP]

– გამოდის, რომ აქედან უნდა გავიყვანოთ. [P]  
[SEP]

– განგაშისას ყველაფერს კეტავენ. ყველა კარი ჩარაბული და დაცვით გამაგრებული იქნება. თუ საკმარისად შეეშინდებათ, შეიძლება სახურავიც კი გადახურონ. [P]  
[SEP]

– აბა რა ჯანდაბა ვქნათ? [P]  
[SEP]

ჭული მხრებს იჩეჩს და ეს ჟესტი ძალიან არ უხდება, მისთვის შეუფერებელია. [P]  
[SEP]

– არ ვიცი, – ამბობს ჭული, – ისევ არ ვიცი. [P]  
[SEP]

• • [P]  
[SEP]

ჭულის და ნორას ჩაეძინათ. ძილს საათობით უძალიანდებოდნენ, ცდილობდნენ, ჩემი გადარჩენის გეგმა შეემუშავებინათ, მაგრამ საბოლოოდ ვეღარ გაუძლეს. შარვლების გროვაზე ვწევარ და ვარსკვლავებიან მწვანე ჭერს შევცქერი. ყოველთვის არ გამოდის, მისტერ ლენონ, თუნდაც ცდა არ დააკლო. [P]  
[SEP]

ეს შეიძლება ახლა უაზრობად ჩანდეს, წვრილ ვერცხლისფერ არშიად უზარმაზარი ბნელი ღრუბლის გარშემო, მაგრამ მგონი კითხვას ვსწავლობ. სანამ ფოსფორისფრად მანათობელ გალაქტიკას შევყურებ, ასოები ერთდებიან და სიტყვებს წარმოქმნიან. მათი

წინადადებებზე გადაბმა ჩემს ძალებს ჯერ კიდევ აღემატება, მაგრამ მაინც ვტკბები იმის შეგრძნებით, როგორ ტკაცუნით ეჭახება ეს პატარა სიმბოლოები ერთმანეთს და ხმის ბუშტუკებად იფრქვევა. ჩემს ცოლს თუ კიდევ ვნახავ... მისი სახელის წაკითხვას მაინც შევძლებ. [P]  
[SEP]

საათები მიზობინებენ. შუაღამე უკვე გადასულია, მაგრამ გარეთ მაინც შუადღის სინათლე დგას. პროჟექტორები თეთრი სინათლით სახლს ეხეთქებიან და ფანჯრის ჟალუზების წვრილ ნაპრალებში ძვრებიან. ჩემი ყურები გაფაციცებით ინოვენ ყველა ხმას, რაც გარშემო ტრიალებს: გოგოების სუნთქვა, მათი გვერდის მონაცვლეობის ხმა. შემდეგ, დაახლოებით დილის ორ საათზე, ტელეფონი რეკავს. [P]  
[SEP]

ჯულის ელვიძება და იდაყვებზე იწევა. სახლის რომელიღაც შორეულ ოთახში ტელეფონი არ ჩერდება. ჯული საბანს გვერდით აგდებს და დგება. უცნაურია მისი ასეთი კუთხიდან დანახვა – თავზე წამომდგომია, არადა, როგორც წესი, ზემოდან დავყურებ ხოლმე. ახლა მე მჭირდება დაცვა. ერთი შეცდომა, გზიდან ერთი მცირე გადახვევა და ყველაფერი იცვლება. რა მძიმე პასუხისმგებლობაა, როცა მორალური არსება ხარ. [P]  
[SEP]

ტელეფონის ზარი არ წყდება. ჯული საძინებლიდან გადის და მეც უკან მივყვები ბნელ, ეჭოებით სავსე სახლში. ერთ ოთახში შევდივართ, რომელიც სამუშაო კაბინეტს ჰგავს. მაგიდა ფურცლებითა და ნახაზებითაა სავსე, კედლებზე კი სულ უამრავი სხვადასხვა სახეობის და სხვადასხვა ეპოქის ტელეფონია მიხრახნილი. [P]  
[SEP]

– ტელეფონების სისტემა გადაანყვეს, – მიხსნის ჯული, – ის ახლა



ინტერკომს უფრო ჰგავს. ყველა მნიშვნელოვან უბანთან პირდაპირი ხაზი გვაქვს. [P]  
[SEP]

თითოეული ტელეფონის ქვემოთ დასახელებაა მინებებული. სალაში, მე მქვია: [P]  
[SEP]

ბალები [P]  
[SEP]

სამზარეულოები [P]  
[SEP]

სანეობი [P]  
[SEP]

გარაჟი [P]  
[SEP]

არსენალი [P]  
[SEP]

მეორე დერეფანი [P]  
[SEP]

გოლდმანის გუმბათი [P]  
[SEP]

ლემანის არენა [P]  
[SEP]

აიგ მოედანი [P]  
[SEP]

და ასე შემდეგ. [P]  
[SEP]

ახლა მწვანე, მრგვალციფერბლატიანი, მტვერდადებული ტელეფონი რეკავს, რომელსაც აწერია: [P]  
[SEP]

გარეთ [P]  
[SEP]

ჭული ტელეფონს უყურებს, მერე მე მიყურებს. [P]  
[SEP]

– უცნაურია, ეს ხაზი სტადიონის გარეთ, მიტოვებული უბნების ტელეფონებთანაა დაკავშირებული. რაც რაციები ვიშოვთ, ამ ხაზს აღარავინ ხმარობს. [P]  
[SEP]

ტელეფონი ხმამაღალ და შეუპოვარ ზარს არ წყვეტს. ვერ ვიჭვრებ, რომ ნორას ჯერ კიდევ სძინავს. [P]  
[SEP]

ჯული ყურმილს ნელა იღებს და ყურთან მიაქვს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გისმენთ, – იცდის, – რა? ვერ გავ... – შუბლშეგმუხნილი თითქოს ცდილობს რაღაც გაიგოს, შემდეგ თვალები უფართოვდება, – აჰ, – თვალები ამჯერად სიბრაზისგან უწვრილდება, – შენ? ჰო, ჯული ვარ, შენ რა... – იცდის, – კარგი, ჰო, ბუსტად აქაა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ყურმილს მიწვდის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შენთან არიან.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გაკვირვებული ვაშტერდება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შენი მეგობარია, ის გასიებული ნაბიჭვარი აეროპორტიდან.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ყურმილს ხელს ვტაცებ და დინამიკი ყურის ნაცვლად, პირთან მიმაქვს. ჯული თავს იქნევს და მისწორებს. სუნთქვაშეკრული ვჩურჩულებ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვაჰ... გულთა... მპყრობელო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა... სად ხარ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ქალაქში. არ მეგონა... ეს ტელეფონი... თუ იმუშავებდა... მაგრამ მაინც ვცადე. კარგად... ხარ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კი, ოღონდ... ჩაკეტილი ვარ. სტადიონი... ჩარაბეს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ფუ, ამის!..<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა... ხდება მანდ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ცოტა ხნით ჩამი-ჩუმი არ ისმის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რ, – მეუბნება, – მკვდრები... იკრიბებიან. ემატებიან და ემატებიან.

აეროპორტიდან. სხვა ადგილებიდან. ახლა უკვე... უამრავნი ვართ. [P]  
[SEP]

ხმას არ ვიღებ. ყურმილი თითქოს მიმძიმდება და ყურს შორდება.  
ჭული მომლოდინე თვალებით მიყურებს. [P]  
[SEP]

– ალო? – ჩამძახის მ. [P]  
[SEP]

– ბოდიში. აქ ვარ. [P]  
[SEP]

– ჰო, ჩვენც... აქ ვართ. ახლა რა მოხდება? რა... ვქნათ? [P]  
[SEP]

ყურმილს მხარზე ვიყრდნობ და უმიზნოდ ვაშტერდები კედელს.  
გენერალ გრიჭოს სამუშაო მაგიდაზე მიმოფანტულ ქაღალდებსა და  
გეგმებს ვხედავ. მისი მონახაზები დასტრატეგიები ჩემთვის ერთი დიდი  
აბდაუბდაა. ეჭვიც არ მეპარება, რომ მნიშვნელოვანი რამეები უნერია  
– საკვების გადანაწილება, მშენებლობის გეგმები, იარაღით აღჭურვა,  
საბრძოლო ტაქტიკა. ის ცდილობს, ყველანი გადაარჩინოს, რაც  
კარგია; მთავარი საკითხი და ყველაფრის საფუძველი სწორედ ესაა.  
მაგრამ როგორც ჭულიმ ერთხელ თქვა, რაღაც უფრო დიადი მიზანიც  
უნდა არსებობდეს – ამ საფუძვლის სიღრმეში მოქცეული ნიადაგი.  
მყარი საყრდენის გარეშე ყველაფერი ჩამოიშლება, შენების ყველა  
ცდა მარცხით დამთავრდება. სწორედ ეს ნიადაგი მაინტერესებს –  
ნანგრევებს შორის მოქცეული და დაფარული. [P]  
[SEP]

– რა ხდება? – მეკითხება ჭული, – რას ამბობს? [P]  
[SEP]

მისი შეფიქრიანებული სახის შემხედვარეს მუცელში რაღაც  
მეწურება. თავში ახალგაზრდული, მგზნებარე ხმა წკრიალებს. [P]  
[SEP]

დაიწყო, გვამო. რასაც შენ და ჭულიმ უბიძგეთ, დაიძრა. კეთილი  
სენი, ვირუსი, რომელიც სიცოცხლეს იწვევს! თუ ამჩნევ ამას, შე

უტვინო, გამოშტერებულ ურჩხულო? ის შენშია! ამ კედლებს მიღმა უნდა გააღწიო და სხვებსაც გადასდო! [P]  
[SEP]

ყურმილს ისე ვხრი, რომ ჭულიმაც შეძლოს მოსმენა. ის ჩემკენ იხრება. [P]  
[SEP]

– მ, – ვამბობ. [P]  
[SEP]

– ჰო. [P]  
[SEP]

– ჭულისაც უთხარი. [P]  
[SEP]

– რა? [P]  
[SEP]

– უთხარი ჭულის... რაც ახლა ხდება. [P]  
[SEP]

სიჩუმე. [P]  
[SEP]

– ცვლილებები, – ამბობს, – უამრავი ჩვენგანი... ვიცვლებით. რ-ს მსგავსად. [P]  
[SEP]

ჭული მე მიყურებს და თითქმის ვგრძნობ, კისრის ბუსუსები როგორ ებურძღვლება. [P]  
[SEP]

– კიდევ გამოჩნდნენ შენნაირები? – უკან იხევს და მეკითხება, – შენსავით... ცოცხლდებიან? [P]  
[SEP]

ხმადაბლა საუბრობს, ეჭვნარევად, იმ გოგოს მსგავსად, მთელი სიცოცხლე ბნელ, ბომბებისგან თავდასაცავ ჭურღმულში რომ გაატარა და წლების შემდეგ თავშესაფრიდან პირველად გამოყო ცხვირი. აკიაფებული იმედისაგან ხმა უთრთის. [P]  
[SEP]

– სენი იკურნება? [P]  
[SEP]

თავს ვუქნევ. [P]  
[SEP]

– ჩვენ... ვუკეთესდებით. [P]  
[SEP]

– ჰო, მაგრამ როგორ? [P] [SEP]

– არ ვიცი. უბრალოდ, კიდეც... რაღაცის გაკეთებაა... საჭირო. იქ, სადაც... ახლა მ-ა. გარეთ. [P] [SEP]

მისი აღტაცება ინავლება, ქრება: [P] [SEP]

– ანუ, უნდა ნავიდეთ. [P] [SEP]

თავს ვუქნევ. [P] [SEP]

– ორივე? [P] [SEP]

– ორივე, – ყურმილიდან მისი ხრიალი ალერსიანი დედის დაყვავებასავით ისმის, – ჭული... ცვლილების ნანილია. [P] [SEP]

ის ეგვით აღვსილი მიყურებს: [P] [SEP]

– შენ გინდა, რომ მე, სუსტი, უსუსური ადამიანი, იმ ნანგრევებში წამოვიდე და ზომბების ხროვასთან ერთად ვირბინო? [P] [SEP]

თავს ვუქნევ. [P] [SEP]

– წარმოდგენა მაინც თუ გაქვს, რა სიგიჟეა? [P] [SEP]

თავს ვუქნევ. [P] [SEP]

ცოტა ხნით ჩუმდება და იატაკს უყურებს: [P] [SEP]

– დარწმუნებული ხარ, რომ ჩემს დაცვას შეძლებ? – მეკითხება, – როცა მათთან გავალთ... გარეთ? [P] [SEP]

ღრმად გამჭდარი გულწრფელობა მაიძულებს, შევყოყმანდე. ჭული ფრუტუნებს. [P] [SEP]

– ჰო, – ჩემ მაგივრად მოთმინებადაკარგული მ პასუხობს, – შეძლებს. მეც... დავეხმარები. [P] [SEP]

სწრაფად ვუქნევ თავს: [P] [SEP]



– მ დამეხმარება. სხვებიც... დამეხმარებიან. თან, – ვამატებ ძლივსშესამჩნევი ღიმილით, – საკუთარი თავის დაცვა... შენც შეგიძლია. [P]  
[SEP]

მხრებს დაუდევრად იჩეხს [P]  
[SEP]

– ეგ ვიცი. უბრალოდ, მაინტერესებდა, შენ რას იტყოდი [P]  
[SEP]

– ნამომყვ... ? [P]  
[SEP]

– შენთან ერთად ნამოვალ. [P]  
[SEP]

– დარწმუნებული... ხარ? [P]  
[SEP]

სივრცეში მომზირალ თვალებში სიმტკიცე ჩასდგომია [P]  
[SEP]

– დედაჩემის საფლავში მისი კაბის დამარხვა მომიწია. ამ წამს დიდი ხანია, ველი. [P]  
[SEP]

თავს ვუქნევ და ღრმად ვსუნთქავ. [P]  
[SEP]

– ოღონდ, შენს გეგმას ერთი პატარა ხარვეზი აქვს, – აგრძელებს, – მგონი, დაგავიწყდა, რომ ნუხელ ვილაც დაკბინე და ამის გამო აქაურობა მანამდე იქნება ჩაკეტილ-ჩარაბული, სანამ არ გიპოვიან და მოგკლავენ. [P]  
[SEP]

– ჩვენ... შემოგითოთ? – ისმის მ-ს ხმა, – გამოგვიყვანოთ? [P]  
[SEP]

ყურმილს მთელი ძალით ვიჭერ ყურზე [P]  
[SEP]

– არა, – ვეუბნები. [P]  
[SEP]

– არმია... მზადაა. ბრძოლა... სადაა? [P]  
[SEP]

– არ ვიცი. აქ ნამდვილად არა. აქ... ხალხია. [P]  
[SEP]

– აბა, რა ვქნათ? [P]  
[SEP]

ჭულის ვუყურებ. ისევ იატაკს ჩასჩერებია და შუბლს ისრესს. [P]  
[SEP]

– ცოტა დამაცადე, – ვეუბნები მ-ს. [P]  
[SEP]

– დაგაცადო? [P]  
[SEP]

– ჰო, ცოტა ხანიც. რამეს... მოვიფიქრებთ. [P]  
[SEP]

– მოასწრებ, სანამ... მოგკლავენ? [P]  
[SEP]

– იმედია. [P]  
[SEP]

ხანგრძლივი, ეჭვნარევი დუმილის შემდეგ მესმის: [P]  
[SEP]

– იჩქარეთ. [P]  
[SEP]

••• [P]  
[SEP]

ჯული და მე მთელ ღამეს ვათენებთ. გაყინულ მისაღებში იატაკზე ვსხედვართ, სანვიმრები გვაცვია და ხმას არ ვიღებთ. ბოლოს ქუთუთოები მიმძიმდება, თვალები მეხუჭება და ისეთი უცნაური სიმშვიდე მეუფლება, თითქოს ამქვეყნად არსებობისათვის მხოლოდ რამდენიმე საათილა დამრჩა. გონებაში გმანება იკვეთება – ცხადი, მკაფიო, ფერადოვანი სიზმარი ისე იფურჩქნება, თითქოს მფეთქავი სიბნელის ფონზე ვარდის კოკრები შენელებული კადრით იშლება. [P]  
[SEP]

სიზმარში, ჩემს სიზმარში, მდინარის დინებას მივყვები, რომელიც სახლ-თვითმფრინავის დაბიანებულ კუდამდე მიმატივტივებს. ზურგზე ვწევარ და შუალამის მოლურჯო ცას შევცქერო, რომელზეც ვარსკვლავები სრიალებენ. წარმოდგენა არ მაქვს, რა ჰქვია ამ მდინარეს, რადგან რუკები დიდხნის წინ დაიწვა და თანამგზავრული თეფშებიც განადგურდა. არც ის ვიცი, საით მივყავარ. ჰაერი მშვიდია. ღამე – თბილი. თან მხოლოდ ორი რამ მაქვს წამოღებული: „ჰად ტაის“ შეკვრა და პერის ნიგნი. სქელი. უძველესი. ტყავის ყდაში გახვეული.

შუა ფურცელს ჩავცქერი. ჩემთვის უცნობ რომელიღაც ენაზე დაუსრულებელი წინადადება წერია, რომლის შემდეგაც აღარაფერი მოჩანს, გარდა თეთრი, ცარიელი ფურცლების მსხვილი ნაკრებისა, რომლებიც ელოდებიან, რომ პატრონი მათაც გამოუჩნდება. წიგნს ვხურავ და თავს მშვიდ დინებაში ვრგავ. „ჰად ტაის“ მადისაღმძვრელი, მძლავრი, არომატული სურნელი ცხვირში მიღიტინებს. ვგრძნობ, როგორ ფართოვდება მდინარე და როგორ იკრებს ძალას. [P] [SEP]

ჩანჩქერის ხმა ჩამესმის. [P] [SEP]

- • • [P] [SEP]
- რ. [P] [SEP]

თვალებს ვახელ და წამომჭდარ პოზაში ვჩერდები. ჯული ჩემ გვერდით ფეხებგადაჯვარედინებული მის. სევდიანი ღიმილით მიყურებს. [P] [SEP]

- ტკბილი სიზმრები ნახე? [P] [SEP]
- ზუსტად... არ ვიცი, – ვბლუყუნებ და თვალებს ვისრეს. [P] [SEP]
- ჩვენი პატარა პრობლემიდან რამე გამოსავალი ხომ არ მოგიფიქრებია? [P] [SEP]

თავს უარის ნიშნად ვაქნევ. [P] [SEP]

– ეჰ, არც მე, – კედლის საათს უყურებს და ტუჩებს უხალისოდ კუმშავს, – რამდენიმე საათში საზოგადოებრივ ცენტრში უნდა ვიყო წიგნის წასაკითხად. დევიდი და მერი იტირებენ, თუ არ გამოვჩნდი. [P] [SEP]

დევიდი და მერი. სახელებს გონებაში ვიმეორებ – მათ კონტურებს ვაგემოვნებ. დიდი სიამოვნებით დავუთმობ იმ ძალს ჩემს ერთ ფეხს

შესაჭმელად, ოღონდ ის ბავშვები კიდევ ვნახო, კიდევ გავიგონო ტიტინით წარმოთქმული რამდენიმე მარცვალი, ვიდრე მოვკვდები.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– რას უკითხავ?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ფანჯრიდან ქალაქს გასცქერის, რომლის თითოეული ბზარი და ნაპრალი დამაბრმავებელი თეთრი შუქითაა ამოვსებული.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– ბოლო დროს ვცდილობ „რედვოლის“ სერიის წიგნები წავუკითხო. ვიფიქრე, რომ მთელი ეს სიმღერები, ნადიმები და მამაცი მეომარი თაგვები მათთვის კარგი საშუალება იქნებოდა, ცოტა ხნით მოშორდნენ იმ კოშმარს, რომელშიც იზრდებიან. მერი განუწყვეტლივ მეკითხება ზომბების შესახებ წიგნებზე; მე სულ ვპასუხობ, რომ კითხვის დროს დოკუმენტურ ნაწარმოებებს ვერ წავუკითხავ, მაგრამ... – ჩემი სახის გამომეტყველებას ამჩნევს და სიტყვას ნყვეტს, – კარგად ხარ?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

თავს ვუქნევ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– აეროპორტში დარჩენილ შენს ბავშვებზე ფიქრობ?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ყოყმანის შემდეგ ისევ თავს ვუქნევ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ჩემკენ იხრება და მუხლზე მეხება. ანთლებულ თვალებში მიყურებს.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– რ, ვიცი ახლა ყველაფერი არასახარბიელოდ გეჩვენება, მაგრამ მომისმინე. სანამ ჯერ კიდევ სუნთქავ... ბოდიში... სანამ ჯერ კიდევ მოძრაობ, არაფერია დასრულებული, კარგი?<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

თავს ვუქნევ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– კარგი? ხმა ამოიღე, რ.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

– კარგი.<sup>[P]</sup><sup>[SEP]</sup>

ილიმის. [P]  
[SEP]

ორი. რვა. ოცდაოთხი. [P]  
[SEP]

ორივე ადგილზე ვხტებით, როდესაც ჭერზე დამაგრებული დინამიკი რიცხვებს აცხადებს, რასაც ყურთასმენის ნამღები განგაშის სიგნალი მოსდევს. [P]  
[SEP]

„გესაუბრებათ პოლკოვნიკი როსო, საჯარო ინფორმაციის გადმოსაცემად. სიტუაცია ამჟამად კონტროლს ექვემდებარება, ინფიცირებული ოფიცერი ნეიტრალიზებულია. მეტი მსხვერპლი არ აღინიშნება“ [P]  
[SEP]

შვებით ამოსუნთქვას ვერ ვასწრებ... [P]  
[SEP]

„თუმცა...“ [P]  
[SEP]

– ჯანდაბა, – ჩურჩულებს ჯული. [P]  
[SEP]

„...ინფიცირების თავდაპირველი წყარო, დიდი ალბათობით, ისევ ჩვენს კედლებში რჩება. უსაფრთხოების ჯგუფები დაინყებენ კარდაკარ შემოვლას, რათა სტადიონის ყველა შენობა გაჩხრიკონ. ვინაიდან არ ვიცით, სად შეიძლება ეს არსება იმყოფებოდეს, ყველა უნდა გამოვიდეს თავისი სახლიდან და საჯარო სივრცეში შეგროვდეს. არ გამოიკეტოთ“. როსო ჩასახველებლად პაუზას აკეთებს, „ამისთვის ბოდიშს გიხდით, მეგობრებო. ყველაფერს მოვაგვარებთ, უბრალოდ... მოთმინება გამოიჩინეთ“ [P]  
[SEP]

დინამიკში ხმა ნკაპუნით წყდება. [P]  
[SEP]

ჯული სწრაფად დგება და საძინებელში შერბის. ჟალუზებს ხსნის და ფანჯრიდან სინათლეს უშვებს. [P]  
[SEP]



– აბა, წამოხტით, მის გრინ. დრო აღარ გვაქვს. კედლის გვირაბებით რომელიმე ძველი გასასვლელი ხომ არ გახსოვს? ლოჯასთან ახლოს ხომ იყო რაღაც სახანძრო გასასვლელი? რ, სახანძრო კიბებზე ძრომიალს ხომ შეძლებ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მოიცა, რა? – ხავის ნორა და ცდილობს თვალებზე ხელები აიფაროს, – რა ხდება?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რ-ს მეგობარს თუ დავუჭერებთ, შეიძლება ნახევარმკვდრების ამ წყეული სამყაროს დასასრული ახლოვდება, თუ მანამდე არ დაგვხოცეს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნორა საბოლოოდ იღვიძებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ბოდიში, რა?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მერე გეტყვი. სულ ახლახან საყოველთაო ჩხრეკის შესახებ გამოაცხადეს. ალბათ, ათი წუთიღა გვაქვს. უნდა ვიპოვოთ... – მისი ხმა თანდათან ჩუმდება და მხოლოდ პირის მოძრაობასღა ვხედავ – მისი ტუჩები სიტყვების წარმოთქმისას სხვადასხვა ფორმებს ქმნიან, ენა მოკაშკაშე კბილებს ეხეთქება. ის ჯერ კიდევ ებლაუჭება იმედს, რომელიც მე თანდათან ხელიდან მისხლტება. ლაპარაკისას თმას აწვალავს; მისი კულულები გაუხეშებული, აჩეჩილი და დასაბანია.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მისი შამპუნის მძაფრი არომატი, ყვავილები, ბალახი და დარიჩინი მის ბუნებრივ სურნელთან ცეკვავენ. არასდროს ამბობდა, რომელ შამპუნს იყენებდა. საკუთარი სურნელის საიდუმლოდ შენახვა მოსწონდა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რ!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული და ნორა მომჩერებიან და მელიან. პირს ვალებ, მაგრამ სათქმელი არ მაქვს. შემდეგ სახლის მთავარი კარი ისეთი ხმაურით იღება, რომმისი რეზონანსი მეტალის კედლებით ჩვენს ოთახამდეც კი აღწევს. კიბეზე მძიმე ჩექმების ხმა ისმის. [P SEP]

– ო, ღმერთო, – ამბობს ჯული და პანიკისგან სუნთქვა უხშირდება. ოთახიდან გვყრის და დერეფანში მდებარე აბაზანისკენ მიგვიძღვის, – იგივე გრიმი გაუკეთე, – სისინით ეუბნება ნორას და გარედან გვკვეთავს. [P SEP]

სანამ ნორა თავის კომპლექტს ჩანთიდან იღებს და წვიმისგან დალაქავებული ჩემი სახის ხელახლა შეფერადებას ცდილობს, დერეფანში ორი ხმა მესმის. [P SEP]

– მა, რა ხდება? იპოვეს ზომბი? [P SEP]

– ჯერ არა, მაგრამ იპოვიან. რამე ხომ არ დაგინახავს? [P SEP]

– არა, სულ აქ ვიყავი. [P SEP]

– მარტო ხარ? [P SEP]

– ჰო, გუშინ საღამოდან სახლში ვარ. [P SEP]

– აბაზანაში სინათლე რატომ ანთია? – ნაბიჯების ხმა ჩვენკენ მოემართება. [P SEP]

– მოიცა, მა! ერთი წამით! – ხმადაბლა ამბობს ჯული, – ნორა და არჩი არიან. [P SEP]

– რატომ მითხარი, რომ მარტო ხარ? თამაშის დრო არ არის, ჯული, დამალობანასთვის ცუდი დრო შეგირჩევიათ. [P SEP]

– ისინი... იქ... ხო ხვდები. [P SEP]

წამიერი ყოყმანი. [P]  
[SEP]

– ნორა და არჩი, – კაცი კართან ხმამაღალ ყვირილს იწყებს, – როგორც გაიგეთ, სტადიონზე განგაშია. სიყვარულობანასთვის უარეს დროს ვერც კი წარმოვიდგენდი. დაუყოვნებლივ გამოდით. [P]  
[SEP]

ნორა ნიჟარაზე მანარცხებს და თავს ძუძუებს შორის მაყოფინებს ბუსტად იმ დროს, როდესაც გრიჭო კარს ბრახუნით აღებს. [P]  
[SEP]

– მამა! – კივის ჭული და ნორას უყურებს, რომელიც ჩემგან უკან ხტება. [P]  
[SEP]

– ახლავე გამოდით, – ამბობს გრიჭო. [P]  
[SEP]

აბაზანიდან გამოვდივართ. ნორა ტანსაცმელსა და თმას ისწორებს და დარცხვენილი გოგოს როლს ბრწყინვალედ თამაშობს. გრიჭოს ვუყურებ, თავს ისე ვაჩვენებ, თითქოს ცუდი არაფერი ჩამიდენია და ვცდილობ ჩემი მეტყველება პირველი და ალბათ, უკანასკნელი დიდი გამოცდისთვის შევამზადო. გენერალიც თავისი დაძაბული, კუთხოვანი სახით ჩემკენ იხედება და თვალეში მაშტერდება. ჩვენ შორის ორი ფუტიც კი არ იქნება. [P]  
[SEP]

– გამარჯობა, არჩი, – მეუბნება. [P]  
[SEP]

– გამარჯობა, სერ. [P]  
[SEP]

– შენ და მის გრინს ერთმანეთი გიყვართ? [P]  
[SEP]

– დიახ, სერ. [P]  
[SEP]

– მშვენიერია. ქორწინებაზე ხომ არ გიფიქრიათ? [P]  
[SEP]

– ჭერ არა, სერ. [P]  
[SEP]

– რაღას უნდა უკადოთ, სიფრთხილის დრო არ არის. ბოლო

დღეები გვიდგას. სად ცხოვრობ, არჩი? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გოლდმანის... ველზე. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გოლდმანის გუმბათში? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– დიახ, სერ, უკაცრავად. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გოლდმანის გუმბათში რაზე მუშაობ? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ბაღებში. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მაგ სამსახურით შეძლებ შენი და ნორას ბავშვების გამოკვებას? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ბავშვები არ გვყავს, სერ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– სიკვდილის შემდეგ ბავშვები გვანაცვლებენ. როდესაც შვილები გეყოლებათ, მათი გამოკვება დაგჭირდებათ. როგორც მითხრეს, გოლდმანის გუმბათში საქმეები ცუდად მიდის. მითხრეს, რომ ყველაფრის დეფიციტი გაქვთ. შავბნელ სამყაროში ვცხოვრობთ, არა, არჩი? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ზოგჯერ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ვცდილობთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის, რასაც ღმერთი გვაძლევს. თუ ჩვენი მოთხოვნილი პურის ნაცვლად ღმერთი ქვებს გამოიმეტებს, კბილებს გავილესავთ და ქვებს შევჭამთ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ან საკუთარ... პურს გავაკეთებთ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გრიჭო ილიმის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გრიმს ატარებ, არჩი? – მეუბნება და დანას მიყრის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არც კი დამინახავს, დანა ბუდიდან როდის ამოიღო. ხუთი ინჩის სიგრძის იარაღი მხარში მერტობა და წვეტს უკანა მხრიდან ყოფს. ვერ ვგრძნობ და არც კი ვკრთები. ჭრილობიდან სისხლი არ მოდის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჯული! – ღრიალებს გრიჭო, რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს და პისტოლეტს აძრობს; ღრმა ბუდეებში ჩამჭდარი თვალები ველურად იმზირებიან, – ჩემს ქალაქში, ჩემს სახლში, მკვდარი მოიყვანე? უფლება მიეცი, შეგხეობოდა?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მამა, მომისმინე, – ამბობს ჯული და კაცისკენ ხელებს იწვდის, – რ განსხვავებულია. ის იცვლება.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მკვდრები არ იცვლებიან, ჯული! ისინი ადამიანები კი არა, რაღაც სხვა არსებები არიან.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– საიდან ვიცით? მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ გველაპარაკებიან და საკუთარი ცხოვრების შესახებ არ გვიყვებიან? მათი ფიქრების არ გვესმის და ვასკვნით, რომ ფიქრები არც აქვთ?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– არაერთხელ შევამოწმეთ! მკვდრებს არასოდეს უჩვენებიათ საკუთარი თავის ცნობის ან ემოციური რეაგირების ნიშნები!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ისევე, როგორც შენ, მამა! ღმერთო ჩემო... რ-მ სიკვდილს გადამარჩინა! დამიცვა და სახლში დამაბრუნა! ადამიანია! და იქ კიდევ არიან მისნაირები!<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– არა, – ამბობს გრიჭო და უეცრად წყნარდება. ხელები აღარ უკანკალებს, იარაღი ერთ ადგილას ჩერდება, ჩემი სახიდან რამდენიმე ინჩზე.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მამა, გთხოვ, მომისმინე, გთხოვ, – ჯული ერთი ნაბიჯით გვიახლოვდება. ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს, მაგრამ ვგრძნობ, რომ შეძრწუნებულია და საკუთარი თავი მძულს, რომ ამის მიზეზი მე ვარ, – როდესაც აეროპორტში ვიყავი, რაღაც მოხდა. რაღაც



ნაპერწკალი გამოვინვიეთ და რაც არ უნდა იყოს, ის ვრცელდება. მკვდრები სიცოცხლეს უბრუნდებიან. თავიანთ ბუნაგს ტოვებენ დაშეცვლას იწყებენ. მათი დახმარების გზა უნდა ვიპოვოთ. წარმოიდგინე, რომ სენის განკურნება შეგვიძლია, მამა! წარმოიდგინე, რომ ამ ნაგავის მოსუფთავება და ყველაფრის თავიდან დაწყება შეგვიძლია. [P]  
[SEP]

გრიჭო თავს იქნევს. ვამჩნევ, მისი ცვილივით კანის ქვეშ როგორ იჭიმება ყბების კუნთები. [P]  
[SEP]

– ჯული, ახალგაზრდა ხარ და არ გესმის. შეგვიძლია ცოცხლად გადავრჩეთ და დავხოცოთ ისინი, ვისაც ჩვენი დახოცვა უნდა, მაგრამ ეგ ყბადაღებული ხსნა არ არსებობს. წლობით ვეძებდით და ვერ მივაგენით, ახლა დრო ამოგვეწურა. სამყარო დასრულდა. ვეღარ შევძლებთ მის განკურნებას, დახმარებას, ხსნას. [P]  
[SEP]

– შევძლებთ! – უყვირის ჯული და სიმშვიდეს სრულიად კარგავს, – ვინ გადანყვიტა, რომ სიცოცხლე სრული კომმარი უნდა იყოს? ეს წყეული წესი ვინ დანერა? შეგვიძლია, უბრალოდ აქამდე არასოდეს გვიცდია! ყოველთვის ზედმეტად დაკავებულები, ეგოისტები და შეშინებულები ვიყავით! [P]  
[SEP]

გრიჭო კბილებს აღრჭენს. [P]  
[SEP]

– მეოცნებე ხარ. ბავშვი. დედაშენს ჰგავხარ. [P]  
[SEP]

– მამა, მისმინე. [P]  
[SEP]

– არა. [P]  
[SEP]

პისტოლეტს ტენის და ლულას შუბლზე მაბჭენს, ზუსტად ჯულის მიერ

დადებულ სალბუნზე. აი ისიც. მ-ს ყოვლისმომცველი ირონია. ჩემი გარდაუვალი სიკვდილი, რომელსაც ყოველდღიურად ვნატრობდი, მთელი იმ წლების განმავლობაში ყურადღებას არ მამჩვენებდა და მხოლოდ მაშინ მენვია, როდესაც გადავწყვიტე, რომ სამუდამოდ ცხოვრება მინდა. თვალებს ვხუჭავ და თავს ვიმაგრებ.<sup>[SEP]</sup>

სახეზე თბილი სისხლის შესხმას ვგრძნობ – მაგრამ არა ჩემი სისხლის. თვალებს ზუსტად მაშინ ვახელ, როდესაც ჯულის დანა გრიჯოს ხელიდან უკან ბრუნდება. გენერალს იარაღი ხელიდან უვარდება და იატაკზე დაცემისას ისვრის, შემდეგ უკუცემის ძალით ვინრო დერეფნის კედლებს ასხლეტილი ბურთივით აქეთ-იქით ეხეთქება და ისევ ისვრის და ისვრის. ყველა ძირს წვება, პისტოლეტი კი ბოლოს და ბოლოს ერთ ადგილას ბზრიალით ჩერდება, ნორას ფეხებთან. გამაყრუებელ სიჩუმეში ნორა თვალეგაფართოებული დასცქერის იარაღს, შემდეგ კი მზერა გენერალზე გადააქვს. გენერალი გადასერილ ხელს ხრის და ნორასკენ იწევიან, მაგრამ ნორა იარაღის ალებას ასწრებს და გრიჯოს სახეში უმიზნებს. კაცი შეშდება, ყბები ეძაბება და რამდენიმე ინჩით ისევ წინ მიიწევიან, თითქოს მაინც აპირებს თავდასხმას, მაგრამ ნორა ცარიელ მასრას ჭიბიდან ამოღებული ახალი ტყვიით სწრაფად ცვლის და იარაღს ტენის. ამ ყველაფერს წამიერად ისეთი სიზუსტით აკეთებს, რომ თვალებს გენერალს არ ამორებს. გრიჯო უკან იხევს.<sup>[SEP]</sup>

– წადით, – ეუბნება ჯულის თვალეგანთებული, – ეცადეთ, როგორმე გააღწიოთ. ეცადეთ.<sup>[SEP]</sup>

ჯული ხელს მკიდებს. ოთახიდან გავდივართ, მამამისი კი იქ დგას და რისხვისგან ცახცახებს. [P SEP]

– ნახვამდის, მამა, – რბილად ამბობს ჯული. ვტრიალდებით და კიბეზე ჩავრბივართ. [P SEP]

– ჯული! – ღმუის გრიჭო და მისი ხმა სხვა ხმიანობას, გატეხილი სანადირო ბუკის კვილს ისე ძლიერ წააგავს, რომ სველ პერანგში გამონწყობილს კანკალი მენწყება. [P SEP]

• • • [P SEP]

გავრბივართ. ჯული წინ მიმიძღვის და დახლართულ ვიწრობებში გზას იკვალავს. მისი სახლის მხრიდან გაბრაზებული ყვირილი მოისმის, რასაც რაციების შიშინი მოსდევს. გავრბივართ და კვალში გვიდგანან. ჯული მიმართულებას არც ისე მტკიცედ ირჩევს. ზიგზაგებს მივყვებით და ისევ იქ ვბრუნდებით, საიდანაც გადავუხვიეთ. გალიაში მოფუთფუთე ბაზუნები ვართ – წარმოსახვით რგოლში მივრბივართ, რომლის საფეხურები გამუდმებით ფეხქვეშ გვეცლება. [P SEP]

კედელს ვეჭახებით – ბეტონის უზარმაზარ, ფიცარაკრულ ბარიერს, რომელზე მიბჭენილ კიბეებსა თუ გასასვლელებს არ ვიცი, საით მივყავართ. სტადიონის ტრიბუნები მთლიანად გაუუქმებიათ, მხოლოდ ერთი ასასვლელიღაა დარჩენილი; ზემოდან ბნელი დერეფნის ხახა გვიხმობს. მისკენ მივმუხრებით. ასასვლელს ორივე მხრიდან სიცარიელე ესაზღვრება; ჰაერში ისეა გამოკიდებული, როგორც იაკობის კიბე. [P SEP]

როგორც კი კიბის თავს ვაღწევთ, ქვემოდან ყვირილი გვესმის. [P SEP]

– მის გრიჯო! [SEP]

ვტრიალდებით და უკან ვიხედებით. ქვედა საფეხურებთან პოლკოვნიკი როსო დგას, თან უსაფრთხოების სამსახურის ოფიცრები ახვევია. პოლკოვნიკი ერთადერთია, ვისაც იარაღი არ აქვს მომარტყვებული. [SEP]

– ნუ გარბიხართ, გთხოვ! – ეძახის ჯულის. [SEP]

ჯული დერეფნისკენ მიბიძგებს და სიბნელეს ვერევით. [SEP]

აქაურობას ამკარად ეტყობა, რომ გადაკეთებას უპირებდნენ და არემონტებდნენ, თუმცა დერეფნის დიდი ნაწილი მაინც თავდაპირველი სახითაა შენარჩუნებული. ცივ, უსიცოცხლო ბინდში გახვეულა ჰოთ-დოგის დახლები, სუვენირების კიოსკები, ცეცხლისფასიანი პრეტცელების გასაყიდი ჭიხურები. კედლები მდევრის შეძახილს ექოდ ამეორებს. მეშინია, ჩიხში არ აღმოვჩნდეთ გამომწყვდეულები, თორემ უკან მობრუნება და გარდაუვალ სიკვდილთან შეჭახება მომიწევს. [SEP]

– რ! – სირბილისას ჯულის ქშენა მესმის, – გავაღწევთ გარეთ. აუცილებლად გავალთ! [SEP]

ხმა არ ემორჩილება. მგონია, სადაცაა ცრემლებში ჩაუნყდება. ვერ ვახერხებ, რამე ვუპასუხო. [SEP]

დერეფანი მთავრდება. ბეტონის კედელში დარჩენილი ღრიტოებიდან შემოღწეული მქრქალი შუქის წყალობით კარგე მინერილ სიტყვებს ვხედავ. [SEP]

ავარიული გასასვლელი [SEP]

ჭული ნაბიჯს უჩქარებს. მივყვები. კარს ვეხეთქებით. ჩვენს მიწოლაზე იღება და... [P] [SEP]

– უუუუჰ, შენი... – მოულოდნელობისგან ყვირის. კარის ჩარჩოს ეჭიდება. ცალი ფეხით რვასართულიანი სახლისხელა ვარდნილის თავზე ჰკიდია. [P] [SEP]

კარის სიახლოვეს, სახანძრო კიბისაგან შემორჩენილ ნამსხვრევებში ცივი ქარი სტვენს. ჩიტები ფრთხებიან და ჟივჯივით გვშორდებიან. ჩვენ ქვემოთ გადაშლილი ქალაქი უზარმაზარ სასაფლაოს წააგავს, რომელზეც მარმარილოს ქვებად ცათამბჯენები აღმართულა. [P] [SEP]

– მის გრიტო! [P] [SEP]

როსო და მისი ამაღა ჩვენგან ოც ფუტში ჩერდება. პოლკოვნიკი ძლივსღა სუნთქავს. ასეთი დევნისათვის მეტისმეტად მოხუცია. [P] [SEP]

კარიდან ქვემოთ გადაშლილ მიწას გადავყურებ. ხან ჭულის შევხედავ, ხან უფსკრულს. ბოლოს ისევ ჭულიზე ვაჩერებ მზერას. [P] [SEP]

– ჭული, – ვამბობ. [P] [SEP]

– რა იყო? [P] [SEP]

– დარწმუნებული ხარ, რომ... ჩემთან ერთად წამოსვლა... გინდა? [P] [SEP]  
თვალს მისწორებს. შევიწროვებული ბრონქების გამო სული ეხუთება, თავს აიძულებს, ისუნთქოს. მზერა შეკითხვებით, ან შეიძლება, ეჭვებითა და შიშით ავსებია, მაგრამ მაინც თავს მიქნევს. [P] [SEP]

– კი. [P] [SEP]

– გთხოვთ, გაჩერდით, – ხვნეშის როსო და ხელებს მუხლებზე



იყრდნობს, – გაქცევა გამოსავალი არაა. [P]  
[SEP]

– უნდა წავიდე, – პასუხობს ჯული. [P]  
[SEP]

– მის კაბერნე. ჯული. მამას აქ ვერ დატოვებთ. თქვენ გარდა აღარავინ დარჩენია. [P]  
[SEP]

ჯული ქვედა ტუჩს იკვნეტს, მაგრამ თვალეში ფოლადისებური სიმტკიცე გამოუკრთის. [P]  
[SEP]

– მამაჩემი მკვდარია, როსი. ერთი ეგაა, ჯერ ხრწნა არ დაუნყია. [P]  
[SEP]

ხელს იმ ხელზე მკიდებს, რომლითაც მ-ს სახე დავულენე, და ისე მძლავრად მიჭერს, მგონია, მთლად შერჩენილ ძვლებსაც მომტეხავს. მიყურებს. [P]  
[SEP]

– ნავედით, რ? [P]  
[SEP]

სხეულზე ვიკრავ. მკლავებზე ხელებს ვხვევ და ისე ვიხუტებ, თითქოს გენებს ვცვლით. პირისპირ ვდგავართ. თითქმის ვკოცნი. მაგრამ ამის ნაცვლად ორი ნაბიჯით უკან ვიხვევ და ქვემოთ ვვარდებით. [P]  
[SEP]

დაჭრილი ფრინველივით ვეცემით. ბარძაყებითა და მკლავებით ვარ გადაფარებული. მის მომცრო სხეულზე დაუცველი ადგილი თითქმის არ დავტოვე. ჯერ სახურავის შვერილს ვეჭახებით, რომლის საყრდენი მილიც ფეხში მესობა, თავში დომხალი მიტრიალებს. რომელიღაც მობილური ტელეფონის სარეკლამო ბანერში ვიხლართებით და შუაზე ვფხრენთ, ბოლოს კი, მინაზე ვებერტყებით. როგორც კი ჩემი ზურგი დიდი ხნის მონატრებული ნაცნობივით ეკვრის მინას და ჯულის სიმძიმისგან მკერდი მემნიქება, ძვლების ღრჯიალისა და ტკაცატკუცის ყურისნამღები ხმა ჩამესმის. ის გვერდზე გორდება,

სუნთქვა ეკვრის და ჰაერს ჩასაყლაპად ეპოტინება; მე ვწევარ და ცას ვუყურებ. მოვედით.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული ხელებსა და მუხლებს ეყრდნობა, ჩანთისკენ მიცოცავს და ინჰალატორს ხელის ცეცებით იღებს. ისხურებს. ცალი ხელით მიწას ეხება. როგორც კი სუნთქვის უნარი უბრუნდება, შიშჩამდგარი თვალებით იხრება ჩემკენ. ნისლში გახვეულ, ჩამავალ მზეს სახით მიჩრდილავს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– რ! – ჩურჩულებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჰეი!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნელა, ცახცახით, თითქოს სულ ახლახან ამოვალწიე საფლავიდან, ვდგები და ვბორძიკობ. სხეულს ისევ ძვლების მჭახე ხმაური ავსებს. ვიღიმები და ჩემი ხრინწიანი, ჟღრიალა ტენორით ვმღერი: <sup>[P]  
[SEP]</sup>

– შენ... სიცოცხლით და... ახალგაზრდობით მავსებ. <sup>[P]  
[SEP]</sup>

სიცილით ნყდება ადგილს და მეხუტება. ვგრძნობ, მისი შემოჭდობილი ხელებისგან როგორ უბრუნდება ზოგიერთი სახსარი თავის ადგილს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული გემოთ იყურება, პირდაფჩენილ კარს ზვერავს. ჩარჩოში როსო გამომდგარა და ჩვენ გვიცქერის. ჯული ხელს უქნევს. პოლკოვნიკი ისე სწრაფად ბრუნდება და უჩინარდება, ეტყობა, დევნის გაგრძელებას აპირებს. ვცდილობ, ამის გამო არ განვსაჯო – მისთვის ბრძანება ბრძანებაა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული და მე ქალაქში შევრბივართ. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ, როგორი მორჩილი ხდება ჩემი სხეული, ძვლები თითქოს ხელახლა

დაეწყვნენ, ნატრილობევი ადგილები პირს იკრავენ – ორგანიზმი ჩემს გამხნევენას ცდილობს. წინათ მსგავსი რამ არასოდეს მიგრძვნია. ნუთუ ესეც განკურნების თანმხლები ნიშანია? <sup>[SEP]</sup>

ცარიელ, ძველი და გამხმარი ფოთლებით მოფენილ ქუჩებში, უთვალავ ჟანგმოკიდებულ მანქანას შორის დავექრივართ. ფეხებზე გვკიდია ცალმხრივი მოძრაობაც და საგზაო ნიშნებიც. ჩვენ წინ გარეუბნის ნაწილი მოჩანს, რომლის შებალახებული გორაკიდან ქალაქის ხედი იშლება და რომელზე გამავალი ავტომაგისტრალიც კაცმა არ იცის, საით მიემართება. ჩვენამდე სტადიონის გარიბჭიდან გამომავალი სამხედრო მანქანების ბლუილიც აღწევს. ეს აღმაშფოთებელია! – წარმოთქვამენ მგეგმავთა და კანონმდებელთა ლითონისყება პირები, – იპოვეთ ის ცინგლიანი ღლაპები და ფეხქვეშ გათელეთ! ამ შეძახილისგან თავდასაღწევად გორაკის მწვერვალისკენ ავრბივართ. <sup>[SEP]</sup>

არმიას ვაწყდებით. <sup>[SEP]</sup>

მაგისტრალის ერთ-ერთ შენაკადთან, გზის პირზე დგანან, ხშირბალახიან მინდორში. ასობით არიან. ზოგი უმიზნოდ დაეხეტება და ბოლთას სცემს, ზოგი ცას მიშტერებია. ნაწილი საერთოდ არაფერს აკეთებს. ნაცრისფერ, გამოფიტულ სახეებზე უცნაური სიმშვიდე აღბეჭდვიათ. როგორც კი გვამჩნევენ, შეშდებიან, ჩვენკენ იხედებიან. თითქოს ტალღამ გადაურბინათო, ყველა ერთი მიმართულებით ატრიალებს თავს. თითქოს ვიღაცამ სმენაზე დადგომა უბრძანა. ჭული კმაყოფილი აპარებს თვალს, თითქოს მეუბნება „შეხედე ერთი!“.

უეცრად რიგებში ჩოჩქოლი ტყდება და წინ ზორბა, მელოტი, ექვსფუტნახევარი სიმაღლის ზომბი გამოდის. [P]  
[SEP]

– მ, – ვეუბნები. [P]  
[SEP]

– რ, – მპასუხობს, შემდეგ ჯულის სწრაფი თავისდაკვრით ესალმება,  
– ჯული. [P]  
[SEP]

– გამარჯობა, – მისალმებითვე პასუხობს და სიფრთხილით  
მეკვრის. [P]  
[SEP]

მდევართა საბურავების ღრჯიალი და მათი მანქანების ძრავის  
ბღუილი გვესმის. უკვე ახლოს არიან. მ მწვერვალზე ადის და მთელი  
გუნდი მიჰყვება. ჩვენ გვერდით ჩავლისას ჯული კიდევ უფრო მეხუტება.  
მათ აქოთებულ რაზმში ვიკარგებით. თავისიანად აღგვიქვამენ. ან  
თვალი მატყუებს, ან მზის სხივი, მაგრამ მეჩვენება, რომ მ-ს კანი  
ჩვეულებრივთან შედარებით ნაკლებ რუხია. ტუჩის ნარჩენებიც  
ცოცხლად უმოძრავებს. და ჩვენი ნაცნობობის განმავლობაში  
პირველად ვხედავ, რომ სუფთად გაპარსულ წვერზე სისხლი არ  
აყვია. [P]  
[SEP]

სატვირთოები ისევ ჩვენკენ მოემართება, მაგრამ როგორც კი  
მწვერვალზე შეფენილ მკვდრების ხროვას ამჩნევენ, ამუხრუჭებენ და  
შემდეგ მათი მანქანები ბრდღვინვით ჩერდებიან. მხოლოდ ოთხი  
ავტომობილით ნამოსულან – ორი ჰამერ 32-ით, ტაჰოთი და  
ესკალადეთი. ოთხივე მხედრული მწვანე ფერითაა შეღებილი. ჩვენგან  
სიშორის გამო ეს ვეებერთელა მანქანები ერთ ციციქნად მოჩანან.  
ტაჰოს კარი იღება და ნელა გადმოდის პოლკოვნიკი როსო. იარაღს



ჩაჭიდებული თვალთ ზომავს მოქანავე, უცნაური რაზმის რიგებს, შანსებს აფასებს და სტრატეგიას აწყობს. სქელმინიანი სათვალის წყალობით თვალები გაფართოებია. ნერწყვს ყლაპავს და იარაღს დაბლა ხრის. [P]  
[SEP]

– ბოდიში, როსი, – ჩასძახის ჯული და თან სტადიონისკენ იშვრს ხელს, – მაგრამ ამაში მონანილეობას ველარ მივიღებ, გასაგებია? მტკნარი ტყუილია. გვგონია, რომ იქ გამოკვეტილები თავს ვუშველით, მაგრამ ასე არაა. [P]  
[SEP]

როსო თვალმოუცილებლად მიშტერებია მის მახლობლად დარაზმულ ზომბებს, სახეში ჩასქერის. ისეთი ბებერია, ალბათ, ამ ყველაფრის დასანყისსაც მოესწრო. კარგად იცის, როგორც გამოიყურებიან მკვდრები და თუნდაც მცირე, ძლივსშესამჩნევ მინიშნებას წაანყდეს, იოლად ხვდება, თუ რამე ისე ვერაა. [P]  
[SEP]

– სამყაროს მარტო ვერ გადაარჩენ! – ყვირის, – წამოდი და განვიხილოთ! [P]  
[SEP]

– მარტო არ ვარ, – ამბობს ჯული და გარშემო მოქანავე ზომბების ტყეზე ანიშნებს, – ამათთან ერთად ვარ. [P]  
[SEP]

როსოს მტკივნეულად ეღრიცება ტუჩები, შემდეგ სალონში ხტება, კარს იჯახუნებს და მანქანას სტადიონისკენ ატრიალებს. დანარჩენებიც მას მიჰყვებიან. ოდნავი სულის მოთქმის, ძალის მოკრების საშუალება გვეძლევა, მაგრამ ვიცი, ისინი არ გაჩერდებიან. არ შეუძლიათ. დაირაზმებიან, იარაღს აისხამენ, სისასტიკითა და სიმტკიცით აღიჭურვებიან და დაბრუნდებიან. [P]  
[SEP]



თუმცა, ჩვენი შემხედვარე, ასეც უნდა იყოს. ასობით ურჩხული და ერთი ასფუნტიანი გოგო ქალაქის კიდეში ვდგავართ და თვალები ჟინით აგვნთებია. ჩვენ ფეხქვეშ დედამიწას ცეცხლოვანი სუნთქვა შეუკრავს, უამრავი თაობის ნამარხი ძვლები გვიყურებენ და ელიან. [P SEP]

მაგისტრალის შესახვევთან ვგროვდებით. ჩვენს ბურგს უკან ქალაქია, წინ კი – წვერკუთხოვანი მურყნარი ბორცვები და აეროპორტისკენ მიმავალი ნარმტაცხედებიანი გზა. ჭული გვერდით მიდგას. შეცბუნებული ჩანს. იმ მემამბოხეს აღარ ჰგავს, ვინც როსოს ეურჩა. ხელს მხარზე ვადებ და რაბმს ხმამაღლა ვაცნობ. [P SEP]

– ჭული! [P SEP]

გუნდი ჩოჩქოლებს. მესმის, როგორ უკანკანებს რამდენიმეს კბილი. [P SEP]

– ჭული! უნდა დავიცვათ. [P SEP]

ვიღაცები ცდუნებას შეუპყრია, მაგრამ რასაც უმრავლესობის თვალებში ვხედავ, შიმშილი ნამდვილად არაა. იმის მსგავსი აღტაცებაა, რომლითაც აეროპორტში ყოფნისას მიყურებდნენ, ოღონდ ახლა ასჯერ უფრო გაძლიერებული, უფრო მიზანმიმართული. ჭულის უბრალოდ კი არ უყურებენ, ყურადღებით შეისწავლიან, თვალებით ჭამენ. სხეულებში ყოველნამიერი, უცნაური სპაზმი უვლით. [P SEP]

მ ოდნავ განსხვავებულად ათვალიერებს. სახესთან თითებს ვუტკაცუნებ. [P SEP]

– კარგი, რა, – ისე მეუბნება, თითქოს უმიზეზოდ ვანყენინე. [P SEP]

ბეტონის ბორდიურზე ვჭდები, გონებას ვძაბავ. შორიდან ისევ

მოისმის როსოს სატვირთოს ხმაური. ყველანი ჩემს ნიშანს ელოდებიან. მათი მოუთმენელი მზერის ალყაში ვარ მოქცეული. თითქოს, მეკითხებიან, „აბა?!“, მე კი მინდა ავდგე და ვუყვირო, „რა აბა?!“. მე არც გენერალი ვარ, არც პოლკოვნიკი და არც ქალაქების მშენებელი. უბრალო გვამი ვარ, რომელსაც არსებობა სწყურია. [P SEP]

ჭული გვერდით ჯდება და ხელს მუხლზე მადებს. ახლალა ვამჩნევ იმ ნაკანრებსა და ჭრილობებს, იმ სიმაღლიდან თავგზეულაღებული ვარდნის სამახსოვროდ რომ შემორჩა. ლოყაც გასერვია. გედაპირული ნაკანრია, მაგრამ გაღიმებისას ტკივდება. როგორ ვერ ვიტან... [P SEP]

– დაჭრილი ხარ, – ვეუბნები, – ოღონდ არც ისე მძიმედ. [P SEP]

ვერ ვიტან, რომ ჩემ ან სხვის მიერ მიყენებული ტკივილის გადატანა უნევს; მთელი ცხოვრება ტკივილს ებრძვის. მე თითქმის საერთოდ არ მახსოვს, როგორია ტკივილი, მაგრამ საკმარისია, მის სახეზე შევამჩნიო, რომ თავადაც ვგრძნობ, თან გაცილებით უფრო მძაფრად – თვალეში მისახლდება, მნესტრავს, მწვავს. [P SEP]

– რატომ... ნამომყევი? – ვეკითხები. [P SEP]

– დასახმარებლად, ხომ გახსოვს? და შენს დასაცავადაც. [P SEP]

– ჰო, მაგრამ რატომ? [P SEP]

ოდნავ მიღიმის. ლოყაზე დამჩნეულ ჭრილობაზე ჯერ კიდევ შეუდგებელი სისხლი უბზინავს. [P SEP]

– მომწონხარ და იმიტომ, მისტერ ზომბი, – სისხლს ინმენდს, ათვალეერებსდა შემდეგ ლოყაზე მისვამს, – აჰა. ახლა ბარი-ბარში ვართ. [P SEP]

ჩემ გვერდით მჭდომ ლურჯთვალება ანგელოზს ვუყურებ, რომელიც დუჟმომდგარი მკვდრების ურდოთია გარშემორტყმული; ამ სუსტ, პატარა გოგოს, სისხლიანი ტუჩებით რომ უღიმის ბუნდოვან მომავალს. ვგრძნობ, ჩემში რაღაც იძვრის. მზერა მებინდება და სახეზე სველი ნვეთი იკვალავს გზას. თვალების წვა მიცხრება. [P]  
[SEP]

ჯული ლოყაზე მეხება და შემდეგ თავის თითს დასცქერის. ისეთი გაოცებული მიყურებს, თვალს ვერ ვუსწორებ. ვდგები და ვბურტყუნებ: [P]  
[SEP]

- აეროპორტში ვბრუნდებით. [P]  
[SEP]
- მკვდრები მ-სა და მე გვიყურებენ. [P]  
[SEP]
- რატომ? - მეკითხება მ. [P]  
[SEP]
- იმიტომ, რომ იქ... ვცხოვრობთ. იქიდან... ვინყვით. [P]  
[SEP]
- რას... ვინყვით? ომს? ჩონჩხებთან ბრძოლას? [P]  
[SEP]
- არა, ომს არა. არც... რამე ეგეთს. [P]  
[SEP]
- მაშ, რას? [P]  
[SEP]

სანამ ვდგავარ და შესაფერის პასუხს ვარჩევ, ვცდილობ, თავში მობობოქრე ხილვების ქარიშხალი დავალაგო: აეროპორტის ბნელ დერეფნებში აჟღერებული მუსიკა, სამალავიდან გამოძურნული ჩემი შვილები, გავარდისფრებულ კანს რომ იფერთხავენ, მოძრაობა, ცვლილება, - სანამ ვფიქრობ, ქალაქში ჩამონოლილ მდუმარე ჰაერს კვილი აცახცახებს - სასაკლაოზე ყელგამოღადრული ძროხის საბედისწერო, მობუყბუყე ბლავილი. [P]  
[SEP]

მაგისტრალის მხრიდან ვიღაც გვიახლოვდება. მორბის, მაგრამ

მობარბაცე ნახტომები მის ბიოლოგიურ მდგომარეობას მიმხელენ. მ ახალმოსულის შესახვედრად მიიჩქარის. მათ საუბარს ვადევნებ თვალს. ახალმოსული ხელებს იქნევს და ისეთ რამეს ანიშნებს, შიგნით რალაც მწყდება. ეგვგარეშეა, ცუდი ამბავი მოიტანა. ის შეკრებილებს უერთდება, მ კი ნელა მოდის ჩემკენ, თან თავს იქნევს. [P SEP]

– რა მოხდა? – ვეკითხები. [P SEP]

– სახლში... ვერ ნავალთ. [P SEP]

– რატომ? [P SEP]

– ჩონჩხები... შეიშალნენ. ყველა მხრიდან... იკრიბებიან. ვინც განსხვავებულია... კლავენ. [P SEP]

ახალმოსულს ვაკვირდები. რაც ერთი შეხედვით ძლიერი დეკომპოზიციის შედეგი მეგონა, სინამდვილეში, სასტიკი ჭრილობები აღმოჩნდა – უთვალავი ნაკბენისა და კლანჭის კვალი ემჩნევა. მას ბევრი მისნაირიც მოჰყვება: ზოგი გმატკეცილს მოუყვება, ზოგი – ტალახითა და ბალახით ავსილ გმისპირებს. ასობით არიან და გაფანტულად გვიახლოვდებიან. [P SEP]

– ზოგმა ჩვენნაირმა... გამოქცევა სცადა, – აგრძელებს მ, – ჩონჩხები კი... მათ მოსდევენ. [P SEP]

როგორც კი ამის თქმას ამთავრებს, თითქოს მათი სახელის ხსენებას ელოდნენო, თვით სიკვდილის ჟამთააღმწერნიც ჩნდებიან. ჭერ ერთი, შემდეგ მეორეც. საბოლოოდ, ხუთი თუ ექვსი ანონილი, თეთრი სხეული შორეული ხეების მიღმიდან გამოდის და თავს ადგება ორ გაქცეულ ზომბის. ვხედავ, როგორ ყრიან ტყვეებს ძირს და როგორ



არტყმევეინებენ თავს ასფალტზე. დევნილების ტვინი დამპალი ხილივით ინელება. ჩონჩხების გუნდი იზრდება. ხეებს გვერდს უვლიან და მაგისტრალისკენ დაშვებულ ფერდობზე ჩამოდიან. გზაზე უბარმაზარ, ჩხარუნა ბრბოდ გროვდებიან. [P]  
[SEP]

– ფუ, ამის... – ჩურჩულებს ჯული. [P]  
[SEP]

– ახალი გეგმა? – მომმართავს, თან ცდილობს, აღელვება სიმშვიდით შენიღბოს. [P]  
[SEP]

ვდგავარ და გაუბედაობას შევუპყრივარ. ფიქრებში ვეფლობი. ისევ ჯულის საძინებელში ვარ. სარეცხის გროვაზე ვწევარ, მის გვერდით. ის ამბობს: „ამქვეყნად მშვიდი ადგილი აღარ დარჩა, არა?“. უღმობლად ვუქნევ თავს და ვეუბნები, რომ მთელი მსოფლიო სიკვდილს მოუცავს. ცნობიერის სიღრმეში სამხედრო მანქანების ღმუილი ჩამესმის. ოთხზე გაცილებით მეტია. მთავარ ქუჩას მოუყვებიან. უნდათ, თავიდან მომიშორონ და ჯული იმ თავიანთ ბეტონის კუბოში გამოკეტონ, მეფის ასულივით დააბალზამონ და სამუდამოდ მბრწყინავ აკლდამაში დაასვენონ. [P]  
[SEP]

რთულ მდგომარეობაში ჩავცვივდით. აკვანსა და კუბოს შორის არსებულ სიცარიელეში გავიჭედეთ, ვერცერთს ვერ ვერგებით. [P]  
[SEP]

– ახალი გეგმა! – მაჭანჭღარებს მ, ფიქრებიდან მაფხიზლებს, – ქალაქისკენ... ნავიდეთ. [P]  
[SEP]

– იქ რა ჯანდაბა გვინდა? – ამბობს ჯული. [P]  
[SEP]

– ჩონჩხებს გავიტყუებთ. ცოცხლებმა... მიხედონ. [P]  
[SEP]

– არა! – სასტიკ უარზეა ჯული, – უსაფრთხოების ხალხი ჩონჩხებსა



და გვამებს გარჩევას არ დაუნყებს. ერთიანად დაგხოცავენ. [P]  
[SEP]

– ჩვენ... დავიშალეთ, – ამბობს მ. ქვემოთ მიმავალი მაგისტრალისკენ იშვერს ხელს და სოფლური, ერთსართულიანი სახლებითა და აბალახებული ბილიკებით შემოსაზღვრულ ფართო შარაგბისკენ მიგვითითებს; იმ დასახლების უკიდურესი ჩრდილოეთისკენ, რომელსაც ჯულიმ და მე მთელი ღამით შევაფარეთ თავი. ახლა ეს მოგონება შორეულ, კეთილ ზღაპრად მეჩვენება. [P]  
[SEP]

– რა?! იქ შევიყუჟოთ და იმის იმედად ვიყოთ, რომ უსაფრთხოების რაზმი ჩონჩხებს გაუმკლავდება? [P]  
[SEP]

მ თავს უქნევს. [P]  
[SEP]

ჯული ორ წამს ხმას არ იღებს. [P]  
[SEP]

– საშინელი გეგმაა, მაგრამ რას ვიზამთ. წამო, წავიდეთ, – გასაქცევად ტრიალდება, მაგრამ მ მხარზე ადებს ხელს. ჯული სასწრაფოდ იშორებს და უყურებს. [P]  
[SEP]

– რას აკეთებ? მეორედ არ შემეხო! [P]  
[SEP]

– შენ... რ-სთან ერთად მიდიხარ, – ამბობს მ. [P]  
[SEP]

– რა? – ვეკითხები. ვცდილობ, ყურადღება მოვიკრიბო, ის კი მშრალი, ტყვიისფერი თვალებით მიყურებს და, დაძაბული, საჭირო სიტყვებს ეძებს. [P]  
[SEP]

– ჩვენ იმ მხარეს... გავიტყუებთ. შენ გოგოს...აქეთ წაიყვან. [P]  
[SEP]

– ერთი წუთით, რა, – ჭიუტობს ჯული, – არსადაც არ წამიყვანს. რატომ უნდა დავიშალოთ? [P]  
[SEP]

მ მხარზე შერჩენილ დალილავებულ ადგილებსა და

სისხლმდინარე, ღრმა ჭრილობას უჩვენებს, შემდეგ მის ლოყაზე დამჩნეულ ნაკანრზე უთითებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– იმიტომ, რომ შენ... ნაზი ხარ, – ამბობს უჩვეულოდ თბილი, გრძნობით საცხე ხმით, – და... მნიშვნელოვანიც.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული მ-ს უყურებს. არაფერს ამბობს. როგორღაც, ამ ზღვა ხალხისგან მოშორებით აღმოვჩნდით. ყველანი ჩვენ გველოდებიან. ჩონჩხები უკვე ისე ახლოს არიან, რომ მათი ჩხრიალი, ძვლადქცეული ფეხების ფხაკუნი და მათი მკვებავი ბნელი ენერგიის – მათ ძვლებში მოთუხთუხე ძვლის ტვინის – ხმადაბალი, გაბმული ზუზუნი გვესმის.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მ-ს თავს ვუქნევ. საპასუხოდ ისიც ასე იქცევა. ჯულის ხელს ვკიდებ. ოდნავ მიძალიანდება, მზერა რაზმისკენ აქვს მიპყრობილი. შემდეგ ტრიალდება და მე მიყურებს. გავრბივართ. ფერდობზე დაშვებისას მ და დანარჩენები ჩვენი თვალთახედვიდან უჩინარდებიან. გარეუბნის მომცრო ქუჩებს მივუყვებით. ჩემს თავში ჩაბუდებული ძველი აჩრდილები ძილიდან ერკვევიან, ახლომახლო დაფარფატებენ და მგზნებარედ გვამხნევენ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

უცნაური, აქამდე გაუგონარი მოვლენის მოწმენი ვართ. მოგონებები ანმყოს ფეხს ვერ უწყობს; ისტორიას შეზღუდული შესაძლებლობები აქვს. ნუთუ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ შუა საუკუნეების ექიმბაშები ვართ, რომლებსაც ხალხის განსაკურნად მარტო ნურბელები აბადიათ? უფრო დიადი ცოდნის, მეცნიერების მიღების წყურვილით ვიტანჯებით. უნდა დამტკიცდეს, რომ ვცდებოდით.<sup>[P]  
[SEP]</sup>

რამდენიმე ნუთმი უკვე ბრძოლის ხმა გვესმის. ტყვიამფრქვევის გუგუნი ვინრო ქუჩებში ექოდ ვრცელდება. აფეთქებების მოგუდული ხმა მკერდში შორეული მუსიკის ბანებივით გვირტყამს. აქა-იქ ჩონჩხის შორეული, განმგმირავი და ყურისნამღები კვილი ისე ვრცელდება, როგორც ელექტროდენი წყალში. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ერთ-ერთ მათგანში ხომ არ დავიმალოთ? – მეუბნება ჯული და მეტალისა და აგურისგან აგებულ რამდენიმე შენობაზე მიმითითებს, – იქ მოვიცადოთ, სანამ ყველაფერი ჩანყნარდება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვეთანხმები, მაგრამ მაინც ქუჩაში ვდგავარ და ვყოყმანობ, არ ვიცი, რატომ. დამალვის მეტი რა დამრჩენია? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული უახლოეს შენობასთან მირბის და კარს ექაჩება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– დაკეტილია, – ამბობს და ქუჩის მეორე მხარეს საცხოვრებელ კორპუსთან მირბის, – ესეც დაკეტილია, – შემდეგ ქვიშაქვით ნაგებ შენობას უახლოვდება და კარის სახელურს აჩხაკუნებს, – ეს შეიძლება... – მის ზემოთ ფანჯარა იმსხვრევა; ჩონჩხი კედელზე ობობასავით მოცოცავს და ჯულის ზურგიდან ესხმის თავს. ქუჩას სწრაფად ვკვეთ და ჩონჩხს ხერხემალში ხელს ვავლებ, რომ ჯულის მოვაშორო, მაგრამ მტრის ნვეტიანი თითები გოგოს ხორცში ნესტარვიით ღრმად ესობა. თავის ქალას ორივე ხელს ვუჭერ და ვცდილობ, მისი დაფჩენილი კბილები ჯულის კისრამდე არ მივუშვა. ყელის დამჭკნარი მყესების მიუხედავად, ეს არსება დაუჭერებლად ძლიერია. მისი ყბები ტკაცუნით მიიწევენ გოგოსკენ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კედელს... მიეჭახე! – ვუყვირი ჯულის, ისიც უკან ბარბაცით იხევს

და ჩონჩხს აგურის კედელზე ახეთქებს. ჩონჩხის დაჭიმულობა მცირე ხნით დუნდება, რაც ჩემთვის საკმარისია, რომ კისრის მოგრეხით თავი მოვაძრო და კედელს ძლიერად მივახეთქო. თავის ქალა ტყდება. ჩემს ხელებს შორის მოქცეული უთვალო სახე თითქოს პირდაპირ მიყურებს. მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად დაკრეჭილი იერი არ ეცვლება, გონებაში მესმის მისი განრისხებული კივილი: [P SEP]

შეჩერდი. შეჩერდი. ჩვენ ყველაფრის ბოლო საფეხური ვართ. [P SEP]

ისევ კედელს ვახეთქებ. თავის ქალა კიდევ უფრო ფართოდ იხსნება და ჯულის ჩაჭიდებული მისი ხელები დუნდება. [P SEP]

შენ ერთ-ერთი ჩვენგანი გახდები. ჩვენ გავიმარჯვებთ. ყოველთვის ვიმარჯვებდით, ყოველთვის გავ... [P SEP]

ასფალტზე ვაგდებ და წიხლს სახეში მთელი ძალით ვაბეღ. ძვლები ფართხალს წყვეტენ და მიწაზე ჩხრიალით ეშვებიან. ბზუილი წყდება. [P SEP]

ის-ისაა ვაპირებ, ჯულის ხელი ჩავჭიდო და ყავისფერი შენობის მორყეული კარით შიგნით შევალწიო, რომ ჩემთვის აქამდე უცხო რაღაც ხდება. ჩემ ფეხქვეშ თავის ქალა ტოკავს და სანამ დატყლელი ტვინი იშლება, მისი ყბები ფართოდ იხსნება და დაჭრილი გოტის მოთქმის მსგავს საცოდავ, სამგლოვიარო კივილს უშვებს. ამ ხმას არაფერი აქვს საერთო ჩონჩხების ბუზუნთან, მათი საყვირის კივილთან ან მათ გამყინავ ხმასთან. შეძრწუნებული ვფიქრობ, ნუთუ ეს იმ ადამიანის ხმაა, რომელსაც ოდესღაც ეს ჩონჩხი ეკუთვნოდა? სიცარიელეში გამოთავისუფლებული გამომშრალი სულის უკანასკნელი ამოსუნთვა? თმა ყალყზე მიდგება, ჯული კანკალებს.



თითქოს ამ შესაბრალისი კენესის საპასუხოდ, შორეულ ქუჩებზე ხმაური მატულობს. ჩხარუნი ყველა მხრიდან სულ უფრო ხმამაღლა ისმის. გარსშემოვლებული სარტყელი თანდათან ვინროვდება. თვალის კუთხით მცირე მოძრაობას ვამჩნევ და თავს ზემოთ ვწევ. ყველა შენობის ფანჯრები ცარიელი სახეებითაა ამოვსებული. მათი გაშიშვლებული კბილები შუშებს მიღმა იღმიჭებიან და ქვემოთ კომმარული მსაჯულებივით ჩამოგვცქერიან.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– რა ხდება? – მეკითხება შეშინებული ჯული და სახეზე უძლურება ემჩნევა.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

არ მინდა, ვუპასუხო. ვშიშობ, რომ უკვე ზღვარზეა, ჩემიპასუხი კი იმედისმომცემი ნამდვილად არ არის. მაგრამ ფანჯრებს მიღმა ამ თვითკმაყოფილი თავის ქალების შემხედვარე, სხვას ვერაფერს ვასკვნი.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მგონი, მათ... ჩვენ ვუნდივართ, – ვპასუხობ ჯულის, – მე და შენ. იციან... ვინც ვართ.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ვინ ვართ?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– ისინი, ვინც... ეს ყველაფერი დაინყო.<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

– მეკაიფები? – ფეთქდება და თვალეებით ქუჩას ათვალიერებს, საიდანაც ჩხარუნა მარში ახლოვდება, – იმას მეუბნები, რომ ამ რალაცებს ჩვენი ჯავრი სჭირთ? ჩვენს ხელში ჩაგდებას აპირებენ იმიტომ, რომ მათ სულელურ აეროპორტ-მოჩვენებაში შემთხვევით პატარა აყალმაყალი მოვანყვეთ?<sup>[P]<sub>SEP</sub></sup>

ჯული, ჯული, ჩემს გონებაში ჩურჩულებს პერი და მესმის, როგორ



ილიმის. შემომხედე, პატარა. შეხედე რ-ს სახეს და ნაიკითხე. ეს ჯავრი არ არის. ეს არსებები მეტისმეტად პრაგმატულები არიან იმისთვის, რომ უბრალოდ შურისძიებისთვის ინვალონ. მოგდევენ არა იმიტომ, რომ ეს ყველაფერი შენ დაიწყე, არამედ იმიტომ, რომ იციან, შეგიძლია ყველაფერი დაამთავრო. [P]  
[SEP]

მოულოდნელად გაელვებული აზრისაგან ჯულის პანიკური გამოხედვა ერთ ნამს იყინება. [P]  
[SEP]

– ღმერთო, – ჩურჩულებს. მე თავს ვუქნევ, – მათ ჩვენი ეშინიათ. [P]  
[SEP]

– დიას. [P]  
[SEP]

ცოტა ხანს ფიქრობს, შემდეგ სწრაფად მიქნევს თავს და მიწას ჩასცქერის; ტუჩს იკვნეტს და თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. [P]  
[SEP]

– კარგი, – ამბობს ბოლოს, – კარგი, კარგი, კარგი, გავიგე. ნავედით. [P]  
[SEP]

ხელს მკიდებს და გარბის. პირდაპირ იქით გარბის, საიდანაც ჩვენკენ მომავალი ხროვის ხმა ისმის. [P]  
[SEP]

– რას... აკეთებ, – უკან ქოშინით მივყვები. [P]  
[SEP]

– ეს მთავარი ქუჩაა, – მპასუხობს ნაბიჯის შეუნელებლად, – როცა სახლში ვბრუნდებოდი, მამაჩემის ჯარისკაცები აქ დამხვდნენ. ზუსტად იმ კუთხის უკან უნდა იყოს... [P]  
[SEP]

და ის ნამდვილად იქ არის. ძველი, ნითელი მერსედესი შუა ქუჩაშია გაჩერებული, უბრალოდ, თავისთვის დგას და ერთგული მძღოლივით გველოდება. სამი კვარტლის იქით კი ჩონჩხების პირველი მწკრივი მოჩანს; ქუჩაში ტალღასავით მოქრიან და ჩვენკენ მოემართებიან.

მანქანაში ვხტებით, ჭული ქოქავს, საპირისპირო მხარეს ბლუილით ტრიალდება და ქალაქის უკანასკნელ საავტომობილო საცობში – მანქანებით დანაგვიანებულ ქუჩაში გზას მიიკვლევს. ჩონჩხები უკან მოგვდევენ, გრძელი ნახტომებით თავად სიკვდილისთვის დამახასიათებელი მიზანსწრაფულობით მოემართებიან, მაგრამ მაინც ვშორდებით. [P]  
[SEP]

– სად... მივდივართ? – ვეკითხები. ასფალტის ორმოები ყბებს ერთმანეთზე მაცემინებს. [P]  
[SEP]

– უკან, სტადიონისკენ. [P]  
[SEP]

თვალეზგაფართოებული ვუყურებ. [P]  
[SEP]

– რა? [P]  
[SEP]

– თუ ჩონჩხები ჩვენ მოგვდევენ, კონკრეტულად ჩვენ, მაშინ იქამდეც გამოგვევიდებიან, ხომ ასეა? დანარჩენ შენს ხალხს თავს დაანებებენ და გამოგვეყვებიან. შეგვიძლია პირდაპირ კარიბჭეებთან მივიტყუოთ. [P]  
[SEP]

– და... მერე? [P]  
[SEP]

– ჩვენ შიგნით დავიშლებით, სანამ უსაფრთხოების სამსახური მათ მიხედავს. შანსი არაა, რომ სტადიონის კედლებს შიგნით შეაღწიონ, თუ ფრენა არ იციან ან რამე ვგეთი, – დაეჭვებული ჩემკენ იხედება, – ფრენა არ იციან, ხო? [P]  
[SEP]

საქარე მინას ვუყურებ და მანქანის ტორპედოს ვეჭიდები, რადგან ჭული ნანგრევებადქცეულ ქუჩაში მეტისმეტად საშიში სიჩქარით მიქრის. [P]  
[SEP]

– უკან, სტადიონისკენ, – ვიმეორებ. [P]  
[SEP]

– ვიცი, რასაც ფიქრობ. შენთვის იქ დაბრუნება თვითმკვლევლობას  
ჰგავს, მაგრამ, მგონი, გამოვძვრებით.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– როგორ? მამაშენი...<sup>[P]  
[SEP]</sup>

– მამაჩემს შენი მოკვლა უნდა, ვიცი. უბრალოდ ის... რაღაცებს  
ვეღარ ამჩნევს. მაგრამ ვფიქრობ, როსი შეამჩნევს. ჯერ კიდევ მაშინ  
ვიცნობდი, როცა ბავშვი ვიყავი; ჩემთვის ბაბუასავითაა და ნამდვილად  
ვიცი, იმ სათვალის მიუხედავად, ბრმა არ არის. დარწმუნებული ვარ  
მიხვდება, რაც ხდება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

მიხვეულ-მოხვეულ ვინრო ქუჩებში ჩონჩხებს ვკარგავთ; შემდეგ ისევ  
მთავარი ქუჩისკენ ვუხვევთ და პირველი დერეფნის დაუმთავრებელ  
ნაწილს ვაღწევთ. ბეტონის კედლებს შორის მოქცეული ქუჩა აქედან  
უკვე მანქანებისგან და ნანგრევებისგან თავისუფალია და ასაფრენი  
ბილიკივით პირდაპირ სტადიონისკენ მიემართება. ჯული ზედა  
სიჩქარეში რთავს და სისწრაფეს იქამდე უმატებს, ვიდრე უძველესი  
ძრავა ღმუილს არ იწყებს. პორიზონტის ხაზზე სტადიონის სახურავი  
ჩნდება და მონოლითური ურჩხულივით თანდათან იყალყება. პირში  
შემომიძვრით, გვიწვევს თავისთან, მოდით, ბავშვებო, ჩემი კბილების  
ნუ შეგეშინდებათ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ქალაქის შუაგულში ფრენით გავურბივართ ფეხდაფეხ მდეგარ  
მოჩხარუნე სიკვდილს და წინ ჩასაფრებული, ოდნავ უფრო ნაკლებად  
გარდაუვალი, სიკვდილისკენ მივისწრაფით. უცებ ნაცნობი ხმები  
გვესმის. დიდი ძრავების გრუხუნი და იარაღების ჭახანი ახლა უკვე  
ახლოდან ისმის და არა წელანდელივით მოგუდულად. დერეფნის

კედლები თანდათან ჩამოშლილი ბეტონის ნანგრევებითა და გადაღუნული არმატურით იცვლება, თვალწინ ფართო ხედი გვეშლება და მე და ჯული წინ თავბარდაცემულები ვიხედებით.<sup>[15]</sup>

ქალაქ-სტადიონი უკვე ალყაშემორტყმულია. თითქოს ჩვენი გეგმა წინასწარ იცოდნენო, ჩონჩხების ცალკეული ნაკადები ქალაქის სხვა ნაწილებიდან მოისწრაფიან, მანქანებს გემოდან ახტებიან და დაჩონჩხილი კატებივით ოთხზე მორბიან. უსაფრთხოების სამსახური ჯერჯერობით კარგად მუშაობს, ტყვიები და ბომბები შემტევთა წინა ხაზებს ცელავენ და შუქნიშნების ბოძებს ძირიანად თხრიან. მაგრამ ჩონჩხების რიგები ყველამხრიდან ისე სწრაფად ივსება, რომ ჩვენ უკან მოახლოებული ჯგუფის დახმარება არც კი სჭირდებათ. ის ეპიზოდი მახსენდება, როდესაც ამ მანქანაში ბოლოს ვიჯექი: ფრენკისა და ავას რომანის ოქროს ხანა, მხიარული რბოლა, დაბურთული კვირტები, ჩიტების გალობა და ფერადი კინოს ფერებში გამომკრთალი მოლიმარი თვალები. ნუთუ ეს მოგიზგიზე ჯოჯოხეთი, რომლის დემონების ხროვაც კლანჭებით ჩვენს მიტაცებას ცდილობს, მთელი ეს ხანი აქ იყო, უბრალოდ ჩვენ ვერ ვამჩნევდით?<sup>[16]</sup>

შეცდომაა, ეს ყველაფერი არ უნდა ხდებოდეს. მზარდ ურდოს ისე შევცქერი, თითქოს მოსიარულე გვამი აქამდე არ მინახავს. საიდან მოდიან? რამდენადაც ჩვენი გახრწნის პროცესს ვიცნობ, ვერაფრით ვხვდები, ამდენნი საიდან მოგროვდნენ. როგორც წესი, წლები სჭირდება იმას, რომ ხორცი მთლიანად შემოგვადნეს. თუნდაც რაღაც მონოდების სიგნალის საპასუხოდ მოსულიყვნენ მეზობელი



ქალაქიდან... ამდენნი მაინც არ უნდა იყვნენ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ნუთუ ეს ეპიდემიის ახალი სახეა? უფრო ძლიერი, უფრო ბოროტი ფორმა, რომელმაც ძალა და სისწრაფე შეიძინა? ნუთუ ჩვენს ქვიშის საათში ყელი ფართოვდება?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯული შიშხამდგარი თვალებით მიყურებს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– როგორ ფიქრობ...<sup>[P]  
[SEP]</sup>

– არ გინდა, – ვპასუხობ, – გზა განაგრძე. გეგმის შეცვლა... გვიანია.

<sup>[P]  
[SEP]</sup>

გზას აგრძელებს. ყუმბარების დანატოვარ კრატერებს გვერდს უქცევს, ბორდიურებს ახტება, ტროტუარზე მიქრის და შემხვედრ ჩონჩხებს გავემებული ლოთი მძლოლივით სრესს. მოხდენილი მერსი უკვე ისე გამოიყურება, თითქოს სულ ახლახან საშინელი ავტოკატასტროფა შეემთხვა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– აი, იქ! – ყვირის მოულოდნელად, – ის არის!<sup>[P]  
[SEP]</sup>

სიჩქარეს კიდევ უფრო უმატებს, გებს კარიბჭისკენ იღებს და მანქანის საყვირით გაბმულად ასიგნალებს. მიახლოებისას პოლკოვნიკ როსოს ვცნობ; მთავარ შესასვლელთან დგას და ჭავჭავიანი ჭიპების ბარიკადის უკნიდან ბრძანებებს გასცემს. ჯული მათ ცხვირწინ ღრჭიალით ამუხრუჭებს და მანქანიდან ხტება.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– როსი! – ყვირის და კაცისკენ გარბის, მეც კვალდაკვალ მივდევ, – შეგვიშვი, შიგნით შეგვიშვი!<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჯარისკაცები ავტომატებს ამზადებენ და ჯერ მე მიყურებენ, შემდეგ როსოს. ვემზადები ტყვიისთვის, რომელიც ტვინს გამიხვრეტს და ამ



ყველაფერს დაასრულებს. მაგრამ როსო ჯარისკაცებს ხელის აქნევით ანიშნებს და ისინიც იარაღს დაბლა უშვებენ. კარისკენ მივრბივართ, ჯარისკაცები ჩვენ გარშემო წრეს კრავენ და ჩვენს მდევრებს უმიზნებენ.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მის კაბერნე, – ამბობს თავგზააბნეული როსო, – სამყარო უკვე გადაარჩინეთ?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მთლად ბოლომდე ვერა, – ქოშინებს ჯული, – გარკვეულ წინააღმდეგობას წავანყდი.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– ვხედავ, – ამბობს პოლკოვნიკი და დერეფნის ნარჩენებში მოზვირთებული ბინძური, ყვითელი ძვლების არმიას აკვირდება.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მათთან გამკლავებას შეძლებთ, ხომ?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მგონი, კი, – ჯარისკაცებს უყურებს, რომლებიც მომხდურთა პირველ ტალღას ცელავენ და ფაციფუცით ცდილობენ, მეორის მოვარდნამდე იარაღი გადატენონ, – იმედი მაქვს, კი, – მასიური კარის გაღებას იწყებს, შემდეგ ჩერდება და მე მიყურებს, – მართალია, რაც მამაშენმა თქვა? – ეკითხება ჯულის ძალზე წყნარი ხმით, – ეს ბიჭი მართლა ისაა, რაც მე მგონია?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– შეგვიშვი, როსი, ის ჩემი მეგობარია.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– მცველი მან მოკლა?<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

ჯულის პოლკოვნიკის დაძარღვულ ხელს ეჭიდება და ძლიერად უჭერს.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

– როსი, გთხოვ, გთხოვ, ახლა უბრალოდ მენდე.<sup>[P]<sub>[SEP]</sub></sup>

როსოს მეორე ხელი კარზე აქვს ჩაჭიდებული და ისე მიყურებს. მის

მოჭუტულ თვალებში რამის ამოკითხვა შეუძლებელია. მეც თვალს არ ვაცილებ. ხმისამოუღებლად, სანახევროდ ალებს კარს და გვერდით დგება. ჭული ლოყაზე კოცნის და ნაპრაღში ძვრება. მე ზღურბლზე ვჩერდები. მე და პოლკონიკი ერთ ნამს მზერებს ცვვლით, შემდეგ თავს ვუკრავ, ისიც იგივე ჟესტით მპასუხობს და ჭულის მივყვები. [SEP]

• • • [SEP]

ისევ სტადიონზე, ვირთხის სოროსავით ვინრო ქუჩებში გავრბივართ. ამ დევნილობაში საერთოდ აღარ დავეძებთ, საით წავალთ. ჭული წინ გარბის, ქუჩაში გაკრულ აბრებს ათვალიერებს და შესახვევებს არჩევს. გაჭირვებით სუნთქავს, თუმცა საინჰალაციოდ მაინც არ ჩერდება. სისხლითა და ჭუჭყითაა მოთხვრილი, ტანსაცმელი შემოდონძია, ფილტვები ხავილით ვესება. ასე ძალიან ერთმანეთს არასოდეს ვმგვანებივართ. [SEP]

– საით... მიდიხარ? – ვეკითხები. [SEP]

დიდ ეკრანზე მითითებს, რომელზეც ნორას სახე ციმციმებს და წარწერაც მოჩანს. [SEP]

ნორა გრინი [SEP]

შეიარაღებული თავდასხმა [SEP]

დააკავეთ დანახვისთანავე [SEP]

– მას ვჭირდებით, – ამბობს ჭული, – რაც უნდა მოხდეს, მინდა, რომ ის ჩვენ გვერდით იყოს, და არა რომელიმე საკანში ყურყუტებდეს. [SEP]

ნორას უბარმაზარ, პიქსელებად დანანევრებულ სახეს ვუყურებ. მისი სანდომიანი ღიმილი ძებნილის პოსტერისათვის სრულიად

შეუფერებლად გამოიყურება. [P]  
[SEP]

– ამის გამო... დავბრუნდით? – ჭულის კეფას ველაპარაკები, – მის დასახმარებლად? [P]  
[SEP]

– ნანილობრივ, ეგეცაა. [P]  
[SEP]

ძლივსშესამჩნევი ღიმილი უნათებს სახეს. [P]  
[SEP]

– შენ... რაღაც გაქვს ჩაფქრებული, – ვცდილობ, ხმაში რაც შეიძლება მეტი შემპარავობა ჩავაქსოვო, – მართო დასამალად... არ ხარ მოსული. [P]  
[SEP]

– მეგონა, აქ აღარასდროს დავბრუნდებოდი, – მეტს არაფერს მეუბნება. ნაბიჯს არ ანელებს. [P]  
[SEP]

სტადიონის განაპირა კედლამდე მივდივართ, გარს შემოვლებულ კედელს მივუყვებით. ჩვენ თავზემთ დახვავებულ ბეტონის ბლოკებს ლითონის მსხვილი ბაგირი აკავებს. ქარის ყოველ ნამოქროლვაზე შენობები აქეთ-იქით იხრებიან და ჭრიალებენ; ბაგირიც იჭიმება და ფანტასტიკური ლაზერების მსგავსად ზუის. ჭუჭყიან ქუჩებში არავინაა. უსაფრთხოების ყველა ჭკუფი, ალბათ გარეთაა და ჩონჩხებს ებრძვის, მოსახლეობა თავთავიანთ ხუხულებში იქნება შემძვრალი და ელოდება, როდის დასრულდება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება. მგეს ღრუბლები შემოსჭარვია და ადრეული საღამოს ცა მუქ ფორთოხლისფრად ანათებს. თითქმის მშვიდობიანი ადგილია, რომ არა გარეთ მებრძოლი არმიების ხმაური, რომელიც კედელს მიღმიდან მოქიშპე მეზობლების შეხლა-შემოხლად მოისმის. [P]  
[SEP]

– მგონი ვხვდები, ნორა სადაც იქნება, – ჭულის ჩაბნელებულ

ზღურბლთან მივყავარ, – ადრე კედლებზე დავძვრებოდით ხოლმე. პრესტიჟულ ლოჟებში ვსხდებოდით და წარმოვიდგენდით, რომ ცნობილი ხალხი ვიყავით. სამყარო მაშინ უკვე თითქმის დაღუპული იყო, ამიტომ იმაზე ოცნებაც კი გვახარებდა, რომ კიდევ რამეს წარმოვადგენდით. [P]  
[SEP]

კიბეების რანდენიმე, გრძელ წყებას უკან ვიტოვებთ და ზედა იარუსზე ავდივართ. კართა უმეტესობა დაღუქულია, მაგრამ ჯული მათ ყურადღებას არ აქცევს. კედელში დარჩენილ ვიწრო გასაძრომთან მიდის, რომელიც პლასტმასის ფირფიტით დაუფარავთ. ამ ნაპრალში ვძვრებით. [P]  
[SEP]

სტადიონის გამორჩეულ ლოჟაში ვართ. ნამსხვრევებად ქცეული შუშის მაგიდების ირგვლივ ძვირფასტყავგადაკრული სავარძლები დგას. ვერცხლის ლანგრებს გამომშრალი ობი მოსდებია. ბარის დახლზე ჩამწკრივებული სასმისები ერთგული შეყვარებულებით ელოდებიან შემდეგი კლიენტის მოსვლას და არ იციან, რომ საპირფარეშოდან აღარავინ გამოვა. [P]  
[SEP]

ნორა უბარმაზარ შუშასთან ზის, რომელიც სტადიონის შორეულ კუთხეს გადაჰყურებს. ღვინის ბოთლი უჭირავს და სვამს. შესვლისას გვიღიმის. [P]  
[SEP]

– ნახეთ, – დიდ ეკრანზე ისევ მისი სახე ციმციმებს, – ტელევიზორში მაჩვენებენ. [P]  
[SEP]

ჯული მისკენ გარბის და ეხვევა. ცოტაოდენი ღვინოც ეღვრებათ. [P]  
[SEP]

– კარგად ხარ? [P]  
[SEP]

– ჰო, აბა რა. რატომ დაბრუნდი?<sup>[P][SEP]</sup>

– არ გაგიგია, გარეთ რა ხდება?<sup>[P][SEP]</sup>

შეკითხვას ყუმბარის აფეთქების ხმა აბოლოებს.<sup>[P][SEP]</sup>

– ჩონჩხების არმიაა?<sup>[P][SEP]</sup>

– ჰო, მე და რ-ს მოგვდევდნენ. ჩვენზე ნადირობენ.<sup>[P][SEP]</sup>

ნორა ხელს მიქნევს.<sup>[P][SEP]</sup>

– გამარჯობა, რ.<sup>[P][SEP]</sup>

– გაგიმარჯოს.<sup>[P][SEP]</sup>

– ღვინოს ინებებ? 86 წლის Mouton Rothschild-ია. შესანიშნავი

ჩამოსხმაა, მაგარი გემრიელი თაიგულით.<sup>[P][SEP]</sup>

– არა, მადლობა.<sup>[P][SEP]</sup>

მხრებს იჩეხს და მზერა ისევ ჭულიზე გადააქვს.<sup>[P][SEP]</sup>

– თქვენზე ნადირობენ? რატომ?<sup>[P][SEP]</sup>

– ჩვენი ამრით, იციან, რასაც ვაპირებთ.<sup>[P][SEP]</sup>

პაუზა.<sup>[P][SEP]</sup>

– ასეთს რას აპირებთ?<sup>[P][SEP]</sup>

– რა ვიცი. სამყაროს გამოსწორებას.<sup>[P][SEP]</sup>

ნორას ზუსტად ის იერი ედება, რაც მ-თან წუხანდელი საუბრისას ჭულის სახეზე მახსოვს, როცა ისეთი ამბები გაიგო, რომლებზეც არც კი უფიქრია.<sup>[P][SEP]</sup>

– მართლა? – თითებით ღვინის ბოთლს ათამაშებს.<sup>[P][SEP]</sup>

– ჰო.<sup>[P][SEP]</sup>

– როგორ?<sup>[P][SEP]</sup>



– ჯერ არ ვიცით. ვაპირებთ ვცადოთ. ცდისას გამოჩნდება, გამოვა რამე თუ არა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ამ დროს დიდი ეკრანი ქრება. სტადიონის სახურავთან დამაგრებული უშველებელი დინამიკები ხრიალს იწყებენ. ნაცნობი ხმა ზეცას შეშლილი ღმერთის ძახილივით აპობს.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჯული, ვიცი, რომ ქალაქში ხარ. თავქარიანობა მალე გაგივლის. ვერ მოგცემ იმის ნებას, დედაშენივით მოიქცე. სათუთ ხორცს მტკიცე კბილებით გლეჯენ. ის იმიტომ დაიღუპა, რომ სუსტად დარჩენა ამჯობინა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ვხედავ, როგორ მიშტერებიან ქალაქში შემორჩენილი მცველები ხმის გამაძლიერებლებს, შემდეგ დაბნეულები გადახედავენ ერთმანეთს. ხმაზე ეტყობა, რომ მათ მეთაურს რაღაც დაემართა.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ჩვენს სამყაროს უტევენ და შეიძლება, ეს ჩვენი სიცოცხლის უკანასკნელი დღეებიც კი იყოს, ჯული, მაგრამ ჩემთვის მთავარი შენ ხარ. გხედავ.<sup>[P]  
[SEP]</sup>

ამ სიტყვების დასრულებისთანავე ზურგით ავის მომასწავებელ მზერას ვგრძნობ. ვტრიალდები. სტადიონის საპირისპირო ბოლოში კომენტატორის ჭიხურის შუშასთან მდგომი კაცის სილუეტს ვარჩევ. კაცს მიკროფონი აქვს ჩაბღუჯული. ჯული უშინაარსოდ იყურება სივრცეში.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– პრინციპები მაშინაც კი ცოცხალი რჩება, როცა ყველაფერი არსებული იღუპება და ხრწნას იწყებს. პრინციპს ვერ ვუღალატებ. მსურს, ყველაფერი ისევ ძველებურად იყოს. დამელოდე, ჯული, მალე

მოვალ. [P]  
[SEP]

დინამიკები ტკაცუნით ითიშება. [P]  
[SEP]

ნორა ღვინის ბოთლს ჯულის უნჯდის. [P]  
[SEP]

„ლ'ცჰაიმ“, – ამბობს წყნარად. [P]  
[SEP]

ჯული სვამს და ბოთლს მე მაძლევს. მეც ვსვამ. ღვინის ღია ნითელი სულები ჩემს მუცელში ცეკვავენ, ოთახის მოქუფრულ გარემოს მაეინყებენ. [P]  
[SEP]

– ახლა რა ვქნათ? – კითხულობს ნორა. [P]  
[SEP]

– არ ვიცი, – მოკლედ უჭრის ჯული, – ამბობე არ ვარ. [P]  
[SEP]

ბოთლს მართმევს და გრძელ ყლუპს იყუდებს. [P]  
[SEP]

ისევ შუშასთან ვდგავარ და ქვემოთ გადაშლილ ქუჩებსა თუ სახურავებს გადავცქერი – ნამდვილი ქალაქის მინიატურული პაროდიაა. ყელში ამომივიდა აქაურობა. მთელი ეს ვინრო ოთახები და სულისშემხუთავი დერეფნები. მეტი სივრცე მჭირდება. [P]  
[SEP]

– სახურავგზავიდეო, – ვთავაზობ. [P]  
[SEP]

ორივენი მე მიყურებენ. [P]  
[SEP]

– რატომ? – მეკითხება ჯული. [P]  
[SEP]

– იმიტომ, რომ... სხვაგან აღარაა წასასვლელი. და თან მომწონს იქ ყოფნა. [P]  
[SEP]

– იქ რომ არასოდეს ყოფილხარ? – მეუბნება ჯული. [P]  
[SEP]

თვალეებში ჩავცქერი. [P]  
[SEP]

– ვყოფილვარ. [P]  
[SEP]

ხმას არ იღებენ. [P]  
[SEP]

– კარგი, წავიდეთ, – ამბობს ნორა და დაბნეულად გადააქვს მზერა ჯულიზე, – ალბათ, იქ ჩვენი მოძებნა ყველაზე ბოლოს მოუვათ აზრად, ამიტომ იქაურობა... არ ვიცი... დროს მოგვაგებინებს. [P] [SEP]

ჯული თვალს არ მაცილებს, ისე გვიქნევს თავს. ჩაბნელებულ დერეფანს მივუყვებით, რომელიც უფრო და უფრო ვინროვდება და ტექნიკურ ნაკვეთურს ემსგავსება. კიბესთან ვჩერდებით. ზემოდან სინათლის თეთრი სხივი იჭრება. [P] [SEP]

– ამაზე აძრომა შეგიძლია? – მეკითხება ნორა. [P] [SEP]

კიბეს ვეჭიდები და ასვლას ვცდილობ. ცივ ლითონზე შეხებისას ხელები მიკანკალებს, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი რიგზეა. ცოტათი ზევით კიდევ ავდივარ და ძირს დარჩენილ გოგოებს ვუყურებ. [P] [SEP]

– კი, – ვამბობ. [P] [SEP]

ისინიც მომყვებიან. მე ავდივარ, კიბებზე მივცოცავ, საფეხურებს ისე მივუყვები, თითქოს ცხოვრებაში ამის მეტი არაფერი მიკეთებია. ხასიათზე მომიყვანა, ესკალატორებსაც კი სჯობს. ჩემი უგრძნობი ხელები ზემოთ, სინათლისკენ მიმათრევენ. [P] [SEP]

კარში ვძვრებით და უკვე სახურავზე ვართ. გლუვ პანელებს ჩამავალი მზის შუქზე ლაპლაპი გააქვთ. სახურავიდან ამოშვებული საყრდენი ძელები სკულპტურებივით მოუხრიათ. პლედიც აქვეა – ალბათ, ღია ცის ქვეშ უამრავი კვირის გატარების შემდეგ წვიმამ დაანესტიანა და დააობა, მაგრამ მაინც ზუსტად იმგვარად გამოიყურება, როგორც ხილვებში მინახავს: თეთრ სახურავზე შერჩენილ ღია წითელ ლაქად. [P] [SEP]

– ღმერთო ჩემო... – ჩურჩულებს ნორა და ქალაქს გადასცქერის. ქვემოთ მიწას მთლიანად ფარავს ჩონჩხების ურდო, რომელიც სიდიდით უსაფრთხოების ჭკუფის დარჩენილ ნევრებს ბევრად აღემატება. ნუთუ რამე არასწორად გამოვთვალეთ? სადმე შევცდით? წარმოვიდგენ, რომ ჩონჩხებმა კედლები გადალახეს და ქალაქში შეზვირთდნენ, რათა ყველანი გაანადგურონ, და ყურებში მიგუგუნებს მოზვიმე გრიჯოს ნიშნის მოგებით აღსავსე ხმა: მეოცნებებო. უტვინო ბავშვებო. კბილებდაკრეჭილო, უსაქმურო ტრანიანებო. ეგეც თქვენი ნათელი მომავალი და საქარინნარევი იმედები, რომელიც თქვენთვის ძვირფასი ადამინების კისრიდანაა ჩამონურული. აბა, როგორ მოგწონთ, ტკბილი ყოფილა?<sup>[P]  
[SEP]</sup>

– პერი! – ვუხმობს ჩემს ცნობიერს, – აქ ხარ? რა ვქნათ?<sup>[P]  
[SEP]</sup>

ჩემი ხმა ისე გუგუნებს, როგორც ჩაბნელებულ, ცარიელ ტაძარში – მლოცველის გალობა. პერი ჩუმადაა. ვუყურებ, როგორ კლავენ და ნთქავენ ჩონჩხები კიდევ ერთ ჯარისკაცს, შემდეგ ბურგს ვაქცევ ამ სასაკლაოს. გონებით ვახშობ სასიკვდილო ყვირილს, აფეთქებებს, ერთი იარუსით ქვემოთ ჩასაფრებული სნაიპერის შაშხანის მჭექარე ხმას. ვახშობ ჩონჩხების ბუზუნს, თუმცა ის უკვე ყურისწამლებ ხმაურადაა ქცეული, რომელიც ყველა მიმართულებით ვრცელდება. წითელ პლედზე ვჯდები. სანამ ნორა სახურავიდან ადევნებს ბრძოლას თვალს, ჯული ნელა მოდის და ჩემ გვერდით ჯდება. მუხლებს მკერდზე იბჯნს. ორივენი პორიზონტს გავცქერით. მთებს ვხედავთ. ოკეანესავით ლურჯად ციმციმებენ. კარგები არიან.<sup>[P]  
[SEP]</sup>

– ეს სენი... – ჩუმად ამბობს ჯული, – ეს წყევლა... მგონი, ვხვდები, საიდანაც დაგვატყდა. [P]  
[SEP]

ცაზე მეთხელეებული, ფაქიზად ნაქსოვი, მოვარდისფრო ღრუბლები დასრიალებენ. ცივი, გამამხნევებელი ქარი უბერავს, თვალებს გვიჭუტავს. [P]  
[SEP]

– არც წყევლა, არც ვირუსი და არც რადიაციული დასხივება არაფერ შუაშია. ეს უფრო ბნელი ჯურღმულიდან მოვიდა. მგონი, ჩვენ თვითონ გავავრცელეთ. [P]  
[SEP]

მხრებით ერთმანეთს ვეხებით. გრილი კანი აქვს. თითქოს სითბომ უკან დაიხია და ქარს, რომელიც გაქრობით ემუქრებოდა, სადღაც შიგნით დაემალა. [P]  
[SEP]

– საუკუნეების განმავლობაში ჩვენს თავს ჩვენვე ვანადგურებდით, სიხარბესა და სიძულვილში, და კიდევ ათასგვარ ბინიერებაში ვმარხავდით. ბოლოს კი ჩვენი სულები სამყაროს ფსკერზე აღმართულ კლდეებს შეეჭახნენ. ისინიც გაანადგურეს და სადღაც უფსკრულში ამოჰყვეს თავი. [P]  
[SEP]

მესმის, როგორ ღულუნებენ მტრედები. შოშიები მღერიან და ცაში დაცურავენ. ჩვენი სულელი ცივილიზაცია მათ არ ანალვლებთ, რადგან ჩვენი გასაჭირი მათთვის უცხოა. [P]  
[SEP]

– დავიმსახურეთ. მანამ ვიქცეებოდით ზღვის ფსკერზე, სანამ ნავთობმა არ ამოხეთქა და ერთიანად არ გაგვაშავა, გაგვაშიშვლა, მთელი ჩვენი სიბინძურე ყველას დასანახად არ გამოფინა. ახლა კი აქ ვართ, ძველი მსოფლიოსგან შემორჩენილ გამომხმარ გვამზე, და



ამასაც მანამ ვთვლავთ, სანამ ძვლებისა და ბუბების მეტი აღარაფერი დარჩება. [SEP]

სახურავი ზანზარებს. რკინის კონსტრუქცია ნელა და გრუხუნით იძვრის. მისრიალებს, რათა კედლებს შიგნით დარჩენილი ხალხი ამ გამანადგურებელი შემოჭრისაგან დაიცვას. როგორც კი გუმბათი მთელ სტადიონს ეფარება და გუგუნით ჩერდება, კიბეზე ამომავალი ფეხის ხმა გვესმის. ნორა ხელჩანთიდან გრიჭოს პისტოლეტს აძრობს და ამოსასვლელისკენ მიიჩქარის. [SEP]

– როგორ მოვიქცეთ, რ? – ჯული მე მიყურებს. ხმა უცახცახებს, თვალები აწყლიანებია, მაგრამ ცრემლებს არ ეპუება,– ნუთუ სულელები ვართ, როცა გვგონია, რომ რამის შეცვლა შეგვიძლია? შენ მე იმედი მაჩუქე, მაგრამ მაინც აქ აღმოვჩნდით. ალბათ, მალე დავიღუპებით. როგორ მოვიქცეთ? [SEP]

ჯულის სახეს ჩავცქერი. მასში ჩანვდომას ვცდილობ. ყოველ ფორას, ჭორფლის ლაქასა და თმის აბლანდულ ღერს ხარბად ვიმახსოვრებ. მათ მიღმა მიმალულ ფენებს ვხედავ: ხორცს, ძვლებს, სისხლსა და ტვინს; მის წიაღში მოგუგუნე უსახელო ენერგიას, სასიცოცხლო ძალას, სულს, დაუმორჩილებელ ნებისყოფას, რომელიც ადამიანს ხორცზე აღამაღლებს – მისი ყოველი უჭრედი ამითაა გაჟღენთილი, ის აერთიანებს მილიონობით პანანინა ნაწილაკს და ჯულიდ აქცევს. ვინ არის ეს გოგო? რას წარმოადგენს? ის ყველაფერია. მისი სხეული სიცოცხლის მატიანეა, რომელიც ქიმის ენითაა შესრულებული; მისი გონება – სამყაროს მატიანეა, რომელიც

ტკივილის, სიხარულისა თუ სევდის, სიძულვილის, იმედების, მავნე ჩვეულებების, ღვთის ყოველი ფიქრის, წარსულის, აწმყოსა და მომავლის, მოგონებების, გრძნობების ენაზეა დაწერილი. <sup>[P SEP]</sup>

– რა ვქნათ? – მუდარით მეკითხება, თვალებით მიჰყრობს, მის ირისში მოქცეული გაშლილი ოკეანით, – რაღა დაგვრჩენია? <sup>[P SEP]</sup>

ვერაფერს ვპასუხობ. პასუხი არ გამაჩნია. მაგრამ მის სახეს ვხედავ, ფერდაკარგულ ღანვებს, წითელ, სიცოცხლით სავსე, ახალშობილივით ნაბ ტუჩებს, და ვხვდები, რომ მიყვარს. თუკი ის ყველაფერია, იქნებ, სწორედ ესაა პასუხი? <sup>[P SEP]</sup>

ჩემკენ ვიზიდავ და ვკოცნი. <sup>[P SEP]</sup>

ტუჩებზე ვეკონები. სხეულზე ვიკრავ. მხრებს კისერზე მხვევს და ღონივრად მიჭერს. თვალგახელილი ვკოცნი. ისიც. გუგებში, მათში მოქცეულ სიღრმეში ჩავცქერით ერთმანეთს. ერთმანეთის ენას ვაგემოვნებთ; ჩემი ნერწყვი მისას ერევა. ჭული ტუჩზე მკბენს. ვგრძნობ, როგორ მიიწვეს მისი მფეთქავი უჭრედებისკენ ჩემში ჩაბუდებული სიკვდილი, ანტისიცოცხლე, რათა დაიმორჩილოს და დაადუმოს ჭულის ენერგია, მაგრამ მე მას ვჭობნი. ხელს ვტაცებ, უკან ვეჭაჩები და ძირს ვანარცხებ. ვგრძნობ, ჭულიც იმავეს აკეთებს. უღმობლად ვეჭიდებით ამ გამანადგურებელ ურჩხულს, ჩვენ შორის გვყავს მომწყვდეული; მთელი ძალით, მრისხანედ ვუტევთ, რაღაც ხდება. ის იცვლება, იკლაკნება, იკრუნჩხება, ნაწილებად იშლება. რაღაც უცნაურ, ახლებურ ფორმას იღებს. <sup>[P SEP]</sup>

აღტაცების ტალღა მავსებს. ერთმანეთს ვწყდებით, ძლივს

ვსუნთქავთ. თვალები მტკივა – სიღრმისეული, გადამდები ტკივილით. ჭულის ვუყურებ და ვამჩნევ, რომ მზერა უკიაფებს – ირისის ბოჭკოები იგრიხებიან, იერს იცვლიან. კაშკაშა ლურჯიდან ტყვიისფერ-რუხად გარდაიქმნებიან, შემდეგ თითქოს ყოყმანობენ, ციმციმებენ, ოქროსფრად იფერებიან – არცერთ ცოცხალ ადამიანზე ასეთი მკვეთრი, მზისეული ყვითელი არ მინახავს. იმავე ნამს, ჩემი სინუსები ახალ სურნელს აღიქვამენ, რაღაცას, რაც ძალიან ნააგავს ცოცხალი ადამიანის სასიცოცხლო ენერგიას, მაგრამ მაინც უკიდურესად განსხვავებულია. ჭულისგან მოდის, მისი სურნელია, თან, იმავდროულად, ჩემიც. ჩვენგან ისე იფრქვევა, როგორც ფერომონების ვულკანი. იმდენად საგრძნობია, რომ თითქმის ვხედავ კიდეც. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა... – ჭული ჩურჩულებს, პირი ოდნავ ღია დარჩენია და მიყურებს, – მოხდა? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

პირველად მას შემდეგ, რაც ამ პლედზე დავჭექი, ირგვლივ ვიხედები და ვხედავ, როგორ შეიცვალა გარემო: ქვემოთ ბრძოლა დასრულდა, ჩონჩხების არმია აღარ უტევს. უმოძრაოდ დგანან. ამ სიშორიდან რთულია გადაჭრით თქმა, მაგრამ თითქოს ყველანი ჩვენ გვიყურებენ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ჭული! <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

არაამქვეყნიურ სიმშვიდეს შეძახილი არღვევს. საძრომის პირას გრიჯო დგას, მის ბურგსუკან კი როსო მოძვრება, ქოშინებს და გენერალს თვალს არ აცილებს. ნორა ამოსასვლელთანაა გართხმული. ხელბორკილით კიბის საფეხურზე მიუბამთ. შიშველი

ფეხებით ლითონის ცივ სახურავს ებჯინება. მისი იარაღი გრიჯოს ფეხებთან გდია. იმდენად შორსაა, რომ ნორა ვერ მისწვდება. [P]  
[SEP]

გრიჯოს ისე აქვს ყბები დაჭიმული, კუნთები ასკდება. როცა ჭული მისკენ ტრიალდება, ის შვილის შეცვლილ თვალებს ხედავს. მთელი სხეულით იკრუნჩხება. მესმის, როგორ უკანკანებს კბილები. [P]  
[SEP]

– პოლკოვნიკო როსო, – ბრძანებს არაბუნებრივად მშრალი ხმით, – ორივეს ესროლეთ. [P]  
[SEP]

სახეზე მკვდრისფერი ადევს. კანი გამოხმობია და აქერცვლია. [P]  
[SEP]

– მამა, – ამბობს ჭული. [P]  
[SEP]

– ესროლეთ! [P]  
[SEP]

როსოს მზერა ჭულიდან მამამისზე გადააქვს. [P]  
[SEP]

– სერ, ჭული დასნებოვნებული არაა. [P]  
[SEP]

– ესროლეთ. [P]  
[SEP]

– არაა დაავადებული, სერ. იმაშიც კი არ ვარ დარწმუნებული, რომ ბიჭს რამე სჭირს. მათ თვალებს შეხედეთ, ისინი... [P]  
[SEP]

– ისინი ავად არიან! – ბღავის გრიჯო. დაღმეჭილ ტუჩებს შორის კბილები მოუჩანს. [P]  
[SEP]

– სწორედ ასე ვრცელდება ინფექცია! ასე გვანადგურებს! არ არსებობს არავითარი... – სიტყვას წყვეტს, თითქოს საკმარისზე მეტი თქვა. [P]  
[SEP]

– სერ... – ამბობს როსო. [P]  
[SEP]

გრიჯო თავის პისტოლეტს იღებს და ჭულის უმიზნებს. [P]  
[SEP]

– ჭონ! – როსო ხელში წვდება და მხარს უტრიალებს, იარაღის



წასართმევად ეტანება. ვარჯიშებით განაფული გრიჯო მაჯაში წვდება და ტკაცუნის ხმა მოისმის. შემდეგ ნეკნებში ურტყამს. მოხუცი მუხლებზე ეცემა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მამა, გეყოფა! – ყვირის ჯული. საპასუხოდ, გრიჯო იარალს იღებს და ჯულისკიდევ ერთხელ უმიზნებს. სახე წაშლია, არაფერს გამოხატავს. თავის ქალაზე გადაჭიმულ ტყავად ქცეულა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როსო კოჭში ასობს დანას. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გრიჯო არც ყვირის და არც იმჩნევს. ნიხლს ურტყამს და როსო ბურგზე ყირავდება. სახურავის დაქანებულ ბედაპირზე მისრიალებს, ტრიალებს და ხელჩასაჭიდს ეძებს, თითებით გლუვ ლითონს ებლაუჭება. იარალი უსხლტება და კიდიდან ვარდება. კინალამ როსოც მიჰყვება, მაგრამ შეჩერებას ახერხებს. ხელებით სახურავის შვერილს ჩასჭიდებია, ტანით კი სტადიონის თავზეა გადაკიდებული. მხოლოდ მის გათეთრებულ თითებსა და დაძაბულობისაგან დაჭიმულ, მაგრამ მაინც შემზარავად უშფოთველ სახეს ვხედავ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული მის დასახმარებლად მირბის, მაგრამ სახურავი ძალიან ციცაბოა და ფეხი უსხლტება. რაღაცას ეჭიდება და მამამისს უმწეოდ შეჰყურებს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

შემდეგ უცნაური რამ ხდება. იქ, სადაც გრიჯო თავისი მტლე ხელით ეჭიდება სახურავს, კიდევ ერთი ხელი ჩნდება, რომელიც გრიჯოს უბიძგებს. ამ ხელს ხორცი არ გააჩნია. ცარიელი ძვლებია, მტვრის, დროის მდინარებისა და მკვლელის თითებზე შერჩენილი უძველესი სისხლისაგან გაყვითლებულ-გაყავისფრებული. ეს ხელი სახურავს



ეჭიდება და ლითონს ხვრეტს. მას კბილმოდრტიალე, მოზუზუნე ჩონჩხი მოჰყვება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

სწრაფად არ მოძრაობს. არც მოხტის და არც მორბის. აუჩქარებლად მოიზღაზნება, სისხლის წყურვილი, რომლით აღვსილნი მოსაკლავად დაგვდევენ, თითქოს ჩაცხრობია. მიუხედავად იმისა, რომ დევნა დასასრულთან ახლოსაა, საერთოდ არ ცდილობს, მე ან ჯულის სწრაფად მოგვეჭრას. ვერც გვამჩნევს. იხრება, გრიჯოს პერანგს ბლუჯავს და კაცს ზემოთ, კიბისაკენ მიათრევს. გრიჯო წამოდგომას ცდილობს. ჩონჩხი ეხმარება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

გრიჯო და ჩონჩხი ერთმანეთის პირისპირ დგანან. მხოლოდ რამდენიმე ინჩი აშორებთ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– როსი! – ყვირის ჯული, – მიდი, ესროლე! <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

როსოს პაერი არ ჰყოფნის. მაჯასა და ნეკნებზე იჭერს ხელს. ვერ ინძრევა. ჯულისაკენ ისე იხედება, თითქოს შეწყალებას სთხოვს არა მხოლოდ ამ დაღალატებისათვის, არამედ ყველა შეცდომისათვის, რაც ნაცნობობისა და უმოქმედობის წლების განმავლობაში მის წინაშე მიუძღვის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჩონჩხს ისე ნაზად და ფაქიზად უჭირავს გრიჯოს მკლავი, თითქოს საცეკვაოდ ეპატიჟება. შემდეგ თავისკენ იკრავს, თვალეში ჩასცქერის და ერთი კბენით მხრიდან ხორცის ნაფლეთს აცლის. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჯული კივის, დანარჩენები დამბლადაცემულელებივით ვართ გაშეშებულნი. გრიჯო არ იბრძვის. თვალეები გაფართოებია, ციებიანივით უელავს. სანამ ეს არსება ნაჭერ-ნაჭერ ჭამს, სახე უგრძნობ

ნილბად აკრობია. ჩონჩხს ერთი ნაჭერი პირიდან უსხლტება და სახურავზე ადენს ტყაპანს. [P] [SEP]

ვცდილობ, გავიაზრო, რისი მომსწრეც გავხდი. შიში განძრევის საშუალებას არ მაძლევს. გრიჯოს მივშტერებივარ. ის და ჩონჩხი სახურავის კიდეში დგანან; ვარდისფერი ღრუბლებისა და მქრქალი ფორთოხლისფერი ნათების ფონზე მათი სილუეტი იკვეთება. ამ უცნაურ სინათლეში გახვეული მათი სხეულები თითქოს განურჩეველია. ძვალი ძვალს ნთქავს. [P] [SEP]

ჭული საძრომისაკენ მირბის. ნორას იარაღს იღებს და ჩონჩხს უმიზნებს. ბოლოს და ბოლოს, ისიც თავს ანებებს მსხვერპლს და ჭულისაკენ იხედება. ხვდება, რომ ჩვენც ვარსებობთ. თავს უკან აგდებს და განკითხვის დღის მომასწავლებელი დაჟანგული, დაღენილი და აშლილი საყვირის განმგმირავი ხმით კივის. [P] [SEP]

ჭული ესვრის. პირველი რამდენიმე ტყვია ჩონჩხს საერთოდ არ ხვდება. შემდეგი სროლები ნეკნებს, ლავინსა და ბარძაყის ძვალს ულენავს. [P] [SEP]

– ჭული. [P] [SEP]

ჩერდება, ხელში იარაღი უთრთის. მამას ჭრილობიდან სისხლი თქრიალით მოსდის და უაზროდ იყურება. [P] [SEP]

– მაპატიე, – სთხოვს ჩურჩულით. [P] [SEP]

– მამა, მოიშორე! ებრძოლე! [P] [SEP]

გრიჯო თვალს ხუჭავს და ამბობს. [P] [SEP]

– არა. [P] [SEP]

ჩონჩხი ჭულის კბილებს უკრეჭს, შემდეგ კი მამამისს ყელში სწვდება. [P SEP]

უამრავჯერ ნაგვეში ნორჩი გულიდან, რომელიც ტანჯვითა და მრისხანებით ავსია, ჭულის კივილი წყდება. ერთსაც ისვრის. იმ არსების თავის ქალა იფშვნება, ძვლის ნამსხვრევებად და მტვრად იფანტება. თითებით ჯერ ისევ გრიჯოს მხრებს ესობა, უკან ვარდება და სახურავის კიდისკენ ცურდება. [P SEP]

გრიჯოც მიყვება. [P SEP]

ერთად ვარდებიან, ერთმანეთში გადახლართულები. გრიჯო ჰაერში იკრუნჩხება. გარდაიქმნება. სხეულზე შერჩენილი ხორცი ქარს მიაქვს, ფერფლივით აფარფატებს ჰაერში. თეთრი ძვლები უშიშვლდება, რომელზე ამოტვიფრული წარწერის წაკითხვასაც ვახერხებ. ბარძაყის, მხრისა და მტევნის ძვლებზე ამოკვეთილია გაფრთხილება. [P SEP]

ეს სენია. წყევლა. იმდენად ძლიერი, იმდენად ღრმადჩამჭდარი და ხარბი სულთამხუთავი, რომ აღარ სურს, სიკვდილს უცადოს. ხელის ერთი განვდენით იღებს იმას, რაც უნდა. [P SEP]

მაგრამ დღეს არჩევანი გავაკეთეთ. მეტად ვეღარ მოგვპარავენ. მთელი ძალით ჩავებლაუჭებით, რაც ჩვენია. არ აქვს მნიშვნელობა, როგორ გაგვიმკლავდება წყევლა. ჩვენ შევებრძოლებით. [P SEP]

ქვემოთ მდგომი ჩონჩხების თვალწინ გრიჯოს სხეულის წარჩენები ეცემა. ტყდება. ჭუჭყში აბელილ დამახინჯებულ, ერთმანეთში არეულ ნამსხვრევებს უყურებენ. შემდეგ უმიზნოდ და უნადინოდ, ერთად ინყებენ ბორიალს. ზოგი წრებზე დაეხეტება, ზოგი ერთმანეთს ეჭახება,

და თანდათან იშლებიან, იფანტებიან, შენობებსა და ხეებს მიღმა უჩინარდებიან. კანკალი მიტანს. რა გზავნილი მიიღეს? ნუთუ ძვლების წვიმასა და სახურავიდანრადიოტალღებივით მომავალი უცნაური, ახლებური ენერგიის ფეთქვას შორის რამე შეიტყვეს, რამე შეიცვალა მათ გამოფუტურობულ თავის ქალაში? მიხვდნენ, რომ მათი დრო გავიდა? <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჭულის იარაღი უსხლტება. სახურავის კიდისკენ მიდის და იხრება. ქვემოთ შერჩენილ ძვლების გროვას დაჰყურებს. თვალები დასწითლებია, მაგრამ არ ტირის. სახურავზე მხოლოდ სახელმწიფო დროშის ნაფლეთებში მქროლავი ქარის ზუზუნი ისმის. როსო ერთხანს ჭულის უყურებს, შემდეგ ნორას ხელბორკილს ხსნის და წამოდგომაში ეხმარება. ნორა მაჭებს ისრესს და პოლკოვნიკს იმგვარი მზერით უყურებს, რომელსაც დამატებითი სიტყვები არ სჭირდება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჭული ფეხათრევით, უსიცოცხლოდ მოდის ჩვენკენ. როსო მხარზე ეხება: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ძალიან ვნუხვარ, ჭული. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ის ფრუტუნებს და ფეხებზე იხედება: <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მე კარგად ვარ. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ხმაც თვალებივით გახდომია – ტანჯვა გამოსჭვივის, მაგრამ ცრემლი გაშრობია. ახლა, როცა უკვე შემოძლია, მინდა, მის ნაცვლად გამოვიტირო მამამისი. ჭული დაობლდა, მაგრამ თავი მხნედ უჭირავს. ადრე თუ გვიან, მწუხარება მაინც მიაკითხავს და თავისას მოსთხოვს, მაგრამ ახლა ჭული ჩვენ გვერდითაა, ცოცხალია და უძლებს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>



როსო მარცხენა ხელს თმაში უყრის და კულულს ყურს უკან უწევს. ჭული მის დაკოჟრილ მტევანს ლოყაზე იკრავს და უღიმის. [P]  
[SEP]

როსოს ყურადღება ჩემზე გადმოაქვს. ვხედავ, რომ მისი მზერა აქეთ-იქით დახტუნავს და ჩემს ირისებს სწავლობს. [P]  
[SEP]

– არჩი გქვია, ხომ? [P]  
[SEP]

– უბრალოდ რ. [P]  
[SEP]

ხელს მიწვდის და მცირედი დაბნეულობის შემდეგ მეც ხელს ვაგებებ. ჩემი მოტეხილი ხელი მის მოტეხილ მაჯას ხვდება და პოლკოვნიკს სახე ემანჭება. [P]  
[SEP]

– ზუსტად არ ვიცი, რატომ, – ამბობს ის, – მაგრამ შენი გაცნობა ძალიან მიხარია, რ. [P]  
[SEP]

საძვრენისკენ ბრუნდება. [P]  
[SEP]

– ხვალ სახალხო შეკრება გვექნება? – ეკითხება ნორა. [P]  
[SEP]

– მინდა, ყველაფერი რაც შეიძლება მალე გამოვაცხადო. რაღაც გადაუდებელი საქმეები გვაქვს მისახედი, – ჩონჩხების უკანდახეულ არმიას გასცქერის, – ასევე ძალიან მინდა, რომ შენი აზრი მოვისმინო იმაზე, დღეს რა ჯანდაბაც მოხდა. [P]  
[SEP]

– გარკვეული თეორიები გვაქვს, – პასუხობს ნორა. [P]  
[SEP]

როსო კიბეს მარცხენა ხელით ფრთხილად ეჭიდება და ქვემოთ ჩადის. ნორა ჭულის შესცქერის. ჭული თავს უქნევს. ნორა ჯერ მას უღიმის, შემდეგ მე, ბოლოს კი საძვრენში უჩინარდება. [P]  
[SEP]

სახურავზე მარტონი ვართ. ჭული ალმაცერად მიყურებს და ისე მსწავლობს, თითქოს პირველად მხედავს. შემდეგ თვალები



უფართოვდება და ღრმად ისუნთქავს.<sup>[P SEP]</sup>

– ო, ღმერთო, – მოდის და შუბლიდან სალბუნს მხსნის. იმ ადგილს ეხება, სადაც ჩვენი პირველი შეხვედრის დღეს, საუკუნეების წინ, გასულ თვეს, დანა ჩამარტყა.<sup>[P SEP]</sup>

თითზე ნითელი კვალი ემჩნევა.<sup>[P SEP]</sup>

– სისხლი გდის!<sup>[P SEP]</sup>

ამის გაგონებაზე რაღაცების შემჩნევას ვინცებ. მთელ სხეულში მწვავე ტკივილს ვგრძნობ. მტკივა. ხელებს სხეულზე ვისვამ და ვამჩნევ, რომ პერანგი სისხლით მაქვს გაჟღენთილი. არა უსიცოცხლო, შავი ბეთით, რომელიც ჩემს ვენებში ერთ დროს მიედინებოდა, არამედ კაშკაშა ნითელი, ნამდვილი, ცოცხალი სისხლი.<sup>[P SEP]</sup>

ჯული ხელით მკერდზე ისე ძლიერად მანვება, თითქოს კუნგ – ფუს ილეთს აკეთებსო. მისი მტევნის ბენოლის ქვეშ ვგრძნობ, ჩემს შიგნით რაღაც მოძრაობს. გულისცემა.<sup>[P SEP]</sup>

– რ! – თითქმის კივის ჯული, – მგონი... ცოცხალი ხარ!<sup>[P SEP]</sup>

ბედ მახტება, მეხვევა და ისე ძლიერად მეხუტება, რომ ჩემი ნახევრადშეხორცებული ძვლების ტკაცუნი მესმის. ისევ მკოცნის და ქვედა ტუჩიდან წამოსულ მარილიან სისხლს მიგემოვნებს. მისი სითბო ჩემს სხეულში იფანტება და როდესაც საპასუხოდ ჩემი სითბოც იღვიძებს, შეგრძნებების მოზღვავენებას ვგრძნობ.<sup>[P SEP]</sup>

ჯული წყნარდება. ხელს მიშვებს და ოდნავ უკან იხევს, რომ კარგად ამათვალიეროს. სახეზე ცნობისმოყვარე ღიმილი უკრთება.<sup>[P SEP]</sup>

საკუთარ თავს დავცქერი, მაგრამ ამის საჭიროება აღარაა. ჩემს

სხეულს უკვე ვგრძნობ. ორგანიზმში ცხელი სისხლი ჩქევს, კაპილარებს აწყდება და უჭრედებს ოთხი ივლისის ფეიერვერკებივით ანათებს. ჩემი სხეულის მადლიერებით აღსავსე თითოეული ატომის მხიარულებას ვგრძნობ – მათ ხომ ის მეორე შანსი მიიღეს, რომელსაც საერთოდ არ ელოდნენ. შანსი, რომ ყველაფერი ხელახლა დაიწყონ, სწორად იცხოვრონ, სწორად უყვარდეთ, ცეცხლოვან ღრუბელში იგიბგიბონ და ტალახში აღარასოდეს დაიმარხონ. საკუთარი განითლების დასამალად ჭულის ვკოცნი. ჩემი სახე ისეთი კაშკაშა ნითელი და ცხელია, რომ მეტალს გააძნობს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ვარგი, გვამო, ამბობს ხმა ჩემს გონებაში; მუცელში სუსტ ბიძგს ვგრძნობ, რომელიც მსუბუქ მუჭლუგუნს უფრო ჰგავს, ვიდრე ნიხლს. ჩემი ნასვლის დროა. ბოდიში, რომ ბრძოლის დროს აქ არ ვიყავი; საკუთარი ბრძოლა მქონდა გადასატანი. მაგრამ გავიმარჯვეთ, ხომ ასეა? ვგრძნობ, რომ ასეა. ფეხები გიცახცახებს, თითქოს დედამინამ სიჩქარეს უმატა და თავის უცნობ ორბიტაზე გადაერთო. საშიშია, არა? მაგრამ ყველაფერი მშვენიერი ხომ საშიშად იწყება? არ ვიცი, როგორია შენი ცხოვრების შემდეგი გვერდი, მაგრამ, ჩემი როგორიც არ უნდა იყოს, უეჭველად ვიცი, რომ მოვუფრთხილდები. არ ვაპირებ, შუა წინადადებაში დავამთქნარო და ნაწერი უჭრაში გადავმალო. ამჯერად ასე აღარ ვიბამ. მოვიშორეთ აპათიისა და ანტიპათიის მტვრიანი შალის მოსახვევები და მშრალი ცინიზმი. მინდა, სიცოცხლე მთელი თავისი უსიამოვნო გამოუცდელიობით შევიგრძნო. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

აბა, რ, <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ინცება. [P]  
[SEP]

## ნაბიჯი მესამე - [P P P P] [SEP][SEP][SEP] სიცოცხლე

[P P P P P P P P]  
[SEP][SEP][SEP][SEP][SEP] ნორა გრინი სტადიონის მთავარ ჭიშკართან, ხალხით გადაჭედულ მოედანზე, გენერალ როსოსთან ერთად დგას. ცოტას ნერვიულობს. სურდა, რომ აქ გამოსვლამდე მოენია, მაგრამ შეუფერებელ საქციელად მიიჩნია და თავი შეიკავა. გონების სუფთად შენარჩუნება გადანყვიტა. [P]  
[SEP]

– მაშ ასე, მეგობრებო, – ინცებს როსო და ხმას ისე ძაბავს, რომ საკმაოდ შორს, ქუჩებში შეჭედული ხალხის უკანა რიგებამდე მიანვდინოს, – ყველანაირად ვეცადეთ, რომ ამისთვის შეგვემზადებინეთ, მაგრამ მაინც, შეიძლება, ეს ცოტა... უსიამოვნო იყოს. [P]  
[SEP]

სტადიონის ყველა მცხოვრები აქ არაა; მხოლოდ ისინი, ვისაც მოსვლის სურვილი ჰქონდა. დანარჩენები თოფებმომარჯვებულნი იმალებიან ჩაკეტილი კარის უკან, მაგრამ ნორა იმედოვნებს, რომ საბოლოოდ ისინიც გამოვლენ, რათა ყველაფერი საკუთარი თვალებით იხილონ. [P]  
[SEP]

– მინდა კიდევ ერთხელ დაგარწმუნოთ, რომ საფრთხე არ გემუქრებათ, – აგრძელებს როსო, – სიტუაცია შეიცვალა. [P]  
[SEP]

ნორასკენ იხედება და თავს უქნევს. [P]  
[SEP]

მცველები კარიბჭეს აღებენ და ნორა გაჰყვირის. [P]  
[SEP]

– შემოდით, ბიჭებო! [P]  
[SEP]

ისინი სათითაოდ, ჯერ კიდევ ბარბაცით, მაგრამ მაინც მეტნაკლებად სწორი ნაბიჯით სტადიონზე შემოდიან. ნახევარმკვდრები. თითქმის ცოცხლები. ბრბო აღელვებით ბუტბუტებს და უკან იხევს, სანამ ზომბები კარიბჭის წინ შეთხელებულ ხაზად ლაგდებიან. [P SEP]

– ეს მათი მხოლოდ მცირე ნაწილია, – ამბობს ნორა და წინ, ხალხისკენ მიაბიჯებს, – გარეთ მათნაირების რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. საკუთარი თავის განკურნებას ცდილობენ. ცდილობენ, სენი დაამარცხონ და ჩვენ რითაც შეგვიძლია, უნდა დავეხმაროთ. [P SEP]

– მაგალითად, რით? – დაეჭვებული ხმით ყვირის ვილაც. [P SEP]

– ჩვენ ვაპირებთ ეპიდემია შევისწავლოთ, – ამბობს როსო, – უფრო ახლოს გავეცნოთ, დავამუშავოთ და იქამდე გამოვწეროთ, სანამ პასუხებს არ მივიღებთ. მესმის, რომ ბუნდოვანი ახსნაა, მაგრამ საიდანღაც ხომ უნდა დავიწყოთ. [P SEP]

– ესაუბრეთ მათ, – ამბობს ნორა, – ვიცი, რომ თავიდან შეიძლება შეგეშინდეთ, მაგრამ თვალეში ჩახედეთ. ჰკითხეთ მათ სახელი და თქვენიც უთხარით. [P SEP]

– არ ინერვიულოთ, – აგრძელებს როსო, – თითოეულ მათგანს გამუდმებით ერთი მცველი ეყოლება მიჩენილი, მაგრამ ეცადეთ დაიჭეროთ, რომ ისინი არაფერს გავნებენ. უნდა ვირწმუნოთ, რომ ყველაფერი გამოვა. [P SEP]

ნორა უკან იხევს, რომ ხალხს ახლოს მოსვლის საშუალება მისცეს. ისინი ფრთხილად, მაგრამ მაინც წინ მოინევენ. ზომბებს



უახლოვდებიან, მცველებს კი ავტომატები მომარტვებული აქვთ. თავის მხრივ ზომბებიც შესაშური მოთმინებით უმკლავდებიან ამ უჩვეულო გამოცდას. უბრალოდ დგანან და იცდიან. ზოგიერთი მათგანი იმასაც კი ცდილობს, თავაზიანად გაიღიმოს და ყურადღება არ მიაქციოს შუბლზე მოციმციმე ლაზერის ნერტილს. ნორა ხალხს უერთდება, ბურგს უკან თითებს აჭვარედინებს და იმედი აქვს, ყველაფერი კარგად დამთავრდება. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– გამარჯობა. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნორა იქით ტრიალდება, საიდანაც ხმა მოესმა. ერთ-ერთი ზომბი უყურებს. დანარჩენების მწკრივიდან წინ გამოდის და გოგოს უღიმის. თხელი ტუჩები მოკლე, ქერა ნვერის ქვეშ ოდნავ დახეთქვია, მაგრამ ესეც და მისი სხეულის სხვა უამრავი ჭრილობაც შეხორცების გზას ადგას. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– აამ... გამარჯობა... – პასუხობს ნორა და მოსაუბრეს თავიდან ფეხებამდე ათვალიერებს – ექვს ფუტზე მაღალი იქნება; ცოტა ზორბა ჩანს, დაკუნთულ მკლავებზე დახეული პერანგი ვიწროდ ადგას; პირწმინდად მელოტი თავი ღია რუხი მარგალიტივით უელავს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მე ნორა ვარ, – ამბობს გოგო და კულულს აწვალავს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მე მმ...მარკუსი მქვია, – ამბობს კაცი მჭექარე ხმით, – და შენ... ყველაზე ლამაზი ქალი... ხარ, ვინც კი მინახავს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნორა კისკისებს და თმას უფრო მეტად იგრებს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ოჰ, გამადლობთ, – ხელს უწვდის, – სასიამოვნოა შენი გაცნობა, მარკუს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>



• • [P]  
[SEP]

ბიჭი აეროპორტშია. დერეფნები ჩაბნელებულა, მაგრამ არ ვშინია. უკუნ სიბნელეში საკვებ მოედანზე გადარბის და გაუნათებელ აბრებს, დაობებულ ნასუფრალს, ნახევრად შესმულ ლუდებსა და ცივ „ჰად ტაის“ უკან იტოვებს. მგობელი დერეფნიდან ეული ჩონჩხის ჩხარუნი ესმის; სწრაფად იცვლის მიმართულებას და შეუჩერებლად სხვა დერეფანში უხვევს. ჩონჩხები შენელებულები არიან. როდესაც ბავშვის მამა და დედინაცვალი აქ პირველად დაბრუნდნენ, ყველა გაძვალეებულს რაღაც დაემართა. ახლა უკვე შემოდგომის ბუზებივით უმისამართოდ დაეხეტებიან. ხან კედლებს ასკდებიან, ხანაც უძრავად დგანან, თითქოს დრომოჭმულ ნაწილებს შეცვლა სჭირდებათ.[P]  
[SEP]

მორბენალს ყუთი უჭირავს. ახლა უკვე ცარიელია, მაგრამ ბიჭს ხელები მაინც ეღლება. შემაერთებელ გადასასვლელში შერბის და სულის მოსათქმელად ჩერდება.[P]  
[SEP]

– ალექს! [P]  
[SEP]

ბიჭის უკან მისი და ჩნდება. მასაც ყუთი უჭირავს. თითები კი ნებოვან ლენტში აქვს გახლართული. [P]  
[SEP]

– ჭოან, ყველაფერი შესრულებულია? [P]  
[SEP]

– ყველაფერი! [P]  
[SEP]

– კარგი. ნამოდი, კიდევ მოვძებნოთ. [P]  
[SEP]

დერეფანში გარბიან. როდესაც კონვეიერზე დგებიან, დენი ირთვება და მათ ფეხქვეშ ლენტი მოძრაობას იწყებს. ფეხშიშველი გოგო და ბიჭი სინათლის სიჩქარით მირბიან და მოკუნტრუმე ირმებივით მიფრინავენ

დერეფანში, მათ უკან კი ამომავალი მზის პირველი სხივები ჩნდება. დერეფნის ბოლოში კინალამ სხვა ბავშვების ჯგუფს ასკდებიან. ამ ჯგუფის ყველა ბავშვსაც ხელში ყუთი უკავია.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ყველაფერი შესრულებულია, – ამბობს ბიტი, რომლის ნახშირისფერი კანი ყავისფერში გადადის.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– კარგი, – ამბობს ალექსი და ყველა ერთად გარბის. ზოგიერთ ბავშვს ჯერ კიდევ ძონძები აცვია. ზოგიერთი ჯერ კიდევ ნაცრისფერია. მაგრამ მათი უმეტესობა ცოცხალია. ბავშვებს არ გააჩნდათ მოზრდილებისთვის დამახასიათებელი ინსტინქტური დაპროგრამება. მათ ყველაფრის სწავლა სჭირდებოდათ: როგორ მოეკლათ ადვილად, როგორ ეხეტიალათ უმიზნოდ, როგორ ეყანყალათ, ეღმუვლათ და როგორ გახრწნილიყვნენ სწორად. მაგრამ ახლა გაკვეთილები შეწყდა. აღარავინ ასწავლით და როგორც მრავალწლოვანი მცენარის ბოლქვები შრებიან და ზამთარში მიწის ქვეშ იცდიან, ეს ბავშვებიც ხელახლა, თავისით უბრუნდებიან სიცოცხლეს.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ნეონის ნათურები ციმციმებს და ბზუის, ზემოთ ჩამოკიდებულ დინამიკებში კი პატეფონის ნემსის ფხაჭუნი ისმის. რომელიღაც მუამბოხე სულმა აეროპორტის საჯარო კომუნიკაციის სისტემა გატეხა. ტკბილი, ალერსიანი ნოტები წყვდიადს ავსებს და ცარიელ დერეფნებში მარტოსულ ექოდ გაისმის ფრენსის ალბერტ სინატრას ხმა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ზაფხულში შენი ოცნება ხდება... როდესაც ცაზე სილურჯე ინვის...<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>  
დამტვერილი დინამიკები წყვეტილ და შიშინა ხმას გამოსცემს,

მელოდიას ამახინჯებს და შიგადაშიგ საერთოდ ჩუმდება კიდეც. ჩანანერი სხვა ადგილას ხტება. მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც აქაურობის აპათიური ჰაერი მუსიკით ირხევა.<sup>[SEP]</sup>

როდესაც ბავშვები ჩამოფრენების კარიბჭისკენ ახალი ყუთებისა თუ ლენტის ხვეულების მოსაპოვებლად გარბიან, გზად დერეფანში მოფრატუნე ქალს ხვდებიან. ზომბი გვერდით ჩარბენილ ბავშვებს გასცქერის, მაგრამ არ მისდევს. ბოლო პერიოდში მადა დაუქვეითდა. ისეთ შიმშილს აღარ გრძნობს, როგორც ადრე. უყურებს, როგორ ეფარებიან კუთხეს ბავშვები და შემდეგ საკუთარ გზას აგრძელებს. ბუსტად არ იცის, სად მიდის, მაგრამ მისი დერეფნის ბოლოს თეთრი, ლამაზი ნათება შეინიშნება და ზომბიც იქით მიიწევს.<sup>[SEP]</sup>

ბაფხულში შენი ოცნება ხდება... როდესაც მთვარე განათებს ვერცხლად...<sup>[SEP]</sup>

შენ ვიღაც გიყვარს, შენ ვიღაც გიყვარს... ამცნობ სამყაროს შენს გრძნობას, ვნებას...<sup>[SEP]</sup>

დილის მზით განათებული მე-12 გასასვლელის მოსაცდელ დარბაზში შედის. აქ რაღაც შეცვლილა. ასაფრენ ბილიკზე გამავალ ფანჯარა-კედელზე ვიღაცას პატარა ფოტოები მიუნებებია. ისინი ხუთ ბოლად მიემართებიან ოთახის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში.<sup>[SEP]</sup>

ბაფხულში შენი ოცნება ხდება... შენ მას ელოდი ძალიან დიდხანს, მაგრამ როდესაც ბოლოს ეს მოხდა...<sup>[SEP]</sup>

ზომბი ფოტოებს ფრთხილად უახლოვდება, მათ წინ დგება და

ოდნავ გაღებული პირით შესცქერის. [P]  
[SEP]

გოგო ვაშლის ხეზე მიცოცავს. ბავშვი თავის ძმას სარწყავი შლანგით ნუნავს. ქალი ჩელოზე უკრავს. მოხუცი წყვილი ერთმანეთს ნაზად ეხუტება. ბიჭი კატიტ. მტირალი ბიჭი. ღრმად ჩაძინებული ახალშობილი... და კიდევ ერთი, უფრო ძველი, დაჭმუჭნილი და გახუნებული ფოტო: ოჯახი აკვაპარკში შეკრებილა. კაცი, ქალი და ქერა გოგონა მზეს თვალეზმოჭუტულები შესცინიან. [P]  
[SEP]

ზომბი იდუმალ კოლაჟს შესცქერის. მისი სამკერდე ნიშანი მზის სხივებს დამაბრმავებლად ირეკლავს. ქალი იმ ადგილას ოთხი საათი უმოძრაოდ დგას. შემდეგ ჰაერს ნელა უშვებს ფილტვებში. მისი პირველი ჩასუნთქვა თვეების განმავლობაში. გვერდებზე უღონოდ ჩამოკიდული მისი თითები მუსიკის საპასუხოდ რხევას იწყებენ. [P]  
[SEP]

• • • [P]  
[SEP]

– რ. [P]  
[SEP]

თვალეზს ვახელ. ბურგზე ვწევარ, ხელები თავქვემ ამომინყვია და ბაფხულის უღრუბლო ცას შევცქერი. [P]  
[SEP]

– დიახ? [P]  
[SEP]

ჩემ გვერდით, ნითელ პლედზე მწოლიარე ჯული ჩემკენ ტრიალდება და ოდნავ უფრო ახლოს მოიწვეს. [P]  
[SEP]

– როგორ გგონია, ცაში თვითმფრინავებს ოდესმე ისევ დავინახავთ? [P]  
[SEP]

ერთ ნამს ვფიქრობ. ჩემი თვალის სითხეში მოცურავე მოლეკულებს ვაკვირდები. [P]  
[SEP]

– კი.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– მართლა?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შეიძლება ჩვენ ვერა, მაგრამ ჩვენი ბავშვები დაინახავენ.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– როგორ ფიქრობ, რამდენად წინ წავინევთ ამ საქმეში?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რა საქმეში?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– ყველაფრის ხელახლა ამენებაში. თუნდაც ეპიდემიის ბოლომდე დამარცხება შევძლოთ... როგორ გგონია, შევძლებთ, ყველაფერი უწინდელ მდგომარეობას დავუბრუნოთ?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

შორეულ ცაში ეული შოშია კრთება და გონებაში ვხედავ, როგორ ხაზავს მის უკან თვითმფრინავი თეთრ ნაკვალევს, რომელიც სასიყვარულო წერილის ქვემოთ გაფურჩქნულ ხელმონერას წააგავს.

<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– იმედი მაქვს, ვერა.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ცოტა ხანს ჩუმად ვართ. ბალახზე ვწევართ. ჩვენ უკან ძველი, დანჯღრეული მერსედესი მოთმინებით იცდის და შიშხინითა და ბუზუნით გვეჩურჩულება – ძრავა გრილდება. მერსი მას ჯულიმ შეარქვა. ვინ არის ჩემ გვერდით მწოლიარე ეს ქალი, რომელშიც იმდენი სიცოცხლე ყვავის, რომ შეუძლია, მანქანასაც კი უწილალოს?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– რ? – მეუბნება.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ჰო.<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

– შენი სახელი ისევ არ გახსოვს?<sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

ამ ბორცვის ფერდობზე, დანგრეული გბატკეცილის კიდესთან ახლოს, ხოჭოები და ჩიტები ბალახში სატრანსპორტო მოძრაობის





ხმაურს ბაძავენ. მათ ნოსტალგიურ სიმფონიას ვუსმენ და თავს ვიქნევ.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

– არა.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

– იცი, შეგიძლია შენ თვითონდაირქვა რამე. უბრალოდ აირჩიე, რაც გინდა.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

ამაზე ფიქრს ვიწყებ. ჩემს ტვინში სახელების ჩამონათვალს მივუყვები. რთული ეტიმოლოგიები, ენები, კულტურული ტრადიციების მრავალ თაობაში გადაცემული უძველესი მნიშვნელობები. მაგრამ მე სრულიად ახალი ვარ. სუფთა ტილო. მე შემოიძლია ავირჩიო, რომელ ისტორიაზე დავაშენო ჩემი მომავალი და მეც ახალ სახელს ვირჩევ.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

– მე რ მქვია, – ვამბობ მხრების ოდნავი აჩეჩვით.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

თავს ჩემკენ ატრიალებს. სახეზე მისი მზისფერი თვალების მზერას ვგრძნობ, თითქოს ჩემს ყურში შეღწევა და ტვინის შესწავლა უნდათო.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

– არ გინდა, თავდაპირველი ცხოვრება დაიბრუნო?<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

– არა, – ვიწვევი და მუხლებზე ხელებშემოხვეული ვჯდები. მინდორს გავცქერი, – ეს ცხოვრება მინდა.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>

ჭული ილიმის. ჩემთან ერთად იწვევა და იმავეს უყურებს, რასაც მე.<sup>[P]<sub>SEP</sub>]</sup>


ჩვენ ქვემოთ აეროპორტი გადაგდებული ხელთათმანივითაა გადაშლილი. ჩონჩხების მარცხის შემდეგ ძირეული გარდაქმნები არ მომხდარა. ზოგიერთი ჩვენგანი სიცოცხლისკენ დაბრუნების პროცესშია, ზოგი ჯერ კიდევ მკვდარია. ზოგი ისევ აქ, აეროპორტში დაეხეტება, ან სხვა ქალაქებში, ქვეყნებში, კონტინენტებზე დაძრწიან

და იცდიან. მაგრამ იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელიც მთელ მსოფლიოს მოსდებია, აეროპორტი კარგი საწყისი წერტილია. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

დიდი გეგმები გვაქვს, ნამდვილად. ხელის ფათურით ვმოძრაობთ სიბნელეში, მაგრამ რაც მთავარია, ვმოძრაობთ. უკვე ყველა მუშაობს; ჯული და მე მხოლოდ ცოტა ხნით ვისვენებთ, რომ ხედით დავტკბეთ; დღეს მშვენიერი დღეა. ცა ლურჯია, ბალახი მწვანე. კანზე მზის თბილი სხივები გვეცემა. ვიღიმით, რადგან სწორედ ასე გადავარჩინეთ სამყარო. არ დავუშვებთ, რომ დედამიწა სამარხად გადაიქცეს, სამყაროში მბრუნავ უზარმაზარ სასაფლაოდ. საკუთარ თავს გავაცოცხლებთ. წყევლას შევებრძოლებით და დავამარცხებთ. ვიტყვით, სისხლს დავღვრით, გვეყვარება და სიკვდილს განვკურნავთ. ჩვენ თავად ვიქნებით წამალი. იმიტომ, რომ ჩვენ ამის სურვილი გვაქვს. <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

## სამადლობელი <sup>[P]</sup><sub>[SEP]</sub>

კორი სტერნ, მადლობას გიხდით იმისთვის, რომ ინტერნეტის გალობში ჩემი ნაწერები აღმოაჩინე და მაიძულე, დამეწერა ეს წიგნი, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა. ლორი უებ და ბრუნა პაპანდრეა, მადლობას გიხდით იმისთვის, რომ ეს წიგნი სამყაროსთვის გასაცნობად გამოიტანეთ. ჯო რეგალ, ჩემო ბრწყინვალე აგენტო, მადლობას გიხდით იმისთვის, რომ დამეხმარე ამ წიგნისთვის იმ ფორმის მიცემაში, როგორც ახლა აქვს. ნათან მერიონ, მადლობას გიხდით იმისთვის, რომ წლების განმავლობაში გჯეროდა ყველა ჩემი გიჟური ნამონყების

და ჩემი, მაშინაც კი, როდესაც მეც ნამდვილ გიჟად ვჩანდი. 

WiGniS EL. VeRSia  
MoamZaDa:  
DiaDMa DaTuCHaM

